

მასწავლებლის წიგნი

ინტერაქტიური მეთოდები
პრაქტიკაში

სოფიკო ლობჯანიძე

მარია ფირიხაძე

მანანა რატიანი

ნინო ლომიძე

ნინო ჭიბრიშვილი

რუსუდან თედორაძე

მარია ჯალიაშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2016

მადლობას ვუხდით მასწავლებლებს, რომლებმაც ინტერაქტიური მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილების სცენარი და რეფლექსია მოგვაწოდეს წიგნისათვის: ელზა გარაყანიძეს; ნინო მუმლაძეს, ნინო დათუკიშვილს, მაია წენგუაშვილს, ხათუნა კაპანაძეს, მაია მელიქიშვილს, სოფიო კაკაჩიას, ნინო ბლუაშვილს, თეონა არახამიას, ნაზიბროლა გოჩიაშვილს, მაია ინასარიძეს.

რედაქტორები:

ნათო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილისტი:

ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

ISBN 978-9941-0-8974-9

© 2016, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

1 სოფიკო ლობჯანიძე	
სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები	7
2 სოფიკო ლობჯანიძე	
როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი?	11
3 სოფიკო ლობჯანიძე	
ფრონტალური გაკვეთილი კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში	19
4 სოფიკო ლობჯანიძე	
მორფოლოგიური ყუთი – სწავლების აქტიური მეთოდი	29
5 სოფიკო ლობჯანიძე	
სწავლების ინტერაქტიული მეთოდები – მომავლის სახელოსნო	37
6 სოფიკო ლობჯანიძე	
შემოქმედებითი ამროვნების სწავლება, უოლტ დისნეის „ამროვნების სამი სკამის“ დახმარებით	53
7 სოფიკო ლობჯანიძე	
თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. ინტერვიუ სამი ნაბიჯი	61
8 სოფიკო ლობჯანიძე	
თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა	70
9 სოფიკო ლობჯანიძე	
როგორ ვიმუშაოთ გონებრივი რუკით	78
10 სოფიკო ლობჯანიძე	
პროექტგაკვეთილი	87
11 სოფიკო ლობჯანიძე	
სწავლების ინტერაქტიული მეთოდები – შემთხვევის ანალიზი	104
12 სოფიკო ლობჯანიძე	
თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. სეგმენტური მეთოდი	115

13 მაია ფირჩხაძე	
აზროვნების ექვსი ქუდი	124
12 მანანა რატიანი	
ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი	139
13 მანანა რატიანი	
ფოტოების გამოყენება სასწავლო პროცესში	149
14 ნინო ლომიძე	
დისკუსია და მისი ჩატარების ტექნიკა	156
15 ნინო ლომიძე	
ტექსტის/მხატვრული ნაწარმოების ანალიზი	164
16 ნინო ჭიაბრიშვილი	
ცოდნის რუკა	170
17 რუსუდან თედორაძე	
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიის გაკვეთილზე	184
18 მაია ჯალიაშვილი	
ურთიერთსწავლების ხიბლი	199

სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები

სოფიკო ლობჟანიძე

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ხარვეით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ.

რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შევარჩიოთ იგი

ცნება „მეთოდი“ სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს.

სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად.

სწავლების მეთოდის შერჩევისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და რას გააკეთებს.

სწორედ შედეგზეა დამოკიდებული როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდებიც.

მეთოდის შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება).

ხშირად მასწავლებლებს უჭირთ აქტივობისა და მეთოდის ერთმანეთისგან გარჩევა. აქტივობას დაესმის კითხვა: რას ვაკეთებ? მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს. ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: როგორ ვაკეთებ? (ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას?) – მეთოდია. მაგალითად, მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს „აპოლო ტექნიკით“ ან „გონებრივი იერიშით“.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ: მოსწავლეს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციისა, პრეზენტაციისა, თანამშრომლობისა და სხვ.). სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადეკვატურად შერჩეული სწავლების მეთოდები დაეხმარება.

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციას შეხვდებით. ერთ-ერთი კლასიფიკაციით, ისინი ორ ჯგუფად იყოფა: მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს, – თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რადგან მეთოდთა უმრავლესობა მოსწავლეებს საგნობრივთან ერთად ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება.

მოსწავლემ რომ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს უნდა ფლობდეს.

რა არის სწავლის სტრატეგიები

სწავლის სტრატეგია გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. იგი აიოლებს ახალმიღებული ინფორ-

მაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. სწავლის ეფექტური სტრატეგიები, როგორებიცაა, მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, სამუშაოს განაწილება-დაგეგმვა და სხვა, მოსწავლეს მაღალ სააზროვნო უნარებს (ტრანსფერის უნარს, ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას) უვითარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლეები უმეტესად სწავლის ისეთ პრიმიტიულ და ნაკლებეფექტურ სტრატეგიას იყენებენ, როგორიცაა მასალის გამეორება.

სწავლის რომელი სტრატეგიაა მნიშვნელოვანი

1. სწავლის სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გააანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს, საჭიროების შემთხვევაში გამოიხმობს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს.
2. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური სტრატეგიები. მეტაკოგნიცია არის აზროვნება აზროვნების შესახებ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. მოსწავლის უნარი, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მეტაკოგნიტური სტრატეგიაა. რაც უფრო მაღალია მოსწავლის მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ადეკვატურად იყენებს იგი სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს.
3. ეფექტიანი სწავლა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწავლის ემოციურ-მოტივაციურ სტრატეგიებზე, რომლებიც სწავლის პროცესს მუხტსა და ენერგიას მატებს (Deci/Ryan 1993; Kuhl 1987) და მოსწავლეს შესასწავლი საკითხისადმი დადებით განწყობას უქმნის.
4. ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვ.
5. რესურსების მოხმარება – რესურსებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს მიეკუთვნება სამუშაო კუთხე, მულტიმედიური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ბიბლიოთეკები, ინტერნეტი და სხვ. მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სასწავლო დროც, რომლის სწორად გამოყენება ეფექტიანი სწავლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ძნელი სათქმელია, ჩამოთვლილ სტრატეგიათაგან (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური, რესურსებზე დაფუძნებული) რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტიანი სწავლისთვის, რადგან მათ მეთქილად კომპლექსურად იყენებენ (Weinert 1997). შესაძლოა, სწავლის პროცესში შეინიშნებოდეს სწავლის რომელიმე სტრატეგიის დეფიციტი, მაგრამ მისი კომპენსირება მოხერხდება, თუ სხვა სტრატეგიები მაღალ დონეზე იქნება განვითარებული. თუმცა არსებობს ისეთი რთული და კომპლექსური დავალებები, რომელთა შესასრულებლად სწავლის ყველა სტრატეგიის ცოდნა და გამოყენება აუცილებელია და საკმარისია, ერთ-ერთი მათგანი გამოაკლდეს, რომ მარცხი გარდაუვალია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა. სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა.

როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი

სოფიკო ლობჟანიძე

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ის, რომ მასწავლებელმა იცოდეს „...სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების მოთხოვნების შესაბამისად.“

წინამდებარე მასალაში კიდევ ერთხელ დავაფიქრებთ მკითხველს და-გეგმვის აუცილებლობაზე, მივცემთ რეკომენდაციებს, რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მოქნილი, მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებული გაკვეთილის დასაგეგმად, რომელიც საგანმანათლებლო ლიტერატურაში კონსტრუქტივისტული გაკვეთილის სახელითაა ცნობილი.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილი გამოირჩევა მოქნილობით. იგი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს, თავად აავსონ ცოდნა, იპოვონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი, შეძლონ ანალიზი, ცალკეული ელემენტების გაერთიანება ახალი სტრუქტურის სახით და სათანადო დასკვნების გამოტანა. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტივობას და ინტერესს. მასწავლებელი კონსტრუქტივისტული სწავლებისას არის პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი, შემფასებელი და ხელის შემწყობი.

სანამ პედაგოგი გაკვეთილის გეგმის შედგენას დაიწყებს –

- **კარგად უნდა გაიაზროს გაკვეთილის ეტაპები/ფაზები** – გამოწვევის ფაზაზე მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურება. მოსწავლეები იხსენებენ, რა იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ და იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს; გაკვეთლის ცენტრალური ნაწილი სიღრმისეული წვდომის ფაზაა, როდესაც მოსწავლე ბოლომდე გაიაზრებს ახალ მასალას და შეძლებს ახლადშექმნილი ცოდნა დაუკავშიროს ადრე ნასწავლს. ამ ეტაპის უპირველესი ამოცანაა საწყის ფაზაზე აღძრული მოტივაციის შენარჩუნება და განმტკიცება; რეფლექსიისა და შეჯამების ფა-

ზაზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა. გაკვეთილის ეს სამივე ეტაპი გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში ადეკვატური აქტივობებისა და მეთოდების სახით.

- **უნდა გადაწყვიტოს გაკვეთილის სტრუქტურირების რომელ სტრატეგიას გამოიყენებს** – პირდაპირი სწავლების სტრატეგიას, რომელიც მასწავლებლის როლზე აკეთებს აქცენტს (მაგ. ლექციური ტიპის გაკვეთილი), თუ არაპირდაპირი სწავლების სტრატეგიას, როდესაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა (მაგ. დისკუსია განსახილველი თემის ირგვლივ). გაკვეთილის სტრუქტურირების სტრატეგიები მასწავლებელმა უნდა აირჩიოს მიზნის შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ ეს ორივე სტრატეგია შესაძლებელია ერთი და იგივე გაკვეთილზე გამოიყენოს მან.
- **უნდა იფიქროს იმაზე, გაკვეთილს დედუქციური მიდგომით** (ზოგადიდან კონკრეტულისკენ) წარმართავს, თუ ინდუქციურით (კონკრეტულიდან ზოგადისკენ).

კიდევ რა არის საჭირო მოქნილი და კრეატიული გეგმების შესადგენად?

1. მოსწავლეთა სასწავლო წინაპირობის გათვალისწინება – ინდივიდუალური უნარები, ოჯახური, მოტივაციური, კულტურული, კოგნიტური, ემოციური, ფსიქო-მოტორული, ენობრივი, სოციალური და სხვ.
2. ჩარჩოპირობების გათვალისწინება – სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ადგილობრივი, დროითი და ა.შ. მონაცემები.
3. სასწავლო გეგმებზე ორიენტაცია;
4. სასწავლო და აღმზრდელობითი მიზნების ერთობლიობა;
5. მიზნებსა და შედეგებზე ორიენტაცია;
6. ძირითადი პუნქტების გამოყოფა;
7. სასწავლო სტრატეგიების დიფერენცირებული გამოყენება;
8. მრავალმხრივი მეთოდების გამოყენება;
9. რესურსების შერჩევა და მისი მომზადება;
10. სოციალური ფორმების შერჩევა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილური);
11. მოსწავლეებისათვის ახალ-ახალი სასწავლო შანსების შეთავაზება;
12. შედეგების სისტემატური კონტროლი.

შედეგების სისტემატური კონტროლი საშუალებას აძლევს პედაგოგს, იკვლიოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა – შეაფასოს რას მიაღწია,

რას შეცვლიდა. მოახდინოს დაგეგმილი გაკვეთილის კორექცია, მისი ხელახალი პილოტირება და ა.შ.

განვიხილოთ გაკვეთილის გეგმის ძირითადი კომპონენტები და მათ შორის ურთიერთკავშირი:

1. თემა და მიზანი – მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ამოირჩევს გაკვეთილის თემას, იგი აყალიბებს გაკვეთილის მიზანს.

სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მისალწვევი შედეგებიდან და მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან.

სწორედ სასწავლო მიზნები განსაზღვრავს სასწავლო აქტივობების შინაარსს, მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს და ქმნის საფუძველს როგორც მოსწავლეთა პროგრესის შემოწმებისთვის, ასევე მასწავლებელთა თვითშეფასებისთვის.

მიზანი უნდა იყოს ფორმულირებული კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად (45 წუთში მიღწევადი); იგი უნდა იყოს გამოვადი და შეფასებადი.

სასწავლო მიზნების ფორმულირებისას უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ზმნები – გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გააანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ.

2. სასწავლო აქტივობები და მეთოდები – ხშირად მასწავლებლებს უჭირთ განასხვავონ ერთმანეთისაგან აქტივობა და მეთოდი. როგორ განვასხვაოთ ისინი ერთმანეთისაგან?

აქტივობას დაესმის კითხვა – რას ვაკეთებ? მაგ. მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს.

თუ დაისმის კითხვა, როგორ ვაკეთებ? ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას, ეს არის მეთოდი. მაგ. მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს „გონებრივი იერიშით“.

სასწავლო აქტივობები შესაბამისი უნდა იყოს გაკვეთილის მიზანთან და მისი შერჩევისას უნდა დავფიქრდეთ:

- შერჩეული აქტივობები დაგვეხმარება თუ არა დასახული მიზნის მიღწევაში;
- მიზნის მისაღწევად რას გავაკეთებთ ჩვენ (მასწავლებლის აქტივობა) და რას გავაკეთებენ მოსწავლეები (მოსწავლის აქტივობა);

- რამდენი აქტივობა მიგვიყვანს მიზნამდე;
- როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას.

სასწავლო მეთოდების შერჩევისას გავითვალისწინოთ:

- მისი შესაბამისობა სასწავლო აქტივობასთან და კლასის ორგანიზების ფორმასთან;
 - ტექნიკურად მისი განხორციელების შესაძლებლობა.
3. სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარსამართავად. სასწავლო რესურსებში მითითებული უნდა იყოს ყველა ის რესურსი, რომლის საფუძველზეც გაკვეთილი იგეგმება და წარიმართება – მოსწავლის და მასწავლებლის სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტსაიტები და სხვ.
 4. თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო – გაკვეთილის ფაზებზე და სასწავლო აქტივობებზე დროის სწორად განაწილება არის ეფექტიანი გაკვეთილის ერთ-ერთი წინაპირობა. თუმცა, მასწავლებელს შეუძლია სიტუაციისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით გაკვეთილის მსვლელობისას კორექტივები შეიტანოს დროის მენეჯმენტში.
 5. კლასის ორგანიზების ფორმები – აუცილებელია, რომ კლასის ორგანიზების ფორმები სასწავლო აქტივობისა და მეთოდის შესაბამისი იყოს. მაგ. როდესაც მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას ლექციური მეთოდით, იყენებს კლასის ორგანიზების ისეთ ფორმას, როგორიც არის საერთო საკლასო. თუ მასწავლებელი სიღრმისეული წვდომის ფაზაზე თითოეულ ჯგუფს ავალებს გარკვეული მასალის ანალიზსა და შეფასებას, საქმე გვაქვს ჯგუფურ მუშაობასთან.
 6. თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები – როდესაც მასწავლებელი მიზნის მისაღწევად ირჩევს შესაბამის აქტივობებსა და მეთოდებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თითოეული ამ აქტივობისა და მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ყოველ აქტივობას მოსწავლეები უნდა მიყავდეს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევ შედეგებამდე, საიდანაც, თავის მხრივ, უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის მიზანი.

7. შეფასება – იმისათვის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს, მიიღო თუ არა სასურველი შედეგი, აუცილებელია, შეამოწმოს სასწავლო შედეგები. გაკვეთილის გეგმაში ასახული უნდა იყოს რა ფორმით ამოწმებს სასწავლო შედეგებს, უნდა აღწეროს შეფასების რა ტიპებისა და მეთოდების გამოყენებას აპირებს კონკრეტულ გაკვეთილზე. შეფასების რუბრიკები თან უნდა ახლდეს გაკვეთილის გეგმას თანდართული დოკუმენტის სახით.
8. თვითშეფასება – გაკვეთილის გეგმას უნდა ახლდეს მასწავლებლის თვითშეფასების ცხრილი, რომელსაც მასწავლებელი ავსებს გაკვეთილის ბოლოს, როდესაც ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას აკეთებს – მან უნდა გააანალიზოს, რა იყო კარგი, რაც დაეხმარა შედეგის მისაღწევად და რამ დააბრკოლა, რისი გაუმჯობესებაა სასურველი.

შეფასების შედეგებზე და თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები და დამატებები გაკვეთილის გეგმაში. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი ეხმარება პედაგოგს მუდმივად დახვეწოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა და ჩამოყალიბდეს ე.წ. მკვლევარ-მასწავლებლად.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გეგმა საკმაოდ მოქნილი და შემოქმედებითი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა შეძლოს სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება.

წინამდებარე მასალაში განვიხილეთ ის ძირითადი კომპონენტები, რომელსაც მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს ეფექტიანი გაკვეთილის დასაგეგმად. გაკვეთილის გეგმის კონკრეტული ნიმუშის მოყვანისაგან ყოველთვის თავს ვიკავებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა თავისი შემოქმედებითი აზროვნებით თავად უნდა შექმნას გაკვეთილის გეგმის მისეული ნიმუში გაკვეთილის გეგმის ძირითად კომპონენტებზე დაყრდნობით.

მაგრამ ამჯერად ვითვალისწინებთ რა მასწავლებელთა დაუნიებულ თხოვნებს, გთავაზობთ გაკვეთილის გეგმის რამდენიმე ნიმუშს, რომელიც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და დაგეხმარებათ თქვენეული გეგმის სტრუქტურის შექმნაში.

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N1

დისციპლინა: _____

სწავლების საფეხური: _____

მოსწავლეთა რაოდენობა: _____

თემა: _____

მიზანი: _____

N	აქტივობა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

შეფასების ტიპები და მეთოდები:

თვითშეფასება:

(შეფასების და თვითშეფასების რუბრიკები თან უნდა ერთოდეს გეგმას)

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N2

დისციპლინა: _____

სწავლების საფეხური: _____

მოსწავლეთა რაოდენობა: _____

თემა: _____

მიზანი: _____

მოსალოდნელი შედეგები: _____

დრო	გაკვეთილის ფაზა	მასწავლებლის აქტივობა	მოსწავლის აქტივობა	მეთოდი	სასწავლო რესურსები	კლასის ორგანიზების ფორმები	შეფასება

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N3

გაკვეთილის თემა

საგანი/ინტეგრირებული

საგნები მასწავლებლის
/მასწავლებლების სახელი გვარი

სწავლების საფეხური

მოსწავლეთა პროფილი

მიუთითოს მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აქტუალობა

რით არის ეს გაკვეთილი აქტუალური, როგორ შეუწყობს მოსწავლეებს ხელს ცოდნისა და უნარჩვევების დაუფლებაში, არსებულ ცოდნასა და ახლადშეძენილ ცოდნას შორის კავშირების დამყარებაში და სხვ.

სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	რა კონკრეტულ ცოდნას დაეუფლებიან მოსწავლეები, რა უნარებს გამოიმუშავენ, რა დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ. ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ შედეგებზე გავლენ.
მოსწავლეთა წინარე ცოდნა	რას უნდა ფლობდეს მოსწავლე, რომ ახალი მასალის ათვისება გაუადვილდეს.
გაკვეთილის მსვლელობა /საკლასო მენეჯმენტი	რა აქტივობებს განახორციელებს მასწავლებელი დასახული მიზნის მისაღწევად, როგორ მოახერხებს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნის კონსტრუირებას, ახლადშეძენილი ცოდნის გამთლიანებას და შეჯამებას. რა მეთოდებს გამოიყენებს აქტივობების განსახორციელებლად, რა დროს მოანდომებს თითოეულ მათგანს, როგორ მოახდენს კლასის ორგანიზებას.
შეფასება და თვითშეფასება	როგორ გაზომავს მასწავლებელი გავიდა თუ არა შედეგზე, შეფასების რომელ ტიპსა და მეთოდს გამოიყენებს, რა კრიტერიუმებით მოახდენს შეფასებას. სასწავლო რესურსები, ყველა ის რესურსი, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ეფექტიანი გაკვეთილის ჩასატარებლად.

ფრონტალური გაკვეთილი კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში

სოფიკო ლოპხანიძე

ფრონტალური გაკვეთილი, ტრადიციული გაგებით, წარმოადგენს მას-წავლებელზე ორიენტირებულ საგაკვეთილო პროცესს. ეს არის სწავლების სტრატეგია, რომელიც ხშირად პირდაპირ სწავლებელზე იხსენიება და აქცენტს მასწავლებლის როლზე აკეთებს. ეს მეთოდი მრავალფეროვან ვარიაციებად ჩამოყალიბდა, თუმცა, ყველა ამ ვარიანტს აქვს ერთი საერთო – მასწავლებელი წარმოადგენს მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემის ძირითად წყაროს. ფრონტალური მეთოდის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლექციური ტიპის გაკვეთილი, კითხვა-პასუხზე აგებული გაკვეთილი, დემონსტრირებით წარმართული გაკვეთილი.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ტრადიციულ ფრონტალურ გაკვეთილს უფრო ნეგატიური იმიჯი აქვს, ვიდრე პოზიტიური. პედაგოგებისა თუ განათლების სპეციალისტების ნაწილი, რომელიც სწავლების პროცესისადმი მხოლოდ ინტერაქტიულ მიდგომებს იზიარებს, მიიჩნევს, რომ ფრონტალური გაკვეთილების გამოყენება ხელს უშლის სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. ამ აზრის განსამტკიცებლად ისინი ასახელებენ ფრონტალური გაკვეთილის მხოლოდ უარყოფით მხარეებს:

- ფრონტალური გაკვეთილი უმეტესწილად ავტორიტარული და დირექტიულია;
- მოსწავლეები პასიურები არიან და მცირეა მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
- არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა სწავლის ინდივიდუალური ტემპი;
- ამ ტიპის გაკვეთილი ხელს არ უწყობს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციის განვითარებას;
- არაეფექტურია მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) განვითარების თვალსაზრისითაც.

ხოლო როდესაც მასწავლებელი თუ განათლების მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი ფრონტალური გაკვეთილის უპირატესობასა და წარმატებაზე საუბრობს, თვალწინ ისეთი „დიდაქტიკური მონოკულტურა“ უდგას, სადაც წარმმართველია დიდი ავტორიტეტი, შიში და მკაცრი დისციპლინა – მაშასადამე, სასწავლო პროცესისადმი ავტორიტარული, კერძოდ, ბიჰევიორისტული მიდგომა. ამ შემთხვევაში ვექტორის მიმართება ცალმხრივია – მასწავლებლიდან კლასისკენ. ისინი საუბრობენ ფრონტალური გაკვეთილის მხოლოდ პოზიტიურ მხარეებზე. კერძოდ, იმაზე, რომ

- ის საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეებს სწრაფად გადავცეთ დიდი მოცულობის ინფორმაცია;
- ის ორგანიზაციულად და მეთოდურად ადვილად ჩასატარებელია;
- მეთოდი ტრადიციული და მრავალჯერ ნაცადია.

ხშირად ფრონტალური გაკვეთილები წმინდა ტიპის ლექციიდან თუ მასწავლებლის პრეზენტაციიდან საუბარზე ორიენტირებულ ფაზებში გადადის, შესაძლოა, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართოს და შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ დირექტიული მიდგომა მასწავლებელმა ინტერაქტიულით შეცვალა, მაგრამ უმეტესად ამასაც ფრონტალური ხასიათი აქვს, ე.ი. ისევ მასწავლებელი დგას ცენტრში და არა მოსწავლე. ამგვარ მიდგომას შეიძლება „მოჩვენებითი თანამშრომლობა“ ვუწოდოთ, რადგან მასწავლებელი, თუმცაღა შედის დიალოგში მოსწავლეებთან, ისმენს მათ აზრს, საბოლოოდ მაინც თავად განსაზღვრავს ყველაფერს. ვექტორის მიმართება ამ შემთხვევაშიც ცალმხრივია – მასწავლებლიდან კლასისკენ.

ბუნებრივია, ასეთი მიდგომით შესაძლებელია, მოსწავლემ მიიღოს გარკვეული ცოდნა, მაგრამ როგორ ავიცილოთ თავიდან ფრონტალური გაკვეთილის თანმხლები ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორები? ამ კითხვაზე სწავლების პროცესისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომა სცემს პასუხს.

კონსტრუქტივისტული დიდაქტიკა გვთავაზობს სასწავლო პროცესში ფრონტალური გაკვეთილების შეზღუდვად და ინტერაქტიულ მეთოდებთან კომბინირებულად გამოყენებას, მაშასადამე, ფრონტალური გაკვეთილების ჩანაცვლებას ფრონტალური ფაზებით, რომლებიც, თავის მხრივ, ინტერაქტიული იქნება, ანუ წარიმართება მოსწავლეებთან დიალოგურ რეჟიმში. მოსწავლეთა ჩართვა დიალოგში, მათი მხრივ კითხვების დასმა მართო ნებადართული

კი არ უნდა იყოს, არამედ მასწავლებელი ახალისებდეს კიდეც ამას და ხელს უწყობდეს. ეს უზრუნველყოფს ვექტორის ორმხრივ მიმართებას – როგორც მასწავლებლიდან თითოეული მოსწავლისკენ, ასევე მოსწავლიდან მასწავლებლისკენ. შედეგად მოსწავლეები მხოლოდ ცოდნას კი არ იძენენ და მაღალ სააზროვნო უნარებს ივითარებენ, არამედ საკლასო ოთახში მკვიდრდება ღია ურთიერთობებისა და კომუნიკაციის კულტურა.

მასწავლებელს, იმისთვის, რომ შეძლოს ფრონტალური ფაზების ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ფრონტალური მეთოდის ყველა თავისებურება, მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და გაითვალისწინოს ისინი გაკვეთილის დაგეგმვისას:

- როდესაც მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში ფრონტალური მეთოდის გამოყენებას გეგმავს, უნდა იცოდეს მისი გამოყენების საზღვრები: როდესაც მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში, მაგალითად, კვლევა-ძიების ან მეტაკოგნიტური უნარების განვითარება, ფრონტალური მეთოდის გამოყენება არარელევანტური იქნება, მაგრამ მაშინ, როცა მასწავლებლის მიზანია, ყველა მოსწავლეს დროის მცირე მონაკვეთში გადასცეს დიდი მოცულობის ინფორმაცია, დაანახოს ცალკეულ შინაარსთა ურთიერთკავშირი, ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია.
- ფრონტალური მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელს ყველა მოსწავლე თვალთახედვის არეალში ჰყავს, ყველანი ერთი საკითხისა თუ პრობლემის ირგვლივ არიან კონცენტრირებულები, რაც მეთოდს უფრო ადვილად გამოსაყენებელს ხდის;
- ტრადიციული ფრონტალური მეთოდით მუშაობისას მოსწავლეთა მოტივაცია დაბალია. წარმატების მისაღწევად საჭიროა გავუღვიძოთ მათ ინტერესი როგორც შესასწავლი თემისადმი, ასევე კონკრეტულად იმ ფრონტალური სტრატეგიისადმი, რომლის საშუალებითაც ამ მასალას გადავცემთ. ამიტომ მასალა, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის, უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი, საინტერესოდ დემონსტრირებული თუ ახსნილი. ამ დროს, გარდა იმისა, რომ მოსწავლეს უჩნდება ინფორმაციის მიღების მოტივაცია, გამოუმუშავდება კომპეტენციაც, თავად როგორ წარსდგეს სხვათა წინაშე, როგორ გააკეთოს ეფექტური პრეზენტაცია. ამ კომპეტენციის მნიშვნელობა სცილდება სკოლის ყოველდღიურობას, ეს არის ადამიანის მნიშვნელოვანი უნარი ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად.

- ტრადიციული ფრონტალური მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეთა ავტონომია, თვითეფექტურობა და სოციალური/თანამშრომლობითი კომპეტენცია შეზღუდულია. მაგრამ თუ მასწავლებელი ფრონტალურ ფაზებს მიანიჭებს ინტერაქტიურ ხასიათს, მეთოდის ეს სუსტი მხარე დაიძლევა.

ყველა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი კითხვაა, როგორ უნდა დავგეგმოთ ფრონტალური ფაზები, რომ გავზარდოთ მათი ეფექტიანობა:

- მხოლოდ მასწავლებელი კი არ უნდა იყოს ფრონტალური ფაზის განმახორციელებელი, მაკონტროლებელი, არამედ მოსწავლეებსაც უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გახდნენ ამ ფაზის აქტიური მონაწილენი და, შესაძლოა, წარმმართველებიც;
- სწავლების ინტერაქტიულ, ქმედებაზე ორიენტირებულ ფაზებში ან ასეთ ფაზებს შორის სასურველია ხანმოკლე ფრონტალური ფაზების ჩასმა, რათა ნათელი მოეფინოს მოსწავლეებისთვის გაუგებარ საკითხებს;
- იმისთვის, რომ ფრონტალური ფაზები ხელს უწყობდეს მოსწავლეთა საუბრის კულტურის განვითარებას, მასწავლებელმა აქტიური მინილექციის, პრეზენტაციისა თუ დემონსტრირების დროს ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ ენას, ხმას, ჟესტებს, მიმიკას, ემოციებს, ოთახში გადაადგილებას, აქტიური მოსმენის კულტურას, ლექციაში მოსწავლეთა ჩართვის ინიცირებას, მათი მხრივ განსხვავებული აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, რათა მოსწავლეებთან კონტაქტი ცოცხალი გახადოს და მისი ეს ქცევა მისაბადი გახდეს აღსაზრდელებისთვის. მაშასადამე, ფრონტალური ფაზების სწორად წარმართვისას მასწავლებელი შეიძლება გახდეს მოსწავლეთათვის წარმატებული და გონივრული ქცევის მოდელი.
- ფრონტალური ფაზების მეშვეობით მოსწავლეები იძენენ გამოცდილებას ენის ფუნქციის შესახებ. აცნობიერებენ, რომ ვერბალური არხი ინფორმაციის გაცვლისა და ადამიანთა შორის ურთიერთობების დამყარების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ფრონტალურ ფაზაში აქტიური მონაწილეობა მოსწავლეს უვითარებს უნარს, აუდიტორიას ინფორმაცია გასაგებად და სახალისოდ გადასცეს, დიალოგში შევიდეს მსმენელებთან, კორექტულად დაუსვას კითხვები, მოისმინოს და გაითვალისწინოს მსმენელთა/თანამოსაუბრეთა აზრი, განაზოგადოს ან დააკონკრეტოს ინფორმაცია, გაანალიზოს, შეაჯამოს, დასკვნები გამოიტანოს. მოსწავლეებში ვერბალური კომუნიკაციის კომპეტენციის განვითარება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში

ხდება, როდესაც ფრონტალური ფაზები დირექტიულ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ გაჯერებულია კითხვა-პასუხით, დიალოგით, დისკუსიით.

- ფრონტალური ფაზები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში მხოლოდ საქმის გაიოლების მიზნით.

კონსტრუქტივისტული დიდაქტიკის თანახმად, ფრონტალური გაკვეთილი შეიძლება განვიხილოთ როგორც ოთხი თანმიმდევრული სამუშაო ფაზა. პირველი ფაზა – მასწავლებელი გადასცემს მოსწავლეებს ცოდნას, რომელსაც მოსწავლეები ადვილად გაიგებენ, თუ გადაცემული საკითხის სტრუქტურა მათ აზრობრივ სტრუქტურას შეესაბამება და მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. მეორე ფაზამ უნდა უზრუნველყოს საკითხის უფრო ღრმად წვდომა, რაც საკლასო დისკუსიით მიიღწევა. მესამე ფაზა – ახალშესწავლილი მასალის განმტკიცება ვარჯიშით. მეოთხე ფაზა – შეძენილი კომპეტენციების სხვადასხვა, მათ შორის – არასასკოლო, სიტუაციაში გამოყენება, ე.ი. ცოდნის ტრანსფერი.

ფრონტალური გაკვეთილის ოთხივე სამუშაო ფაზის განხორციელებაზე ლაპარაკისას არ ვგულისხმობთ 45-წუთიან გაკვეთილს – ეს უმეტესად არარეალისტურია. ოთხივე ფაზის სრულყოფილად განხორციელებას გაცილებით მეტი დრო სჭირდება.

სკოლა: სსიპ – ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

მასწავლებელი: თეონა არახამია

კლასი: V

თემა: „სათვალე“

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ მხატვრული ტექსტის „სათვალე“ გაგება-გააზრებას; პრობლემის გამოყოფას და მისი მოგვარების გზების ძიებას; ხელი შეეწყობა სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის ამაღლებას.

მოსწავლეები გააცნობიერებენ რომ დაცინვა /ჩაგვრა უარყოფით გავლენას ახდენს ნებისმიერ ადამიანზე და მას სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტთან:

ქართ. V. 1. მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი სირთულის ტექსტების მოსმენისა და ინტერპრეტაციის საწყისი უნარი.

ქართ. V. 2. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური საკომუნიკაციო ამოცანების განხორციელება.

ქართ. V. 4. მოსწავლეს აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასების საწყისი უნარი.

ქართ. V. 5. მოსწავლეს შეუძლია სადისკუსიო სტრატეგიების ამოცნობა და გამოყენება.

ქართ. V. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.

ქართ. V. 14. მოსწავლეს შეუძლია წერიტი დავალების ამოცანის განსაზღვრა და ფუნქციური სტილის არჩევა.

სწავლების მეთოდები: ლექცია პრობლემის დასმით, ბლიც უკუკავშირი წრეზე

კლასის ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო და ჯგუფური.

რესურსები: „სათვალე“ – ნაბეჭდი წიგნი; ფლიფჩარტები, მარკერები, პროექტორი; ვიდეო: <https://www.youtube.com/watch?v=FYVvE4tr2BI>

გაკვეთილის აღწერა: (გაკვეთილის ხანგრძლივობა – 45 წთ)

გამოწვევის ფაზა (10 წთ) – მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად (4 ჯგუფი) და თითოეულ ჯგუფს ურიგებს შეკითხვას, რომელზეც მსჯელობენ ბავშვები:

„რა სახით შეიძლება გამოვლინდეს დაცინვა?“ (I-II ჯგუფი); „რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს დაცინვას?“ (III-IV ჯგუფი).

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და კლასთან ერთად მსჯელობენ საკითხზე.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური

საკითხის სიღრმისეული წვდომა: (20 წთ) – მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ნაწარმოებს „სათვალე“, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ რა არის აღწერილი ნაწარმოებში. დაუკავშირებენ ამ თემას თავიანთ დაწერილს. განიხილავენ, დაცინვის რა ფორმებია ამ ნაწარმოებში გამოხატული და რა შედეგი მოჰყვება მას.

მასწავლებელი კითხულობს ლექციას და დიალოგის რეჟიმში აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას კიდევ რა ფორმებით შეიძლება, რომ გამოვლინდეს ჩაგვრა/დაცინვა როგორც სკოლაში, ისე, ზოგადად, საზოგადოებაში. მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ დაცინვით შეიძლება მოსწავლემ მიიღოს ფსიქოლოგიური სტრესი და გაირიყოს საზოგადოებისგან.

რეფლექსიის ფაზა: (10 წთ)

გადაწყვეტილებების გაანალიზება – მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით, დიალოგის, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიღებულ ინფორმაციამდე დაყრდნობით, საბოლოოდ შეაფასებენ და გამოყოფენ ჯგუფების მიერ შემოთავაზებული პრობლემის მოგვარების ოპტიმალურ გზებს.

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო

შეჯამება (5 წთ) – ბლიც უკუკავშირი წრეზე

მოსწავლეები წრეზე დგებიან და საუბრობენ გაკვეთილის შესახებ:

- „ამ გაკვეთილზე მე განსაკუთრებით არ მომეწონა..., ამის გამო ცუდად ვიგრძენი თავი; ან: მე ეს განსაკუთრებით მომეწონა, თავი ამის გამო კარგად ვიგრძენი.
- ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ამას მე დავიმახსოვრებ და გამოვიყენებ; ან: მე მსურს ამ გაკვეთილის დასასრულს ვთქვა;
- ეს მე სწავლისას დამეხმარა, ეს კი არ დამეხმარა;

შეფასება: განმავითარებელი – მასწავლებლის ზეპირი კომენტარი.

შეფასების კრიტერიუმები	სრულიად	ნაწილობრივ	გასავითარებელია
მოსწავლეები აცნობიერებენ საკითხის აქტუალობას			
მოსწავლეები გამოყოფენ არსებულ პრობლემებს			
მოსწავლეები სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.			

მოსწავლეებს შეუძლიათ საკითხის ირგვლივ მსჯელობა და დასკვნების გამოტანა.			
მოსწავლეები აკავშირებენ შესწავლილ ნაწარმოებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ერთმანეთთან;			

შედეგი: მოსწავლეები მსჯელობენ დაცინვის/ჩაგვრის გამოვლენის შესაძლო გზებზე და აცნობიერებენ რომ დაცინვა/ჩაგვრა უარყოფით გავლენას ახდენს ნებისმიერ ადამიანზე და მას სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

გაკვეთილის რეფლექსია:

მეთოდს – „ლექცია პრობლემის დასმით“, გავეცანი საიტზე mastsavlebeli.ge. აქამდე, როდესაც მსურდა მოსწავლეთათვის ახალი ინფორმაციის გადაცემა, ყოველთვის ვიყენებდი მინილექციის ტიპის გაკვეთილს და მხოლოდ მე ვიყავი ინფორმაციის აქტიური გადამცემი. როგორც მივხვდი, ეს მეთოდი საშუალებას მომცემდა, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიმეწოდებინა მათთვის ახალი ინფორმაცია. მეხუთე კლასში, G-PriEd-ის პროექტის მასალებში არის აქტუალურ თემაზე – დაცინვაზე აგებული ნაწარმოები „სათვალე“, რომლის განხილვაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მოსწავლეთათვის. თანაც, მათ უკვე ჰქონდათ დამუშავებული – „სამაგიერო“, რომელშიც დაცინვისა და ჩაგვრის შემთხვევებია აღწერილი, გაკვეთილებზე მხოლოდ დაცინვისა თუ ჩაგვრის კონკრეტული გამოვლინებები განვიხილეთ და არ გვექონდა საშუალება, ეს საკითხი უფრო გლობალურად დაენახათ მოსწავლეებს, მიმხედარიყვნენ, რომ პრობლემა სერიოზულია და დაეწყოს ფიქრი მის მოგვარებაზე. ასევე, მსურდა მიმეწოდებინა გარკვეული ინფორმაცია ამ საკითხზე, ამიტომაც ჩავთვალე, შედეგის მისაღწევად კარგი იქნებოდა გაკვეთილის ჩატარება მეთოდით – „ლექცია პრობლემის დასმით“.

აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა:

- ფაქტობრივად ყველა მოსწავლე ჩაერთო გაკვეთილში;
- კითხვის საშუალებით მოსწავლეებმა თავადვე შეძლეს პრობლემის იდენტიფიცირება;

- შეძლეს დაცივნის / ჩაგვრის კონკრეტული გამოვლინებების აღწერა და შესაძლო შედეგების ჩამოთვლა ;
- ნაწარმოების წაკითხვისა და ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით შეძლეს პრობლემის სიღრმისეული ანალიზი და შეავსეს მათ მიერ ჩამოწერილი დაცივნის/ჩაგვრის გამოვლინების ფორმები და შედეგები;
- დაუკავშირეს მიღებული ინფორმაცია შესწავლილ ნაწარმოებებს;
- ჩემი დამხმარე კითხვების საშუალებით თავადვე გააკეთეს დასკვნები: დაცივნა/ ჩაგვრა არის ადამიანთა უფლებების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს თვითდამაზიანებელი ქცევები, სტრესი/დეპრესია, აგრესია, ადამიანისათვის ფიზიკური თუ მორალური ზარალის მიყენება და საბოლოოდ ადამიანი მივიდეს თვითმკვლელობამდე; ამიტომ, უნდა დავფიქრდეთ ამ შედეგებზე და სიფრთხილით მივუდგეთ ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას ჩვენს წარმოთქმულ სიტყვებსა თუ ქცევებს;
- ჯგუფური სამუშაო საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან ჯერ მცირე ჯგუფებში იმსჯელეს საკითხზე და ისე წარმოადგინეს ნამუშევრები, საბოლოოდ კი, ოთხივე ჯგუფს განსხვავებული პასუხი ჰქონდა, რითაც ინფორმაცია შეივსო;

გაკვეთილის მსვლელობისას იყო გარკვეული ბარიერებიც და/ან ისეთი საკითხები, რაც არ მქონდა დაგეგმილი და მიმდინარეობისას უკეთესი შედეგის მისაღწევად გავაკეთე:

- ვინაიდან მოსწავლეების პასუხები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ავსებდა საკითხს, გადავწყვიტე დაფაზე სქემის სახით მოკლედ ჩამომეწერა თემის გარშემო წამოსული აზრები, რაც ვთვლი, რომ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან ერთგვარად შეაჯამა მოსწავლეთა ნამუშევრები და გააერთიანა;
- ნაწარმოების წაკითხვას დასჭირდა გათვალისწინებულზე მეტი დრო, რადგან მოსწავლეები იქვე აკეთებდნენ ჩართვებს, რადგან მოსმენისას აკავშირებდნენ უკვე განხილულ საკითხებს. ეს იწვევდა სხვა მოსწავლეთა ყურადღების გაფანტვას და ამ აქტივობის დროც გაიზარდა. ამის გამო პრობლემის მოგვარების ზოგიერთი გზა მხოლოდ ზედაპირულად ჩამოთვალეს. ვერ მოვასწარიტ მისი უფრო დეტალურად განხილვა და ფლიფ-ჩართზე გადატანა;

- უკუკავშირის დროს, ძირითადად ერთმანეთის ნათქვამს იმეორებდნენ. ამიტომ, ალბათ, ჯობდა ისეთი მეთოდის გამოყენება, რომლითაც შეძლებდნენ ინდივიდუალურად, წერილობით შეეჯამებინათ გაკვეთილი.

საბოლოოდ, მეთოდი ეფექტური აღმოჩნდა – შედეგს მივაღწიე – მოსწავლეებმა გაიაზრეს საკითხი, როგორც გლობალური პრობლემა, რომლის დაძლევაც მეტად მნიშვნელოვანია და შეეცადნენ დაესახათ მოგვარების გზებიც. თუმცა, შემდეგში მისი გამოყენებისას, გავითვალისწინებ უკვე არსებულ გამოცდილებას, რითაც უკეთესი გახდება გაკვეთილიც და გაუმჯობესდება შედეგიც.

კოლეგებსაც ვურჩევდი ამ მეთოდის გამოყენებას, რადგან ეს კარგი საშუალებაა, მოსწავლეებს საინტერესო სახით და მათი აქტიური ჩართულობით გადავცეთ ახალი ინფორმაცია და ამავდროულად, გამოვუმუშაოთ უნარი, რომ მსჯელობის საფუძველზე თავად მივიდნენ ახალ ცოდნამდე, პრობლემის გადაჭრის გზამდე.

მორფოლოგიური ყუთი – სწავლების აქტიური მეთოდი

სოფიკო ლობჟანიძე

ფილოსოფიაში გაბატონებულია აზრი, რომ პრობლემების მოგვარების გზები თავად პრობლემებში იმალება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება მეთოდი „მორფოლოგიური ყუთი“, რომელიც შვეიცარელმა ასტროფიზიკოსმა ფრიც ცვიკიმ (Fritz Zwicky, 1898-1974) განავითარა.


როგორც ვიცით, „მორფოლოგია“ ძველი ბერძნული სიტყვაა. ეს სახელი ჰქვია მოძღვრებას წესრიგის, ფორმების, სტრუქტურების შესახებ. ამ თვალ-საზრისით, მორფოლოგიური ყუთის გამოყენებით იქმნება ყველა შესაძლო გადაწყვეტილების ერთიანი, მოწესრიგებული სტრუქტურა.

მორფოლოგიური ყუთით ცვიკმა მეტად მნიშვნელოვანი მიზანი დაისახა: გადაწყვეტილების მიგნება არა ახალი, რევოლუციური იდეებით, არამედ უკვე ნაცნობი ელემენტების ახალი კომბინაციებით. მეთოდი მიეკუთვნება სისტემურ-ანალიტიკურ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც თავდაპირველად შემუშავდა საწარმოებისთვის, სადაც ახალი პროდუქტიდები და პროდუქტვარიანტები უნდა შექმნილიყო და ტექნიკური პრობლემები გადაჭრილიყო. მეთოდმა განათლების მეცნიერებაშიც ფართოდ მოიკიდა ფეხი. მისი ძირითადი მიზანია, შემსწავლელებმა ცალკეული ელემენტების სისტემური კომბინაციებით დაამუშაონ მთლიანი პრობლემების გადაჭრის ფართო სპექტრი და აქედან აირჩიონ ყველაზე შესაბამისი (resp. ხელსაყრელი).

მეთოდით მუშაობის ძირითადი პრინციპია პრობლემის ცალკეულ კომპონენტებად, ე.წ. ქვეპრობლემებად დანაწევრება და თითოეული კომპონენტისთვის რაც შეიძლება მეტი ლოგიკურად შესაძლო გადაჭრის გზის პოვნა, ბოლოს კი ცალკეული გადაწყვეტილებების მრავალწიანი კომბინაციით ერთიანი (resp. მთლიანი) პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობის მიღება.

მორფოლოგიური ყუთის აგების ძირითადი პრინციპი

პრობლემის აღწერა:



მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აანალიზებს პრობლემას და მას ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქვეპრობლემებად ანაწევრებს. ეს ცალკეული ასპექტები უნდა ვარიირებდეს, რათა შესაძლებლობათა საერთო სპექტრი, რომელიც დაფარულია, ხილული გახდეს. მოძიებულ პარამეტრებს მოსწავლეები აღნუსხავენ მატრიცის მარცხენა ვერტიკალურ სვეტში. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ პარამეტრებმა თავიანთი მნიშვნელობებით ერთმანეთი არ გადაფარონ.

● ცალკეული ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტების განსაზღვრა

ჩამოყალიბდება ცალკეული ქვეპრობლემის გადაჭრის რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული გზა და შესაბამისი პარამეტრების გასწვრივ ცხრილის ჰორიზონტალურ სვეტებში ჩაიწერება.

● ახალი კომბინაციების პოვნა

ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პარამეტრები პრობლემის გადაჭრის ვარიანტებს დაუკავშირდება, შეიქმნება პრობლემის გადაჭრის საერთო სურათი, რომელიც ერთიანი პრობლემისთვის რელევანტური იქნება. ცხრილში ისრებით ერთმანეთს დაუკავშირდება ყველა შესაძლო კომბინაცია. ეს არის მეთოდის ყველაზე უფრო შემოქმედებითი ფაზა, რადგან იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეულები.

● ალტერნატიული კომბინაციების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

შერჩეული ალტერნატივები შეფასდება – გადამოწმდება შესაბამისობის, ხელსაყრელობის, ტექნიკური განხორციელებადობისა და ეკონომიურობის გათვალისწინებით.

მეთოდის უპირატესობები:

- მოსწავლეთათვის სწრაფად ასახსნელი და ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელია;
- ბადებს ბევრ ახალ იდეას;
- გამოდგება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური და საერთო საკლასო მუშაობისას;
- არ მოითხოვს ბევრ დროს;
- ცხრილის ან მატრიცის სახით მისი წარმოდგენა ხელს უწყობს აღქმადობას;
- გადაწყვეტილების შესაძლებლობები სრულყოფილად წარმოჩნდება.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს ვაჩვენოთ, რამდენად მარტივია აღნიშნული მეთოდით მუშაობა, უმჯობესია, მეთოდი ავხსნათ კონკრეტული მაგალითით:

მაგ., უნდა დავვგემოთ მოგზაურობა A პუნქტიდან B პუნქტამდე.

უპირველესად, განვსაზღვრავთ იმ ძირითად პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მოგზაურობის დროს, მერე კი ცალკეულ პარამეტრებს მივუსადაგებთ ალტერნატიულ ვარიანტებს.

სასარგებლოა, ამ დროს პასუხი გაეცეს კითხვებს: რა? როდის? ვინ? სად? რატომ? როგორ?

მორფოლოგიური ყუთი ამ კონკრეტული მაგალითისთვის შესაძლოა ასე გამოიყურებოდეს:

პარამეტრები	ვარიანტი 1	ვარიანტი 2	ვარიანტი 3	ვარიანტი 4
სატრანსპორტო საშუალება	საკუთარი მანქანა	დაქირავებული მანქანა	მატარებელი	თვითმფრინავი
ტვირთის გადატანა	ჩემოდანი	სამგზავრო ჩანთა	მუყაოს ყუთი	ზურგჩანთა
გასაჩერებელი ადგილი	სასტუმრო	პანსიონატი	კერძოდ	მეგობართან
კვება	თან წავიღებ	გზაში შევიძენ	ადგილზე შევიძენ	რესტორანში შევჭამ

შემდეგ კი განვსაზღვრავთ კომბინაციებს, რომლებსაც ერთმანეთს ცხრილში ისრებით დავუკავშირებთ.

იხ. ერთ-ერთი კომბინაციის მაგალითი:

პარამეტრები	ვარიანტი 1	ვარიანტი 2	ვარიანტი 3	ვარიანტი 4
სატრანსპორტო საშუალება	საკუთარი მანქანა	დაქირავებული მანქანა	მატარებელი	თვითმფრინავი
ტვირთის გადატანა	ჩემოდანი	სამგზავრო ჩანთა	მუყაოს ყუთი	ზურგჩანთა
გასაჩერებელი ადგილი	სასტუმრო	პანსიონატი	კერძოდ	მეგობართან
კვება	თან წავიღებ	რესტორანში შევჭამ	ადგილზე შევიძენ	გზაში შევიძენ

მაშასადამე, მორფოლოგიური ყუთი არის უნივერსალური მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ საფეხურზე და ნებისმიერ საგანში. მეთოდით მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს როგორც შემოქმედებით, ასევე ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას და მათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრაში ეხმარება.

ბაპჰეტილის გეგმა

სკოლა: ევროპული სკოლა

მასწავლებელი: მაია წენგუაშვილი

საგანი: ისტორია

კლასი: მეცხრე კლასი

თემა: „საქართველოს დაშლა სამეფო სამთავროებად“

გაკვეთილის მიზანი – მოსწავლეებმა იმსჯელონ საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის მიზეზებზე, ამ პრობლემიდან გამოსვლის გზებზე, გამოთქვან ვარაუდები და ჰიპოთეზები. იყო თუ არა შესაძლებელი იმ ვითარებაში ამის თავიდან აცილება და როგორ?

სასწავლო მასალა და რესურსები – სახელმძღვანელო, დაფა მარკერი, თაბახის ფურცლები ფლიფჩარტი, კომპიუტერი (რაათა შეიქმნას მორფოლოგიური მატრიცის ელექტრონული ვერსია).

სტრატეგია – „მორფოლოგიური მატრიცა“

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა – ერთ-ერთ ტრენინგზე გავცანი ჩემთვის აქამდე უცნობ სტრატეგიებს, მათ შორის იყო „მორფოლოგიური მატრიცა“. ეს მეთოდი ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე გამომეყენებინა IX კლასში, საგაკვეთილო თემის „საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის“ სწავლებისას.

გაკვეთილის I ეტაპი – მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გავაცნობ გაკვეთილის მიზანს, ვიწყებ წინარე ცოდნის გახსენებას – მოსწავლეები დასახელებენ იმ პრობლემებს/მიზეზებს, რამაც გამოიწვია საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. მოსწავლეთა მიერ დასახელებულ პრობლემებს ვწერ დაფაზე. შემდეგ მათ მიერ დასახელებულ პრობლემებს ვაჯგუფებთ დამოუკიდებელ ქვეპრობლემებად.

გაკვეთილის დაწყებამდე ფლიფჩარტზე ვხაზავ „მორფოლოგიურ მატრიცას“, რომელსაც ვაკრავ კედელზე. მოსწავლეებს მათ მიერ გამოყოფილი ქვეპრობლემები გადააქვთ მატრიცის მარცხენა ვერტიკალურ სვეტში.

გაკვეთილის II ეტაპი – ვსვამ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულ კითხვას: თქვენი აზრით, რა გზებით იყო შესაძლებელი პრობლემის მოგვარება? კითხვაზე პასუხის მისაღებად კლასს ვყოფ იმდენ ჯგუფად, რამდენი ქვეპრობლემაც დასახელდება. თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ მივცემ მოძებნონ ერთი ქვეპრობლემის გადაჭრის რაც შეიძლება მეტი გზა. მამასადამე, თითოეული ჯგუფი ჩამოაყალიბებს ცალკეული ქვეპრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, რომელსაც ჩაწერენ კედელზე გაკრულ ფლიფჩარტზე შესაბამისი ქვეპრობლემის გასწვრივ ცხრილის ჰორიზონტალურ სვეტში და აკეთებენ პრეზენტაციებს. ამ ეტაპზე მოსწავლეთა ნამუშევრებზე არანაირ კომენტარს არ ვაკეთებ, თუნდაც პრობლემის გადაჭრის აბსურდული გზა იყოს დასახელებული.

გაკვეთილის III ეტაპი – მთელ კლასთან ერთად ვიწყებთ მსჯელობას შემდეგი კითხვის ირგვლივ: იმისათვის, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა თავიდან აგვეცილებინა პრობლემის გადაჭრის რა გზა იქნებოდა ეფექტიანი? ან ქვეპრობლემების გადაჭრის გზების როგორი კომბინაციები იქნებოდა უფრო შედეგიანი? მოსწავლეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პარამეტრებით პრობლემის გადაჭრის ვარიანტებს უკავშირებენ ერთმანეთს და ასახულებენ, რატომ შექმნეს ასეთი კომბინაციები. შეიქმნება ერთიანი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზა. მოსწავლეები მოკლედ მსჯელობენ, პრობლემის მოგვარების შერჩეული გზებიდან რომელი კომბინაცია იქნებოდა იმ ეპოქისთვის ყველაზე ხელსაყრელი და რეალისტური.

გაკვეთილის IV ეტაპი: გაკვეთილის ბოლოს ვაჯამებ განხილულ საკითხს. მოსწავლეები მაწვდიან უკუკავშირის მეთოდის „სამიზნე ფირფიტის გამოყენებით“.

ქვეპრობლემები	I გზა	II გზა	III გზა	IV გზა
თემურ-ლენგის ლაშქრობები	შესაბამისი შეიარაღებით დახვედრა	ქართველებს შეეწყვიტათ მოკავშირეობა თოხთამიშთან	ქვეყნის აოხრების სანაცვლოდ შიშოთ თემურ-ლენგის რელიგია	საქართველოს ეთხოვა დახმარება ოსმალეთისთვის
ფეოდალთა ურჩობა	ურჩი ფეოდალების დასჯა	ფეოდალთა მიმართ კანონების გამკაცრება (ალარ უნდა ყოფილიყო დიფ. კანონში)	მიწაზე კენჭის დაწესება	ნაკლებად ხელმისაწვდომი ყოფილიყო მეფის სათათბიროში ყოფნა
მეფის უნიათობა	ალექსანდრე I მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა	გაქცეული მრჩეველების დანიშვნა	ეკლესიის გაძლიერება	მტკიცე საშიშრო პოლიტიკის გატარება
ეკონომიკის მოშლა	სოფლის მეურნეობის გაძლიერება	ნატურალური მეურნეობის შეცვლა ინტენსიური მეურნეობით	რეფორმების გატარება	„აბრეშუმის გზის მაქსიმალური გამოყენება“ (საბაჟო გადასახადების გაზრდა)
	I გზა	II გზა	III გზა	

გაკვეთილის რეფლექსია

გაკვეთილი წარიმართა გეგმის შესაბამისად. მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი საკმაოდ რთულ დავალებას – შეძლეს არსებული ცოდნის მობილიზება, გაანალიზება, კრიტიკულად შეფასება, ბევრი ახალი იდეის გამოხატვა და ამ იდეების გონივრულად დაკავშირება და ახალი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება. მეთოდი ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელი აღმოჩნდა. თუმცა, იმის ახსნას, თუ როგორ უნდა ემუშავათ მოსწავლეებს სტრატეგიაზე, უფრო მეტი დრო დავუთმე, ვიდრე გათვალისწინებული მქონდა, რადგან დამჭირდა თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი აქტივობის ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბება და განმარტება. სწორედ ამიტომ, წინასწარ განსაზღვრული დროის დაცვა ვერ მოხერხდა.

„მორფოლოგიური მატრიცა“ მეტად სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის, უკლებლივ ყველა მოსწავლე აქტიურად იქნა ჩართული გაკვეთილში, ისინი არ შეუშინდნენ სირთულეებსა და გადაწყვეტილების მიღებას. მე ძირითადად ფასილიტატორის ფუნქციას ვასრულებდი და მხოლოდ რეკომენდაციებით შემოვიფარგლებოდი. მაგ. როდესაც პირველმა ჯგუფმა წარმოადგინა თავიანთი ნამუშევარი, ერთ-ერთ ვერსიაში ეწერათ ასეთი ფრაზა, „ქართველებს უნდა გადაეცათ თოხთამიში თემურ ლენგისთვის“, აქ მე ჩავთვალე, რომ მიმეცა ასეთი რეკომენდაცია, თოხთამიში ტყვედ რომ ჰყოლოდათ ქართველებს, შეიძლება ეს ვერსია მისაღები ყოფილიყო, მაგრამ ლაშქართან ერთად დარუბანდს მდგომი თოხთამიშის შეპყრობაზე და თემურ ლენგისთვის გადაცემაზე ქართველებს ხელი არ მიუწვდებოდათ. შევთანხმდით, რომ ეს ფრაზა შემდეგნაირად შეცვლილიყო: „ქართველებს შეეწყვიტათ მოკავშირეობა თოხთამიშთან“.

მიმაჩნია, რომ „მორფოლოგიური მატრიცა“ არის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ეფექტიანი სტრატეგია, რომლის გამოყენება მოსწავლეებს უმაღლეს სწავლის მოტივაციას და გვიადვილებს შედეგზე გასვლას. მოსწავლეები განსაკუთრებით გააქტიურდნენ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა კომბინაციის შექმნის ფაზაზე, როდესაც ისინი საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეპრობლემების გადაჭრის გზების კომბინაციების შექმნაზე. კამათობდნენ, არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ, რატომ მიიჩნიეს ესა თუ ის კომბინაცია უფრო ეფექტიანად ვიდრე სხვა, უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ ერთმანეთის პოზიციებს და ა.შ.

„მორფოლოგიურ მატრიცას“ კვლავაც გამოვიყენებ ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში, მაგრამ ამჯერად მოვსინჯავ ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით: ჯგუფებში სამუშაოს შემდეგნაირად გადავანაწილებ – თითოეულ ჯგუფს მხოლოდ ერთი ქვეპრობლემის მოგვარების რამოდენიმე ვერსიის მოძებნის ნაცვლად, ვთხოვ, იმუშაონ ყველა დასახელებული ქვეპრობლემის მოგვარების გზებზე და შემდეგ შეარჩიონ ქვეპრობლემების გადაჭრის გზების ერთი კომბინაცია, რომელიც, ჯგუფის აზრით, ყველაზე უფრო შედეგიანი იქნებოდა იმ ეპოქისთვის პრობლემის მოსაგვარებლად.

თითოეული ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას, არგუმენტირებულად დაასაბუთებს საკუთარ არჩევანს. ყველა ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ კლასი გამართავს დისკუსიას – ჯგუფების ნამუშევარზე დაყრდნობით, ხომ არ არის შესაძლებელი ახალი კომბინაციის შექმნა და პრობლემის მოგვარების კიდევ ერთი ახალი, ეფექტიანი გზის იდენტიფიცირება. თუმცა, ამ სახით „მორფოლოგიური მატრიცის“ გამოყენება მოითხოვს უფრო მეტ დროს და სავარაუდოდ, შეწყვილებული გაკვეთილის ჩატარება იქნება საჭირო.

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები – მომავლის სახელოსნო

სოფიკო ლობჯანიძე

რამდენიმე წლის წინ შვეიცარიის ერთ-ერთ სოფლის სკოლაში დავესწარი გაკვეთილს, რომელსაც მასწავლებელი ჩემთვის უცნობი მეთოდით ატარებდა. გაკვეთილი იმდენად საინტერესოდ და ცოცხლად მიმდინარეობდა და ისეთი დიდი იყო მოსწავლეთა ჩართულობა, გადავწყვიტე, გავცნობოდი მეთოდს, რომელსაც მომავლის სახელოსნოს უწოდებენ.

მეთოდის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება

მომავლის სახელოსნოს პრაქტიკაში დანერგვა და განვითარება პირველად ამერიკელმა პუბლიცისტმა და მომავლის მკვლევარმა რობერტ იუნგმა სცადა 1960-იან წლებში. მისი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროში, ამის მიღწევა კი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით და დემოკრატიის განვითარებით სურდა. ამის საშუალებას იძლეოდა მეთოდი მომავლის სახელოსნო, რადგან აქ ყველა აქტორი თანაბრად მონაწილეობს პრობლემის გადაჭრაში და შეაქვს წვლილი შედეგის მიღწევაში. აქ არ არის იერარქია და შეზღუდვები, ვისაც რა დავალების შესრულება შეუძლია, იმას ასრულებს. მომავლის სახელოსნოში ყველა, მასწავლებელი თუ მოსწავლე, თანასწორია.

იუნგკი დაეყრდნო ოსბორნის მიერ შექმნილი მეთოდის, გონებრივი იერიშის, ძირითად პრინციპს. როგორც ოსბორნი გამოყოფდა გონებრივ იერიშში იდეების გენერირებისა (შემოქმედებითი აზროვნება) და ფოკუსირების (კრიტიკული აზროვნება) ფაზებს, ასევე იუნგმაც მომავლის სახელოსნო კრიტიკის, ფანტაზიისა და ფოკუსირების ფაზებად დაყო.

ამ მეთოდით მუშაობის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული თითოეული მოსწავლის პოტენციალი, შემოქმედებითად გადაჭრას პრობლემა. მეთოდის აგებულება მათ საშუალებას აძლევს, გამოავლინონ ახალ-ახალი, განსხვავებული დამოკიდებულებები პრობლემის გადაჭრისადმი. იუნგ-

კის მიხედვით, ადამიანის აზროვნება ხშირად შებოჭილია, თითქოს „პირად და დროის სატუსალოშია გამომწყვდეული“, სადაც იგი თავისი დროის გაბატონებულ იდეებს ერთადერთ სწორ იდეებად მიიჩნევს. ამ შიშისა და შებოჭილი აზროვნებისგან გათავისუფლების გზას იუნგკი თავის მიერ შემუშავებულ მეთოდში ხედავს, რაც კრიტიკის, ფანტაზიისა და განხორციელების ფაზების თანმიმდევრული გამოყენებით მიიღწევა.

მეთოდის მიმდინარეობა

მომავლის სახელოსნო თანამშრომლობითი სწავლების მეთოდია. მოსწავლეები, რომელთაც საერთო პრობლემის გადაჭრა სურთ, ქმნიან ჯგუფებს, აზუსტებენ პრობლემას და ერთობლივად იწყებენ მისი გადაჭრის გზების ძიებას.

მეთოდში გამოყოფენ შემდეგ ძირითად ფაზებს:

- **მოსამზადებელი ფაზა** – ამ ფაზაში მოდერატორი (რომელიც შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ისე რომელიმე მოსწავლე) კიდევ ერთხელ განუმარტავს ჯგუფს შეკრების მიზანს (კერძოდ, რა პრობლემის გადაჭრა დაისახეს), გააცნობს/შეახსენებს მეთოდის მიმდინარეობას და „თამაშის წესებს“. შემდეგ ჯგუფის წევრები მოკლედ გამოთქვამენ თავიანთ სურვილებსა და მოლოდინებს. თუ საამისო დრო აღმოგვანდა, ურიგო არ იქნება დასაწყისში მოსწავლეებისთვის რაიმე მოკლე განტვირთვის სავარჯიშოს შეთავაზება.
- **კრიტიკის ფაზა** – ამ ფაზის დასაწყისში სასურველია, მოდერატორმა გაამხნევოს მოსწავლეები, დააძლევინოს დაძაბულობა, შიში, რათა მათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, წარმოდგენა საკითხის/პრობლემის თაობაზე. მნიშვნელოვანია, ჯგუფის ყველა წევრმა გამოხატოს თავისი გულისნადები და კრიტიკა განსახილველი საკითხის ირგვლივ ზუსტად და კონკრეტულად ჩამოაყალიბოს. კრიტიკული საკითხების შეკრების შემდეგ მათ აერთიანებენ პრობლემის სფეროებად, რომლებიც ჩამოიწერება ფლიფჩარტზე. აქედან მოსწავლეები ირჩევენ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას/პრობლემებს, რომლებიც ფანტაზიის ფაზაში დამუშავდება.
- **ფანტაზიის ფაზა** – ამ ფაზას აქვს აუცილებელი „თამაშის წესი“: ყოველგვარი სურვილი, ოცნება, უტოპია ნებადართულია. „ყოველ ადამიანში ჩა-

დებულია ბევრად მეტი, ვიდრე მან იცის“, – ასე აღწერს იუნგკი ამ ფაზისა და, საზოგადოდ, მომავლის სახელოსნოს მიზანს. ამ ფაზაში პირველი ნაბიჯი უნდა იყოს კრიტიკული პუნქტების პოზიტიურად გადაფორმულირება. მაგ., წინადადება „ჩვენს კლასში არსებული პრობლემების შესახებ მთელ კლასთან საუბარი შეუძლებელია; მხოლოდ ორ ადამიანთან შეიძლება განიხილო საერთო პრობლემა. მიმაჩნია, რომ ასე ვერაფერს შევცვლით“. ამ წინადადებას შეიძლება შემდეგი პოზიტიური ფორმულირება მივცეთ: „ვისურვებდი, კლასში არსებულ გაუგებრობებსა და კონფლიქტებზე ყველას ერთად გვესაუბრა და საერთო ძალით შეგვძლებოდა გადაწყვეტილების მიღება“.

მეორე ნაბიჯზე გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებმა პრობლემის მოგვარების მრავალფეროვანი, ფანტაზიით სავსე გზები უნდა დასახონ. ამ ფაზაში მათ ნაკლებად უნდა იფიქრონ იმაზე, რამდენად განხორციელებადი და რეალურია მათი იდეები. მოდერატორი შეკრებს ყველა იდეას – როგორც განხორციელებადს, ასევე უტოპიურსაც; მომდევნო ნაბიჯზე ჯგუფი ამ იდეებს დააჯგუფებს და თითოეულ მათგანს გადაამუშავებს, უფრო მეტად დააკონკრეტებს. თუ მეთოდის განსახორციელებლად დრო შემოუღწეოდა გვაქვს ან პრობლემის გადაჭრის ბევრი ალტერნატიული იდეაა შემოთავაზებული, იდეების გადამუშავებამდე ჯგუფი მსჯელობს, რომელ მათგანს აქვს შემდგომი განვითარების შანსი და მათზე ამახვილებს ყურადღებას.

- **განხორციელების ანუ რეალიზების ფაზა** – ამ ეტაპზე ხდება წინა ფაზაში შეჯერებული მონახაზების რეალობასთან შეწყობა, მისადაგება. რა უშლის ხელს იდეების განხორციელებას? რა უნდა შეიცვალოს ჩვენს ესკიზებში, რომ მათი განხორციელება შესაძლებელი გახდეს? ისევე როგორც წინა ფაზაში, ამ დროსაც საჭიროა კრეატიულობა და ფანტაზია, რათა უკეთესი შედეგისთვის შეძლებისდაგვარად წარმატების მომტანი და, ამასთანავე, ახლებური გზები ვიპოვოთ. რეალობასთან თავსებადობის მისაღწევად იდეები უნდა დააკონკრეტდეს. ამისთვის კითხვათა მთელ წყებას უნდა გავცეს პასუხი. მაგ.: რა ღონისძიებებია გასატარებელი, ჩვენი იდეა რეალობად რომ იქცეს? სახელდობრ, რა ხარვეზი აქვს ამ პრობლემის გადაჭრის ჩვენს გზას? შესაძლებელია თუ არა ამ ხარვეზის აღმოფხვრა და როგორ? იქნებ არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული და უფრო რეალური ხერხი? რამდენი დრო გვაქვს ცალკეული ნაბიჯებისთვის? – და სხვ.

განხორციელების ფაზას უნდა მოსდევდეს განხორციელების შემდგომი ფაზა, რომელსაც სხვაგვარად პერმანენტულ თუ შორს მიმავალ სახელოსნოს უწოდებენ. განხორციელების ფაზა არის თეორიული დასასრული მომავლის სახელოსნოსი. ამ ფაზაში შემუშავებული გადაწყვეტილებების პრაქტიკაში განხორციელებით ხდება მეთოდი სრულყოფილი და მიიღწევა შედეგი.

მკითხველისთვის მეთოდის არსი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოკლედ აღვწერთ შვეიცარიაში მოსმენილი გაკვეთილის მიმდინარეობას:

მეექვსეკლასელები სასწავლო წლის დასასრულს კლასის დამრიგებელს ემშვიდობებიან. მეშვიდე კლასიდან მათ ახალი დამრიგებელი ეყოლებათ. ყოფილი დამრიგებლის ინიციატივით, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ერთად დაფიქრებულიყვნენ გასულ სასწავლო წელზე, გაეანალიზებინათ იგი, ჩამოეყალიბებინათ სურვილები ახალი სასწავლო წლისთვის საკლასო გარემოს გაუმჯობესების თაობაზე და გაეზიარებინათ ახალი დამრიგებლისთვის.

დამრიგებელმა მოდერატორის ფუნქცია იკისრა, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრების მიზანი, აუხსნა მეთოდის მიმდინარეობა; შემდეგ მან გამოიყენა აქტივობა მოგზაურობა ფანტაზიაში – მოსწავლეები ფიქრებით უბრუნდებიან გასულ წელს და იხსენებენ ყველაფერს: როგორც სასიამოვნოს, ასევე ნაკლებსასიამოვნოს და უსიამოვნოს, – მერე კი ისეთად წარმოისახვენ ახალ სასწავლო წელს, რომ იგი მხოლოდ სასიამოვნო მოგონებად დარჩეს მათ მეხსიერებაში. მოსწავლეებმა განცდილი გადმოსცეს ჩანახატების სახით და გააცნეს გვერდით მსხდომებს. ეს აქტივობა მასწავლებელმა გამოიყენა მოსწავლეთა რელაქსაციისთვის, რათა მათ მოხსნოდათ დაძაბულობა და მომდევნო ფაზაში პრობლემებზე მსჯელობა გაადვილებოდათ.

კრიტიკის ფაზა მასწავლებელმა ბარათებზე მუშაობის მეთოდით დაიწყო. მან აუხსნა მოსწავლეებს ბარათებზე მუშაობის წესი – თითო ბარათზე აღეწუსათ თითო იდეა. მოსწავლეებმა ბარათებზე დაწერეს, რა არ მოსწონდათ ყველაზე მეტად გასულ სასწავლო წელს და რის განმეორებას არ ისურვებდნენ ახალ სასწავლო წელს. მერე თავიანთი ნააზრევი კედელზე გააკრეს. მასწავლებელმა მოსწავლეების დახმარებით ეს ბარათები კრიტიკულ პუნქტებად დააჯგუფა, მერე კი მოსწავლეებს დაურიგა სტიკერები და სთხოვა, მიეწებებინათ იმ კრიტიკულ პუნქტთან, რომელიც ყველაზე პრობლემურად და დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად მიაჩნდათ. მოსწავლეებმა მოახდინეს პრობლემების რანჟირება, ასე გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები:

- ადრე ადგომა;

- კლასში ბიჭებისა და გოგონების დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება;
- მოსწავლეთა სურვილებისა და შეხედულებების უგულვებელყოფა მასწავლებელთა მხრივ;
- უკმაყოფილება კვირის გეგმით მუშაობით.

შემდეგ კლასი გადავიდა ფანტაზიის ფაზაში და გონებრივი იერიშით დაიწყო ოთხივე პრობლემის მოგვარების გზების დასახელება. უამრავი იდეა გამოითქვა, მათ შორის – ბევრი უტოპიური, ზღაპრული და განუხორციელებელი. მაგალითად:

- კარგი იქნებოდა ჯადოსნური საწოლი, რომელიც თვითონ მიგვიყვანდა სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში – გზაში გამოვიძინებდით;
- გოგონებთან ერთად ხშირად გაგვეტარებინა შაბათ-კვირა;
- სკოლაში გადაწყვეტილებები მოსწავლეებს მიეღოთ და არა მასწავლებლებს – ჩვენ უფრო ვიცით, რა გვჭირდება და გვანტერესებს;
- სკოლა მასწავლებლის გარეშე. აჯობებდა, ჩვენ თვითონ გვესწავლებინა ერთმანეთისთვის და სხვ.

განხორციელების ფაზაში მოსწავლეებმა და მასწავლებელმა დაიწყეს მსჯელობა, რომელი იდეაა რეალური, განხორციელებადი; შესაძლებელი თუა, იდეაში, რომელიც განუხორციელებელი გვეჩვენება, შევიტანოთ ისეთი კორექტივები, რომლებიც მას განხორციელებადს გახდის. შემდეგ მათ ცალკე გამოყვეს განხორციელებადი იდეები, უფრო დააკონკრეტეს და დაამუშავეს ისინი და ფორმატზე დაიტანეს.

მაგალითად, მომავლის სახელოსნოს აქტორებს/მონაწილეებს სურთ:

- ყველა ძირითადი პრობლემა გულახდილად განიხილონ ახალ დამრიგებელთან ერთად;
- წინადადება მისცენ დირექციას, სკოლა კვირაში ორჯერ 8 სთ და 30 წთ-ის მაგივრად 9 საათსა და 00 წთ-ზე დაიწყოს;
- ჩამოაყალიბონ სასკოლო კლუბი, სადაც ხშირად შეიკრიბება მთელი კლასი და საერთო ინტერესებზე ისაუბრებს;
- ხშირად მოაწყონ ექსკურსიები;
- მასწავლებლების წინაშე დასვან საკითხი, სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში ისინიც ჩართონ;

- კვირის გეგმა მასწავლებელმა მათთან ერთად შეადგინოს და სხვ.

სამწუხაროდ, რა იღონეს მოსწავლეებმა თეორიულად შემუშავებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განსახორციელებლად, თვალი ვეღარ მივაღვენე, მაგრამ ერთი რამ აშკარაა – მეთოდი:

- ასწავლის თანამონაწილეობასა და თანასწორუფლებიანობას;
- ეხმარება მოსწავლეებს მოვლენების სწორად შეფასებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში;
- უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მოსწავლეებზე დელეგირებას, ისინი თავს მასწავლებლების პარტნიორებად და სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად გრძნობენ.

მეთოდის წარმატებით განხორციელებისთვის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

- მოდერაციის, ჯგუფთან ურთიერთობის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების, უკუკავშირის მიღებისა და გაცემის გამოცდილება;
- ღია ურთიერთობა მოსწავლეებთან, პატივისცემით მოპყრობის უნარი;
- პროცესის შემოქმედებითად წარმართვის უნარი; უნდა ფლობდეს ისეთ შემოქმედებით ტექნიკებს, რომლებიც აღვიძებს ფანტაზიას.

იდეების სახელოსნო

იდეების სახელოსნო გაგებულა, როგორც მომავალის სახელოსნოს მოდიფიკაცია. სამუშაოს ცენტრში დგას პრობლემების გადაჭრის განვითარება ფანტაზიის გამოყენებით და საკუთარი შედეგების განხორციელება. ამ სტრატეგიის გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შეძლონ იდეებისა და პრობლემების გადაჭრის პოტენციალის მოპოვება და განვითარება.

მიზნები:

- გააცნობიერონ ის ფაქტორები, რომლებიც გვეხმარება იდეების დაბადებაში;
- გააცნობიერონ, რომ ახალი იდეების დაბადებას და განვითარებას ხელს უწყობს აქტიური ძიება;
- შეძლონ დამოუკიდებლად საკუთარი იდეის განვითარება.

როგორ?

მოსწავლეები აკეთებენ პრობლემის, საკითხის კრიტიკულ აღწერას / ანალიზს.

მაგ. წარმოვიდგინოთ, რომ მოდის შემქმნელები ვართ და ახალი კოლექციისთვის ვეძებთ ახალ და ორიგინალურ იდეებს. შესაძლო თემა: „ტანსაცმელი, როგორც მეორე კანი“.

ხანგრძლივობა: 30-50 წთ.

იდეების გენერირების ფაზა: სურვილების, იმედების, უტოპიების საფუძველზე პოზიტიური გადაწყვეტილებების განვითარება.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს სამ კითხვას:

- ა) როგორ იმოსებიან ჩიტები?
- ბ) როგორ იმოსებიან მცენარეები?
- გ) როგორ იმოსებიან ადამიანები სხვა კულტურებში?

იდეების გენერირებით ფლიფჩარტზე ჩამოიწერება სავარაუდო პასუხები:

- ა) ბუმბულით, ბეწვით, ტყავით, ნისკარტით, ბიბილოთი და სხვ.,
- ბ) ფოთლებით, ეკლებით, ქერქით, ფესვებით, ყვავილებით, ყლორტებით, ფერად-ფერადით და სხვ..
- გ) ქურქით, აბჯრით, პარიკით, ლელვის ფოთლებით, გრძელი მდიდრული კაბებით, სმოკინგით, ტყავით და სხვ.

ცალკეული ჯგუფები ამ ცნებების მათეული კომბინირებით შექმნიან ტანსაცმლის ახალ სტილს.

უნდა განვითარდეს კონკრეტული უტოპიები, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოთავაზებები უნდა იყოს გამოსადეგი და აზრიანი, მაგრამ მიზანშეწონილობა, განხორციელებადობა და ფინანსური ხელმისაწვდომობა ამ ეტაპზე არ არის გათვალისწინებული.

მოსწავლეებს იდეები გადააქვთ ბარათებზე, მასწავლებელი აგროვებს ბარათებს და აკრავს დაფაზე.

ჯგუფები გაეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს. მხოლოდ მას შემდეგ

მცირე ჯგუფები განიხილავენ თვალსაზრისებს ტექნიკური განხორციელება-
დობის და მიზანშეწონილობის კუთხით.

რეფლექსიის ფაზა:

გადაწყვეტილებების გაანალიზება

- მცირე ჯგუფები წარადგენენ კლასის წინაშე მოდის საკუთარ კონცეფციებს. შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც შეითავსებს დამკვეთის, მომხმარებლის როლს. მათი ფუნქციაა წარმოდგენილი კონცეფციები კრიტიკულად შეაფასოს.

ბაკვეთილის გეგმა

სკოლა: კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ნინო დათუკიშვილი

კლასი: კლას-კომპლექტი (მეორე და მესამე კლასი)

საგანი: ბუნებისმეტყველება

შესასწავლი თემა: მეორე კლასი – ნაგავი ჩვენს ირგვლივ

მესამე კლასი – ნარჩენები ჩვენს გარემოში

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ:

- დაბინძურებული გარემოს შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებზე მოსაზრებების გამოთქმა;
- მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ გარემოს დაბინძურება.
- მოსწავლეებმა გააცნობიერონ გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხე და გამოუმუშავდეთ მზრუნველი დამოკიდებულება გარემოსადმი.

სასწავლო მასალა და რესურსები – დიდი ფორმატის ფურცლები, ხის კონტური, თაბახის ფურცლები, ვიდეორგოლი „ფარული კამერა, ექსპერიმენტი თბილისის ქუჩებში“ (რეჟისორი სერგეი სტრახოვი), ფოტოები.

სტრატეგიები:

1. მომავლის სახელოსნო;
2. გონებრივი იერიში;
3. კოგნიტური სქემები.

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა:

გაკვეთილს ვიწყებთ **მოსამზადებელი ფაზით**. ამ ფაზაში მოსწავლეებს განვუმარტავთ გაკვეთილის მიზანს, გავაცნობთ მეთოდის მიმდინარეობას და იმ წესებს, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეთოდით მუშაობისას. მოსამზადებელ ფაზაში მოსწავლეებს ვთავაზობთ აქტივობას „მოგზაურობა წარსულში“ – მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ შემთხვევა, თუ დაუნაგვიანებიათ გარემო და რატომ მოქცეულან ამგვარად. ასევე ვაჩვენებთ ნაწყვეტს სერგეი სტრახოვის ვიდეორგოლიდან „ფარული კამერა, ექსპერიმენტი თბილისის ქუჩებში“. ვიდეორგოლში რამდენიმე ადამიანი საჯაროდ ყრის ნაგავს, რაზეც ხალხს არა აქვს რეაგირება. მოსწავლეებს ვუსვამთ კითხვას: ოდესმე თუ აღმოჩენილან მსგავს სიტუაციაში და როგორ მოქცეულან. მსჯელობის შემდეგ მოსწავლეებს ასევე ვაჩვენებთ ორ ფოტოს – ერთ სურათში მოჩანს სუფთა გარემო, მეორეში დანაგვიანებული. მოსწავლეები მსჯელობენ, ამ ორი გარემოდან რომელ ადგილზე ისურვებდნენ თამაშს და რატომ?

კრიტიკის ფაზას ვიწყებთ აქტივობით „მოწყენილი ხე“. კედელზე ვაკრავთ დიდი ფორმატის ფურცელზე გამზადებულ ხის კონტურს. მოსწავლეებს ვურიგებთ ფოთლების ფორმის ბარათებს. მათ უნდა მოიფიქრონ და დაწერონ ის საფრთხეები, რაც გარემოს დანაგვიანებას მოჰყვება. თითო ფოთოლზე დაიწერება თითო საფრთხე. მოსწავლეები ფოთლებს აკრავენ ხეზე.

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით ფოთლები ჯგუფდება კრიტიკულ პუნქტებად. შემდეგ კი მოსწავლეები ხის კენწეროში ჩამოკიდებენ იმ საშიშროებებს, რომლებიც ყველაზე მეტად გვიქმნის საფრთხეს და რომელიც სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

კრიტიკის ფაზაში გამოვიყენებთ დიფერენცირებულ სწავლებას.

ამ ეტაპზე მესამე კლასის მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას: მოახდინონ დასახელებული საფრთხეების რანჟირება.

შესაძლებელია კლასმა გამოკვეთოს შემდეგი საშიშროებები:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენებით წყლისა და ჰაერის დაბინძურება;
- დანაგვიანებული გარემო დაავადების გავრცელების წყაროა;
- სანაგვე ურნების არასაკმარისი რაოდენობა;
- მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმაციულობა გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ.

მეორე კლასს კი ვთავაზობთ დამატებით აქტივობას: ვაჩვენებთ ოთხ სხვადასხვა სურათს. კერძოდ, როგორ იქეცება ცხოველი ნაგავში; ქალაქში უადგილოდ დაყრილ ნაგავში ბავშვი თამაშობს; ჰაერის დაბინძურება და საყო-

ფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული წყალი. ვიმსჯელებთ, ვის და რას ელის საფრთხე ასეთ გარემოში. რა საშიშროებების წინაშე დგანან ისინი.

შემდეგ გადავდივართ **ფანტაზიის ფაზაში** და გონებრივი იერიშით ვიწყებთ ზემოთ აღნიშნული საშიშროებების აღმოფხვრის გზების ძიებას. ამ ეტაპზე აუცილებელია გამოითქვას რაც შეიძლება ბევრი იდეა. შესაძლებელია იყოს უტოპურიც. ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ იდეების რაოდენობას.

მაგალითად, შეიძლება გამოითქვას შემდეგი იდეები, მათ შორის უტოპიურიც:

- ნეტავ, ჯადოსნური ცოცხი გვექონდეს, რომელიც თავისით დაგვიდა ეზოს;
- ნეტავ მოსიარულე ნაგვის ურნა გვექონდეს, თვითონ მოაგროვებდა ნაგავს;
- მონაწილეობის მიღება გარემოს დაცვის აქციებში და სხვ.

განხორციელების ფაზაში მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას, პრობლემის მოგვარების რომელი იდეაა რეალური და განხორციელებადი. შესაძლებლობის შემთხვევაში შევითანთ ცვლილებებს საშიშროებათა აღმოფხვრის იმ გზებში, რომლებიც განხორციელებადს გახდინა მათ. კიდევ უფრო დაკონკრეტდება იდეები და ცალკე ფორმატზე დაფიქსირდება.

შესაძლებელია, გამოიკვეთოს პრობლემის მოგვარების შემდეგი გზები:

- მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საინფორმაციო ბუკლეტების შექმნა და გავრცელება;
- ჩამოყალიბდეს სასკოლო კლუბი „გარემოს დამცველები“, სადაც ხშირად შეიკრიბება მთელი კლასი და იმსჯელებს ეკოლოგიურ პრობლემებზე;
- სხვა კლასის მოსწავლეებთან ერთად ხშირად დასუფთავდეს სკოლის ტერიტორია;
- აქციის მოწყობა „ჩემი მწვანე მომავალი“, რის ფარგლებშიც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგვება ნერგები.

ბოლოს, მოსწავლეთა ჩართულობით, ვაჯამებ გაკვეთილს. ამ ეტაპზე აუცილებელია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ პრობლემის მოგვარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გზების დასახვა და აუცილებელია, თავად მოსწავლეებმა იფიქრონ აქტიურ ქმედებაზე და იმ აქტივობების განხორციელებაზე, რომლებიც თავად გამოკვეთეს პრობლემის მოსაგვარებლად.

რეფლექსია

II–III კლასკომპლექტში ჩავატარე გაკვეთილი „მომავლის სახელოსნოს“ მეთოდით. გაკვეთილის თემა შინაარსობრივად მსგავსი იყო ორივე კლასისთვის. კერძოდ, მეორე კლასთან – „ნაგავი ჩვენს ირგვლივ“, მესამესთან კი – „ნარჩენები ჩვენს გარემოში“.

მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილი დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი საფეხურების დაცვით: მოსამზადებელი ფაზა, კრიტიკის ფაზა, ფანტაზიის ფაზა და რეალიზების ფაზა. გაკვეთილი წარიმართა დაგეგმილის შესაბამისად და არ წარმოშობილა გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა. უნდა აღვნიშნო, რომ კლასკომპლექტის თავისებურებიდან გამომდინარე, მეორე კლასს საკითხის უკეთ გასაზრებლად შევთავაზე დამატებითი აქტივობა: მოცემულ ფოტოებზე დაყრდნობით მოსწავლეს უნდა ემსჯელა ვის და რას ელის საფრთხე ფოტოებზე გამოსახულ გარემოში, რა საშიშროების წინაშე დგანან ისინი. აღსანიშნავია, რომ აქტივობას მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი.

გაკვეთილზე გამოიკვეთა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა, რაც გაკვეთილის ძლიერი მხარეა. მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა კი განაპირობა საინტერესო აქტივობებმა: ფილმის განხილვამ და მსჯელობამ, კრიტიკის ფაზაში განხორციელებულმა აქტივობამ „მოწყენილი ხე“, დამატებითმა ფოტომასალამ. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ აღნიშნულ აქტივობებში. ასევე, გაკვეთილზე ჩართულობა გამოიწვია კლასში შექმნილმა თანამშრომლობითმა გარემომ, კერძოდ, მუშაობა პრინციპით: „ყველა ამრი მისაღება“.

იგივე გეგმით შემდგომში გაკვეთილის ჩატარებისას, ვფიქრობ, არ შეეცვლილი გეგმას. მხოლოდ დავამატებდი კიდევ ერთ საინტერესო აქტივობას – „უკაცრიელი კუნძული“. ბავშვებს ვთხოვდი წარმოედგინათ, რომ მოხვდნენ კუნძულზე, რომელსაც ნავის მანქანა არ ემსახურება. ამიტომ ადამიანები ნაგავს პირდაპირ გარეთ ყრიან. მოსწავლეები იმსჯელებენ შემდეგ კითხვებზე:

- როგორი გარემოა ამ კუნძულზე?
- როგორ გრძნობთ თავს ამ გარემოში?
- სად მიგაქვთ თქვენს სახლში დაგროვილი ნაგავი?
- რას მოიმოქმედებდით, თუ გაიგებთ, რომ დანაგვიანების გამო დაავადებების გავრცელებაა მოსალოდნელი, თქვენ კი კუნძულის დატოვება არ შეგიძლიათ?

აღნიშნულ აქტივობას განვახორციელებ მოსამზადებელ ფაზაში მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით.

ვთვლი, რომ დასახულ მიზანს მივაწვლიე, რადგან მოსწავლეებმა იმსჯელეს და გააცნობიერეს გარემოს დანაგვიანებით გამოწვეული საფრთხეები, შემოგვთავაზეს პრობლემის პრევენციისა და მოგვარების ისეთი გზები, რომლის განხორციელება მათი ძალებით იქნებოდა შესაძლებელი და, რაც მთავარია, მოსწავლეების ინიციატივით დავგეგმეთ და დავიწყეთ ამ აქტივობების განხორციელება.

ბაკვეთილის გეგმა

სკოლა: სსიპ – ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ნინო მუმლაძე

კლასი: VII

მოსწავლეთა პროფილი: 26 მოსწავლე

თემა: გარემო ჩვენი სახლია

მიზანი: პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარის განვითარების, შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, ეკოლოგიური წიგნიერების კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა.

მოსწავლე შეძლებს იმსჯელოს დედამიწაზე არსებულ ეკოლოგიურ საფრთხეებზე, ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ მიზეზებსა და მათი გადაჭრის ინოვაციურ გზებზე.

სწავლების მეთოდები: იდეების სახელოსნო, აზრების წრე.

კლასის ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო და ჯგუფური.

რესურსები: ფლიფჩარტები, მარკერები, პროექტორი, ხმის გამაძლიერებლები, <https://www.youtube.com/watch?v=oaNHvv4R6q8>

გაკვეთილის აღწერა: (გაკვეთილის ხანგრძლივობა – 90 წთ.)

გამოწვევის ფაზა (15 წთ) – იმისათვის, რომ გავზარდოთ მოტივაცია განსახილველი საკითხისადმი, მოსწავლეებს ვაჩვენებ ვიდეო-რგოლს, „გარემო შენი სახლია“, რომელშიც ასახულია, როგორ ვაბინძურებთ ჩვენს გარემომცველ სამყაროს. მოსწავლეები მსჯელობენ პრობლემებზე, საფრთხეებზე. მსჯელობით მივდივართ გაკვეთილის მთავარ თემამდე და ვაყალიბებთ გაკვეთილის მიზანს.

საკითხის სიღრმისეული წვდომა: იდეების გენერირების ფაზა (40 წთ) – გაკვეთილის ამ ეტაპზე სურვილების, იმედების, უტოპიების საფუძველზე მოსწავლეები ახდენენ პოზიტიური გადაწყვეტილებების განვითარებას.

- კლასს შემთხვევითობის პრინციპით ვყოფ ოთხ ჯგუფად:

მოსწავლეებს ვაძლევ დავალებას – დროის მინიმალურ მონაკვეთში შეიმუშაონ მათ მიერ დანაგვიანებული საკლასო ოთახის, სამზარეულოს და მისაღები ოთახის დასუფთავების რაც შეიძლება ორიგინალური/ ინოვაციური გზები/საშუალებები. მეოთხე ჯგუფმა უნდა გააანალიზოს და შეაფასოს თითოეული ჯგუფის ნამუშევარი.

I ჯგუფი – საკლასო ოთახი

- ა. რა ნივთები გვჭირდება დანაგვიანებული საკლასო ოთახის დასასუფთავებლად?
- ბ. რითი/რა გზებით შეიძლება დავასუფთავოთ დანაგვიანებული საკლასო ოთახი?

II ჯგუფი – მისაღები ოთახი

- ა. რა ნივთები გვჭირდება მისაღები ოთახის დასასუფთავებლად?
- ბ. რითი/რა გზებით შეიძლება დავასუფთავოთ მისაღები ოთახი?

III ჯგუფი – სამზარეულო

- ა. რა ნივთები გვჭირდება დანაგვიანებული სამზარეულოს დასასუფთავებლად?
- ბ. რითი/რა გზებით შეიძლება დავასუფთავოთ დანაგვიანებული სამზარეულო?

IV ჯგუფი – შემფასებლები, რომლებიც შეიმუშავენ იმ კრიტერიუმებს, რომელზე დაყრდნობითაც კრიტიკულად შეფასდება თითოეული ჯგუფის ნამუშევარი. (ამ ჯგუფს ვუხსნი მეთოდის მიმდინარეობასა და მისი გამოყენების მიზანს, რაც მათ დაეხმარება კრიტერიუმების შემუშავებაში).

- მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ ნამუშევრების პრეზენტაციებს, რის შემდეგაც ვთხოვ, წინა აქტივობის დროს მათ მიერ დასახელებული იდეები მოარგონ გაკვეთილის თემას და შეიმუშაონ გარემოს დასუფთავების ახალი მიდგომები. ინსტრუქციის მიცემისას განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ, რომ ჯგუფებმა ამ ეტაპზე არ იფიქრონ, რამდენად განხორციელებადი, მიზანშეწონილი და ფინანსურად ხელმისაწვდომი

მი იქნება მათ მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი კონცეფცია. მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფებს თავიანთი იდეები გადააქვთ ფლიფჩარტზე და აკრავენ თვალსაჩინო ადგილას. ჯგუფები და მასწავლებელი მეთოდით „გასეირნება გალერეაში“ ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს და ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებით ჯგუფებს კორექტირება შეაქვთ მათ მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით კონცეფციებში და აკეთებენ პრეზენტაციებს.

რეფლექსიის ფაზა: (15 წთ) – გადაწყვეტილებების გაანალიზება და შეფასება.

შემფასებელი ჯგუფი წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით კრიტიკულად აფასებს ჯგუფების მიერ წარმოდგენილ კონცეფციებს.

შეჯამება (20 წთ) – შეჯამების ეტაპზე გამოვიყენებ უკუკავშირის მეთოდს – ბლიც უკუკავშირი წრეზე (იხ. საკითხავი მასალა უკუკავშირის მეთოდები). მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე გასცემს უკუკავშირს, შევაჯამებ, შევაფასებ გაკვეთილს და გავცემ განმავითარებელ კომენტარებს.

ბაკვეთილის რეფლექსია

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მოსწავლეებში ეკოლოგიური წიგნიერების განვითარება. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო; (ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004).

ჩემთვის მნიშვნელოვანია ვუბასუხო ამ მოთხოვნას და ჩემს მოსწავლეებს ხელი შევუწყო გამჭოლი კომპეტენციების, მათ შორის ეკოლოგიური წიგნიერების განვითარებაში.

იდეების სახელოსნო არის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს უბიძგებს ფანტაზიისკენ, უამრავი ახალი, ინოვაციური იდეის გენერირებისკენ, რომელსაც შემდეგ გაანალიზებენ და კრიტიკულად შეაფასებენ.

მინდა გაგაცნოთ ფანტაზიით სავსე რამდენიმე იდეა, რომელიც ჩემმა მოსწავლეებმა დაასახელეს:

I ჯგუფის იდეა – საკლასო ოთახის დასუფთავების პრობლემის მოგვარების მიზნით გამოიგონეს მანქანა, რომელსაც „ბარმაცი მორიგე“ უწოდეს. მანქანა დისტანციური მართვის პულტით იმართებოდა და ასუფთავებდა საკლასო ოთახს ქაღალდებისაგან.

II ჯგუფის იდეა – სამზარეულოს დასუფთავების პრობლემის მოგვარების მიზნით მოსწავლეებმა გამოიგონეს ნაგვის დამხარისხებელი მექანიზმი, რომელიც სამზარეულოს ნაგავს დაახარისხებდა პოლიეთილენის ბოთლებსა და პარკებს ცალკე, საჭმლის ნარჩენებს ცალკე და სხვა სახის ნარჩენებს ცალკე.

III ჯგუფის იდეა – მისაღები ოთახის დასუფთავების პრობლემის მოგვარების მიზნით გამოიგონეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უწესრიგოდ მიმოფანტული ნივთების და დანაგვიანებული ოთახის შემთხვევაში გამოსცემდა არასასიამოვნო ხმას იქამდე, სანამ ოთახი სრულ წესრიგში არ იქნებოდა.

მეორე ეტაპზე მოსწავლეებმა საკუთარი იდეები შესანიშნავად მოარგეს გაკვეთილის თემას და შექმნეს გარემოს დასუფთავების ინოვაციური გზები.

I ჯგუფმა საკუთარი იდეა შემდეგნაირად მოარგო გარემოს დასუფთავების პრობლემას: მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, მათ მიერ გამოგონებული „ბარმაცი მორიგე“ დანაგვიანებულ ბალებსა და სკვერებშიც გაეშვათ, ნარჩენების აკრეფისა და დასუფთავების მიზნით. გარდა ამისა, გაეშვათ დედამიწის თანამგზავრი, რომელიც მოახდენდა დანაგვიანებული ადგილების სკანირებას დედამიწის მთელ ტერიტორიაზე, რის შემდეგაც „ბარმაცი მორიგე“ მყისიერად მოახდენდა დანაგვიანებული ადგილის დასუფთავებას.

II ჯგუფმა საკუთარი ინოვაციური იდეა შემდეგნაირად წარმოგვიდგინა: ქუჩებში დავდგათ სპეციალური ნაგვის ურნები, რომელზეც მითითებული იქნება, თუ რომელი სახის ნარჩენებისთვის არის განკუთვნილი. მათ გადაწყვიტეს, რომ დაედგათ სამი სახის ურნა: ქაღალდისთვის, პოლიეთილენის ბოთლებისა და პარკებისთვის და საჭმლის ნარჩენებისთვის. მათ გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნეს: ცალკე ჩაყრილი ქაღალდის მეორადი გადამუშავების შემდეგ დავზოგავდით ხე-ტყის გაჩეხვას ქაღალდის წარმოების მიზნით, პოლიეთილენი კი სპეციალურად გადამუშავდებოდა ნაგავსაყრელებზე, რადგან მათი გახრწნისთვის საკმაოდ დიდი დრო, დაახლოებით ნახევარი საუკუნეა საჭირო. ამ დროის განმავლობაში კი პოლიეთილენს ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია. მესამე ურნაში საკვების ნარჩენები კი გადამუშავების შემდეგ ადვილად გაიხრწნებოდა ნიადაგში და ნეშოპმალას წარმოქმნიდა.

III ჯგუფმა მათ მიერ გამოგონილი მექანიზმი მისაღები ოთახიდან ქუჩაში

დადგმულ ლამპიონებზე დაამონტაჟეს, რომელიც განგაშის ხმას გამოსცემდა, როგორც კი რომელიმე ჩვენგანი ნაგავს ძირს დაყრიდა. მექანიზმი სიგნალს გადასცემდა რობოტს, რომელიც ამ ადამიანს უხსნიდა, რატომ არ შეიძლებოდა ნაგვის ძირს დაყრა. ასეთი ფაქტის სამჯერ გამეორების შემთხვევაში, მექანიზმიდან განგაშის სიგნალი შედიოდა მერიის დასუფთავების სამსახურში და მოქალაქეს, რომელსაც გარემოს დანაგვიანების მესამე შემთხვევა დაუფიქსირდებოდა, დაჯარიმდებოდა.

იდეების გაცნობის შემდეგ IV ჯგუფმა თითოეული ჯგუფის იდეა განიხილა და მათ მიერ წარმოდგენილი კონცეფციების კრიტიკული ანალიზი გააკეთა.

მოსწავლეებისთვის რომ შემექმნა მეტი მოტივაცია, დანარჩენ სამ ჯგუფს ვუთხარი წარმოდგინათ, რომ მათ მიერ გამოგონებული მექანიზმი-ხელსაწყო, თუ მეთოდი შესაძლებელი იყო ეყიდა მეოთხე ჯგუფის წევრებს, რომლებიც მერიის დასუფთავების სამსახურის წარმომადგენლები იყვნენ. მეოთხე ჯგუფის ფუნქციის ასეთმა წარდგენამ საკმაოდ დიდი მოტივაცია შეუქმნა დანარჩენ სამ ჯგუფს. შემფასებელმა „დამკვეთებმა“ აღნიშნეს, რომ სამივე ჯგუფის იდეა საკმაოდ ინოვაციურია და მათი განხორციელება დაგვეხმარება გარემოს დანაგვიანების პრობლემის მოგვარებაში. ამიტომ გადაწყვიტეს სამივე იდეა ეყიდათ.

მოსწავლეებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოვიყენე მეთოდი – ბლიკ უკუკავშირი წრეზე. ამ მეთოდის გამოყენებამ დამანახა, რომ მოსწავლეებს გაცნობიერებული ქონდათ ყველაზე მთავარი – თითოეული მათგანის როლი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ისეთი გლობალური პრობლემების მოგვარებაში, როგორიცაა გარემოს დანაგვიანება. გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებში გააქტიურდა შემოქმედებითი აზროვნება. ასეთი მეთოდით ჩატარებულმა გაკვეთილმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ცოდნა-ინფორმაციის გადაცემა სკოლაში ისეთი ფორმითა და მეთოდებით უნდა ხდებოდეს, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, თავი მის გარშემო მიმდინარე პროცესების უშუალო მონაწილედ წარმოიდგინოს. ამის ნათელი დადასტურება იყო ის ფაქტი, რომ ის მოსწავლეებიც კი, რომლებიც ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან, ხალისით ჩაერთვნენ საგაკვეთილო პროცესში. ამ გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეთა ინიციატივით დავიწყეთ გარემოსდაცვითი პროექტის დაგეგმვა.

შემოქმედებითი აზროვნების სწავლება, უოლტ დისნეის „აზროვნების სამი სკამის“ დახმარებით

სოფიკო ლოპუნიძე

მეთოდის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება

გამორჩეულად შემოქმედებით ადამიანებზე ფიქრის დროს შეუძლებელია არ გაგვასხენდეს ანიმაციური ფილმების ცნობილი ამერიკელი რეჟისორი და პროდიუსერი უოლტ დისნეი, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი თავისი შემოქმედებითი და წარმოსახვითი აზროვნების წყალობით.

მაინც, როგორ ებადებოდა მას ეს იდეები?

დისნეის სტრატეგიის არსი ასეთი იყო:

- პრობლემის/საკითხის ხედვა სამ სხვადასხვა – მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის – პერსპექტივაში;
- პროცესის დროს აზროვნების ტიპების ცვალებადობა.

აზროვნების სამივე ტიპი ყველა ადამიანში იმთავითვე დევს, მაგრამ სხვადასხვანაირად არის გამოხატული. სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ აზროვნების დროს არც ერთი მათგანი არ დარჩეს უყურადღებოდ, სამივე სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული.

დისნეიმ თავის კომპანიაში თითოეული – მეოცნების, რეალისტისა და კრიტიკოსის – როლისთვის გამოყო ოთახი, რომელიც ამ ტიპის აზროვნების შესაბამისად მოაწყო. მეოცნების ოთახი იყო დიდი, ნათელი, ფერადი, კედლებზე ეკიდა სურათები და კრეატიული გამონათქვამები, რეალისტს შესთავაზა ოთახი, სადაც იდგა დიდი სახატავი მაგიდა და იყო ყოველგვარი საშუალება მეოცნების იდეების რეალიზებისთვის, კრიტიკოსი კი ერთ პატარა, ვიწრო ოთახში რეალისტის ჩანახატებს აფასებდა.

ამრიგად, დისნეი შემოქმედებით აზროვნებას ანალიტიკურისა და კრიტიკულისგან განყენებულად არ განიხილავდა. ყველა კრეატიული იდეა ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს. ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის პროცესი სამივე ამ ელემენტს უნდა მოიცავდეს.

თავად დისნეი შესანიშნავად ფლობდა სამივე როლს. სწორედ ეს იყო მისი წარმატების საწინდარი. იგი თანამშრომლებს ყოველთვის რთავდა იდეების გენერირების, სელექციისა და შეფასების პროცესში.

უოლტ დისნეის მიერ კინემატოგრაფში დანერგილი ეს სტრატეგია მრავალ სფეროში გავრცელდა, მათ შორის – განათლებაშიც, სადაც იგი ცნობილია „აბროვნების სამი სკამის“ სახელწოდებით. სტრატეგია მოიცავს როგორც ანალიტიკურ-სისტემატურ, ასევე ინტუიციურ-კრეატიულ ელემენტებს.

„აბროვნების სამი სკამი“ როლური თამაშია, რომელიც შეგვიძლია წარვმართოთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურადაც. მეთოდის გამოყენებისას ოთახების ცვლა აუცილებელი არ არის, საკმარისია სამი სკამი: მეოცნების, რეალისტის და კრიტიკოსის, – რომლებიც ოთახის სხვადასხვა კუთხეში იდგება. სასურველია, თითოეული მათგანი გამოხატავდეს აბროვნების შესაბამის ტიპს. მეთოდის განხორციელება შეიძლება სკამის გარეშეც – ოთახის თითოეულ კუთხეში რაიმე ისეთი დეტალის მოთავსებით, რომელიც განასახიერებს აბროვნების ამა თუ იმ ტიპს.

მეოცნების სკამზე უნდა ავამოქმედოთ ჩვენი ფანტაზია, მივცეთ გასაქანი, თამამად გამოვხატოთ სურვილები, არ ვიფიქროთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა მათი განხორციელება, გამოვიჩინოთ ცნობისმოყვარეობა და ენთუზიაზმი, მივიღოთ სიამოვნება, ნაკლები ვიფიქროთ შედეგზე.

რეალისტის სკამზე უნდა ვიფიქროთ იდეების განხორციელებაზე, ვიყოთ პრაგმატულები, ვიმოქმედოთ გეგმაზომიერად და გონივრულად, გავითვალისწინოთ პირობები, ვიყოთ სამართლიანები, შედეგზე ორიენტირებულები, ამოვიჩინოთ უმოკლესი და მიზანმიმართული გზა.

კრიტიკოსის სკამზე ფოკუსირება მოვახდინოთ იდეის მიზანშეწონილობა-სა და განხორციელებადობაზე; შევაფასოთ, შეესატყვისება თუ არა ეს გზა მიზანს და რა შედეგს გამოიღებს; ვიფიქროთ რისკებსა და შესაძლებლობებზე; შევაფასოთ მიუკერძოებლად. კრიტიკოსი არ უნდა იყოს იდეისადმი ნეგატიურად განწყობილი. მან ამ იდეაში პრობლემები უნდა იპოვოს, მაგრამ იდეის არსისა უნდა სჯეროდეს.

მეთოდის გამოყენება

(ჩვენ მიერ აღწერილი მაგალითი ეხება ჯგუფურ როლურ თამაშს)

პირველი ნაბიჯი:

მეთოდით მუშაობის დასაწყისში მასწავლებელი/მოდერატორი სთავაზობს მსმენელებს/მოსწავლეებს ინფორმაციას დისნეის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ – როგორ დაიწყო საქმიანობა პატარა, უცნობმა მწარმოებელმა და თავისი გამბედაობისა და შემოქმედებითობის წყალობით როგორ გახდა მსოფლიოში ცნობილი ადამიანი.

მეორე ნაბიჯი

სანამ მონაწილეებს განსახილველ თემას გავაცნობთ, ვატარებთ მოთელვას, რათა მონაწილეებმა გაითავისონ სამივე როლი. მეოცნების კუთხეში მათ უნდა გაიხსენონ თავიანთი ცხოვრების ულამაზესი და შემოქმედებითი მომენტები, ის დრო, როცა ოცნებობდნენ. ეს აქტივობა მათ პოზიტიურ განწყობას შეუქმნის.

მესამე ნაბიჯი

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჯგუფი რეალისტის კუთხეში გადაინაცვლებს, სადაც ყველა მონაწილემ უნდა გაიხსენოს სიტუაცია, როდესაც მან პრობლემა რეალისტურად და პრაგმატულად გააანალიზა და გონივრულად გადაწყვიტა. თუ მოსწავლეს თავისი ცხოვრებიდან ასეთი სიტუაცია არ ახსენდება, მოუსმინოს სხვას და ურჩიოს, თავად როგორ მოიქცეოდა პრაგმატულად მის ადგილას.

მეოთხე ნაბიჯი

ბოლოს, კრიტიკოსის კუთხეში, მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ სიტუაცია, როდესაც იდეა საღი თვალით, ობიექტურად და კონსტრუქციულად გაუანალიზებიათ, სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება მოუხდენიათ და პოტენციური პრობლემები გამოუვლენიათ.

მეხუთე ნაბიჯი

ამის შემდეგ მოდერატორი/მასწავლებელი ჯგუფს აცნობს გადასატრელ პრობლემას, რის შემდეგაც იწყება ნამდვილი როლური თამაში. ჯგუფი უბ-

რუნდება მეოცნების კუთხეს. მეოცნებეები ამ ფაზაში იწყებენ პრობლემის შესახებ საკუთარი ხედვებისა და იდეების გამოთქმას. ამ ფაზაში მათ უსაზღვრო ფანტაზიის უფლება აქვთ. ყველა ქაოსურ და გიჟურ იდეას აქვს შანსი, იქცეს ახალ და ადეკვატურ მიდგომად.

მეექვსე ნაბიჯი

შემდეგ მონაწილეები მიაღებენ რეალისტის კუთხეს, სადაც უბრუნდებიან გამოთქმულ იდეებს და აანალიზებენ მათ. სვამენ შემდეგ კითხვებს: არის თუ არა ეს იდეები მიზნის რელევანტური? რა მასალა, ადამიანური რესურსი, ცოდნა და ტექნიკური მოწყობილობაა საჭირო მათ განსახორციელებლად? შესაძლოა თუ არა, ჩვენ მიერ შერჩეული მიდგომა მოვსინჯოთ? რეალისტები გამოსცდიან ყველა იდეას, სანამ კრიტიკოსებს გადასცემენ. ასე გარდაისახება თავდაპირველად არარეალისტურად მიჩნეული იდეები რეალისტურ, ინოვაციურ მიდგომებად.

მეშვიდე ნაბიჯი

წრებრუნვის უკანასკნელ პუნქტში კრიტიკოსებს ეძლევათ დავალება, იდეები კონსტრუქციულად განიხილონ. მათ უნდა დასვან კითხვები: რა შეიძლება გაუმჯობესდეს? როგორია ამ იდეის რისკები და შესაძლებლობები? რა არ გაითვალისწინეს? როგორ აფასებენ თავად ამ წინადადებას? – და ა.შ.

მეთოდი შეიძლება წარიმართოს სხვადასხვა ვარიაციით:

- კლასი დაიყოს სამ ჯგუფად, ყოველმა ჯგუფმა აზროვნების თითო ტიპიდან განიხილოს ერთი და იგივე საკითხი – ერთი ჯგუფის შემოქმედებით იდეებს მეორე ჯგუფი აანალიზებს, ხოლო მესამე კრიტიკულად აფასებს.
- ერთმა და იმავე ჯგუფმა (ან ყოველმა მოსწავლემ ინდივიდუალურად) აზროვნების სამივე ტიპიდან განიხილოს ერთი და იგივე პრობლემა – თავად მიაგნოს კრეატიულ იდეებს, გააანალიზოს ისინი და შეაფასოს.

ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებლის მიზანი მოსწავლეებში სამივე ტიპის აზროვნების განვითარება და აზროვნების პროცესის სწორად აგება უნდა იყოს.

გაკვეთილის გეგმა

სკოლა: ევროპული სკოლა

მასწავლებელი: მაია ინასარიძე

კლასი: მეთორმეტე

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის თემა: პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ – 2 დაწყებული გაკვეთილი.

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ:

- იდეების გენერირება „ყვარყვარე თუთაბერის“ სცენურ ვერსიასთან დაკავშირებით;
- ვერსიების განხორციელების შესაძლო გზებისა და საშუალებების განალიზება;
- შემოთავაზებული ვერსიების კრიტიკულად შეფასება.

სასწავლო მასალა და რესურსები – დიდი ფორმატის ფურცლები, ფერადი ფანქრები, ფურცლები, საწერ-კალმები.

სტრატეგიები:

4. გონებრივი იერიში;
5. მინი დისკუსია;
6. უოლტ დისნეის სამი სკამი.

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა:

გაკვეთილი იწყება მიზნის გაცნობით (მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ კომედიის პირველი და მეოთხე მოქმედება, თუმცა ტექსტს მთლიანად იცნობენ). კლასს ვაცნობ ინფორმაციას, რომ სკოლის დრამატულ წრეში გაერთიანებულმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს დადგან „ყვარყვარე თუთაბერის“ შემოკლებული ვერსია და მათ დახმარებისათვის მიმართეს მეთორმეტეკლასელებს, რადგან იციან, რომ შესასწავლ ნაწარმოებთან შორის პოლიკარპე კაკაბაძის ეს უკვდავი კომედიაცაა.

მოსამზადებელ ფაზაზე შევასხენებ მოსწავლეებს პიესის დაწერის თარიღს და გამოვკითხავ წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას (მოსწავლეებს უნდა

მოეძიებინათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ნაწარმოების შექმნიდან დღემდე რამდენჯერ და სად, რომელ თეატრში, დაიდგა „ყვარყვარე თუთაბერი“. მოსწავლეების მიერ მოძიებულ ინფორმაციაში, სავარაუდოდ, გამოიკვეთება, რომ „ყვარყვარე თუთაბერი“ მისი შექმნიდან ერთი წლის თავზე დადგა კოტე მარჯანიშვილმა და მას შემდეგ ის არ ჩამოსულა ქართული თეატრების სცენიდან. მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა იყო ამ ნაწარმოებით ასეთი დაინტერესების მიზეზი? მოსწავლეთა პასუხები იწერება დაფაზე (ამ ეტაპზე ყველა აზრი მისაღებად), შემდეგ კი იდეები (თუ ამის შესაძლებლობას იძლევა პასუხები) ჯგუფდება სფეროების მიხედვით, კერძოდ: პრობლემატიკა, ტიპაჟები, აქტუალობა და ა.შ.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვეკითხები:

როგორც აღნიშნეთ, კომედია დაიწერა რეპრესიების დროს, 1928 წელს, და ერთი წლის შემდეგ დაიდგა სცენაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეუშალა ხელი საბჭოთა ცენზურამ ამ ნაწარმოების დაბეჭდვასა და დადგმას?

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად (კლასში 15 მოსწავლეა – 3 ჯგუფი). **პირველ ეტაპზე** ისინი თავს წარმოიდგენენ მეოცნებეებად. მათი დავალებაა: „ჩამოყარონ“ იდეები პირველი მოქმედების სცენური ინტერპრეტაციისათვის. მოიფიქრონ, სად ხდება / შეიძლება მოხდეს მოქმედება, როგორი შეიძლება იყოს დეკორაცია, მუსიკალური გაფორმება, ტიპაჟები, შეუძლიათ ახალი მოქმედი პირების შემოყვანა ან, პირიქით, შემცირება, დიალოგის გადაკეთება მონოლოგად და ა.შ. მოკლედ, აქვთ მინიჭებული სრული თავისუფლება.

მეორე ეტაპზე ყველა ჯგუფი დგება რეალისტის (ანალიტიკოსის) როლში. ერთი ჯგუფის ნამუშევარი პირველ ეტაპზე გადაეცემა მეორე ჯგუფს, მეორის – მესამეს, მესამის – პირველს. რეალისტები აანალიზებენ მეოცნებეების მიერ გამოთქმულ იდეებს შემდეგ შეკითხვებზე დაყრდნობით (შეკითხვათა პაკეტი მათ სამუშაოს დაწყებამდე ურიგდებათ). შეესაბამება ეს იდეები მიზანს? შესაბამება ნაწარმოების პრობლემატიკას? არის თუ არა გათვალისწინებული ჟანრობრივი სპეციფიკა? რა მასალა, ადამიანური რესურსი, ცოდნა და ტექნიკური მოწყობილობაა საჭირო მათ განსახორციელებლად? არის თუ არა მისი განხორციელება რეალისტური. თუ – არა, რა რეკომენდაციებს სთავაზობენ? რეალისტები აანალიზებენ ყველა იდეას, სანამ კრიტიკოსებს გადასცემენ.

მესამე ეტაპზე ყველა ჯგუფი დგება კრიტიკოსის როლში და იმავე მეთოდით (წრეში დატრიალებით) აფასებენ წარმოდგენილ ნამუშევარს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ნაწარმოების პრობლემატიკის გააზრება;
- ტექსტის სიღრმისეული ცოდნა და ადეკვატური გამოყენება;
- იდეის განხორციელების გზების ეფექტიანობა;
- განხორციელების რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება;
- ორიგინალურობა.

ჯგუფები წარმოადგენენ იდეას (ნამუშევარს), რომელიც ყველაზე მაღალ შეფასებას დაიმსახურებს, შემდეგ კი კლასი ამ სამი იდეიდან შეარჩევს ერთ-ერთს, რათა შესთავაზონ სკოლის დრამატული წრის მონაწილეებს საკუთარი ვერსია.

რეფლექსია

მეთორმეტე კლასში ჩავატარე გაკვეთილი „უოლტ დისნეის სამი საამის“ მეთოდით. მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილი დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი ეტაპების დაცვით: მოსამზადებელი ეტაპი, იდეების გენერირების (მეოცნებები) ეტაპი, იდეათა ანალიზისა და რეალიზების (ანალიტიკოსების / რეალისტების) ეტაპი, იდეათა და რეალიზების გზების შეფასების (კრიტიკოსების) ეტაპი. გაკვეთილი წარიმართა გეგმის მიხედვით. მოსწავლეები იმდენად იყვნენ ჩართული მუშაობაში, რომ გაუჭირდათ რეგლამენტის დაცვა და იძულებული გახდნენ, დამემატებინა დიდი დასვენების 5 წუთი.

მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული მეთოდი სიახლე იყო მოსწავლეებისათვის, მათ არ გასჭირვებიათ დავალებების შესრულება. მართალია, თითოეულმა თავი მოსინჯა სხვადასხვა როლში, მაგრამ ჯგუფების მუშაობის პროცესზე დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ თითოეულ ეტაპზე თითოეულ ჯგუფში სხვადასხვა მოსწავლე იმის მიხედვით აქტიურობდა, თუ რა სამუშაოს ასრულებდა. მაგალითად, მუსიკით გატაცებულმა ირინკამ ჯგუფს შესთავაზა საინტერესო იდეები მუსიკალურ გაფორმებასთან დაკავშირებით, როინმა სახელდახელოდ შექმნა სცენის ესკიზები და ა.შ. ეს მეთოდის დადებით მხარედ მიმანია, რადგან მან მისცა მოსწავლეებს საშუალება გამოევლინათ საკუთარი ძლიერი მხარეები, მაგრამ ამავდროულად „იძულებული“ გახდა მოესინჯათ საკუთარი ძალები სხვადასხვა ამბულაში. ამან მათ მრავალმხრივ განვითარებას შეუწყო ხელი. ჩართულობასთან ერთად მაღალი იყო თანამშრომლობის ხარისხიც.

მეთოდის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო იმან, რომ მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ ტექსტი და წინა გაკვეთილებზე იმსჯელეს იმ პრობლემატიკაზე, რომლითაც საინტერესოა ეს ნაწარმოები.

გაკვეთილის სუსტ მხარედ მიმაჩნია ის, რომ დროში ვერ ჩაეტია დაგეგმილი აქტივობები და დასვენების გამოყენება დამჭირდა. შემდგომში გაკვეთილის გეგმაში შევითანდი ცვლილებას და მოსამზადებელ ფაზას შევამოკლებდი. მაგალითად, მეორე შეკითხვას არ დავსვამდი, რადგან პრობლემატიკასა და მის აქტუალობაზე წინა გაკვეთილზე ვისაუბრეთ.

ვთვლი, რომ დასახულ მიზანს მივაწლიე, რადგან ხელი შეეწყო მოსწავლეების სხვადასხვა სააზროვნო უნარის (შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული), ასევე სოციალური უნარის განვითარებას. გაკვეთილის ბოლოს მათ დაინახეს შედეგი, პროდუქტი, „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი მოქმედების სცენური ვერსია, რომელიც შესთავაზეს სკოლის დრამატული წრის წევრებს. ამით მათ იგრძნეს საკუთარი და შესწავლილი მასალის მნიშვნელობა.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. ინტერვიუ სამი ნაბიჯი

სოფიკო ლობჟანიძე

თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით მოსწავლეები არა მარტო ცოდნას ეუფლებიან, არამედ უვითარდებთ სოციალიზაციისა და კომუნიკაციის უნარებიც, რადგან სწორედ სწავლების ეს ფორმა მოითხოვს და უწყობს ხელს მათ უშუალო კომუნიკაციასა და ინტერაქციას. ამ დროს მოსწავლეები იძენენ ისეთ კომუნიკაციურ უნარებს, როგორებიცაა: კითხვის დასმის, აქტიური მოსმენის, თხრობის, მიღებული ინფორმაციის გადამუშავებისა და ადეკვატური საპასუხო რეაქციის დაბრუნების უნარები და სხვ. თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს ასევე სოციალიზაციის უნარების განვითარებას: საკუთარი პოზიციის დაფიქსირებასა და დაცვას, სხვათა აზრებისა და შეხედულებების პატივისცემას, საერთო გამოცდილებიდან გამოცდილების შეძენას და სხვ. მაშასადამე, აქ შერწყმულია სწავლის კოგნიტური და სოციალური ასპექტები.

გაგაცნობთ სწავლების ერთ-ერთ მეთოდს – ინტერვიუ სამ ნაბიჯს, რომელიც მოსწავლეებს ისეთი კომპეტენციების დახვეწაში დაეხმარება, როგორებიცაა მიზანმიმართული კითხვების დასმა, ინფორმაციის ლოგიკურად და ლაკონურად ჩამოყალიბება და მიწოდება, აქტიური მოსმენა, ჩანაწერების გაკეთება, შეჯამება, პერფორმირება და სხვ.

მეთოდის აღწერა

1. მასწავლებელი ირჩევს საკითხს/პრობლემას, აცალიბებს მიზანს და აცნობს კლასს;
2. კლასში ყველა მოსწავლე ამზადებს კითხვებს საკითხის/პრობლემის ირგვლივ ინტერვიუსთვის;
3. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს სამკაციან ჯგუფებად/ტრიადაებად და უხსნის მეთოდის არსს – ინტერვიუ სამ წრედ მიმდინარეობს, მაშასადამე, ტრიადის თითოეული მოსწავლე გამოდის როგორც ინტერვიუერის, ასევე რესპონდენტისა და დამკვირვებლის როლში;

- **პირველი ნაბიჯი** – მოსწავლე A ინტერვიუს იღებს მოსწავლე B-სგან, ხოლო მოსწავლე C, როგორც დამკვირვებელი, აკეთებს ჩანაწერებს, ე.ი. ინიშნავს არსებითს ინტერვიუერისა და რესპონდენტის საუბრიდან;
- **მეორე ნაბიჯი** – მოსწავლე B ინტერვიუს იღებს მოსწავლე C-სგან, ხოლო მოსწავლე A, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადად;
- **მესამე ნაბიჯი** – მოსწავლე C ინტერვიუს იღებს მოსწავლე A-სგან, ხოლო მოსწავლე B, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითადად.

თითოეული ინტერვიუსთვის განკუთვნილი დრო მასწავლებელმა/მოდერატორმა უნდა დაადგინოს. მაგ., 5 წუთი. მაშასადამე, სამივე ინტერვიუს ამ შემთხვევაში დაეთმობა 15 წუთი.

4. შემდეგ ორ-ორი სამკაციანი ჯგუფი გაერთიანდება ექვსკაციან ჯგუფად. ჯგუფის ექვსივე წევრი წინა ეტაპზე უკვე იყო დამკვირვებელი და აქვს ჩანაწერები. ამ ჩანაწერების გამოყენებით ექვსივე რიგრიგობით მოახსენებს დანარჩენებს თავისი ჩანიშნულიდან არსებითს. შემდეგ თითოეული ჯგუფი აჯამებს დამკვირვებლების ჩანაწერებს და აკეთებს პრეზენტაციას. მასწავლებელი ისმენს პრეზენტაციებს.
5. ბოლოს ხდება მიღებული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება.

როდის შეუძლია მასწავლებელს ამ მეთოდის გამოყენება?

როგორც თემის შესწავლის დაწყებისას მოსწავლეთა წინარე ცოდნის შემოწმებლად, ასევე თემის შეჯამებისას. მეთოდი წარმატებით გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს და საშუალებას იძლევა, ყველა მოსწავლემ ჩამოაყალიბოს პრობლემის მოგვარების საკუთარი ხედვა, მოხდეს ალტერნატიული გზების განხილვა, შეჯამება და საუკეთესოს არჩევა.

რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მეთოდის წარმატებით გამოყენებისთვის?

მრავალ ისეთ ფაქტორთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, მოსწავლეთათვის მეთოდის ბუსტი აღწერა, ინტერვიუს თემის მკაფიო ფორმულირება, მიზნის ჩამოყალიბება, ინტერვიუს მოსამზადებლად მოსწავლეთათვის დროის მიცემა, დროის სწორი მენეჯმენტი, ჯგუფების მუშაობისთვის თვალყურის დევნება და სხვა, მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა ასწავლოს და გამოუმუშაოს ინტერვიუს წაყვანის ელემენტარული უნარ-ჩვევები.

- მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ინტერვიუსა და დიალოგს შორის არის ერთი არსებითი განსხვავება: ინტერვიუს დროს ინტერვიუერისა და რესპონდენტის როლები მკაცრად არის განსაზღვრული;
- სანამ მოსწავლე ინტერვიუსთვის მზადებას/კითხვების ჩამოყალიბებას შეუდგება, მან უნდა გააცნობიეროს ინტერვიუს მიზანი, კერძოდ, რისი გაგება სურს რესპონდენტისგან;
- ამის შემდეგ იგი იწყებს კითხვების ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ზუსტად მიჰყვას ამ კითხვებს, რადგან სიტუაციამ შესაძლოა განსხვავებული კითხვების დასმის საჭიროება წარმოშვას;

იმისთვის, რომ მოსწავლემ კითხვები კორექტულად ჩამოაყალიბოს და დასვას:

- იგი უნდა ფლობდეს კითხვის დასმის სხვადასხვა ტექნიკას;
- კითხვები გარკვევით უნდა იყოს დასმული;
- კითხვაში არ უნდა ჩანდეს ინტერვიუერის პოზიცია;
- შეეძლოს კითხვების თემატურად დაჯგუფება და პირველ- და მეორეხარისხოვნებად სელექცია;
- სწორად შეარჩიოს კითხვების თანამიმდევრობა – მნიშვნელოვანია, ინტერვიუ დაიწყოს ღია კითხვებით, რომლებიც გახსნის რესპონდენტს; არ არის სასურველი მნიშვნელოვანი კითხვების ინტერვიუს ბოლოში გადატანა;
- მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ ინტერვიუსთვის მეტად მნიშვნელოვანია აქტიური მოსმენა. ინტერვიუერის ყურადღება, მოთმინება, ემპათია რესპონდენტს სურვილს აღუძრავს, გასცეს ინფორმაცია და იყოს გულახდილი.

მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ:

- არ შეაწყვეტინოს რესპონდენტს ამრის მდინარება;
- მისცეს რესპონდენტს პაუზის საშუალება, რადგან ეს ფიქრის ბუნებრივი ფაზაა;
- მშვიდად მოისმინოს რესპონდენტის ყველა ამრი, ისეთიც კი, რომელსაც არ ეთანხმება;
- რესპონდენტის პასუხებიდან მნიშვნელოვანი დეტალი რომ არ გამოორჩეს, სასურველია, გაიმეოროს მოპასუხის ამრი, რათა გადაამოწმოს, როგორ გაიგო იგი;
- სთხოვოს რესპონდენტს ნათქვამის დაზუსტება;
- თავი აარიდოს ზედმეტად დადებითი ემოციების გამოხატვას.

ინტერვიუ სამი ნაბიჯის ინტერპრეტირებული ვარიანტი

პედაგოგი ამბადებს დაუსრულებელ წინადადებებს (სამ წინადადებას) აქტუალური/განსახილველი საკითხის/პრობლემის ირგვლივ. ამ წინადადებებს იგი წერს ბარათებზე და აწყობს კონვერტებში. თითო კონვერტში სამი სხვადასხვა წინადადება უნდა იდოს, კონვერტი კი იყოს იმდენი, რამდენი სამკაცისანი ჯგუფიც არის კლასში.

1. კლასი იყოფა სამკაციან ჯგუფებად, რომელთაც დაურიგდებათ კონვერტები;
2. პირველი ნაბიჯი: ჯგუფის პირველი წევრი კონვერტიდან იღებს ერთ ბარათს და მასზე მოცემული საკითხის ირგვლივ რამდენიმე წუთის განმავლობაში საუბრობს (დროს განსაზღვრავს მასწავლებელი). ჯგუფის მეორე წევრი უსმენს და მოკლედ იმეორებს მოსაუბრის ნათქვამს, ახდენს მის რეზიუმირებას, მესამე წევრი კი აფასებს როგორც მთხრობელს, ასევე მსმენელს წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ ადგენენ მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით) – მთხრობელში აფასებს საკითხის ფლობას და ვერბალური კომუნიკაციის უნარს, მსმენელში – იყო თუ არა იგი აქტიური და რამდენად აქვს რეზიუმირების უნარი.
3. მეორე და მესამე ნაბიჯზე როლები იცვლება.

დასკვნის სახით შეიძლება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუ სამი ნაბიჯი არის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები კი სწავლის ხარისხის ამაღლებისა და სოციალიზაციის უნარის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

სკოლა: სსიპ – ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა

საგანი: ინგლისური ენა

მასწავლებელი: ნინო ბლუაშვილი

კლასი: IX

მოსწავლეთა პროფილი: 26 მოსწავლე

თემა: ცვლილებების დრო

მიზანი: ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების გამოყენება საუბრისას. (საუბრის უნარ-ჩვევის გაუმჯობესება). მოსწავლე შეძლებს იმსჯელოს გლობალიზაციის, ინტერნეტის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

კითხვის დასმის ტექნიკის დაუფლების ხელშეწყობა, ინფორმაციის ლოგიკურად და ლაკონურად ჩამოყალიბების და გადაცემის, აქტიური მოსმენის, ჩანაწერების გაკეთების, შეჯამებისა და რეფრაზირების უნარების განვითარების ხელშეწყობა.

- უცხ.ს.III.1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს უცხოენოვან თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე ინტერაქცია (დიალოგი, მონოლოგი, ინტერვიუ) ყოფით თემებზე.
- უცხ.ს.III.2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს მოკლე ინსტრუქციები, შეტყობინებები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებები.
- უცხ.ს.III.14. წერისას მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა, ფლობს და ცდილობს გამოიყენოს საბაზისო ენობრივი უნარ-ჩვევები.
- უცხ.ს.III.12. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ინფორმაციული ტექსტის (მაგ. ცნობარი, ანოტაცია, დაიჯესტი და სხვა) შედგენა.
- უცხ.ს.III.16. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა.
- უცხ.ს.II უცხ.ს.III.18. მოსწავლეს შეუძლია დამხმარე საშუალებებზე დაყრდნობით საუბარი.
- I.17. მოსწავლეს შეუძლია თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას.
- უცხ.ს.III.19. მოსწავლე ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ უნარ-ჩვევებს.
- უცხ.ს.III.20. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას სამეტყველო ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და ზეპირი მეტყველების უნარის გასაუმჯობესებლად.

სწავლების მეთოდები: ინტერვიუ სამი ნაბიჯი

კლასის ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, საერთო საკლასო და ჯგუფური.

რესურსები: პროექტორი, ანიმაციური ვიდეო რგოლი.

https://www.youtube.com/watch?v=As3pWXoq_as&list=PL7DoTINJnsdRM8sW6rFjSDoxyhLURCp1N

გაკვეთილის აღწერა: (გაკვეთილის ხანგრძლივობა – 45 წთ)

გამოწვევის ფაზა (5 წთ) – მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი აჩვენებს ანიმაციურ ვიდეო-რგოლს, “A brief history of communication“, რომელშიც ასახულია კომუნიკაციის ფორმები ადრეული პერიოდიდან დღემდე. მოსწავლეები აანალიზებენ ნაწახ ვიდეო-რგოლს და, სავარაუდოდ, მიდიან დასკვნამდე, რომ ვიდეოში ასახულია ტექნოლოგიური ცვლილებები და გლობალიზაცია. მსჯელობისას მოსწავლეები თავად აყალიბებენ ან მასწავლებელს მიჰყავს გაკვეთილის მთავარ თემამდე: ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის დადებითი მხარეები და საფრთხეები. მასწავლებელი აქვე ამუშავებს გაკვეთილის მიზანს და მოსწავლეებს სთხოვს თავიანთი მოსაზრებების გა-მოთქმას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო

საკითხის სიღრმისეული წვდომა: (27 წთ)

ეტაპი I (7 წუთი)

მასწავლებელი მოსწავლეებს შემთხვევითობის პრინციპით გადაანაწილებს 8 ჯგუფში, (თითო ჯგუფში – 3 მოსწავლე). ყველა ჯგუფს აქვს ერთი და იგივე დავალება: ჩამოწერონ კითხვები გაკვეთილის თემის ირგვლივ (კითხვები უნდა ეხებოდეს ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის დადებით მხარეებსა და საფრთხეებს. ასევე, ამ საფრთხეების თავიდან აცილების შესაძლო გზებს.), რომლებსაც დაუსვამენ მისი გუნდის წევრებს. (თუ მოსწავლეებისთვის რთული აღმოჩნდება კითხვების მოფიქრება, მასწავლებელი, ნიმუშის სახით, დაფაზე ჩამოწერს რამდენიმე კითხვას).

ეტაპი II (15 წუთი)

A მოსწავლე ინტერვიუს იღებს B მოსწავლისგან, ხოლო C მოსწავლე, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითად ინფორმაციას. A მოსწავლეს ინტერვიუს ასაღებად აქვს 5 წთ. მას შემდეგ:

B მოსწავლე ინტერვიუს იღებს C მოსწავლისგან, ხოლო A მოსწავლე არის დამკვირვებელი და აკეთებს ჩანაწერებს. ინტერვიუს ჩასაწერად მასაც აქვს 5 წთ. მას შემდეგ, რაც B მოსწავლე აიღებს ინტერვიუს:

C მოსწავლე იღებს ინტერვიუს A მოსწავლისგან, ხოლო B მოსწავლე, როგორც დამკვირვებელი, ინიშნავს ძირითად ინფორმაციას. (დრო 5 წუთი)

ეტაპი III (10 წუთი)

ინტერვიუების აღების შემდეგ, ხდება ორ-ორი 3 კაციანი ჯგუფების გაერთიანება. დამკვირვებლები ერთმანეთს წარუდგენენ ძირითად ინფორმაციას მათ მიერ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე. შემდეგ თითოეული ჯგუფი აჯამებს დამკვირვებლების ჩანაწერებს და აკეთებს პრეზენტაციებს. მასწავლებელი ისმენს პრეზენტაციებს.

რეფლექსიის ფაზა: (5 წუთი)

ბოლოს ხდება მიღებული ინფორმაციების შეჯამება და შეფასება – მოსწავლეები აფასებენ რამდენად სწორად/სრულყოფილად ჰქონდათ გაკეთებული ჩანაწერები.

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო

შეფასება: განმავითარებელი-მასწავლებლის ბეპირი კომენტარი. 3 წუთი

შეფასების კრიტერიუმები	სრულიად	ნაწილობრივ	გასავითარებელია
მოსწავლეები იყენებენ ინგლისურ ენას საუბრისას.			
მოსწავლეები გამოყოფენ მოცემული თემის დადებით მხარეებსა და საფრთხეებს.			
მოსწავლეები სახავენ პრობლემების/საფრთხეების გადაჭრის შესაძლო გზებს.			
მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთის მოსმენა.			
მოსწავლეებს შეუძლიათ ჩანაწერების გაკეთება (რეზიუმირება, რეფრაზირება)			
მოსწავლეები იყენებენ კითხვის დასმის ტექნიკას.			

შედეგი: ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების გამოყენებით მოსწავლე მსჯელობს გლობალიზაციის/ინტერნეტის დადებით მხარეებზე და საფრთხეებზე; საფრთხეების გადაჭრის გზებზე.

მასწავლებლის თვითშეფასება – მასწავლებლის კომენტარი

გაკვეთილის რეფლექსია

მეთოდის ინტერვიუ სამი ნაბიჯის შესახებ შევიტყვე mastavlebeli.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიებიდან. სტატია საინტერესო და ჩემს საგანში გამოსაყენებელ ეფექტურ მეთოდად ჩავთვალე. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდის აღწერაში არ იყო მითითებული, რომ ეს მეთოდი შეიძლება ეფექტურად გამოგვეყენებინა ინგლისური ენის გაკვეთილზე, გადავწყვიტე გამოვეყენებინა, რადგან ვფიქრობდი, რომ ამ მეთოდით შევძლებდი თითქმის ყველა იმ უნარ-ჩვევის გააქტიურებას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად ენის სწავლება: მოსმენა, წერა, ლაპარაკი. ასევე, შევძლებდი ზოგადი უნარების განვითარებას, როგორიცაა კითხვების დასმა, რეზიუმირება, ჩანაწერების გაკეთება, ერთმანეთის მოსმენა და თვითრეფლექსია.

ვფიქრობ, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, შევძელი დასახული მიზნების განხორციელება. მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ კითხვების დასმის პროცესში. საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა მეთოდის პირველი ეტაპი: მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად ჩამოწერილი კითხვები იყო მრავალფეროვანი და ერთმანეთისგან განსხვავებული, რითაც საკითხის ფართოდ განხილვის საშუალება მოგვეცა. საინტერესო იყო, რომ კითხვების დასმის დროს მოსწავლეები იყენებდნენ შეკითხვათა განსხვავებულ ტიპებს. ამით მათი წინარე ცოდნაც გააქტიურდა.

ბუნებრივია, იყო გარკვეული სირთულეები. კერძოდ:

1. **დრო** – ამ მეთოდით გაკვეთილის ჩასატარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა 45 წუთი და მომიწია დასვენების ხარჯზე გაკვეთილის გაგრძელება. რეალურად, ამ მეთოდის გამოყენებას სჭირდება 1 საათი.
2. **მოსწავლეთა დაჯგუფება** – როდესაც, ვიდეოს ჩვენებისა და ვარაუდების გამოთქმის შემდეგ მოსწავლეები გადავანაწილე ჯგუფებად და ვთხოვე, ჩამოეწერათ კითხვები მოცემული თემის ირგვლივ, რომლებსაც შემდეგ საკუთარი გუნდის წევრებს დაუსვამდნენ, მათ დაიწყეს კითხვების ჯგუფურად ჩამოწერა. მათ კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ კითხვები უნდა ჩამოეწერათ ინდივიდუალურად. მიუხედავად ამისა, მათ რამდენჯერმე დასჭირდათ ამის გამეორება. ყოველივე ამან წაიღო უფრო მეტი დრო, ვიდრე მე მქონდა გათვლილი. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ჯერ მეთხოვა კითხვების ჩამოწერა და შემდეგ გადამენაწილებინა ჯგუფებში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეებს თავიდან გაუჭირდათ კითხვების მოფიქ-

რება, რადგან ვერ მიხვდნენ რა ტიპის კითხვები უნდა დაესვათ. ამიტომ, ნიმუშის სახით, ვუთხარი რამდენიმე კითხვა. ვფიქრობ, ეს აუცილებელია, მიმართულების მისაცემად და დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად.

3. **ინსტრუქციის მიცემა** – კითხვების ჩამოწერის შემდეგ, როდესაც ჯგუფის წევრები პირობითად დავყავი A, B, C მოსწავლეებად და ავუხენი, რომ A მოსწავლეს ინტერვიუ უნდა აეღო B მოსწავლისგან, ხოლო C მოსწავლეს, როგორც დამკვირვებელს, ჩაენიშნა ძირითადი ინფორმაცია, იქვე მივეცი დანარჩენი ინსტრუქციაც, როლების გაცვლის შესახებ. მართალია, მოსწავლეებს მონიტორზეც შეეძლოთ ინსტრუქციის ნახვა, მაგრამ ამან გამოიწვია ერთგვარი ქაოსი. უმჯობესი იქნებოდა, აეღო ინტერვიუ A მოსწავლეს და შემდეგ დამევალებინა B-სთვის იგივეს გაკეთება და ა.შ.

შემდეგში როდესაც ამ მეთოდის გამოყენებას გადავწყვეტ, აუცილებლად გავითვალისწინებ ამ გამოცდილებას უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ჩვენ, მასწავლებლები, ხშირად გამოვიყენებთ აღნიშნულ მეთოდს, რათა ჩვენი გაკვეთილები გავხადოთ უფრო სახალისო, საინტერესო და გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები – ჯიგსოუს ტექნიკა

სოფიკო ლობჟანიძე

ჯიგსოუს ტექნიკა განავითარეს და პრაქტიკაში გამოსცადეს არონსონმა და მისმა სტუდენტებმა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჯერ – ტეხასის, მერე კი კალიფორნიის უნივერსიტეტებში. 1978 წელს არონსონმა თავის წიგნში „Jigsaw Classroom“ დაწვრილებით აღწერა როგორც თავად მეთოდი, ასევე მასთან დაკავშირებული კვლევები და ხელმისაწვდომი გახადა იგი ფართო საზოგადოებისთვის. არონსონის მიხედვით, ჯიგსოუს ტექნიკა იყო მეთოდური მცდელობა, დაეძლია საკლასო ოთახში იმხანად ჯერ კიდევ არსებული სეგრეგაცია და, აქედან გამომდინარე, რასობრივი დაძაბულობა. ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრმა არონსონი ისეთი მეთოდური სისტემის შექმნამდე მიიყვანა, რომელშიც მოსწავლეები მნიშვნელოვან რესურსად განიხილებოდნენ და რომელიც **ჯიგსოუ ერთის** სახელწოდებით არის ცნობილი.

არონსონის მიხედვით, ჯიგსოუს ტექნიკა ხუთი ფაზისაგან შედგება:

- შესავალი;
- ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით;
- თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში;
- თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში;
- თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება.

პირველი ფაზა: შესავალი

ამ ფაზაში მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს განსახილველ თემას და მოსწავლეებს გააცნობს ჯიგსოუს ტექნიკას. შემდეგ იქმნება ძირითადი ჯგუფები. თითოეულში შედის არა უმეტეს ექვსი მოსწავლისა. დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია, რომ ჯგუფი უნდა იყოს ჰეტეროგენული სქესის, წარ-

მომავლობისა და უნარების მიხედვით, რაც მოსწავლეებს ტოლერანტობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობათა გამომუშავებაში ეხმარება. ამის შემდეგ ხდება ძირითადი ჯგუფებიდან ე.წ. ჯგუფის ხელმძღვანელის არჩევა, რომელიც პასუხისმგებელია მუშაობის პერიოდში ჯგუფის მობილიზებაზე.

**მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება
ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით**

მოსწავლეებელი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც არის თითოეულ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფში. თემის ნაწილები უნდა იყოს თანაბარი სირთულისა და მათ დამუშავებას უნდა სჭირდებოდეს ერთი და იგივე დრო.

თითოეული ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფი ამუშავებს ერთსა და იმავე თემას. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი ნაწილი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ამუშავებს.

მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში

მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. მოსწავლეები, რომელთაც დაამუშავეს ერთი და იგივე ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება იმდენი ექსპერტთა ჯგუფი, რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების შიგნით მოსწავლეები აჯერებენ ინდივიდუალურად მოპოვებულ ცოდნას და მსჯელობენ იმაზე, როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფის სხვა წევრებს.

მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში

მეოთხე ფაზაში მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. ცალკეულ

ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ამ ნაწილებს აერთიანებენ და დასამუშავებელ თემას ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.

მეხუთე ფაზა: თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება

დასკვნით, მეხუთე ფაზაში მოწმდება, რამდენად აითვისა თითოეულმა მოსწავლემ თემა. ჯგუფის საერთო წარმატების გაზომვას არონსონის მეთოდი არ ითვალისწინებს. იმართება საკლასო დისკუსია, სადაც განიხილება ჩატარებული სამუშაოს შედეგები – რამდენად კარგად შესრულდა იგი, სად იჩინა თავი დაბრკოლებამ და რატომ, მომავალში როგორ შეიძლება უკეთესი შედეგის მიღება.

ჯგუფებში მოსწავლეთა განაწილება უნდა მოხდეს შემდეგი სქემის მიხედვით:

ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფები:

ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი
A1, A2, A3, A4, A5	B1, B2, B3, B4, B5	C1, C2, C3, C4, C5	D1, D2, D3, D4, D5	E1, E2, E3, E4, E5

ექსპერტთა ჯგუფები:

ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი	ჯგუფი
A1, B1, C1, D1, E1	A2, B2, C2, D2, E2	A3, B3, C3, D3, E3	A4, B4, C4, D4, E4	A5, B5, C5, D5, E5

ჯიგსოუ ორი რობერტ სლავინის მიხედვით

არონსონისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებასა და კლასთან ინტეგრაციაზე აკეთებს, სლავინი ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგნობრივი კომპეტენციის განვითარებასაც.

ჯიგსოუს ამ ორ ტექნიკას შორის ძირითადი განსხვავება ასეთია: ჯიგსოუ ერთისგან განსხვავებით, ჯიგსოუ ორში

- ჯგუფის ხელმძღვანელი მოსწავლეთა რიგებიდან არ სახელდება – მის ფუნქციას თავად იკისრებს მასწავლებელი;
- ჯგუფის ყველა წევრს მთელ დასამუშავებელ მასალაზე მიუწვდება ხელი.

მესამე და მეოთხე ფაზა ისევე მიმდინარეობს, როგორც ჰიგსოუს ერთში. ძირითადი განსხვავება მეხუთე ფაზაშია.

მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად სლავინმა შექმნა ე.წ. STAND (Student Team-Achievement Divisions) სისტემა. ჰიგსოუს ერთისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებს აფასებენ, ჰიგსოუს ორში ფასდება ჯგუფის მიღწევაც. ძირითადი/ჰიგსოუს ჯგუფის ყოველი მოსწავლე ზომავს ინდივიდუალური მიღწევის ზრდას (მაგალითად, „ბოლოსწინა ტესტში დავიმსახურე 10 ქულა, ბოლო ტესტში – 12 ქულა. აქედან გამომდინარე, მიღწევის ზრდაა 20%“). ამგვარად, მოსწავლე თავის ახლანდელ მოსწრებას ადარებს თავისსავე წინა შედეგს და ამგვარად ხედავს საკუთარ პროგრესს. ჯგუფის მიღწევის გასაზომად კი ჯგუფის თითოეული მონაწილის მიღწევის კოეფიციენტები იკრიბება და ჯგუფის წევრების რაოდენობაზე იყოფა. ამგვარ შეფასებას ჰიგსოუს ერთთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მოსწავლეებს უვითარებს ორმაგ – როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ – პასუხისმგებლობას.

მეთოდის ძლიერი მხარეები:

კვლევებმა ცხადყო, რომ

- ჰიგსოუს ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეები უკეთეს შედეგს იღებენ;
- მოსწავლეებს უმაღლდებათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარი;
- უვითარდებთ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ინტერესები;
- კლასში, სადაც ამ მეთოდს იყენებენ, მაღლდება მოსწავლეთა ურთიერთ-ტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა;
- მოსწავლეებს უვითარდებთ კომუნიკაციური უნარები;
- მოსწავლეებს უვითარდებთ თვითშეფასებისა და საკუთარ პროგრესზე დაკვირვების უნარი.

მეთოდის სუსტი მხარეები:

- შედარებით „სუსტი“ მოსწავლეებისთვის ერთგვარი წნეხია თემის ნაწილის დამოუკიდებლად დამუშავება. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია წყვილში მუშაობით ან მასწავლებლის დახმარებით.

- მეთოდის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მის გამოყენებას სჭირდება 20-30%-ით უფრო მეტი დრო, ვიდრე იმავე თემის ტრადიციული მეთოდით დამუშავებას.
- ექსპერტ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის სხვადასხვა ხარისხით მიწოდება (მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობების კვალობაზე) შესაძლოა საბოლოო შედეგებს ავნოს.

ჯიგსოუს ტექნიკა უნივერსალური მეთოდია, რომელიც შეიძლება თითქმის ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელმა სწავლების ყველა საფეხურზე გამოიყენოს.

სკოლა: სსიპ – ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ნაზიმბოლა გოჩიაშვილი

საგანი: მუსიკა

კლასი: VI

მოსწავლეთა პროფილი: 30 მოსწავლე

თემა: ფრედერიკ შოპენის ბიოგრაფია

მიზანი: კომუნიკაციისა და პრეზენტაციის, თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

მუს.VI.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.

- ითვალისწინებს და იყენებს ჯგუფის წევრების შესაძლებლობებს;
- ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში თავად ითხოვს დახმარებას;
- კამათის დროს ისმენს და ითვალისწინებს ჯგუფის წევრის არგუმენტს;
- აფასებს საკუთარ და სხვის მიერ გაწეულ სამუშაოს.

მუს.VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება.

- გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად, ნახატით, ჩანაწერის სახით;

მუს.VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს.

- საუბრობს კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ

სწავლების მეთოდები: ჯიგსოუს ტექნიკა, უკუკავშირი წრეზე.

კლასის ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო და ჯგუფური.

რესურსები: ფლიფჩარტები, მარკერები, პროექტორი, ხმის გამაძლიერებლები

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო, ჯგუფური

გაკვეთილის აღწერა: (გაკვეთილის ხანგრძლივობა – 90 წთ)

გამოწვევის ფაზა (10 წთ) – იმისათვის რომ გავზარდო ინტერესი და მოტივაცია მოსწავლეებს ვაჩვენებ პრეზენტაციას „ფ. შოპენის ცხოვრება“, რომელშიც ასახული იქნება კომპოზიტორის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ფაქტები. მოსწავლეები მსჯელობენ ნაწახ პრეზენტაციაზე. თავად აყალიბებენ და აფიქსირებენ საკუთარ აზრს ან მოსწავლეებელს მიჰყავს გაკვეთილის მთავარ თეზამდე. იგი აქვე აზუსტებს გაკვეთილის მიზანს და მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ მითითებებს გაკვეთილზე გამოსაყენებელი მეთოდის შესახებ.

ჯიგსოუს ტექნიკის პირველი ფაზა: (5წთ) – პედაგოგი ქმნის, ძირითად ჯგუფებს არაუმეტეს ექვსი მოსწავლისა თითოეულ ჯგუფში. ჯგუფების დაკომპლექტებისას პედაგოგი ითვალისწინებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს და უნარ-ჩვევებს, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობით მუშაობაში. ამის შემდეგ თითოეული ჯგუფიდან პედაგოგი ირჩევს ე.წ. ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია მუშაობის პერიოდში ჯგუფის მობილიზებაზე.

საკითხის სიღრმისეული წვდომა: (15 წთ) – ჯიგსოუს ტექნიკის მეორე ფაზა: მოსწავლეებელი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც არის თითოეულ ჯგუფში. მასალა არის თანაბარი სირთულის, რომ ბავშვებმა შეძლონ ერთი და იგივე დროში მისი შესწავლა. თითოეული ჯგუფი ამუშავებს ერთი და იმავე თემას. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი ნაწილი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ამუშავებს.

I ჯგუფი – კომპოზიტორის ბავშვობა – პირველი ნაწილი

II ჯგუფი – კომპოზიტორის ბავშვობა – მეორე ნაწილი

III ჯგუფი – ახალგაზრდობის წლები

IV ჯგუფი – შემოქმედება

V ჯგუფი – სიცოცხლის ბოლო წლები

ჯიგსოუს ტექნიკის მესამე ფაზა: (10 წთ) მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. მოსწავლეები, რომელთაც დაამუშავეს ერთი და იგივე

ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება ექსპერტთა იმდენი ჯგუფი, რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების შიგნით მოსწავლეები აჯერებენ ინდივიდუალურად მოპოვებულ ცოდნას და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფის სხვა წევრებს.

ჯიგსოუს ტექნიკის მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში (15 წთ)

მეოთხე ფაზაში მოსწავლეები ბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ მთლიანი თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ახდენენ ამ ნაწილების გაერთიანებას და დასამუშავებელი თემის ერთ მთლიანობაში მოაზრებას. მოსწავლეებს ნამუშევრები გადააქვთ ფლიფჩარტზე.

მუხუთე ფაზა: თითოეული ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას. ჯგუფები უსმენენ ერთმანეთის პრეზენტაციებს. სვამენ შეკითხვებს და ა.შ. (20 წთ.)

შეჯამება-შეფასება (10 წთ) – აზრების წრე. თითოეული მოსწავლე ასრულებს მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ ფრაზას ამ გაკვეთილის შემდეგ მე შოპენის შესახებ გავიგე, რომ...

მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს ზეპირი კომენტარით.

შეფასება: განმავითარებელი-მასწავლებლის ზეპირი კომენტარი.

შედეგი: მოსწავლე მსჯელობს კომპოზიტორის ბიოგრაფიის და შემოქმედების შესახებ.

მასწავლებლის თვითშეფასება-მასწავლებლის კომენტარი

გააკვეთილის რეფლექსია

მუდმივად ვცდილობ მოვიძიო და საკუთარ პრაქტიკაში აქტიურად დავნერგო სწავლების საინტერესო მეთოდები. ვცდილობ ჩემს საგანში განსახილველი თეორიული საკითხების მიწოდების პროცესი მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით ინტერაქტიური გავხადო. ჯიგსოუს ტექნიკის შესახებ სკოლაში ჩატარებულ ერთ-ერთ სემინარზე შევითქვე. მოგვიანებით სტატია ინტერნეტ ჟურნალ mastsavlebeli.ge-ზეც წავიკითხე. მიუხედავად იმისა, რომ

მეთოდის აღწერაში თითქოს კითხვის უნარებზე კეთდებოდა აქცენტი, იქვე იყო აღნიშნული, რომ ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებში კომუნიკაციის და თანამშრომლობით უნარებს განვავითარებდით, რაც ყველა საგნის მასწავლებლის მოვალეობაა.

ვფიქრობ, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, შეცვლილი დასახული მიზნების განხორციელება. მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ გაკვეთილში.

თუმცა, იყო გარკვეული სირთულეები. კერძოდ:

1. **მოსწავლეთა დაჯგუფება და ინსტრუქციის მიცემა** – მოსწავლეებს საწყის ეტაპზევე აუვხსენი მეთოდის მიმდინარეობა, რამაც ვფიქრობ, ისინი გარკვეულწილად დააბნია. პირველი ინსტრუქციის დროს, ზოგიერთი მოსწავლე მეორე ინსტრუქციას მიყვებოდა და ა.შ. ზოგადად, ჯგუფებში გადანაწილებამ დაგეგმილზე მეტი დრო წაიღო, თუმცა გაკვეთილისთვის წინასწარ გათვლილი დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა;
2. **ჯგუფებში მოსწავლეთა გადანაწილება** – ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ჯგუფში მოხვდა ისეთი სამი მოსწავლე, რომლებიც არ გამოირჩევიან შესაბამისი უნარებით და ჯგუფმა ვერ მოახერხა ტექსტის ეფექტიანად გამთლიანება;
3. **მოსწავლეთა წინასწარ გათვლილი რაოდენობა** კლასში არ იყო, ამიტომ ერთ-ერთ ჯგუფს შეურთდა სტუდენტი, რომელიც გაკვეთილს გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებოდა.

მართალია, გეგმით არ მქონდა განსაზღვრული, მაგრამ გადავწყიტე მოსწავლეებს პრეზენტაციებისას დავხმარებოდი შოპენის ბიოგრაფიისა თუ შემოქმედების ამსახველი ფოტოებით. ეს ფოტომასალა მოსწავლეებმა ძალიან ეფექტურად გამოიყენეს და ფლიფჩარტებზე გადატანილ ტექსტთან ერთად ფოტოებმა პრეზენტაციები საინტერესო გახადა.

შემდეგში როდესაც ამ მეთოდის გამოყენებას გადავწყვეტ, აუცილებლად გავითვალისწინებ ამ გამოცდილებას უკეთესი შედეგის მისაღწევად.

როგორ ვიმუშაოთ გონებრივი რუკით

სოფიკო ლობჟანიძე


მეთოდის აღწერა

„გონებრივი რუკა“ (Mind-Mapping) მეთოდია, რომელიც მოქნილი და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას იძლევა. ეს მეთოდი მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში განავითარა ინგლისელმა მეცნიერმა ტონი ბუზან-მა ნეიროფიზიოლოგიური ჰიპოთეზის საფუძველზე (Buzan, T./ Buzan, B.: Das Mind-Map-Buch, Die beste Methode zur Steigerung Ihres geistigen Potenzials. 5. aktualisierte Aufl.- Landsberg, München (mvg) 2002).

„გონებრივი რუკა“ თვალსაჩინო ჩანიშვნების გაკეთების ხერხებს მოიცავს. კლასიკური, სწორხაზოვანი ჩანაწერებისგან განსხვავებით, მისი სტრუქტურა შეხედვისთანავე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცენტრალურ თემასა და მის შემადგენელ ნაწილებზე – ცენტრში დგას თემა/მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც შემადგენელ ნაწილებად არის დატოტვილი. ასეთი ვიზუალიზაცია გვეხმარება საკითხის დაგეგმვასა და ორგანიზებაში, თემის მთლიანობის აღქმაში, რეფერატებისა და პრეზენტაციების სტრუქტურირებაში.

მეთოდის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება

მეთოდის შემუშავებისას ტონი ბუზანი ეყრდნობოდა ტვინის ფუნქციის შესახებ შემდეგ ჰიპოთეზას: ადამიანის ტვინი ორი – მარჯვენა და მარცხენა – ნახევარსფეროსგან შედგება; კვლევები მოწმობს, რომ, თუმცაღა ამ ჰემისფეროებს განსხვავებული ფუნქციები აქვთ, ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. მარცხენა განაგებს ისეთ უნარებს, როგორიცაა ლაპარაკი, წერა, კითხვა, მათემატიკური ცნობიერება, რაციონალური აზროვნება, ლოგიკა, სწორხაზოვნება, ანალიზი, მაშინ როცა მარჯვენა უმთავრესად სივრცის აღქმას, ფანტაზიას, ფერს, ფორმას აკონტროლებს.



ამ ცოდნაზე დაყრდნობით ტონი ბუზანი ავითარებს „გონებრივი რუკის“ ტექნიკას, რომლის გამოყენებისას ამოქმედდება ორივე ჰემისფერო და მიიღწევა სინერგიული ეფექტი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გონებრივ შესაძლებლობებს.

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამროვნება არ არის წრფივი. ეს კომპლექსური პროცესია, რომლის დროსაც გონებაში გამუდმებით წარმოიქმნება ახალი, საკვანძო სიტყვებით გამოწვეული ასოციაციები და სტრუქტურები. მას ყოველთვის შეუძლია, ერთი საკითხიდან მეორეზე გადახტეს და პირიქით. დეტალები ჩვენს ამროვნებაში შეიძლება დაემატოს, ვარირდეს ან დაიმალოს, დამყარდეს კავშირები ცოდნის სხვა სფეროებთან. ასე წარმოიქმნება გონებაში ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციის ქსელი.

„გონებრივი რუკის“ მეთოდს მრავალ სფეროში იყენებენ. განსაკუთრებული გამოყენება პოვა მან საგანმანათლებლო სფეროში – როგორც აკადემიური განათლების პროცესში, ასევე საწვრთნელ/სატრენინგო პროგრამებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მეთოდი გვეხმარება დაგეგმვაში, პრეზენტაციაში, ორგანიზებაში, საკითხზე ერთიანი წარმოდგენის შექმნაში, შინაარსის დამუშავებასა და გადამუშავებაში, იდეების შეგროვებაში.


იდეების შეგროვების ცნობილი მეთოდია „გონებრივი იერიში“, რომლის პირველი ეტაპის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი კრეატიული იდეის გენერირება. სწორედ იდეების სიუხვე და ფანტაზიის ხელშეწყობაა „გონებრივი იერიშის“ ძლიერი მხარე. გონებრივი იერიში შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ „გონებრივ რუკასთან“ ერთად: „გონებრივი იერიშით“ ნაპოვნი იდეები „გონებრივი რუკის“ საშუალებით დავასათაუროთ, დავალაგოთ და მივიღოთ

პირველი სტრუქტურა. ეს სათაურები წარმოადგენს „გონებრივი რუკის“ პირველ ტოტებს. ეს არის საუკეთესო გზა, შედეგები დავიწყებას არ მიეცეს და ვიზუალიზაციით ხელი შევუწყოთ, დავუბრუნდეთ თემას, გავისხენოთ და ჩავუღრმავდეთ მას.

მეთოდის გამოყენება

- გონებრივ რუკაზე მუშაობისას ფლიფხარტი უნდა მოვათავსოთ ჰორიზონტალურად.
- გონებრივი რუკის ძირითადი თემა უნდა მოვათავსოთ ფლიფხარტის ცენტრში. უმჯობესია, იგი წარმოვადგინოთ სიმბოლოთი, სურათით ან პატარა ესკიზით, რომელიც ნათლად აღწერს ძირითად თემას.
უნდა გვახსოვდეს, რომ სურათი უფრო მეტს ამბობს, ვიდრე 1000 სიტყვა!
- ცენტრალურ თემაზე/ნახატზე დაკვირვებისას ვუღრმავდებით ჩვენს აზრებს, გამოვყოფთ პუნქტებს. თითოეულ პუნქტს ვუსადაგებთ საკვანძო სიტყვას და ე.წ. მთავარი ტოტებით ვაკავშირებთ ცენტრალურ თემასთან/ნახატთან.
ეს საკვანძო სიტყვები ფლიფხარტზე დატანილი უნდა იქნეს გარკვევით და ისეთი ზომის ასოებით, რომ ყველა მოსწავლემ/მონაწილემ დაინახოს. თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით ჩვენს აზროვნებას, თითოეული პუნქტი კვლავ დაიშლება ქვეპუნქტებად, რომლებიც დამატებითი ტოტებით დაუკავშირდება ძირითადს და ა.შ.
- სასურველია, გამოვიყენოთ სხვადასხვა ფერის მარკერები – ეს გაზრდის გამოსახულების აღქმადობას. იმის ხაზგასასმელად, რომ ესა თუ ის აზრი ან იდეა უკავშირდება რომელიმე სხვას, შეგვიძლია გამოვსახოთ ისინი ერთი და იმავე ფერით. ისრები, გეომეტრიული ფიგურები, პატარა სურათები, ძახილისა თუ კითხვის ნიშნები, ჩვენ მიერ შექმნილი სიმბოლოები რაც შეიძლება ხშირად უნდა გამოვიყენოთ, რადგან ეს აადვილებს შინაარსის ჩაწერას და სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნასა თუ დაკავშირებაში გვეხმარება.

გთავაზობთ ამ მეთოდით მუშაობის ძირითად წესებს, წარმოდგენილს გონებრივ რუკაზე.



„გონებრივი რუკის“ მეთოდის გამოყენება მაშინ ჩაითვლება წარმატებულად, თუ დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. თემისა და მიზნის განმარტება;
2. ყოველი მოსწავლის/მონაწილის მიერ ბლიც გონებრივი რუკის ინდივიდუალურად შექმნა;
3. დისკუსია მცირე ჯგუფებში და ინდივიდუალურად შექმნილი რუკების განვითარება;
4. ინდივიდუალური გონებრივი რუკების შეჯერებით საერთო რუკის შემუშავება და ფლიფჩარტზე გადატანა;
5. ანალიზი და გადაწყვეტილების პოვნა – ამ ფაზაში მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები, დასახულია მიზანი და მოხაზულია გეგმა.

მეთოდის უპირატესობა

- ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელია;
- ადვილი გასაგებია, საშუალებას იძლევა, ერთმანეთთან კომუნიკაციის გზით მრავალფეროვანი იდეები ზუსტად და მკაფიოდ ჩამოვყალიბოთ და მოვიყვანოთ სტრუქტურაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს შემოქმედებითი, კომუნიკაციური და სოციალური უნარების განვითარებას;
- „გონებრივი რუკა“ არ არის სტატიკური, ყოველ წუთს შეიძლება მისი ახალი-ახალი იდეებით შევსება;

- აადვილებს სწავლას და ზრდის მოტივაციას;
- კონსტრუქტივისტული მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის/მონაწილის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

საკმაოდ კრეატიულად შეიძლება „გონებრივი რუკის“ ინტეგრირება მრავალ სხვა სისტემურ-კონსტრუქტივისტულ მეთოდთან, რაც მის ეფექტურობას ამძლევს. მაგალითად, შედეგიანია უკუკავშირის მეთოდის ვიზუალურად წარმოდგენა „გონებრივი რუკის“ მეშვეობით. მისი ეფექტური გამოყენება ასევე შესაძლებელია მოდერაციის/დისკუსიის დროს და ა.შ.

ბაკვეთილის გეგმა

სკოლა: სსიპ – ქალაქ თბილისის 26-ე საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ელზა გარაყანიძე

კლასი: VII

საგანი – მუსიკა

თემა – ორკესტრი

გაკვეთილის მიზანი – მოსწავლე შეძლებს ამოიცნოს და განასხვავოს სხვადასხვა ტიპის ორკესტრები, თითოეული ორკესტრის ტიპს შეუსაბამოს შესაბამისი საკრავთა ჯგუფი და მასში შემავალი საკრავები.

შედეგები (ესგ): მუს. VII.2. მოსწავლე მღერის მარტო და სხვებთან ერთად;
 მუს.VII.8. მოსწავლე უსმენს მუსიკალურ ნაწარმოებს და გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას;
 მუს.VII.6. მოსწავლე ავლენს ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევას;
 მუს.VII.13. მოსწავლე განიხილავს და ადარებს ერთმანეთს მოსმენილ ნაწარმოებებს;
 მუს.VII.14. მოსწავლე ასხვავებს მუსიკალურ საკრავებს.

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 45 წუთი.

კლასის ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური

სასწავლო რესურსები: მოსასმენი აპარატურა, პროექტორი, ფლიფჩარტი, სხვადასხვა ფერის მარკერები, დოლურა, ფერადი სტიკერები, აუდიო ჩანაწერები და ვიდეო კადრები: რ. ლალიძე – საორკესტრო პიესა „საჭიდაო“ სიმფონიური ორკესტრისთვის, ვ. აზარაშვილი – „ნოქტიურნი“ კამერული ორკესტრისთვის, საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი-სასული ორკესტ-

რისთვის, ქართული ხალხური მელოდიების პოპური-ხალხურ საკრავთა ორკესტრისთვის.

სტრატეგიები: გონებრივი რუკა, კითხვა-პასუხი, უკუკავშირი.

გაკვეთილის აღწერა:

I ფაზა (15-17 წთ)

საკლასო ოთახში დაფასთან ახლოს კედელზე გაკრულია ფლიფჩარტი ჰორიზონტალურად, რომლის ცენტრშიც წარმოდგენილი იქნება გაკვეთილის ძირითადი თემის – ორკესტრის შესაბამისი სურათი. მოსწავლეები პროექტორით ნახავენ და მოისმენენ რ. ლალიძის „საჭიდაოდან“ ფრაგმენტებს ვიდეო კადრების სახით. შემდეგ ვსვამ კითხვებს:

- ვინ ასრულებს ამ ნაწარმოებს?
- რა ჰქვია მუსიკოს-შემსრულებელთა ამ კოლექტივს?
- რა ქმნის საორკესტრო ხმოვანებას?
- რით განსხვავდება ორკესტრში შემავალი სხვადასხვა საკრავის ჟღერადობა ერთმანეთისგან?

მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ყველა საინტერესო მოსაზრებას ვწერ დაფაზე: მოსწავლეები სავარაუდოდ გააკეთებენ დასკვნას, რომ საორკესტრო ხმოვანება იქმნება არა მარტო საკრავთა რაოდენობით, არამედ მათი ჟღერადობით. მათ თავად უნდა მიაგნონ სიტყვა „ტემბრი“-ს განმარტებას, რომ სწორედ საკრავთა ტემბრით, მათი რაოდენობითა და მრავალფეროვნებით იქმნება საორკესტრო ხმოვანება. მასწავლებელი ფლიფჩარტზე წარმოდგენილ ცენტრალურ სიტყვას უკავშირებს განსხვავებული ფერის მარკერით გამოყოფილ პუნქტს – სიმფონიური ორკესტრი.

მოსწავლეები პროექტორით ნახავენ და მოისმენენ ვ. აზარაშვილის „ნოქტიურნიდან“ ფრაგმენტებს ვიდეო კადრების სახით, რომელიც შესრულებულია კამერული ორკესტრის მიერ. ფრაგმენტის ნახვის შემდეგ ვსვამ კითხვებს: თქვენ მიერ მოსმენილი ორი მუსიკალური ნიმუშიდან რომელი საორკესტრო ხმოვანება გამოირჩევა საკრავთა მრავალრიცხოვანი ტემბრით? სავარაუდოდ მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ აზრს, რომ პირველ ფრაგმენტ-

ში საორკესტრო ხმოვანება უფრო მძლავრი, სავსე ჟღერადობისაა და უფრო მრავალგვარი ტემბრი ისმის ვიდრე მეორეში. მასწავლებელი ფლიფჩარტზე წარმოდგენილ ცენტრალურ სიტყვას უკავშირებს განსხვავებული ფერის მარკერით გამოყოფილ პუნქტს – კამერული ორკესტრი.

მოსწავლეები პროექტორით ნახავენ და მოისმენენ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ჩანაწერს სასულე ორკესტრის შესრულებით. შემდეგ ვსვამ კითხვას: სად უნახავთ ამგვარი ორკესტრი? სავარაუდოდ მოსწავლეები პასუხობენ – სამხედრო აღლუმზე. მასწავლებელი ფლიფჩარტზე წარმოდგენილ ცენტრალურ სიტყვას უკავშირებს მესამე განსხვავებული ფერის მარკერით გამოყოფილ პუნქტს – სასულე ორკესტრი. მოსწავლეები რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს გამძლეობის შემდეგ სასულე ორკესტრის ჩანაწერის თანხლებით იმღერებენ ჰიმნს.

მოსწავლეები პროექტორით ნახავენ და მოისმენენ ქართული ხალხური მელოდიების პოპურის ფრაგმენტებს ვიდეო კადრების სახით, რომლებიც შესრულებულია ხალხურ-საკრავთა ორკესტრის მიერ. მასწავლებელი სვამს კითხვას: უნახავთ თუ არა ამგვარი ორკესტრი? რა ჰქვია ამ ტიპის ორკესტრს? მასწავლებელი ფლიფჩარტზე წარმოდგენილ ცენტრალურ სიტყვას უკავშირებს ამჯერადაც განსხვავებული ფერის მარკერით გამოყოფილ პუნქტს – ხალხურ-საკრავთა ორკესტრი.

II ფაზა (13-15 წთ)

მოსწავლეები პატარა დოლურიდან ამოიღებენ სხვადასხვა ფერის სტიკერებს და დაჯდებიან იმ ჯგუფებში, რომლებსაც აქვთ მათ მიერ ამოღებული სტიკერის შესაბამისი ფერის წარწერები: სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრი, სასულე ორკესტრი და ხალხურ საკრავთა ორკესტრი. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას. მათ უნდა ჩამოაყალიბონ რას ნიშნავს სიტყვა ორკესტრი, ვინ ხელმძღვანელობს მას; განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი ორკესტრის სახე; წარმოაჩინონ მათ მიერ წარმოდგენილი ორკესტრში შემავალი საკრავები.

III ფაზა (15 წთ)

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს და აგრძელებენ გონებრივი რუკის შევსებას – იგივე ფერის მარკერით ორკესტრს ისრებით უკავშირებენ შესაბამის საკრავთა ჯგუფს და მათში შემავალ საკრავებს.

რეფლექსია

85

მოსწავლეთა გახალისებასა და საკითხში შესვლას. ჩემ მიერ ფლიფნარტზე „გონებრივი რუკის“ წარმოდგენისას, ძირითადი თემის ამსახველი შესაბამისი სურათის მოთავსება დაეხმარა მოსწავლეებს თემის ნათლად გააზრებასა და სტრუქტურირებაში, ასევე სხვადასხვა ფერის მარკერების გამოყენებამ გააღვილა გაკვეთილის თემის სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნა და გაზარდა გამოსახულების აღქმადობა.

ჯგუფების ფორმირება მოვახდინე უშუალოდ ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე, რადგან წინარე გამოცდილებამ მიჩვენა, რომ როდესაც გაკვეთილის დაწყებიდანვე დავაკომბლექტე ჯგუფები იმ მიზნით, რომ დრო აღარ დამეკარგა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჯგუფებში გადანაწილებაზე, ამან გამოიწვია დაბრკოლება, რადგან ჯგუფურ მუშაობამდე გამოყენებული აქტივობები და სტრატეგიები არ შეესაბამებოდა კლასის ორგანიზების ფორმას.

განსაკუთრებით კმაყოფილი დავრჩი ჯგუფური მუშაობით, რაც აისახა ჯგუფებში გონებრივი რუკის შეჯერებით საერთო რუკის შემუშავებასა და ფლიფნარტზე ჯგუფების მიერ გამოყოფილი პუნქტების შევსებაში.

ვფიქრობ, გაკვეთილის დასასრულს გამოყენებული მოსწავლეთა უკუკავშირის მეთოდები საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა მოსწავლეთათვის და ბევრის მომცემი ჩემთვის, რადგან მოსწავლეთა უკუკავშირის გავითვალისწინებ შემდეგი გაკვეთილების დაგეგმვისას და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისას.

პროექტგაკვეთილი

სოფიკო ლოპხანიძე

როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი

მასწავლებლის პორტფოლიოს ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტგაკვეთილი, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

პროექტგაკვეთილი არის სწავლების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას, მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და წარმოადგენენ ერთ საერთო პროდუქტს.

პედაგოგიურ ლიტერატურაში პროექტგაკვეთილის სხვადასხვა სინონიმი გვხვდება:

პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პროექტი და სხვ.

პროექტგაკვეთილი როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს, რომლებიც მას არსებითად განასხვავებს ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის – როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის – კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას, როგორც სასწავლო პარტნიორმა, სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია.

პროექტგაკვეთილის დამახასიათებელი ნიშნები

სწავლების სხვა მეთოდებისგან პროექტგაკვეთილი შემდეგი ტიპობრივი ნიშნებით გამოირჩევა:

- პროექტის ინიციატივა მომდინარეობს პროექტის მონაწილეთაგან – როგორც მასწავლებლისგან, ასევე მოსწავლეებისგან;
- პროექტის მონაწილეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებზე;
- ერთად ავითარებენ პროექტის ინიციატივას, რათა საქმიანობა იყოს გააზრებული და რაციონალური;
- თანხმდებიან პროექტგაკვეთილის მიზანზე, აქტივობებზე, მუშაობის პირობებზე, სავარაუდო შედეგებზე;
- თავად შემოსაზღვრავენ დროით ჩარჩოს და ამ დროს სხვადასხვა აქტივობაზე ანაწილებენ;
- თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე – შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს;
- მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწყვენ ორივეს, ორივეს კრიტიკულად აფასებენ და ავითარებენ;
- მოსწავლეებს უვითარდებათ თვითორგანიზაციისა და თვითპასუხისმგებლობის გრძნობა;
- აფასებენ როგორც საკუთარ, ასევე პროექტის სხვა მონაწილეთა საქმიანობას;
- გრძნობენ მუშაობის პროცესში თავჩენილ პრობლემებს, დაძაბულობასა და კონფლიქტებს და ცდილობენ მათ მოგვარებას;
- მზად არიან სხვადასხვა სიტუაციაში ერთმანეთის დასახმარებლად, მაშინაც კი, როცა მათი ინდივიდუალური ინტერესი არ არის წინა პლანზე;
- საქმე აქვთ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და საგნებთან;
- მსჯელობენ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც თავად აწყდებიან, ეძებენ მათი მოგვარების გზებს;
- თავად გეგმავენ და აწარმოებენ კვლევის პროცესს;
- თვალნათლივ ხედავენ პროექტის შედეგს;
- ხშირად იღებენ მათთვის გამოსადეგ პროდუქტს.

რა სფეროებს შეიძლება მოიცავდეს პროექტგაკვეთილის თემა?

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მონაწილეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე ახლის დაშენებას. ამასთან, პროექტმეთოდში

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეთა მოთხოვნელებს, მიდრეკილებებსა და ინტერესებს. პროექტგაკვეთილის თემა უნდა იყოს აქტუალური და იგი შესაძლოა:

- ეხებოდეს პრობლემას, რომლის გადაჭრა ერთი საგნის დისციპლინარული ცოდნით შემოიფარგლება, ანდა დისციპლინათაშორისი გამოცდილების გამოთვლიანებას ემსახურება. სასურველია, სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ პროექტგაკვეთილები, რადგან საგანთა მომცველ – ინტერდისციპლინარულ – პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში ეხმარება. ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ტრანსფერისა (ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენების) და სხვადასხვა დისციპლინური გამოცდილების სინთეზის უნარი.
- სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას და განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, სამოგადოებაში/თაობაში არსებული პრობლემით, მოსწავლეთა ინტერესით.

პროექტგაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- სასწავლო პროექტის თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მოსწავლე. ის არ უნდა იყოს მხოლოდ შემსრულებლის, მით უმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში;
- გადასატრელები პრობლემა პროექტის მონაწილეთათვის იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- პროექტგაკვეთილი დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირსშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის; მაშასადამე, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახუროდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია:

- მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობა და ამ მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენება;
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;

- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

უნარები, რომლებიც აუცილებელია პროექტზე სამუშაოდ

პროექტზე მუშაობის დროს სასწავლო პროექტის თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მოსწავლე. ის არ უნდა იყოს მხოლოდ შემსრულებლის, მით უმეტეს, ტექნიკური შემსრულებლის როლში;

- გადასატრედი პრობლემა პროექტის მონაწილეთათვის იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- პროექტგაკვეთილი დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირსშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის; მაშასადამე, დაგეგმილი აქტივობები უნდა ემსახურობდეს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია:

- მოსწავლეთა ასაკობრივი მზაობა და ამ მზაობის შესაბამისი რესურსების გამოყენება;
- საკმარისია თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

უნარები, რომლებიც აუცილებელია პროექტზე სამუშაოდ

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე – ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული ამროვნების უნარები. აუცილებელია, მასწავლებელმა როგორც ექსპერტმა იგრძნოს, როდის არის საჭირო ჩარევა და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. სპეციალისტები მასწავლებლის ამ როლს „მონაწილე ხელმძღ-

ვანელს“ უწოდებენ და ამით ნათელყოფენ, რომ მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას პასიურიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად, რათა მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც პროექტზე მუშაობას გაუადვილებს:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განსახორციელებლად;
- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დასამყარებლად, ერთობლივი განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოადგება;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოჩანაწერების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდებისა და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი – ერთ სიტუაციაში ნასწავლის სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც, საზოგადოების წინაშე წარსადგენად.

პროექტგაკვეთილების ხანგრძლივობა და მოცულობა

სასწავლო პროექტები მცირე, საშუალო და დიდ პროექტებად იყოფა.

მცირე პროექტები ორიდან ექვს საათამდე გრძელდება და ხშირად მხოლოდ ორი ან სამი კომპონენტისგან შედგება. საშუალო პროექტების ხანგრძლივობა საშუალოდ ერთი კვირა ან ორმოცი საათია, რომელიც შეიძლება გადანაწილდეს ერთ სემესტრზე. დიდი პროექტები შესაძლოა რამდენიმე წელი გრძელდებოდეს და მასში მონაწილეობდეს რამდენიმე ჯგუფი ან ინსტიტუტი.

პროექტმეთოდის სქემა

პროექტგაკვეთილს აქვს განსაზღვრული სტადიები. ნებისმიერ სტადიაზე მთავარია, მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ნამუშევარზე.

მოკლედ განვიხილოთ პროექტმეთოდის სქემა.

● პროექტის ინიციატივა

მასწავლებელი ან ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წევრი აღძრავენ სტიმულს კონკრეტულ პროექტზე. ისინი ჯგუფს გააცნობენ იდეას, მის აქტუალობას, მოუხაზავენ ამოცანებს. ეს არის მხოლოდ აუდიტორიისადმი/მომავალი პროექტის პოტენციური მონაწილეებისადმი მიმართული წინადადება. განვითარდება თუ არა ამ წინადადებისგან პროექტი, დისკუსიის შედეგად გადაწყდება.

● დისკუსია პროექტინიციატივის ირგვლივ (შედეგი – პროექტის მონახაზი)

ამ ეტაპზე ხდება პროექტინიციატივის განხილვა. შემოთავაზებული პროექტინიციატივა დისკუსიის დროს შესაძლოა შეივსოს, დაიხვეწოს. ხშირად ხდება, რომ ინიციატივა ახალ იდეებს წარმოშობს. პროექტის პოტენციური მონაწილეები განიხილავენ ყველა შეთავაზებულ იდეას, მათ აქტუალობას, მიზანს, განხორციელების შესაძლებლობას, მონაწილეობის სურვილს და სხვ.

დისკუსია პროექტინიციატივის ირგვლივ შესაძლოა ნეგატიური შედეგით დასრულდეს – პროექტის იდეამ ვერ პოვოს თანხმობა. პოზიტიური შეთანხმების შემთხვევაში დისკუსია სრულდება პროექტის მონახაზით.

● ქმედების სფეროს ერთობლივი განვითარება (შედეგი – პროექტის გეგმა)

ამ ეტაპზე მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ, როდის იწყებენ პროექტზე მუშაობას, რა აქტივობები/ამოცანებია განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად, რამდენი ხანი დასჭირდება თითოეული აქტივობის შესრულებას, რა რესურსებია აუცილებელი, სად შეიძლება მათი მოძიება, მოსწავლეები სათითაოდ იმუშავებენ თუ ჯგუფებად, ერთსა და იმავე თემებზე იმუშავებენ თუ სხვადასხვაზე, განსაზღვრავენ, რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პროექტის წარმატებით განხორციელებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები.

მაშასადამე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დამუშავდეს, ვინ, როგორ, რას და რა ხნის განმავლობაში აკეთებს. დასასრულ, უნდა შედგეს პროექტის გეგმა.

● დაგეგმილის განხორციელება

როდესაც პროექტის მონაწილეები შეთანხმდებიან პროექტის გეგმაზე და

წერილობით გააფორმებენ მას, იწყება პროექტის განხორციელება. პროექტის თითოეული მონაწილე პასუხისმგებელია იმ ამოცანაზე, რომლის შესრულებაც თავად იკისრა ან სხვა მონაწილეებმა დააკისრეს. პროექტის მიმდინარეობის პროცესში სასურველია მოხდეს მისი შუალედური შეფასება/მონიტორინგი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის გეგმითაც.

● პროექტის დასასრული

პროექტგაპროექტი სრულდება შედეგების პრეზენტაციით (წერილობითი ანგარიში, მაკეტი, აქცია, გამოფენა, კონფერენცია და ა.შ.).

● განხორციელებული პროექტის განხილვა და საბოლოო შეფასება

ამ ეტაპზე მონაწილეები კიდევ ერთხელ მსჯელობენ პროექტზე, მის შედეგზე, ამ შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც ხშირად ბადებს ახალი პროექტის განხორციელების იმპულსს. მაშასადამე, პროექტი მთავრდება და იბადება ახალი პროექტის იდეა.

როგორ უნდა გაფორმდეს პროექტის გეგმა?

- **პროექტის დასახელება** – პროექტის სათაურში ლაკონურად ასახეთ პროექტის ძირითადი არსი.
- **პრობლემის განსაზღვრა და მისი აქტუალობის დასაბუთება** – აღნიშნეთ კონკრეტული პრობლემა, რომელსაც ეძღვნება პროექტი და არგუმენტირებულად დასაბუთეთ მისი აქტუალობა.
- **მიზანი** – ჩამოაყალიბეთ პროექტის მიზანი, მოახდინეთ მისი ფორმულირება ნათლად და კომპაქტურად, აღწერეთ მოსალოდნელი შედეგები.
- **ამოცანები და განხორციელების გზები** – ამოცანები ის ეტაპებია, რომელთა თანამიმდევრული და ზუსტი განხორციელებით რეალიზდება მიზანი. მაშასადამე, ამოცანები არის საშუალება მიზნის მისაღწევად.

პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილი თითოეული ამოცანისთვის წარმოადგინეთ:

- მოკლედ და მკაფიოდ ფორმულირებული ამოცანების აღწერა;
- ამოცანის განსახორციელებლად საჭირო დრო;
- ამოცანის განსახორციელებლად საჭირო რესურსები;

- ამოცანის მოსალოდნელი შედეგი;
- მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა;
- ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი მთავარი პირი;
- მოსალოდნელი შედეგები – ამ ნაწილში უნდა აღწეროთ ის საგარეო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. შედეგები რეალისტური უნდა იყოს და პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობდეს. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით იქნება წარმოდგენილი. შედეგი შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... უმჯობესია, თუ აუდიტორიას გააცნობენ არა მარტო შედეგებს, არამედ პროექტზე მუშაობის ყველა სტადიის ამსახველ დოკუმენტებსაც, სადაც ჩანს, რას გრძნობენ მოსწავლეები პროექტთან დაკავშირებით, რა ცოდნა და უნარები შეიძინეს. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის ან უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე.
- პროექტის შეფასება და თვითშეფასება – ვინაიდან ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შესაძლოა რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმები, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარი. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია შეფასების მექანიზმი და პერიოდულობა – როგორ წარმოუდგენიათ პროექტის მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგი. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განხორციელებები აფასებენ, როგორი წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტის მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველი შედეგის მიღებას. გარე მონიტორების მხრიდან შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება, აგრეთვე, შეუწყობს ხელს პროექტის წარმატებით განხორციელებას. პროექტ-

ტის საბოლოო შეფასება კი საშუალებას აძლევს პროექტის განხორციელებას, დაინახონ მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ეს მომდევნო პროექტზე მუშაობისას გაითვალისწინონ.

- პროექტის ბიუჯეტი – არსებობს პროექტგაკვეთილები, რომელთა წარმატებით განხორციელებისთვის გარკვეული სახსრებია აუცილებელი. ამ შემთხვევაში პროექტის გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია პროექტის ბიუჯეტი, რომელიც ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებს. მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის შედგენისას თანხები ყველა საჭირო აქტივობასა და რესურსზე რაციონალურად და ადეკვატურად იყოს განაწილებული.

მაშასადამე, სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ფაზებად:

- ინიციატივა – ინიციატივა ჩნდება, იდეები პროექტგაკვეთილისთვის ნაპოვნია;
- დასაწყისი – პროექტი დაიწყო და დაიგეგმა;
- განხორციელება – პროექტი ხორციელდება;
- პრეზენტაცია – პროექტის შედეგების წარდგენა;
- შეფასება (რეფლექსია) – პროექტი ფასდება და გრძელდება.

პროექტგაპროექტის გეგმა

სკოლა: კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის საჯარო სკოლა

მასწავლებელი: ნინო დათუკიშვილი

ინტეგრირებული საგნები: ქართული, მათემატიკა, ბუნება

პროექტში მონაწილეობენ: II–III კლასის მოსწავლეები (კლასკომპლექტი)

პროექტის ვადები: ორი კვირა

პროექტის სახელწოდება: „რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში?“

პროექტის იდეა: მას შემდეგ, რაც მეორე კლასში გავიარეთ ი. გოგებაშვილის მოთხრობა „ფუტკარი და მტრედი“, ხოლო მესამე კლასში ი. კრილოვის ნაწარმოები „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (თარგმანი აკაკი წერეთლისა), მოსწავლეები დაინტერესდნენ მწერებით, რომელია სასარგებლო მწერი და რომელი – მავნე, რისთვის სჭირდება ისინი ბუნებას? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევთავაზე მათ პროექტის განხორციელებას.

პროექტის აქტუალობა: თემა აქტუალურია, რამდენადაც ბავშვები მწირ ინფორმაციას ფლობენ მწერების შესახებ; არ იციან, რა როლი აქვთ მათ ბუნებაში, რა სარგებლობა მოაქვთ, როგორია მათი სასიცოცხლო ციკლი. მათ ძალიან ხშირად ანადგურებენ. არადა, მწერები სასარგებლო ორგანიზმებია, როგორც მცენარეთა სამყაროსთვის, ისე ადამიანისთვის.

პროექტის მიზანი:

- მოსწავლეებმა მოიძიონ და გააანალიზონ ინფორმაცია სხვადასხვა სახის ილუსტრირებულ ტექსტებში;
- მოსწავლეებმა თავად მოიძიონ და იმსჯელონ მწერების ზრდისთვის აუცილებელ პირობებზე;
- მოსწავლეებმა შეაგროვონ ინფორმაცია და აღწერონ მწერების გარემო ფაქტორებზე დამოკიდებულება;
- მოსწავლეებმა გააცნობიერონ მწერების როლი ბუნებაში;
- ჩაატარონ მცირე კვლევა, თანატოლთა აზრით, ყველაზე სასარგებლო და ყველაზე ლამაზი მწერების გამოსავლენად და მონაცემები წარმოადგინონ პრეზენტაციის სახით.

პროექტის ამოცანები და განხორციელების გზები: პროექტის საწყის ეტაპზე გამოვიყენებ აქტივობას „ბარათებით თამაშს“. თითოეული წევრი როგორც საკუთარ თავს, ისე მთელ ჯგუფს დაუსვამს კითხვას: „რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ კარგად ვიმუშაოთ?“ თითოეული მოსწავლე ბარათზე აფიქსირებს თავის აზრს. შემდეგ ამ ბარათებს დაფაზე მივაკრავთ და დავაჯგუფებთ მსგავს მოსაზრებებად. ბოლოს ჯგუფი შეთანხმდება, რას უნდა მიაქციონ ყურადღება მუშაობისას წარმატების მისაღწევად, რასაც მოსწავლეები წერენ დიდ ფორმატზე და აკრავენ კედელზე.

ასევე, პროექტზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებს დავურიგებ ბარათებს, სადაც ისინი დაწერენ თავიანთ მოლოდინებს – რას მოელონ ამ პროექტზე მუშაობისას, რას ისწავლიან ამ პროექტიდან.

მოსწავლეთა სურვილებისა და მოლოდინების გათვალისწინებით დავგეგმე პროექტი.

ამოცანის დასახელება და აღწერა	ვადა	მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა	ამოცანის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები
ამოცანა N1. ტექსტების დამუშავება II კლასი – „თაფლის წვეთი“ III კლასი – „ჭიანჭველა და ფუტკარი“	პირველი კვირა	მოსწავლეები შეძლებენ ტექსტებში ინფორმაციის გაანალიზებას	ვენის დიაგრამა, სამუშაო ფურცელი	ტექსტები, ფლიფჩარტი, მარკერი
ამოცანა N2. ვიდეო-რგოლის დამუშავება თემაზე „მწერები“	პირველი კვირა	მოსწავლეები შეძლებენ მსჯელობას მწერების ზრდისთვის აუცილებელი პირობების შესახებ; გააცნობიერებენ მწერების როლს ბუნებაში	კორნელის გრაფა	პროგრამა „MOVIE MAKER“, ბუკი, კორნელის გრაფის შაბლონი, ვიდეორგოლი
ამოცანა N3. კვლევის ჩატარება – „ყველაზე სასარგებლო“ და „ყველაზე ლამაზი მწერის“ გამოსავლენად – შეიქმნება მოსწავლეთა ერთი ჯგუფი და ისინი გამოკითხავენ 20 ადამიანს	მეორე კვირა	მოსწავლეები შეძლებენ მოცემულ თემასთან დაკავშირებით მონაცემების შეგროვებას.	კითხვარები, რომლებსაც მოსწავლეები შექმნიან მასწავლებლის დახმარებით.	კვლევის ინსტრუმენტი-კითხვარი
ამოცანა N4. მონაცემების დამუშავება და პრეზენტაციის მომზადება	მეორე კვირა	მოსწავლეები შეძლებენ შეგროვებული მონაცემების დამუშავებასა და წარმოდგენას.	პრეზენტაცია	ბუკი, პროგრამა „powerpoint“

განხორციელების გზები:

პირველი კვირა:

პროექტის დასაწყისში გამოწვევისთვის მეორე კლასს წავაკითხებ ჭ. ამირეჯიბის ბლაპარს „თაფლის წვეთი“, მესამე კლასს კი – გ. ტოგონიძის მოთხრობას „ჭიანჭველა და ფუტკარი“. შესაბამისად, პროექტის საწყის ეტაპზე გამოვიყენებ დიფერენცირებულ სწავლებას.

მოთხრობისა და ბლაპარის წაკითხვამდე მოსწავლეებს შევავსებინებ „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე“ ცხრილის იმ ნაწილს, რომელიც პირველ კომპონენტს ასახავს. თავიანთი ცოდნის თვალსაჩინოდ გამოსავლენად (კერძოდ, რა ვიცი მწერების შესახებ), მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაწერონ სიტყვები. მას შემდეგ, რაც პერსონალურ ვ – მ – ვ ცხრილის პირველი პუნქტის შესავსებად განკუთვნილი დრო ამოიწურება, მოსწავლეებს ვთხოვ გამიზიარონ თავიანთი მოსაზრებები, რომელთაც საკლასო ვ – მ – ვ ცხრილში შევიტან. მიღებულ პასუხებს გამოვიყენებ დისკუსიების წარსამართავად. მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას გავზრდი შეკითხვით, კიდევ რა გსურთ, რომ იცოდეთ ფუტკრისა და ჭიანჭველას შესახებ? შემდეგ შევავსებინებ პუნქტს „მინდა ვიცოდე“ ვ – მ – ვ ცხრილში. მოსწავლეებს ვთხოვ, მთელ კლასს გაუზიარონ თავიანთი შეკითხვები, რომლებიც საკლასო ვ – მ – ვ ცხრილის შუა სვეტში უნდა ჩაიწეროს. მოსწავლეების ხელშესაწყობად ცხრილი მთელი პროექტის განმავლობაში საკლასო ოთახში მექნება გაკრული და ხშირად დავუბრუნდებით შეკითხვებს, რომელთაც პროექტის მიმდინარეობისას გაეცემათ პასუხი.

მეორე კლასთან ტექსტი გაანალიზდება ვენის დიაგრამით. მოსწავლეები ერთმანეთს შეადარებენ ფუტკარსა და ჭიანჭველას მოცემული ტექსტის მიხედვით. მესამე კლასს კი მიეცემა სამუშაო ფურცლის შაბლონი და წერილობით გასცემენ პასუხს შემდეგ კითხვებს:

1. რა გაიგეთ ჭიანჭველების შესახებ?
2. რა გაიგეთ ფუტკრის შესახებ?
3. რა გაიგეთ ჭიამაიას შესახებ?

აქტივობის დასასრულს დავსვამ კითხვას: კიდევ რომელი კითხვები გვაქვს, რომელთა პასუხებიც მოსაძებნია? რა თქმა უნდა, კითხვები იქნება. ამიტომ შევთავაზებ მათ შემდეგ აქტივობას, რომელსაც მოსწავლეები შეასრულებენ ინდივიდუალურად. მათ სახლში გავატან „MOVIE MAKER“-ში მომზადებულ ვიდეორგოლს მწერების (ფუტკარი, ჭიანჭველა, ჭიამაია, ჭრიჭინა) შესახებ

(ტრიტინა წინა გაკვეთილზე ისწავლეს მოსწავლეებმა) და კორნელის გრაფას. მოსწავლეებს დავალება ეყრდნობოდა უყურონ სახლში ვიდეოს და შეაფასონ კორნელის გრაფა, რომელსაც მომდევნო დღეს კლასში განვიხილავთ და შევაჯერებთ მოსაზრებებს.

ამავე აქტივობის ფარგლებში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვას: რა სტირდებით მწერებს სიცოცხლისთვის? მოსწავლეები გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას და დაადგენენ, რომ ისევე, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს, მწერებსაც სიცოცხლისთვის და გადასარჩენად ესაჭიროებათ:

- მიწა
- ჰაერი
- წყალი
- მზე
- საკვები
- თავშესაფარი

აღნიშნული მწერების შესახებ ისინი, ასევე, დამატებით მოიძიებენ ინფორმაციას ენციკლოპედიაშიც.

მეორე კვირა:

მოსწავლეებს გაგაერთიანებ ერთ ჯგუფში.

მოსწავლეები შეარჩევენ ოთხ მწერს (ფუტკარი, ჭიანჭველა, ჭიამაია, ტრიტინა) და შეადგენენ კითხვარს. ჩაატარებენ ორ კვლევას. 1) გამოკითხავენ რესპონდენტებს (თანატოლებს) რომელი მწერი მიაჩნიათ ყველაზე სასარგებლოდ; 2) რომელი მწერია, მათი აზრით, ყველაზე ლამაზი.

მოსწავლეები მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებს დაამუშავებენ და მოამზადებენ პრეზენტაციას, სადაც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევის შედეგები დიაგრამების სახით.

დასკვნითი აქტივობები:

მთელ კლასში განვიხილავთ პროექტის ძირითად კითხვას, „რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში?“ მოსწავლეების მოსაზრებებს საკლასო ოთახში გაკრულ იმ ფურცელზე ჩავწერ, რომელზეც პროექტის დასაწყისში ვიმუშავეთ. მოსწავლეებს ვთხოვ, დაასრულონ მათი ვ-მ-ვ ცხრილის „ვიცი“ სვეტის შევსება.

პროექტის რეფლექსია

პროექტის დასრულებისას აუცილებლად მოვახდენთ პროექტის რეფლექსიას. მოსწავლეები ინდივიდუალურად შეაფასებენ შესრულებულ სამუშაოს ქვემოთ მოცემული სქემით. ისინი უპასუხებენ კითხვას: რისი მოლოდინი მქონდა პროექტზე მუშაობის დაწყებისას? შემდეგ კი ერთობლივად გავაანალიზებთ შეფასების შედეგებს და დავსახავთ განვითარების გზებს. კერძოდ, რა უნდა შევცვალოთ მომდევნო პროექტზე მუშაობისას.

პროექტის ბოლოს მისალწევი შედეგი:

- მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით;
- შეძლებენ ინფორმაციის მოძიებას და დახარისხებას, დასკვნების გამოტანას;
- შექმნიან პრეზენტაციას, ორგანიზებას გაუკეთებენ, შეაფასებენ და დაამუშავებენ ინფორმაციას;
- ისწავლიან, რომ ცოცხალი ორგანიზმები დამოკიდებულნი არიან თავიანთ საარსებო გარემოზე და ეგუებიან მას.
- ჩამოუყალიბდებათ მზრუნველობითი დამოკიდებულება მწერების მიმართ.

პროექტის შუალედური და საბოლოო შეფასება:

პროექტის მონიტორინგი/შეფასება	ვის მიერ	როდის	რა კრიტერიუმებით
შუალედური მონიტორინგი #1. ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება – ტექსტებისა და ვიდეორგოლის დამუშავების ხარისხი	მასწავლებელი	პირველი კვირის დასასრულს	დისკუსიის შედეგად გაიკვევა რა ცოდნა მიიღეს მოსწავლეებმა; შესრულებული დავალებების ხარისხი წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით
შუალედური მონიტორინგი #2. მასწავლებელი დაკვირვების ცხრილი	მოსწავლეები	პროექტის განმავლობაში	დაკვირვების ცხრილი
პროექტის საბოლოო შეფასება	მასწავლებელი	პროექტის დასასრულს	რუბრიკებით

გთავაზობთ პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილს:

მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი

დაკვირვების საგანი	კომენტარები
შედეგა თუ არა თანამშრომლობა ჯგუფში	
იყვნენ თუ არა მოსწავლეები მოტივირებულნი და რამ განაპირობა მოტივაცია	
აგრძელებდნენ თუ არა მოსწავლეები მუშაობას გაკვეთილების შემდეგ	
იყვნენ თუ არა ჯგუფში პასიური მოსწავლეები და რა იყო მათი პასიურობის მიზეზი?	
ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს პროექტის განხორციელებისას სისტემატური და საქმიანი ხასიათი	
იმოქმედა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესმა მათ მოსწრებაზე (თუ კი, მიუთითეთ კონკრეტული მაგალითები)	

პროექტის შეფასება

კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	სუსტი	შენიშვნა
პრობლემა. რამდენად აქტუალურია მოსწავლეთათვის და რამდენად იყვნენ მოსწავლეები ჩართულნი პროექტის იდეის განხორციელებაში				
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია				
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს.				
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის.				
შედეგი: რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს				

რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული.				
დიზაინი. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა).				

რეფლექსია

II–III კლასკომპლექტში განვახორციელე პროექტი სახელწოდებით „რა მნიშვნელობა აქვთ მწერებს ბუნებაში?“ პროექტის იდეა თვით მოსწავლეებისგან წამოვიდა მას შემდეგ, რაც წინა გაკვეთილებზე მწერებზე შევისწავლეთ საინტერესო მოთხრობები.

პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმე უკუკავშირის მეთოდებს. ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, პროექტის დაწყებამდე გამოვიყენე უკუკავშირის მეთოდი „ბარათებით თამაში“. აღნიშნული მეთოდი დამეხმარა, უთანხმოებები მოგვეგვარებინა დასაწყისშივე. ის ფაქტი, რომ მთელი კლასი ერთობლივად მუშაობდა კითხვაზე: „რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ კარგად ვიმუშაოთ“ კარგი ინსტრუმენტი აღმოჩნდა პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მიერ დასახელებულ მოსაზრებებში ფიგურირებდა ურთიერთდახმარების, თანამშრომლობისა და ტექნიკური საკითხები. აღსანიშნავია, რომ პროექტი განხორციელდა დაგეგმილის შესაბამისად და არ წარმოშობილა გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა.

მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ პროექტში, რაც გამოიწვია საინტერესო აქტივობებმა: მხატვრული ტექსტების დამუშავებამ, ვიდეო-რგოლის განხილვამ, მცირე კვლევის ჩატარებამ და პრეზენტაციის მოწყობამ. უნდა აღვნიშნო, რომ გამოწვევისთვის პროექტის დასაწყისში, კლასკომპლექტის თავისებურებიდან გამომდინარე, გამოვიყენე დიფერენცირებული სწავლება. კერძოდ, მოსწავლეებს შევთავაზე განსხვავებული სირთულის ტექსტები.

მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმე კვლევით კომპონენტს. მოსწავლეებს მივეცი საშუალება, წინასწარ შედგენილი კითხვარით, თავად გამოეკითხათ მოსწავლეები და მიღებული მონაცემები დაემუშავებინათ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა კვლევის ჩატარებასა და მონაცემების მოწესრიგებას კარგად გაართვეს თავი, რაც პროექტის ძლიერი მხარე იყო.

პროექტის კვლევისთვის კომპონენტმა მათემატიკასთან ინტეგრაციის საშუალება მოგვცა. შესაბამისად, მოსწავლეებმა დასმული საკითხი ღრმად და საფუძვლიანად დაამუშავეს. მხოლოდ დიაგრამის აგებაში გავუწიე მათ მცირე დახმარება. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დავუთმე შეფასების საკითხს. კერძოდ, შევადგასე როგორც შექმნილი პროდუქტი, ისე პროექტის პროცესი.

იგივე გეგმით შემდგომში პროექტის განხორციელებისას არ შევცვლიდი გეგმას. მხოლოდ დავამატებდი კიდევ ერთ ამოცანას. კერძოდ, მოსწავლეებს მივუთითებდი საიტის მისამართს, სადაც მოცემულ თემაზე ინფორმაცია და დავალები ამ ინფორმაციის დამუშავებას. აუცილებლად მივაწვდიდი შესასრულებელი დავალების შაბლონს. გამომდინარე აქედან, მოსწავლე ზუსტად პირობის შესაბამისად შეასრულებს დავალებას.

აღვნიშნავ, რომ მივალწიე დასახულ მიზანს: მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით; შეძლეს ინფორმაციის მოძიება და დახარისხება, დასკვნების გამოტანა; შექმნეს პრეზენტაცია, ორგანიზება გაუკეთეს, შეაფასეს და დაამუშავეს ინფორმაცია; მსჯელობით ჩამოაყალიბეს და გადმოსცეს საკუთარი აზრები და შეხედულებები აუდიტორიის წინაშე; მოსწავლეები გაიწაფნენ რაოდენობრივი მონაცემების მოწესრიგებასა და წარმოდგენაში; გაიაზრეს, რომ ცოცხალი ორგანიზმები დამოკიდებულნი არიან თავიანთ საარსებო გარემოზე და ეგუებიან მას. ჩამოყალიბდათ მზრუნველობითი დამოკიდებულება მწერების მიმართ.

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები – შემთხვევის ანალიზი

სოფიკო ლოპხანიძე

მეთოდის ისტორიული განვითარება

შემთხვევის ანალიზი როლურ და სიმულაციურ თამაშებთან ერთად მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყოებს. მისი მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი სიცოცხლე გამოადგება წარმატების მისაღწევად.

შემთხვევის ანალიზი, როგორც სწავლების მეთოდი, პირველად ჰარვარდის სამართლის სკოლაში გამოიყენეს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ტრადიციული ლექციური მეთოდის გვერდით ალტერნატიულის დანერგვა დაიწყეს, რომელიც ორიენტირებული იყო პრაქტიკულ/რეალურ შემთხვევათა დისკუსიებზე, რეალური სიტუაციების ანალიზზე, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. მეთოდს უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებდნენ და დროთა განმავლობაში შემთხვევის ანალიზი სწავლების დამოუკიდებელ კონცეფციად ჩამოყალიბდა. სპეციალურ ლიტერატურაში შემთხვევის ანალიზს ხშირად ჰარვარდის მეთოდად იხსენიებენ.

ამჟამად აღნიშნულ მეთოდს ინტენსიურად იყენებენ სტუდენტთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებში, თუმცა ბოლო ხანს დასავლეთში აქტიურად დაიწყო მისი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც.

მეთოდის ძირითადი სტრუქტურა

შემთხვევის ანალიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტები/მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს, ეძებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან. წესისამებრ, შემთხვევების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც „საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეიმუშავენ წინადადებებს და მათ აუდიტორიას წარუდგენენ. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ. დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაზრისი მასალა – ტაბულები, დიაგრამები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

მეთოდის ეფექტიანობა

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი – შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის აღებული და მათზე მუშაობა სტუდენტს/მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება – იგი არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ იგი, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებას ადარებს. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება. შემთხვევის ანალიზით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციას და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

მეთოდის ვარიანტები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემთხვევის ანალიზის რამდენიმე ინტერპრეტირებული ვარიანტი არსებობს:

1. **Case-Stady მეთოდი** – მეთოდის ამ ვარიანტში შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს – ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი, პირველ რიგში, დაისმის პრობლემის იდენტიფიცირებაზე, ასევე – ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.
2. **Case-Problem მეთოდი** – ამ ვარიანტში პრობლემა უკვე მკაფიოდ არის წარმოჩენილი, ასე რომ, სტუდენტების/მოსწავლეების მთელი ძალისხმევა მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავებისკენ, მართებულობის დასაბუთებისკენ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისკენ.
3. **Case-Incident მეთოდი** – ამ ვარიანტის შემთხვევაში მოსწავლეთა საქმიანობა უმთავრესად ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან წარმოდგენილი შემთხვევა არასრულია და არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, საანალიზოდ და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო ყველა ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეები თავად უნდა მიხედნენ, რა აკლია მოცემულობას და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ. ამ ვარიანტზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, თუმცა იგი პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან.
4. **Stated-Problem მეთოდი** – ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაშივეა მოცემული პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ პრობლემის გადაჭრის თითოეული გზა, გამოყონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, კრიტიკულად შეაფასონ არსებული ხედვები, ეძებონ, იპოვონ და დაასაბუთონ გადაჭრის საკუთარი გზა.

მეთოდის ვარიანტები	პრობლემა	ინფორმაცია	პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილება	გადაწყვეტილების კრიტიკა
Case-Study	ძირითადი მიზანი: ლატენტურად / შეფარულად მოცემული პრობლემების აღმოჩენა და გაანალიზება	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	მოცემული ინფორმაციის დახმარებით განისაზღვრება პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები და მიიღება გადაწყვეტილებები	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალურად/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Problem	სიტუაციაში პრობლემები პირდაპირ არის დასახელებული	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	ძირითადი მიზანი: სიტუაციაში აღწერილი პრობლემების დახმარებით გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება, მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალურად/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Incident	შემთხვევა არასრულყოფილად არის წარმოდგენილი	ძირითადი მიზანი: საჭირო დამატებითი ინფორმაციის ამოცნობა და მოძიება		
Stated-Problem მეთოდი	პრობლემები მოცემულია	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება მოცემულია. ხდება დამატებითი ალტერნატივების ძიება.	ძირითადი მიზანი: წინასწარ მოცემული გადაჭრის გზების კრიტიკა

შემთხვევის ანალიზის ზემოთ მოყვანილი ვარიანტები ამოღებულია წიგნიდან: Kaiser, F. J. Entscheidungstraining. Die Methoden der Entscheidungsfindung. Bad Heilbrunn 1976)

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ფაზები

შემთხვევის ანალიზზე მუშაობის ექვსი ფაზა გამოიყოფა, რომელთა თანამიმდევრობა, თითოეული ფაზის დროს განსახორციელებული აქტივობა და მიზანი ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი ადაპტირებულია წყაროებიდან:

Kaiser (Hrsg.): Die Fallstudie. Theorie und Praxis der Fallstudiendidaktik (Forschen und Lernen, Bd. 6) Bad Heilbrunn 1983

Hoffmann, B.; Langefeld, U.: Methoden-Mix, 1998

ფაზები	ქმედება/აქტივობა	მიზანი
კონფრონტაცია შემთხვევასთან	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეები ჩასწვდნენ აღწერილ სიტუაციას და მასში მიღებულ გადაწყვეტილებას
მუშაობა ინფორმაციაზე	სიტუაციის გაანალიზება და/ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება	მოსწავლეები აანალიზებენ და აფასებენ მოცემულ ინფორმაციას და მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით

ფაზები	ქმედება/აქტივობა	მიზანი
დისკუსია ჯგუფის შიგნით	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავება, თავის მოყრა და თითოეული მათგანის ძლიერ, სუსტ მხარეებსა და შედეგებზე მსჯელობა	მოსწავლეებს უვითარდებათ დივერგენტული აზროვნება
შეთანხმება ჯგუფის შიგნით	ჯგუფში დისკუსიის შემდეგ შემოთავაზებული ალტერნატივებიდან საუკეთესოს არჩევა	მოსწავლეებს უვითარდებათ კამათისა და შეფასების უნარი
დისპუტი მთელი კლასის მონაწილეობით	ჯგუფებში მიღებული გადაწყვეტილების კლასისთვის გაცნობა, მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება და ხელახალი დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით	მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედარება შემთხვევაში მოცემულ/რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან და რეკომენდაციების შემუშავება	მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიისა და ტრანსფერის უნარი

შემთხვევის ანალიზის ზემოთ წარმოდგენილი სტრუქტურა გამოხატავს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტიპურ მიმდინარეობას, თუმცა ამ პროცესის ცალკეული ფაზა შეიძლება როგორც გამორჩეულად სწრაფად, ასევე გამორჩეულად ნელა მიმდინარეობდეს ან საერთოდ გამოტოვებულ იქნეს მეთოდის ამა თუ იმ ვარიანტის შემთხვევაში.

გაკვეთილის გეგმა

საგანი: სამოქალაქო განათლება

ქალაქი/სკოლა/კლასი: ზუგდიდის N9 საჯარო სკოლის მე-9 კლასი

მასწავლებელი: სოფიო კაკაჩია

გაკვეთილის მიზანი: რა შედეგზე უნდა გავიდეს მასწავლებელი ამ კონკრეტული გაკვეთილის ბოლოს (ცოდნის გადაცემა და/ან უნარის განვითარება). მოსწავლეები გაიგებენ რა არის მავნე ჩვევები, რა საფრთხის მატარებელია ის ცალკეული პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის, გაეცნობიან მავნე ჩვევების სახეებს, იმსჯელებენ, ბავშვებმა და მოზარდებმა როგორ შეიძლება დაიცვან თავი მავნე ჩვევებისგან. იმსჯელებენ თუ რისი გაკეთება შეუძლია საზოგადოებას, რომ ამ პრობლემას თავი დააღწიონ.

შესასწავლი თემა: მავნე ჩვევები და მათი შედეგები

მისაღწევი შედეგი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მიუთითეთ

შესაბამისი ინდექსი): Sedeg მოქ. IX. 5; მოქ. IX. 6.

სასწავლო აქტივობები:

- მოლოდინები და საფრთხეები
- გონებრივი იერიში
- T-სქემა
- მინი ლექცია
- წყაროზე მუშაობა
- სიტუაციების(ქეისების) განხილვა ჯგუფებში
- მოცემული სიტუაციის მიხედვით სკეჩის დადგმა
- პრეზენტაცია
- სურათებით საუბარი
- ბლიც უკუკავშირი წრეზე
- საშინაო დავალება
- შეფასება/თვითშეფასება

რომელი აქტივობების ან სწავლების სტრატეგიების გამოყენებას აპირებთ გაკვეთილის მსვლელობისას**კლასის ორგანიზება**

კლასის მომზადება საგაკვეთილოდ, ფოტო გამოფენის მომზადება მოცემულ თემაზე, მაგიდების განლაგება ჯგუფური მუშაობისთვის

1. მოლოდინი და საფრთხეები
მას შემდეგ რაც წარვადგენ გაკვეთილის მიზანს, მოსწავლეები სხვადასხვა ფერის წებოვან სტიკერებზე წერენ მოლოდინებსა და საფრთხეებს და მიაკრავენ ფორმატზე, სადაც დახატულია გემი და ტალღები, გემის აფრახე აწებებენ – მოლოდინებს და ტალღებზე საფრთხეს, ხოლო გაკვეთილის ბოლოს ჩამოხსნიან იმ მოლოდინს და იმ საფრთხეს, რომლებიც არ გამართლდა, თუ მოლოდინი დარჩა უფრო მეტი, ვიდრე საფრთხე, ე.ი. გაკვეთილი ჩატარდა წარმატებით.
2. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას: რა მავნე ჩვევებს დაასახელებდით? მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი აფიქსირებს დაფაზე და ქმნის ასოციაციურ რუკას: „მავნე ჩვევები“.
3. T-დიაგრამაზე მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ასოციაციურ რუკაზე გამოტანილი ინფორმაციიდან ამოკრებს მავნე ჩვევებს და აჯგუ-

ფებს T-დიაგრამის ორ გრაფაში: მავნე ჩვევა, რომელიც საზიანოა მხოლოდ ინდივიდისთვის და საზიანოა საზოგადოებისთვისაც.

4. მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას მავნე ჩვევებზე და მათ შედეგებზე.
5. მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად ჯგუფების დაკომპლექტების შემდეგი მეთოდის გამოყენებით: თითოეულ მოსწავლეს ურიგდება სიმღერის სახელწოდებები („სულიკო“, „ჭრელო პეპელა“, საქართველოს ჰიმნი, „უუუუნა წვიმა“, „თბილისო“) მოსწავლეები იწყებენ ლილინს და ეძებენ მსგავსი მელოდიით მოლილინე მოსწავლეებს და ჯგუფებიდან ხუთ ჯგუფად.
6. მოსწავლეებს ჯგუფებში ურიგდებათ შემთხვევები/ქეისები კონკრეტულ თემაზე.
 - 1 ჯგუფი – ალკოჰოლიზმი
 - 2 ჯგუფი – ნარკომანია
 - 3 ჯგუფი – მოწევა
 - 4 ჯგუფი – ინტერნეტდამოკიდებულება და აზარტული თამაშები

პირველი ოთხი ჯგუფი განიხილავს და გააანალიზებს შესაბამის სიტუაციას ქეისში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.
5. ჯგუფი – მსაჯების/შემფასებლების ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს ჯგუფში მუშაობის კრიტერიუმებს და მათ მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით აკვირდებიან და შეაფასებენ მუშაობას ჯგუფებში.

ჯგუფები განიხილავენ სიტუაციებს და შეთანხმებული შეხედულებები გადააქვთ ფლიფჩარტზე.
7. პირველი ოთხი ჯგუფი კლასს აცნობს სიტუაციას და მის ანალიზს. იმართება მინი დისკუსია, რომლის დროსაც ჯგუფები ერთმანეთს აძლევენ რეკომენდაციებს და აჯერებენ შეხედულებებს.
8. მეხუთე ჯგუფი კი კლასს აცნობს ჯგუფურ მუშაობაში თავიანთი დაკვირვების შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს განმავითარებელ უკუკავშირს ჯგუფური მუშაობის წესების დაცვის შესახებ.
9. ბლიცუკუკავშირი წრეზე

მასწავლებელი მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებს წრეში ძალიან სწრაფად, მოკლედ ფორმულირებულად. შემდეგ მას მოჰყვება დისკუსია ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტის შედეგების შესახებ.

მოსწავლეთა უკუკავშირი ასეა სტრუქტურირებული:
ამ თემაზე მუშაობისას განსაკუთრებით მომეწონა...

ამ თემაზე მუშაობისას განსაკუთრებით არ მომეწონა...

ამ საქმემ ჩვენი თანამშრომლობა მოითხოვა...

...ამან თანამშრომლობაში ხელი შეგვიშალა

...ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ამას დავიმახსოვრებ და გამოვიყენებ

...ეს გამომადგა სწავლისას

... ეს კი – არა

10. მოსწავლეები ჩამოხსნიან თავიანთ მოლოდინებს და საფრთხეებს, რომელიც არ გამართლდა და მასწავლებელი აკეთებს მცირე მიმოხილვას დარჩენილ საფრთხეებზე და მოლოდინებზე
11. საშინაო დავალება: თხზულება „ჩემი მიზანი ცხოვრებაში“
ეპიგრაფად გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები: „დიდი ადამიანები მიზნებს ისახავენ, დანარჩენები კი სურვილების მიხედვით ცხოვრობენ.“
13. მასწავლებელი აკეთებს გაკვეთილის შეჯამებას და შეფასებას.

სასწავლო მასალა და რესურსები – სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო – სამართლებრივი კულტურა, სლაიდშოუ, პროექტორი, კომპიუტერი, დაფა, ცარცი, ფლიტერარტი, მარკერი, თაბახები, წებოვანი ფერადი სტიკერები

შეფასების ფორმები – განმავითარებელი კომენტარი, განმსაზღვრელი

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი 10	საშუალო 9-8	საშუალო 7-6	დაბალი 5-1
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაზიარება	ჯგუფმა სამუშაო მიზანი კარგად გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაო მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებული იყო, მაგრამ ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო არ იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ განაწილებულა

4. რამდენად პასუხისმგებლობით ასრულებდა ჯგუფის თითოეული წევრი მასზე დაკისრებულ დავალებას?

5. რამდენად მივაღწიეთ მიზანს?

6. რა იყო „ჩვეულებრივი“ გაკვეთილისაგან განსხვავებული?

7. რას გავითვალისწინებ შემდეგ პრეზენტაციებისა და ჯგუფური მუშაობის პროცესში?

რეფლექსია

გააანალიზეთ საკუთარი გაკვეთილი და შეაფასეთ შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით	
მისდევდა თუ არა სრულად გაკვეთილი წინასწარ დასახულ გეგმას?	გაკვეთილი ჩატარდა გეგმის მიხედვით, იყო მხოლოდ მცირე გადახვევა
წარმოიშვა თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა და თუ კი – ახსენით რატომ?	გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეებს გაუჩნდათ კითხვები შიდსის გადაცემის გზებზე, რადგან ნარკომანია შიდსის გადაცემის რისკს ზრდის, მოსწავლეებს გაუჩნდათ ინტერესი მეტი გაეგოთ, რა გზით ხდება შიდსის გადადება, მოსწავლეებმა მოიყვანეს რეალური მაგალითები და საჭირო გახდა შიდსის თემაზე მინი ლექციის ჩატარება

კრიტერიუმი	ძალიან კარგი 10	საშუალო 9-8	საშუალო 7-6	დაბალი 5-1
ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	გააჩნდათ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	საკმარისად გააჩნდათ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	ნაწილობრივ გააჩნიათ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად პოზიტიური ურთიერთობები იყო	მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე აქტიურობდა. ჯგუფის აქტიურ წევრებსა და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ. ჯგუფის წევრებს შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო

მოსწავლეთა თვითშეფასება

ჯგუფი:

წევრები:

1. რა მოლოდინებით დავიწყე პრეზენტაციაზე მუშაობა?

2. როგორ განვითარდა ჯგუფში თანამშრომლობა?

3. რა მომეწონა ყველაზე მეტად?

რა იყო გაკვეთილის ძლიერი მხარე? ახსენით რატომ?	გაკვეთილის ძლიერი მხარე იყო ის, რომ უზრუნველყოფდა დასახული მიზნისა და ამოცანის კომპლექსურობასა და უკუკავშირს; ამოცანა შეესაბამებოდა სასწავლო მასალის შინაარსს. სიტუაციების გაანალიზებით მოსწავლეები სიღრმისეულად ჩასწვდნენ პრობლემის არსს, საშუალება ჰქონდათ ემსჯელათ, თუ რა იყო მათთვის მისაღები და მიუღებელი, შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულებები, განცდები და ემოციები. უკუკავშირის მოცემულმა მეთოდმა კი ხელი შეუწყო მოსწავლეებში შთაბეჭდილებების ღიად გამოხატვას.
რა იყო გაკვეთილის სუსტი მხარე? ახსენით რატომ?	მიმაჩნია, რომ ასეთ სენსიტიური თემების განხილვა კარგი იქნება, თუ გასცდება საგაკვეთილო პროცესს და განხილულ თემატიკაზე დავგეგმავთ არასაგაკვეთილო აქტივობებს, რომელშიც მშობლებიც იქნებიან ჩართულნი. რადგან მავნე ჩვევებთან ბრძოლაში მართო სკოლის ძალისხმევა უმედეგო იქნება, თუ ოჯახმაც არ მიიღო ამ საქმეში მონაწილეობა.
შეცვლიდით თუ არა რამეს? თუ კი – ახსენით რატომ? (დაასაბუთეთ თქვენი პასუხი).	მსგავსი თემატიკის განხილვისას მშობლების ჩართვა და სტუმრის სტატუსით სპეციალისტის მოწვევა ვფიქრობ გაკვეთილს უფრო ნაყოფიერს და საინტერესოს გახდიდა
სხვა	

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. სეგმენტური მეთოდი

სოფიკო ლობჯანიძე

თანამშრომლობითი სწავლება წარმოადგენს სწავლების ყველაზე თანამედროვე ფორმას, რომელსაც მასწავლებლები სულ უფრო აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. იგი მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, რომელიც მოითხოვს მონაწილეთა სინქრონულ და ასინქრონულ, კოორდინირებულ და კონსტრუქციულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადასაჭრელად და საერთო მიზნის მისაღწევად.

თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ ორმაგი – როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური – პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მარტო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზეც.

ამრიგად, თანამშრომლობითი სწავლებისას გამოყოფენ პასუხისმგებლობის ორ დონეს. პირველია ჯგუფური პასუხისმგებლობა, რათა ჯგუფმა მიაღწიოს მიზანს, ხოლო მეორე – ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობასა და წარმატებაში. სწორედ პასუხისმგებლობის ეს ორი დონე უნდა იყოს ინტეგრირებული თანამშრომლობით გაკვეთილში, თითოეულ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი წარმატება ჯგუფის წარმატების საწინდარია.

თანამშრომლობითი სწავლებისთვის შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა, თითოეული წევრი აქციოს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდად, თუმცა კვლევები გვიჩვენებს, რომ ჯგუფური მუშაობის დროს ბევრი მოსწავლე ცდილობს, სხვის ხარჯზე გავიდეს ფონს და დაუმსახურებლად მიიღოს ჯილდო. აქედან გამომდინარე, ადვილი არ არის, შევაფასოთ ჯგუფურ მუშაობაში თითოეული მოსწავლის მიერ შეტანილი წვლილი. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა გონივრულად უნდა შეარჩიოს ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

გთავაზობთ თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთ მეთოდს – სეგმენტურ მეთოდს, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალური,

ასევე ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებაში და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეაფასოს როგორც თითოეული მოსწავლის პირადი წვლილი ჯგუფურ მუშაობაში, ასევე ჯგუფის საქმიანობის საერთო პროდუქტი.


მეთოდის მოკლე აღწერა

სეგმენტური მეთოდი არის გრაფიკულად სტრუქტურირებული თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ჯგუფის ყველა წევრის ინდივიდუალური მუშაობის შედეგების შერწყმით მომზადდეს და კლასს წარედგინოს ჯგუფის საერთო პროდუქტი.

მეთოდის მიმდინარეობა

- კლასი იყოფა ოთხ, ხუთ ან ექვსკაციან ჯგუფებად.
- თითოეულ ჯგუფს ურიგდება მუშაობისთვის საჭირო რესურსები – A3 ან უფრო დიდი ზომის ფორმატი და მარკერები.
- ფორმატი იყოფა სეგმენტებად – ერთ ცენტრალურ და რამდენიმე გარე სეგმენტად (გარე სეგმენტების რაოდენობა ჯგუფის წევრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ჯგუფი ოთხი წევრისგან შედგება, გარე სეგმენტიც ოთხია და ა.შ.).

იხ. ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება:



თითოეული გარე სეგმენტი ჯგუფის თითო წევრს ეკუთვნის, ხოლო ცენტრალური – მთელ ჯგუფს.

- ჯგუფის ყოველი წევრი იღებს მასწავლებლისგან დავალებას (ერთსა და იმავეს ან სხვადასხვას).
- მოსწავლეები საკუთარ იდეებს მათთვის განკუთვნილ სეგმენტში აღწერენ და ხელის მოწერით ადასტურებენ. ამ ეტაპზე მეთოდი მოითხოვს სრულ მდუმარებას, ერთმანეთთან კომუნიკაცია იკრძალება.
- მას შემდეგ, რაც ჯგუფის თითოეული წევრი შეავსებს საკუთარ სეგმენტს, მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის ნააზრევს და თუ საჭიროდ მიიჩნიეს, ურთავენ წერილობით კომენტარებს.
- მომდევნო საფეხურზე იმართება დისკუსია, ერთიანდება ყველა წევრის ნამუშევარი, გამოიყოფა ყველასათვის მისაღები იდეები, იბადება ახალიც. საბოლოოდ ყველა იდეა ჯამდება და ფიქსირდება ცენტრალურ სეგმენტში, სადაც ჯგუფის ყველა წევრი აწერს ხელს.
- უკანასკნელ ეტაპზე თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის შესრულებულ სამუშაოს.

მეთოდის თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება

სეგმენტური მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც კონსტრუქტივისტული. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეაა, ვასწავლოთ მოსწავლეებს, ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით, ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. ამ დროს მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. კონსტრუქტივისტული თეორიის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სასწავლო გეგმებს, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული. სეგმენტური მეთოდი სწორედ იმ მეთოდთაგანია, რომლებიც მოსწავლეთა გამოცდილებასა და წინარე ცოდნას ეფუძნება. ამ დროს კონკრეტული თემის ან პრობლემის შესწავლისას აქტიურდება თითოეული მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი უნარები, დგება იდეათა, შეხედულებათა ინტერაქციონალური კავშირები, ჯგუფის წევრთა მოსაზრებების გაცნობითა და საკუთარი კომენტარების დართვით იზრდება თითოეული მოსწავლის ინფორმირებუ-

ლობა, ვითარდება ინტერპრეტაციის უნარი, დისკუსიის საშუალებით კი მოსწავლეები ანალიზის, შეფასებისა და შეჯამების უნარებს ითვისებენ.

სეგმენტური მეთოდის სასწავლო შედეგები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მოსწავლეთა სუბიექტურ წარმოდგენებზე, დამოკიდებულებებზე, რომლებიც თავდაპირველად ინდივიდუალურად, მერე კი სხვებთან იდეების გაცვლა-გამოცვლის პროცესში სტრუქტურირდება. ამრიგად, სწავლა სეგმენტური მეთოდით არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ ცოდნის რეპროდუქციის პროცესი – ეს არის აქტიური ათვისება, „სადაც ათვისებული ყოველთვის მასწავლებლის თვალთახედვით მოდიფიცირდება, იცვლება, რეკონსტრუირდება, მაგრამ, ამავე დროს, ხელახლა კონსტრუირდება ინდივიდის ხედვით“ (Reich, K. (2006) *Konstruktivistische Didaktik* (3. Auflage). Weinheim: Beltz:195).

ვინაიდან კომუნიკაციური და თანამშრომლობითი უნარების განვითარება ეფექტიანი სწავლების მნიშვნელოვანი საყრდენია, გაკვეთილმა უნდა უზრუნველყოს მრავალფეროვანი სოციალური ინტერაქცია – საუბრები, დისკუსიები, დებატები და სხვა – და, რაც მთავარია, როგორც დამოუკიდებელი ამროვნების განვითარება, ისე სხვისი ნააზრევის გაგების, ანალიზის, შეფასებისა და ერთიანი დასკვნის გამოტანის უნარები. სწორედ სეგმენტურ მეთოდს შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ უნარების განვითარებაში. ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც წერიითი (საკუთარი ამრის წერილობით ფორმულირება, მეგობრის ნააზრევზე წერილობითი კომენტარის დართვა), ასევე ვერბალური (დისკუსიის პროცესში) კომუნიკაციის უნარები.

მეთოდური კომპეტენციები

სეგმენტური მეთოდის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვთ განვითარებული მოსწავლეებს ზემოხსენებული უნარები. მათ უნდა შეეძლოთ, განსაზღვრულ დროში გარკვევით, ზუსტად და გამართულად გამოხატონ საკუთარი თვალსაზრისი, რათა ჯგუფის სხვა წევრებმა შეძლონ მისი ადეკვატურად გაგება და კომენტირება. გარდა ამისა, ეს მეთოდი მოსწავლისგან მოითხოვს აბსტრაქციის, განზოგადების უნარს, ასევე – უნარს, იყოს აქტიური მსმენელი, გაუგოს სხვებს, გააგებინოს და დაიცვას საკუთარი მოსაზრება, გაანალიზოს და მიუკერძოებლად შეაფასოს რო-

გორც საკუთარი, ასევე სხვათა იდეები, რაც აუცილებელი პირობაა კონსენსუსის უნარის განსავითარებლად.

მეთოდის გამოყენება

სეგმენტური მეთოდი ეკუთვნის იმ უნივერსალურ მეთოდთა რიცხვს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სასწავლო ჯგუფსა (ელემენტარული სკოლით დაწყებული, მოზრდილთა განათლებით დამთავრებული) და დისციპლინაში. ეს მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც ჯგუფური დისკუსიის ალტერნატიული ვარიანტი, სადაც ჯგუფის თითოეული წევრის აზრს ისმენენ და ითვალისწინებენ. მეთოდი მეტად ეფექტურია პრობლემის გადაჭრის გზების საპოვნელად – აქამდე მოსწავლეთა იდეების განხილვასა და შეჯერებას მივყავართ. მეთოდი იმითაც არის უნივერსალური, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც თემის შესწავლის დაწყებისას, როდესაც მასწავლებელს სჭირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება, ასევე შესწავლის პროცესში, როდესაც გვსურს გავიგოთ, როგორ მიმდინარეობს ის, და დასრულება-შეჯამებისას, რაც საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ როგორც თითოეული მოსწავლის, ასევე ჯგუფის მიღწევა განსაზღვრული ეტაპის ბოლოს.

პრაქტიკული გამოცდილება

სკოლებში მეთოდის დანერგვის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ მეთოდის პოზიტიური ეფექტი დაადასტურა. მეთოდის დაყოფას ინდივიდუალური და ერთობლივი მუშაობის ფაზებად მინიმუმამდე დაჰყავს ჯგუფური მუშაობის დროს თავჩენილი ის რისკები, რომლებიც წერილის დასაწყისში ვახსენეთ.

ბაკვეთილის გეგმა

სკოლა: ევროპული სკოლა

მასწავლებელი: ხათუნა კაპანაძე, მაია მელიქიშვილი

კლასი: IX

საგანი – ინტეგრირებული გაკვეთილი ქიმისა და ისტორიაში

თემა: ოქროს მოპოვება და გადამუშავება საქართველოში („ოქროს საწმისი“ – მითი თუ რეალობა?!)

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეებმა მიღებული ინფორმაციის გაანალიზების და შეფასების საფუძველზე დაასკვნან, თუ რა კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში ცხვრის ტყავმა, რომელ მითთან ასოცირდება და რომელ ქიმიურ ელემენტს უკავშირდება ის;
- ცდის საშუალებით დაასაბუთონ საქართველოში ოქროს მოპოვების უძველესი ისტორიული წესის რეალობა და ისწავლონ ქიმიური მეთოდებით ოქროს განსხვავება სხვა მეთალებისგან;
- დაინახონ, თუ რა ცვლილება განიცადა ოქროს მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებმა უძველესი დროიდან დღემდე;

სასწავლო მასალა და რესურსები – ფორმატები, მარკერები, ცხვრის ტყავი, ოქროს მოპოვების საიმითაგო მოდელი, ქიმიური ცდისთვის საჭირო ნივთები, რეაქტივები, ჭურჭელი, სვანური მელოდია, პრეზენტაცია PowerPoint-ში.

სტრატეგიები – ჯგუფური მუშაობა სეგმენტური მეთოდით, სადემონსტრაციო ცდა; დებატები

მოსამზადებელი სამუშაოები:

- სადემონსტრაციო და ჯგუფური მუშაობისთვის იდგმება მაგიდები;
- კლასი იყოფა ორ ჯგუფად (ხუთ-ხუთი მოსწავლე);
- თითოეულ ჯგუფს ურიგდება მუშაობისთვის საჭირო რესურსები – A3 ან უფრო დიდი ზომის ფორმატები, მარკერები. ფორმატების ცენტრში ჩახაზულია ხუთკუთხედი და ფორმატი დაყოფილია ხუთ სეგმენტად.
- სადემონსტრაციო მაგიდაზე იდგმება ცხვრის ტყავის საშუალებით ოქროს მოპოვების საიმითაგო მოდელი. მოდელი აწყობილია ჩვენ მიერ დამზადებული ხის ლარით, რომელიც ჩაშვებულია პლასტმასის გამჭვირვალე თასში, თასში ჩაფენილია ცხვრის ტყავი. თასს მეორე ბოლოში, წყლის გადინებისათვის გაკეთებული აქვს ხვრელი, საიდანაც ლარიდან წამოსული წყალი გაედინება. გარდა ამისა, მაგიდაზე იდგმება ქიმიური ჭურჭელი, რომელშიც ჩაყრილია ქვიშა, ოქროსფრად შეღებილი წვრილი კენტები და ჩასხმულია წყალი;

- ამწოვ კარადაში მოთავსებულია: ოქროს ნივთი, სპილენძის ნაქლიბი, თუთიის მარცვლები, აზოტმუავა და ცდისთვის საჭირო ქიმიური ჭურჭელი;
- წინასწარ დამზადდა ტრაფარეტები წარწერებით („მითი“ და „რეალობა“);
- მომზადდა პრეზენტაცია PowerPoint-ში.

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა

I ეტაპი (20 წუთი)

აქტივობის მიზანია – წინარე ცოდნის გახსენება, ათვისებული მასალის მობილიზება, არგუმენტირებული მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

1. ჯგუფებს ურიგდებათ სემინტური მეთოდისთვის მომზადებული ფორმატები. თითოეული გარე სემინტი ჯგუფის თითო წევრს ეკუთვნის, ხოლო ცენტრალური – მთელ ჯგუფს.

პედაგოგები, მოსწავლეებს ყოფენ ქიმიისა და ისტორიის ჯგუფებად და მათ აძლევენ ცალ-ცალკე დავალებას: „ისტორიის ჯგუფის წევრებმა“ პირად სემინტებში უნდა ჩაწერონ მოსაზრებები, თუ რა როლი შეასრულა და რა კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში ცხვრის ტყავმა და რასთან ასოცირდება ის მათ ცნობიერებაში. „ქიმიის ჯგუფის“ წევრებმა კი, თუ რომელი ქიმიური ელემენტია დაკავშირებული ცხვრის ტყავთან და როგორ ხორციელდება მისი მიღება. მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ დამოუკიდებლად. ამის შემდეგ ჯგუფის წევრებს კონსენსუსის საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა, რომელსაც წერენ ცენტრალურ სემინტში.

2. დასკვნებს ჯგუფები პრეზენტაციის საშუალებით წარადგენენ;
3. ქიმიისა და ისტორიის ჯგუფების პრეზენტაციების შემდეგ იმართება მინი დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები ჯგუფების პრეზენტაციებს აჯერებენ, პოულობენ მათ შორის თანაკვეთას და გამოაქვთ დასკვნა.

II ეტაპი (15 წუთი)

აქტივობის მიზანია – ოქროს მოპოვების ძველი წესის დემონსტრირება და ოქროს ტესტირება;

1. მოსწავლეები ცდას ჩაატარებენ მაგიდაზე აწყობილ სადემონსტრაციო მოდელის გამოყენებით: ხის ღარში ჩაასხამენ ქიმიურ ჭურჭელში მოთავ-

სეხულ წინასწარ დამზადებულ ნარევს (ქვიშა, ოქროსფერი კენჭები და წყალი), ნარევი გადაედინება პლასტმასის თასში, რომელშიც ჩაფენილია ცხვრის ტყავი. ქვიშა მსუბუქია და წყალთან ერთად გაედინება (პლასტმასის თასში არსებული ხვრელის საშუალებით), ოქროსფრად დაფერილი წვრილი კენჭები, სიმძიმის გამო, ცხვრის ტყავის ბეწვებზე შერჩება, რომელსაც მოსწავლეები ამოკრეფენ;

2. ქიმიის პედაგოგი მოსწავლეებს ავალებს მოახდინონ ოქროს ტესტირება. ჩაატარონ ცდა და ამოტმუავას გამოყენებით ერთმანეთისგან განასხვავონ ოქრო, სპილენძი და თუთია.
3. ცდის ჩატარების შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ და მიდიან დასკვნამდე, რომ სპილენძი და თუთია იხსნება ამოტმუავაში, ოქრო კი არა. ამდენად, ოქროს ტესტირება შესაძლებელია ამოტმუავას გამოყენებით.

III ეტაპი (5 წუთი)

რეფლექსია – შეჯამების ფაზა

პროექტორის გამოყენებით, თვალნათლივ ხდება წარდგენა და ერთმანეთთან შედარება ოქროს მოპოვებისა და გადამუშავების უძველესი და თანამედროვე მეთოდების.

მოსწავლეები გაკვეთილის ჩატარებამდე იმყოფებოდნენ კაზრეთში, სადაც დათვალიერეს მადნეულის საბადო და გაეცნენ შპს „RMG Gold“-ის მიერ გამოყენებულ ოქროს მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიებს და თან ჩამოიტანეს მადნის ნიმუშები. კაზრეთში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით მოსწავლეები მსჯელობენ ოქროს მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე მეთოდებზე.

IV ეტაპი (5 წუთი)

დებატები

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „ოქროს საწმისი“ მითია თუ რეალობა?

წინასწარ მომზადებული წარწერიანი ტრაფარეტებით მოსწავლეები აფიქსირებენ და არგუმენტირებულად ასაბუთებენ საკუთარ აზრს.

ბოლოს, პედაგოგები აჯამებენ გაკვეთილს და მოსწავლეებს აძლევენ საშინაო დავალებას.

რეფლექსია

ქიმია:

გაკვეთილი წარიმართა გეგმის შესაბამისად. გეგმა იმდენად ზუსტად იყო გაწერილი, რომ არანაირი გაუთვალისწინებელი კითხვა ან რეპლიკა არ ყოფილა. გაკვეთილის მსვლელობისას კარგად იმუშავა სეგმენტურმა მეთოდმა, თუმცა ხარვეზი წარმოქმნა ფორმატებზე მოსწავლეების მიერ პირად სეგმენტებში ჩანაწერების კალმით შესრულებამ, რამაც პრეზენტაციისას ეს ჩანაწერები შორიდან არაკითხვადი გახადა. ამიტომ, შემდგომში გამოვიყენებ მხოლოდ მარკერებს.

ინტეგრირებულმა გაკვეთილმა, მოსწავლეებში გაზარდა მოტივაცია არამარტო ჩართულობის კონტექსტში, არამედ საკითხის სიღრმისეული წვდომის კუთხით, რაც მოსწავლის თუნდაც ასეთ ფრაზაში გამოიხატა... ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი ამ ორი საგნის ერთმანეთთან დაკავშირებას... და ...ოქრო თუ სამკაულამდე ასეთ რთულ გზას გადიოდა, ნამდვილად არ მეგონა...

ისტორია:

ოქროს მოპოვების ისტორიული ნაწილიც წარიმართა გეგმის შესაბამისად, კარგად იმუშავა ისტორიის ჯგუფმა და თავი გაართვა დავალებას. შეიძლება და უფრო მეტი დრო დაგვეთმო გაკვეთილის ბოლოს დისკუსიისათვის, რომელიც მთავარ კითხვას სცემდა პასუხს. ველოდი მოსწავლეების უფრო მეტ აქტიურობას.

კრიტიკული აზროვნების განვითარება სწავლებისას და „აზროვნების ექვსი ქული“

მაია ფირჩხაძე

თანამედროვე ცხოვრების რიტმი და მიმდინარე მოვლენები ხელს უწყობს და გარდაუვალს ხდის, ეკონომიკასა და კულტურაში მოვიდნენ ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ ინფორმაციასთან დამოუკიდებლად მუშაობა, თავიანთი ცოდნის დამოუკიდებლად სრულყოფა (სხვადასხვა მიმართულებით) და, საჭიროებისამებრ, ახალი ცოდნის შეძენაც, რისთვისაც აუცილებელია მოსწავლეობის ხანაშივე შემეცნებითი პროცესების გააქტიურება, ცოდნის შეძენის მოთხოვნილების გაზრდა, სწრაფი და სხარტი აზროვნება. ამ უნარებს სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით გამოიყენებენ პრაქტიკაში და ადვილად მოახერხებენ საკუთარი ცოდნის ტრანსფერს.

ცხადია, საამისოდ აუცილებელია სკოლა-მასწავლებელი-მოსწავლის სწორი კომუნიკაცია და სამივე მხრიდან არგუმენტირებული წარმოდგენები ყველა საჭირო მიმართულებით. სწორედ ამ უნარ-ჩვევების წინ წამოწევისა და სრულყოფას ემსახურება მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება.

ამ ტექნოლოგიის (კრიტიკული აზროვნების) მიმართ კონცეპტუალური და-მოკიდებულება ასეთია:

- ცოდნის ანდა ინფორმაციის რაოდენობა კი არ არის განათლების მიზანი, არამედ ამ ცოდნის, ამ ინფორმაციის გამოყენების, მისი მართვის საშუალებების ცოდნა (ძიება, ათვისება, გააზრება, ცხოვრებაში გამოყენება);
- არა „მზა“ ცოდნის ათვისება, არამედ კონსტრუირება საკუთარი ცოდნისა, რომელიც სწავლის დროს წარმოიშობა;
- სწავლა/სწავლების კომუნიკაციური პრინციპების ცოდნა, მეცადინეობის სწორი რეჟიმი, პრობლემების ერთობლივი მოგვარების გზების ძიება; მოსწავლე-მასწავლებლის „პარტნიორული“ ურთიერთობა;
- ობიექტური შეფასება;
- შემეცნების ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოყოფა.

საზოგადოდ, კრიტიკული აზროვნებისთვის დამახასიათებელია:

- კითხვების დასმა, მოსაზრებების გამოთქმა, ახალი იდეების წამოყენება;
- სხვადასხვა არგუმენტის მოშველიება;
- პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა.

იფიქრო კრიტიკულად, ეს ნიშნავს:

- გამომამუღავნო ცნობისმოყვარეობა;
- გამოიყენო კვლევითი მეთოდები;
- დასვა საკითხები;
- დაგეგმო, შეადგინო პასუხების მოძიების გეგმა;
- გამოააშკარაო ფაქტები და მიზეზები;
- ჩამოაყალიბო ლოგიკურ საძირკველზე დაფუძნებული შეხედულებები;
- ყურადღება მიაქციო ოპონენტის არგუმენტებს და ლოგიკურად უკუაგდო ისინი.

მნიშვნელოვანია ისიც, რა უპირატესი ღირსებები ახასიათებს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს და რატომ უნდა შევუწყოთ ხელი მის განვითარებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პიროვნული ღირსებები, როგორიცაა:

- მოქმედების დაგეგმვის უნარი;
- მოქნილობა;
- მიზანმიმართულობა;
- შეცდომების გამოსასწორებლად მზადყოფნა;
- გააზრება და კომპრომისული გადაწყვეტილების მოძიება.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ტექნოლოგია (ფაზები და მეთოდური ნაბიჯები) ასეთია:

ტექნოლოგიური ეტაპები	მასწავლებლის ქმედება	მოსწავლის ქმედება	შესაძლო მეთოდები, გადაწყვეტილებები
I ფაზა – გამოწვევა, მოტივაცია: არსებული ცოდნის აქტუალიზაცია; ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი; მოსწავლის მიერ სწავლის მიზნის განსაზღვრა	მიმართულია მოსწავლის მიერ უკვე შეძენილი ცოდნის გამომჟღავნებისა და შემდგომი მუშაობისთვის მოტივაციის შექმნისკენ	მოსწავლე „იხსენებს“, რა იცის აღნიშნული საკითხის შესახებ, ახდენს ინფორმაციის სისტემატიზაციას, სვამს კითხვებს.	„ნასწავლი“ საკითხების გამოყოფა; ძირითადი აზრის ჩამოყალიბება; მასალის სისტემატიზაცია (გრაფიკულად): კლასტერების, ნახაზების შექმნა; სწორი და მცდარი

			მტკიცებულებები; ლოგიკური კავშირები; გონებრივი იერიში; პრობლემური შეკითხვები; სხვა კოგნიტური პროცესები
ინფორმაცია, რომელიც მიიღება I ფაზაში, მოისმინება ზეპირად და წერილობითი ფორმითაც; მუშაობა მიმდინარეობს ინდივიდუალურად, წყვილებსა და ჯგუფებში			
II ფაზა – წაკითხულის გააზრება: ახალი ინფორმაციის გაცნობა; მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების კორექტირება	მიმართულია მოტივის შენარჩუნებისკენ, ნელ-ნელა ხდება „ძველი“ ცოდნის ჩანაცვლება „ახლით“	მოსწავლე კითხულობს ტექსტს, აკეთებს შენიშვნებს, გაიაზრებს მათ	აქტიური კითხვის მეთოდების გამოყენება; პირადი ჩანაწერების გაკეთება; გაკვეთილის I ნაწილში დასმულ შეკითხვებზე პასუხის ძიება
ამ ფაზაში ხდება ახალ ინფორმაციასთან (ნარატივი, ფილმი, ლექცია, გაკვეთილის ტექსტი) უშუალო შეხება, კონტაქტი; მუშაობა უპირატესად მიმდინარეობს ინდივიდუალურად და წყვილებში			
III ფაზა – რეფლექსია: ახალშეძენილი ცოდნის გააზრება; ახალი ცოდნის დაბადება; მოსწავლის მიერ ახალი მიზნების დასახვა	მასწავლებელი ვალდებულია, მიზანი არ დაავიწყებინოს მოსწავლეებს; მისცეს მათ შემოქმედებითი მიდგომების გამოყენების საშუალება; კვლევითი ხასიათის პარალელების გავლება	მოსწავლე აქცენტს აკეთებს „ძველი“ და „ახალი“ ცოდნის სინთეზზე და ისე გაიაზრებს ახალ ინფორმაციას	კლასტერების, ცხრილების შევსება; მიმდინარეობს კავშირების გამოყენება; არგუმენტაცია; კითხვებზე პასუხი; წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია; დისკუსიების ორგანიზება; შემოქმედებითი სამუშაო (მაგ., ესეს დაწერა); თემის ცალკეული ნაწილების კვლევა და ა.შ; ასეთი მეთოდებით ამ ფაზაში მიღებული ინფორმაცია გადაიქცევა „მოსწავლის ცოდნად“
რეფლექსიის ფაზაში ხდება ანალიზი, ინფორმაციის შემოქმედებითი გადამუშავება, შესწავლილი მასალის ინტერპრეტაცია; სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და ჯგუფურად.			

როგორც ვხედავთ, რეფლექსია ერთობ საინტერესო ფაზაა სააზროვნო ოპერაციებს შორის, მაგრამ თუ კარგად ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ მისი დეტალები ყველაზე მეტად ფოკუსირდება დისკურსიული მუშაობისას, რადგან დისკუსია სწავლების გააქტიურების ის მეთოდია, რომელიც ძლიერ უწყობს ხელს რთული თემების, თეორიული პრობლემების შესწავლას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. დისკურსიული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს ლოგიკურ აზროვნებას, სამეტყველო უნარებს, არწმუნებს თავიანთი შეხედულებების სისწორეში ანდა, პირიქით, მცდარობაში და ეხმარება, უფრო ღრმად გაერკვიონ რთულ საკითხებში.

საზოგადოდ, დისკუსია – ეს არის განხილვა, გამოძიება, კამათი რაიმე საკითხის, პრობლემის გარშემო (განხილვა სახალხო, ნაბეჭდ ფურცლებზე ან პირად საუბრებში); დისკუსიის დროს არ მიმდინარეობს თემის დადგენა, თუმცა მისი მთავარი მახასიათებელი არგუმენტირებულობაა – კამათი ანუ პრობლემის დისკურსიული განხილვა მიმდინარეობს არგუმენტების მეშვეობით.

დისკუსია მოითხოვს მოსწავლეთა გულდასმით მომზადებას, მათთვის სადისკუსიო საკითხების წინასაწარ გაცნობას და ცოცხლად, აქტიური ფორმით წარმართვას, ამიტომ მასწავლებელი წინასაწარ გეგმავს დისკუსიას, წინასაწარ განსაზღვრავს სადისკუსიო საკითხს, მოსალოდნელი შეკითხვების აუცილებელ რაოდენობას და საგანგებოდ ბრუნავს მრავალფეროვანი პასუხების, შეხედულებებისა და თვალსაზრისების მისაღებად საჭირო პირობების შექმნაზე.

დისკუსიის წარმართვის მრავალი ხერხი არსებობს, თუმცა არსებობს წესები, რომელთა დაცვა ყველა შემთხვევაში აუცილებელია:

- მონაწილეებმა არ უნდა გადაუხვიონ თემა, არ უნდა დაავიწყდეთ დისკუსიის მიზანი – ჭეშმარიტების მიგნება, გადაწყვეტილების მიღება, გამოსავლის პოვნა, რისთვისაც უნდა განიხილონ მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც უპასუხებს განსაზღვრულ მიზანს;
- იფიქრონ არა გამაჯვებაზე, არამედ სწორი პასუხის მიღებაზე;
- დისკუსიაში უნდა მონაწილეობდეს ის, ვინც მზად არის მოისმინოს, პატივისცემით მოეპყროს სხვის აზრს, სხვის შეხედულებას; გაითვალისწინოს, რომ ყველას აზრს აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, დისკუსიის დამთავრებამდე ყველა მოსაზრება სწორად შეიძლება ჩაითვალოს, კამათის

დასრულებისას კი რეალურად სწორი მოსაზრება აუცილებლად გამოიკვეთება;

- არ უნდა იკამათონ მხოლოდ კამათისთვის, რადგან ასეთი მიდგომა ჭეშმარიტების მიგნებას არ ემსახურება;
- ხანდახან ვისიმე მოსაზრება მისაღები ჩანს პიროვნების სტატუსის, მისი ავტორიტეტის გამო, მაგრამ აუცილებელია რეალურ ფაქტებზე დაყრდნობა და პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზების მოძიება;
- კამათისას ყურადღება უნდა მიექცეს ინტონაციას, თავაზიანობას; გასათვალისწინებელია, რომ ოპონენტი პირადი მტერი არ არის, ის მხოლოდ ადამიანია, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება აქვს;
- ყოველი მოსაზრება არგუმენტირებული უნდა იყოს (არგუმენტებად არ გამოდგება გამოხატვის ასეთი ფორმა: „ასე იყო ყოველთვის“, „მე ასე მგონია“ და სხვ.).

დისკუსიის წარმართვის მეთოდებიდან გამორჩევით საინტერესოა „ამროვნების ექვსი ქუდი“ (მეთოდის ავტორია ედუარდ დე ბონო, XX ს. 80-იანი წწ.), რომელიც გამოიყენება ამროვნების გააქტიურებისა და მისი სწორად წარმართვისათვის; იმავდროულად, იგი ხელსაყრელი ინსტრუმენტია შემოქმედებითი ამროვნების განვითარებისთვის.

ედუარდ დე ბონომ გადაწყვიტა, ამროვნების ტიპები ფერადი ქუდეებისთვის დაეკავშირებინა, რასაც საფუძვლად დაუდო პარალელური ამროვნების იდეა (პარალელური ამროვნება – ეს არის კონსტრუქციული ამროვნება, რომლის დროსაც განსხვავებული შეხედულებები ერთმანეთს კი არ ეჯახება, არამედ თანაარსებობს).

მეთოდის მიზანია ასწავლოს ადამიანებს, გაიგონ თავიანთი ამროვნების განსაკუთრებული თვისებები, აკონტროლონ თავიანთი ქცევა და შეუხამონ იგი საბოლოო მიზანს, პრობლემების გადაჭრისას და ინოვაციების გენერაციისას უფრო ეფექტურად გამოიყენონ საამროვნო პროცესები; „ამროვნების ექვსი ქუდი“ შემოქმედებითი და კონსტრუქციული ამროვნების განვითარებას ემსახურება და ავსებს ანალიტიკურ ამროვნებას.

აღნიშნული მეთოდის არსია ამროვნების ვიზუალური და მენტალური დაყოფა ექვს ტიპად, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება მეტაფორული ფერადი ქუდი. ასეთი დაყოფისას ადამიანის ქცევის თითოეული ეტაპი, თითოეული მიდგომა გაცილებით მეტადაა ფოკუსირებული პრობლემის გადაჭრაზე. ეს მეთოდი კი ერთობ არტისტული საშუალებაა მათი მოგვარებისა.

მეთოდი „აზროვნების ექვსი ქუდი“ უბრალო, მარტივი და პრაქტიკული საშუალებაა, დაიძლიოს სამი ფუნდამენტური სირთულე ადამიანის საქმიანობისას: ემოცია, უმწეობა და დაბნეულობა. ამისთვის აუცილებელია:

1. დისკუსიის მონაწილეებმა იმოქმედონ სწავლის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების გზით, რაც აიძულებს მათ, დაიხსომონ წესები და შედეგებისდაგვარად გააზრებულად გამოიყენონ პრაქტიკაში;
2. ამის შემდეგ შესაძლებელია აზროვნების წარმატებით გამოყენება შემცენებისთვის, კონტროლისთვის;
3. ქუდის გაკეთებისას ან შეცვლისას იცვლება თავად აზროვნება ანუ აზროვნების „ქუდი“. ამ დროს ადამიანი საკუთარ თავზე იღებს გარკვეულ როლს, რომელზეც ეს ქუდი მიუთითებს (რომელსაც ეს ქუდი განასახიერებს).

„ექვსი ქუდის“ მეთოდი – ეს აზროვნებაში იმავე პრინციპის გამოყენებაა, რომელსაც იყენებენ, მაგალითად, ფერადი ბეჭდვის დროს, როცა ექვსი ფერი ცალ-ცალკე გადააქვთ ქაღალდზე, ბოლოს ერთმანეთში ურევენ და ისე ბეჭდავენ, ანუ ესაა მეთოდი, როგორ უნდა ისწავლო ყურადღების მიქცევა აზროვნების ცალკეული ასპექტებისთვის ერთიმეორის მიყოლებით, რის შედეგადაც ამ ასპექტებიდან ყალიბდება სრული აზროვნება. მაინც რა ხდება ქუდების გამოცვლისას?

1. ვიხურავთ რა აზროვნების ქუდს, ვირგებთ როლს, რომელზეც ეს ქუდი მიუთითებს (რომელთანაც ეს ფერი ასოცირდება);
2. ვიხდით რა კონკრეტული ფერის ქუდს, ჩვენ გამოვდივართ ამ ტიპის აზროვნებიდან;
3. ერთი ქუდის მეორით შეცვლისას მყისიერად ხდება აზროვნების „გადართვა“. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს, გადავრთოთ აზროვნების მიმდინარეობა ისე, რომ „არ გავლიზიანდეთ“; ჩვენ კი არ უარვყოფთ გამოთქმულ მოსაზრებას, არამედ „ვითხოვთ“ მის შეცვლას;
4. ჩვენი აზრის გამოხატვისთვის უბრალოდ ვამბობთ, ვაცხადებთ, რომელ ქუდს ვიხურავთ და ამით ვაჩვენებთ, აზროვნების რომელი ტიპის გამოყენება მიგვაჩნია ეფექტურად. მაგალითად, უბრალოდ ვამბობთ, რომ ვირჩევთ შავ ქუდს, რითაც ვიღებთ იდეის განხილვის შესაძლებლობას, ოღონდ ისე, რომ „თავს არ ვესხმით“ იმ ადამიანს, რომელმაც ეს იდეა შემოგვთავაზა.

რას ნიშნავს ამროვნების ექვსი ქუდის ექვსი ფერი?

წითელი ქუდი – წითელი ცეცხლოვანი ამრების გამოშხატველი ფერია. წითელი ქუდი დაკავშირებულია ემოციასთან, ინტუიციასთან, გრძნობებსა და წინათგრძნობებთან. აქ აუცილებელი არ არის რამის დასაბუთება. გრძნობები არსებობს და წითელი ფერი იძლევა მათი წარმოდგენის საშუალებას.

ყვითელი ქუდი – ყვითელი ფერი მზისა და ოპტიმიზმის გამოშხატველია. ამ ფერის ქვეშ ვცდილობთ მოვიპოვოთ ღირსება და საუკეთესო წინადადებები, პერსპექტივები და შესაძლო მოგება, გამოვავლინოთ ფარული შესაძლებლობები.

შავი ქუდი – შავი ფერი მოგვაგონებს მოსამართლის მანტიას და გამოხატავს სიფრთხილეს, კრიტიკულ განწყობილებას. იგი გვიჩვენებს რისკების არასაკმარისობას და მიგვითითებს, რატომ ვერ განხორციელდება ესა თუ ის იდეა.

მწვანე ქუდი – მწვანე ფერი მცენარეებს მოგვაგონებს, ზრდას, ენერგიას, ცხოვრებას. მწვანე ქუდი – ეს შემოქმედებითი რეჟიმია, იდეების გენერაციაა, არასტანდარტული და ალტერნატიული შეხედულებებია.

თეთრი ქუდი – თეთრი ფერი ქაღალდზე სავარაუდო ამრების გადატანაში გვხმარება. ამ დროს ჩვენ ფოკუსირებას ვახდენთ იმ ინფორმაციაზე – ფაქტებსა და ციფრებზე, რომელსაც ვფლობთ ანდა რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად; ვიხურავთ რა თეთრ ქუდს, ამით ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენ ველით სრულ ინფორმაციას და ფაქტებს.

ლურჯი ქუდი – გამოიყენება განხილვის დასაწყისში, ამოცანის დასახვისას და შედეგების განსაზღვრისას (რისი მიღება გვინდა შედეგად). ესაა თავად ამროვნების პროცესზე დაკვირვების, მისი მართვის რეჟიმი (მიზნების ფორმულირება, შედეგების შეჯამება და ა.შ.).

რატომ ქუდები?

- ქუდი ადვილი დასახურავი და ადვილი მოსახდელია. ეს შეესაბამება ჩვენს სიტუაციას, რამდენადაც ჩვენ ამროვნების სხვადასხვა ტიპის, სხვადასხვა ფორმის ცვლა ისევე მსუბუქად უნდა შეგვეძლოს, როგორც ფერადი ქუდებისა.
- ამროვნებაში (ტექნიკურ სფეროში) 90%-მდე შეცდომებისა – ეს არის ალქმითი შეცდომები, ანუ არასწორი ალქმის შედეგი; ლოგიკური შეცდომები ძალიან იშვიათია.
- ექვსი ქუდის მეთოდი ამდიდრებს ჩვენს ამროვნებას და უფრო მრავალმხრივს ხდის მას. როცა ჩვენ უბრალოდ ვთხოვთ სხვას, იფიქროს რამეზე, ის ადვილი შესაძლებელია დაიბნეს, მაგრამ თუ შევთავაზებთ საგნის გა-

მოკვლევას, გამოძიებას „ექვსი ქუდის“ პრინციპით, მისი აზროვნება, აღქმა სწრაფად გაფართოვდება.

მაგრამ ექვსი ქუდის მეთოდს რამდენიმე „უხერხულობაც“ ახლავს:

- მისი ეფექტური გამოყენებისთვის საჭიროა განვითარებული წარმოსახვა და გულდასმითი ვარჯიში, რომელიც ყოველთვის ვერ ხერხდება;
- დისკუსიის მონაწილეები დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას განიცდიან; ყველას მოუწევს საკუთარი რეაქციებისა და წარმოდგენების „გადაამუშავება და გადახედვა“.

მეთოდის პრაქტიკული გამოყენებისთვის ასევე აუცილებელია გამოცდილი ხელმძღვანელი, რომელიც შეძლებს სპეციალური ცოდნისა და უნარების გამოყენებით ჯგუფის აზროვნების გააქტიურებას და პრობლემის ეფექტურად გადაჭრას.

აღნიშნული მეთოდის თვალსაჩინოებისთვის საკმარისია წარმოვიდგინოთ, რა ტიპის კითხვები შეიძლება დაიბადოს ისტორიის გაკვეთილზე, რომლებსაც შემდეგ მასწავლებელი განიხილავს „ექვსი ქუდის“ პრინციპით:

მაგალითად, ნებისმიერი სახის, თუნდაც პრობლემაზე ორიენტირებული ნარატივის გაცნობისას ჩნდება ასეთი კითხვები:

1. რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ტექსტმა?
2. რა მოვლენაა ასახული და რაზეა საუბარი ნარატივში?
3. რა სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს ტექსტი?
4. რა ეწოდება ასეთ პოლიტიკას? (მოვლენას?) რა აზრის (იდეოლოგიის) შემცველია ის?
5. რა იცით მსგავსი საკითხების შესახებ?
6. დააკავშირეთ თქვენ მიერ განხილული ინფორმაცია (ჩამოყალიბებული პასუხები) ნარატივთან (ტექსტთან) და გამოხატეთ საკუთარი პოზიცია.

სწავლებისას კრიტიკული აზროვნების და, კერძოდ, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მასალა გაცილებით აღქმადია, ადვილი ასათვისებელი და მართივი გამოსაყენებელი; იგი ეფექტური საშუალებაა, მოსწავლემ სხვადასხვა კუთხით დაინახოს სიტუაცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილებები; ამავე დროს იგი საუკეთესო საშუალებაა საკუთარი ეგოსა და პირადი ემოციების უკუგდებისა და რეალობის სწორად შეფასებისთვის, ყოველივე ეს კი სწავლების ამ ტექნოლოგიას პოპულარულს ხდის.

**კრიტიკული აზროვნების განვითარება სწავლებისას,
„რომის იმპერია“ და „აზროვნების ექვსი ქუდი“**

კლასი – VII.

საგანი – ისტორია

გაკვეთილის თემა – „რომის იმპერია“ (პარ. 14,15) (ისტ.VII, 3,4)

სასწავლო მიზნები – მოსწავლემ შეძლოს დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან; დაახასიათოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებული სახელმწიფოს მმართველობის ფორმები; იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში. ჩამოაყალიბოს ლოგიკურ საფუძველზე დაფუძნებული შეხედულებები; ყურადღება მიაქციოს ოპონენტის არგუმენტებს და ლოგიკურად უკუაგდოს ისინი.

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა N1 (5 წთ) – მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვებით.

(მოსწავლეები გამოცდილებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე გასცემენ პასუხებს):

- გაიხსენეთ, ვინ იყო აპენინის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა?
- მმართველობის როგორი ფორმა ჰქონდათ აპენინის უძველეს მოსახლეობას?
- რა მიზეზებმა გამოიწვია აპენინზე მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის დამყარება?
- როდის დაწინაურდა ქალაქი რომი აპენინის სხვა ქალაქებთან შედარებით? ყველაზე მეტად რაში გამოიხატა ეს დაწინაურება?
- რა როლი შეასრულა არმიამ რომის ცხოვრებაში?
- ჩამოთვალეთ, რა პირობებმა გამოიწვია რომის ქალაქ-სახელმწიფოს გაძლიერება და შეავსეთ ცხრილი:



აქტივობა N2 (8 წთ) – მასწავლებელი სახელმძღვანელოს ტექსტზე დაყრდნობით მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას რომის, მისი მმართველობის და მმართველების (იულიუს კეისარი, ოქტავიანე ავგუსტუსი, ტრაიანე..) შესახებ და სთავაზობს დისკუსიას თემაზე: „რესპუბლიკელები თუ იმპერატორები?“ ედუარდ დე ბონოს მეთოდის „აზროვნების ექვსი ქუდის“ გამოყენებით. მასწავლებელი მოსწავლეებს დაწვრილებით აცნობს „აზროვნების ექვსი ქუდის“ სტრატეგიას (სქემა 1), შეახსენებს დისკუსიის წესებს და ყოფს მოსწავლეებს ნ ჯგუფად. შემდეგ ჯგუფებს სთავაზობს, აირჩიონ ლიდერი, მეთოდის მიხედვით შეარჩიონ სასურველი ფერის ქუდი, სახელმძღვანელოს ტექსტზე დაყრდნობით მოამზადონ პრეზენტაცია, არგუმენტებით დაამტკიცონ (ან უარყონ) „რესპუბლიკელების“ და „იმპერატორების“ წვლილი რომის სახელმწიფოს გაძლიერებაში და რომის იმპერიის კონტურულ რუკაზე (სურ.1) ასახონ შესაფერისი მტკიცებულებები.

მოსწავლეები ასრულებენ მასწავლებლის მითითებას.

აქტივობა N3 (8 წთ) – მოსწავლეები დაჯგუფდებიან, აირჩევენ ლიდერებს („რესპუბლიკის დამცველი სენატორი“, „იულიუს კეისარი“, „ოქტავიანე ავგუსტუსი“, „ტრაიანე“, „რიგითი რომაელი“ და „ბარბაროსი“) და „აზროვნების ექვსი ქუდის“ პრინციპის საფუძველზე შეარჩევენ სასურველი ფერის ქუდებს; მუშაობენ ჯგუფებში და ემზადებიან პრეზენტაციისთვის რომის სახელმწიფოს გაძლიერებაში „რესპუბლიკელების“ და „იმპერატორების“ წვლილის შესახებ.

აქტივობა N4 (19 წთ) – ჯგუფის ლიდერები აკეთებენ პრეზენტაციას.

I ჯგუფი – „წითელი ქუდი“ (რესპუბლიკის დამცველი სენატორი): „მე, როგორც სხვა სენატორები, რომის რესპუბლიკის რიგითი მცველი ვარ. მართალია, პატრიციების წრიდან ვარ, მაგრამ რესპუბლიკის იდეისთვის და ხალხის სამსახურისთვის არასოდეს მიღალატია! რესპუბლიკელები ყოველთვის რომის ძლიერებაზე ვზრუნავდით, ამან შესძინა ჩვენს აზრებს გამბედაობა და სიმტკიცე, ეს გახლდათ სწორედ ამპარტავანი, ამაყი და უნიათო მეფე ტარკვინიუსის გაძევების მიზეზი. მე და ჩემმა თანამოაზრეებმა ამიტომ დავამყარეთ რესპუბლიკა. ჩვენ სახელმწიფოზე ზრუნვა სამოგადო საქმედ ვაქციეთ, რომის გაძლიერებისთვის არაფერი დავიშურეთ, აპენინის ქალაქები რომის გარშემო გავაერთიანეთ, შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირეთი დავიპყარით, ბოლო მოვუღეთ რომის დაუძინებელ მტრებს – კართაგენს და სელევკიდების სირიას, ხელში ჩავიგდეთ სიცილია და მსოფლიო სავაჭრო გზები! ეს ჩვენ გადავაქციეთ რომი „მსოფლიო დედაქალაქად“ და ამიერიდან სხვა გზა – გარდა რომისა – აღარ არსებობს! ეს

ჩვენ გავუღვივეთ რომაელებს მიძინებული გრძნობები და დავანახეთ რეალური შესაძლებლობები! თუმცა, რაა აქ საკამათო – შეხედეთ ამ რუკას, აი, ვინ დაიწყო რომის ისტორია! რესპუბლიკა და მისი მცველები რომ არა – ნამდვილი რომი არ იქნებოდა!“ (მიდის და აფერადებს რუკას წითლად).

II ჯგუფი – „მწვანე ქუდი“ (იულიუს კეისარი): „ჰეი, შენ, რესპუბლიკავ, ეს მე ვარ, იულიუსი! თავმომწონე ვარ და ძალ-ღონით სავსე, მიყვარს დროსტარება და ქუჩის ჩხუბები, რადგან ესაა სულ, რისი შემოთავაზებაც შეგიძლია! სულ ტყუილად იკვები! რა ფასი აქვს იმას, რაც მხოლოდ წარსულში დატოვე?! ოდესღაც მართლაც რაღაც შექმენი, მაგრამ მერე განცხრომას მიეცი და ხალხისთვის მიცემული პირობა დაივიწყე! ახლა მეც თქვენსავით გავაგრძელო და მხოლოდ ვალები მოვიხვეტო?! მე ნამდვილი ცხოვრება მიინდა, თქვენი შეხედულებებით ვერ ვიცხოვრებ, თქვენ ხომ თავი არ შეიწუხეთ, უკან მიგეხედათ და რომის სახელი და დიდება მთელს ევროპაში გაგვევრცელებინათ, ამას ვერ დავუშვებ! რომი ვერასოდეს იქნება მშვიდად იმიტომ, რომ აზია და აფრიკა დაიკავეთ, რადგან უპირველესი მტერი – თქვენი უშუალო მეზობლები – გალებიც კი ვერ დაიმორჩილეთ! მე კი, კეისარმა, ვიცი ეს როგორ გავაკეთო! და გავაკეთებ კიდეც და გავაკეთე კიდეც! მე რომ არა, შენგან ძლიერი რომი ვერ იქნებოდა, რადგან მე გავაცანი რომს „პიროვნება“, მე დავანახე, რა შეუძლია ნამდვილ რომაელს, მე დავუბრუნე ღირსება და დაუმარცხებელი მეომრის სახელი, მე შევქმენი რომის არმია და იმპერატორის ხელისუფლება ისეთი, რომლის ფასი რომის ისტორიაში განუზომელია და რომ არა მე, რომის საზღვრები ასე შორს არ გადაიჭიმებოდა!“ (მიდის და აფერადებს რუკას).

„წითელი ქუდის“ რეპლიკა: „შენ, იულიუს, შენი ამპარტავნება და არასწორი ამროვნება გალაპარაკებს! ეს შენ გგონია, რომ რომის დიდება შენ ხარ, განა მოსაწონია, რომ შენი ახალი იდეებით საფრთხის ქვეშ გვავდებ?! რის ალტერნატივას გვთავაზობ მშვიდობის ნაცვლად?! განა შენ არ დაასამარე ძლიერი რომი, როცა მას ყველაზე მთავარი – ხალხის ნება წაართვი?! შენ ეს გააკეთე მხოლოდ შენთვის, მხოლოდ ერთისთვის და ძირი გამოუთხარე რესპუბლიკას, დაივიწყე წინაპრები, ვინც შენამდე რომს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა და რომი მსოფლიო დედაქალაქად აქცია, შენ კი იგი ერთი პიროვნების ქალაქად გინდოდა გექცია, სამოქალაქო ომში ჩაითრიე ქვეყანა და შენი მონაგები ანაცვალე საკუთარ ამპარტავნებას – იმ რესპუბლიკიდან, შენ რომ ლეგიონები მოგცა – აღარაფერი დატოვე! ძირს იმპერატორი და გაუმარჯოს რესპუბლიკას, ძლიერი რომის შემომქმედს!“

III ჯგუფი – „ყვითელი ქუდი“ (ოქტავიანე ავგუსტუსი): „მე ოქტავიანე ვარ, ავგუსტუსი და ვფიქრობ, თუ აქ ვინმეს რამე ეთქმის რომის სახელმწიფოს წინაშე დამსახურებაზე, ეს უპირველესად მე ვარ! რა ამბავი ატეხეთ!! არც ასეა საქმე რესპუბლიკის მცველებო, იულიუსის საქმეებმა რომს ევროპა აჩუქა და არ დაგავიწყდეთ, როგორ მოიქცეით ვითომ ხალხის სახელით – ამ ევროპის მრუქებელი სასიკვდილოდ გაწირეთ ისე, არც აცალეთ ბოლომდე მიეყვანა საქმე! ვითომ სახელმწიფოს ძლიერების დამცველებო, რომის საზღვრებიდან ომი პირდაპირ რომის ქუჩებში გადმოიტანეთ! მაგრამ ახლა მე ვდაგავარ რომისა და რესპუბლიკის წინაშე, იულიუსის დისშვილი ოქტავიანე და პირობას ვიძლევი, გავაგრძელებ მის დაწყებულ საქმეს, თავს არ დავზოგავ რომის დიდებისთვის, მაგრამ არც რესპუბლიკის მომხრენი არ დაიჩაგრებიან, მე შევინარჩუნებ სენატს და არსებულ სამოხელეო აპარატსაც, თუმცა არც იმპერატორის ძალაუფლებას დააკლდება რამე, რადგან მე, როგორც რომის იმპერატორმა, ბოლო მოვუღე დიდგვაროვანთა დაპირისპირებას, დიდი პოლიტიკური ალლო გამოვიჩინე და რომაული მშვიდობა დავამყარე! განა თქვენ თვითონ არ მიწოდეთ „ავგუსტუსი“? ეს მე დავიპყარი ეგვიპტე და ნილოსის მოსავლიანი ნაპირები რომის მინდვრებად ვაქციე, მე მოგიპოვეთ ნამდვილი ღირსება, შემოგთავაზეთ სხვა მმართველებზე უკეთესი წინადადებები, შესაძლო მოგება დაგანახეთ და ყველა ფარული შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მოგეცით! ეს მე ავაკაშკაშე რომის მზე ჩაუქრობელი ნათელით და ჩემი ოპტიმიზმით გულანთებულებმა, თქვენც, რომის სასიკეთო საქმეები აკეთეთ და რომის რუკზე ეს ყვითელი ფერია ამის დასტური!“ (მიდის და აფერადებს რუკას).

IV ჯგუფი – „ლურჯი ქუდი“ (ტრაიანე): „მოგესალმებით, სენატორებო და იმპერატორებო! მინდა გითხრათ, რომ აქ იმაზე მეტს ლაპარაკობთ, ვიდრე ამის უფლება გაქვთ! რითი იწონებთ თავს და რატომ მოგვიწოდებთ, რომ თქვენი აზროვნება და თქვენი საქმიანობა მომგებიანი იყო რომისთვის?! კარგად გაახილეთ თვალები! ერთმა ყველაფერი არია და რესპუბლიკის ძალა ეჭვქვეშ დააყენა, დაავიწყდა, რომ რესპუბლიკამ მისცა რომს ხმელათშუაზღვისპირეთი და რომ სხვა დანარჩენი მხოლოდ ამ საქმის გაგრძელებაა, გალიაც და ეგვიპტეც ამ გზის ერთი ბოლოა და მეტი არაფერი! ნურც ოქტავიანეს დაავიწყდება, რომ რესპუბლიკის მაგივრად პრინციპატი შეგვატოვა ხელში, ან რად გვინდა ისეთი „რომაული მშვიდობა“ და „ოქროს ხანა“, თუ ჩვენსავე ამპარტავნებაში ჩავიძირებით და ვერ დავინახავთ „ძლიერი“ რომის პრობლემებს?! რა დროს თავის ქებაა, რომის რესურსები ამოწურულია და ყველაფერი გვერდზე დავგრჩება, თუ იარაღს არ მოგვიღებთ ხელს და საომრად არ გამომყვე-


ბით. რომს ახალი მიწები ჭირდება, ახალი სავაჭრო სახმელეთო და საზღვაო გზები, მოვიპოვოთ ისინი და შევძინოთ რომს „ნამდვილი ოქროს ხანა“, ხანგრძლივი სიკეთე და რეალური ძალაუფლება მსოფლიოზე! და ეს ასეც იქნება! და ასეც არის, მე შევძელი ეს და ამას ჩემი, ტრაიანეს სვეტი მოწმობს და ეს რუკა, სადაც ლურჯი ფერი ჩემი ნააზრევის, ჩემი ღონისძიებების და ჩემი გამაჯვებების შედეგია!“ (მიდის და აფერადებს რუკას).

V ჯგუფი – „შავი ქუდი“ (რიგითი რომაელი): „როგორც იქნა, ჩემი რიგიც დადგა, აქ იმდენი მოვისმინე, ვითომ ჩემთვის და ჩემისთანებისთვის როგორ ბრუნავდით, რომ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს მართალი ეგონება! ყველაზე მეტად ტრაიანემ გამაოცა. განა ისეთი რა გააკეთა?! იმპერატორო, შენი ყველა მონაგები აღმოსავლეთში მაშინვე ეჭვქვეშ არ დადგა?! ვითომ ყველა და ყველაფერი დაიმორჩილე, მაგრამ პართიას მაინც ვერაფერი დააკელი, ისიც კი ვერ შეძელით იმპერატოროებმა, იბერია ჩაგეგდოთ ხელში და პლაცდარმად გექციათ პართიის წინააღმდეგ, ამდენი ხანია ეომებით, ამდენი ფული დაიხარჯა, ქვეყანა გაჩანაგდა, რომაელი ჯარისკაცები დაიღუპნენ და არასწორი გეგმების გამო ვერაფერს გახდით, უკვე ლამის ოთხი საუკუნეა აღმოსავლეთს ებრძვით და კიდევ ვერ გაგვიგია, სად ვართ! მე გიჩვენებთ რუკაზე ყველაზე მთავარს – შავად მოვხაზავ ადგილს, რომლის დაუფლების გარეშე თავდასხმას პართიაზე აზრი არ აქვს! დაიხსომეთ რომაელებო! ვინც ფლობს კავკასიას და იბერიას, მხოლოდ ის გრძნობს თავს მშვიდად და უსაფრთხოდ აზიაში, რადგან ყოველთვის შეიძლება ამ ადგილიდან ისე გააერთიანო ძალები, შეკრა სავაჭრო გზები, გადაკეტო ხორბლით მდიდარი რეგიონები, შენს სასიკეთოდ გამოიყენო აქაური ლითონით სავსე მთები, რომ უდიდესი ზიანი მიაყენო მას, ვინც ფიქრობს, რომ წინა აზია მისია! თუ ასე არ მოვიქცევით, პართიასთან ომი ამაოა!“ (მიდის და აფერადებს რუკას).

V ჯგუფი – „თეთრი ქუდი“ (ბარბაროსი): „რომაელებო, უკან წაიღეთ თქვენი ოპტიმიზმი, ზღვარი დაუდეთ თქვენს ოცნებებს და რეალობა დაინახეთ – თქვენ ვერ აფასებთ რეალურ ვითარებას, ვერ შეინარჩუნებთ იმპერიას და რომს, თქვენ რომის წინააღმდეგ განაწყვეთ ყველა. სადაც მიხვედით, მხოლოდ ძალადობა დათესეთ, ვაჟკაცები მონებად აქციეთ და რომაელის გარდა არავინ არაფრად ჩააგდეთ, ახლა მინდა გაგაფრთხილოთ და თქვენი სუსტი მხარეები დაგანახოთ: ეს ზღუდეებია! ბუნებისგან ნაჩუქარია თუ თქვენი აგებული, სულერთია, ჩვენ სხვა ვერაფერი დაგვაკავებს! რომის რომელ ძლიერებაზე ლაპარაკობთ, არც სენატორებს და არც იმპერატორებს ძალა არ შეგწევთ, ჩვენ დაგვამარცხოთ! გახედეთ მათ – იბერიელებს და ნახეთ, მათ უკან

აღმართული კავკასიონი როგორ დაუცვათ (მიდის და აფერადებს რუკას). თუ ასე არ დაიცავთ ალპებსა და ბალკანეთს, რომი განწირულია, თქვენ მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე დარჩებით, რადგან ჩვენ ვიქნებით ის ზღურბლი, რომელსაც თქვენ ვერ გადააბიჯებთ! ისტორია ჩვენ არ დაგივიწყებს, ბარბაროსებს, როგორც თქვენ გვიწოდებთ, რომლებიც შორს ვართ თქვენი ამბიციებისაგან, უზრუნველობისაგან, ჩვენ არ ვითხოვთ პიროვნულ განდიდებას და მონების არმიას, ჩვენ დავამხოთ რომს და ადამიანებს გავათავისუფლებთ!“

სურ.1 – რომი ძვ.წ. II ს.-ახ.წ. II სს.



აქტივობა N5 (4 წთ) – მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა საქმიანობას და აფასებს ჯგუფებს სქემის (სქემა 2) მიხედვით:

სქემა 2

მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	2
მსჯელობს არგუმენტირებულად	2
აკეთებს დასკვნებს	2
იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს	2

ოპონირებს – კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს, კონსტრუქციულად და თემატურად არგუმენტირებულად პასუხობს განსხვავებულ აზრს

2

აქტივობა N6 (1 წთ) – მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს რეფერატს თემაზე „ბარბაროსები რომში“. თემის დასაძმუშავებლად მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და უნარები.

რეფლექსია

გაკვეთილის პროცესში აზროვნების სხვადასხვა „ქუდის“ წარმოსახვითმა გამოყენებამ მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ დაინახეს კრიტიკული აზროვნების და პრობლემის მრავალმხრივად განხილვის აუცილებლობა, ნებისმიერ პრობლემაზე მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მოძიების და აუცილებლობის შემთხვევაში, თუნდაც არასტანდარტული, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება, ისწავლეს მიზნებისა და შედეგების ფორმულირება, ემოციების გაკონტროლება, გამოავლინეს ფარული შესაძლებლობები და გაიმტკიცეს ის წინარე ცოდნაც, რაც შესასწავლ საკითხზე ჰქონდათ. თუმცა მუშაობის პროცესში გამოვლინდა გარკვეული სიძნელებიც; პრაქტიკული საქმიანობისას აღმოჩნდა, რომ აზროვნების სტრატეგიების ასეთი სწარაფი ცვლა და მოკლე დროში სხვადასხვა შეხედულებების კრიტიკული ანალიზი არცთუ ადვილად დასაძლევია აღმოჩნდა მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის, სწავლის ამ საფეხურზე უმჯობესია ერთი-ან რამდენიმე „ქუდის“ გამოყენება, თუნდაც საწყის ეტაპზე, სანამ ტექნიკას კარგად აითვისებენ, რადგან ამ გზით კიდევ უფრო უკეთესად დაამახსოვრდებათ გაკვეთილის მასალაც, აზროვნების „ქუდებსაც“ უკეთესად მოირგებენ და კრიტიკული აზროვნების განვითარება სწავლებისას უფრო მაღალ ნიშნულზე აიწევს.

ინტერვიუ, როგორც სასწავლო მეთოდი

მანანა რატიანი

არაერთ ახალ სახელმძღვანელოში შეხვდებით დავალებებს, რომლებიც ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას ითხოვს. რა თქმა უნდა, ჩვენი საგანი გეოგრაფიაც არ გამოირჩევა სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან და ხშირად, ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს სხვადასხვა დისციპლინებში გამოყენებულ მეთოდებს. ამ მეთოდებს შორისაა ინტერვიუ. „ინტერვიუ“ ითარგმნება როგორც „საუბარი“. მართლაც, ინტერვიუ არ არის მხოლოდ ჟურნალისტიკის საინფორმაციო ჟანრი, არც მხოლოდ ერთი ადამიანის მეორესთან საუბრის გადმოცემის სალიტერატურო ხერხი, რაც მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ინტერვიუ, ამავედროულად, ადამიანების ურთიერთობის გზით მონაცემების, ინფორმაციის მოპოვებაა.

ვიდრე ინტერვიუს სხვადასხვა სახეებზე დავიწყებთ საუბარს, უნდა აღინიშნოს – რა ფორმითაც არ უნდა წარიმართოს იგი, მას ესაჭიროება სერიოზული მომზადება, მით უმეტეს, როდესაც მას უნდა გაუძღვეს მოსწავლე საგაკვეთილო მიზნის მისაღწევად.

მოსწავლეებს ამ დროს უვითარდებათ ინფორმაციის მოპოვების, ორგანიზების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის და კვლევითი უნარ-ჩვევები.

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებს შორის ადამიანი არის მთავარი, ყველაზე ფასეული, ე.წ. „ცოცხალი წყარო“, რომელიც ფაქტობრივად უშრეტია. პირველ რიგში, ადამიანი არის თვითმხილველი და მონაწილე მიმდინარე მოვლენების, იგი ასევე არის საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მატარებელი და ამავედროულად სხვისგან მიღებული ინფორმაციის გადმოცემი.

მოცემულია გაკვეთილის გეგმის 2 ვარიანტი. ეს გაკვეთილები გეოგრაფიის საგნობრივ სტანდარტს მერვე კლასში ეფუძნება, თუმცა სხვა კლასებშიც და სხვა საგნებშიც შეიძლება შედეგებისა და ინდიკატორების პოვნა, რომელთა მისაღწევად ინტერვიუს მეთოდის გამოყენება იქ-

ნებოდა შესაბამისი. მოცემული ვარიანტების ჩატარებისას გეგმაში მცირე ცვლილებები არის შესატანი, თუმცა ორივე შემთხვევაში ინტერვიუ არის წამყვანი მეთოდი. პირველ და მეორე შემთხვევაში ინტერვიუს სახე შეიძლება იყოს „ინტერვიუ თვითმხილველთან“, თუმცა თუ ერთ შემთხვევაში მოსწავლე თავად ირჩევს რესპონდენტს, მეორე შემთხვევაში შესაძლებელია კლასში გაკვეთილზე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან მოიწვიოთ წარმომადგენელი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაზე მოსწავლეებს მიაწოდებს ინფორმაციას. ორივე შემთხვევაში მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს.

ვარიანტი 1

გაკვეთილის მიზანი – მოსწავლემ შეძლოს გარემოს ტრანსფორმაციაზე მსჯელობა

კავშირი ესგ-სთან – გეო.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებლად რუკის კითხვა და სხვა თვალსაჩინოების ანალიზი.

- ადგენს წინა ეპოქის რომელიმე ლოკალური გარემოს (მცირე დასახლებული პუნქტი: სოფელი, უბანი და ა.შ.) მენტალურ გეგმას და ადარებს ამავე ადგილის თანამედროვე გეგმას; მსჯელობს, თუ რა ანთროპოგენული ცვლილებები განიცადა გარემომ ამ ორ ეპოქას შორის;

სასწავლო მასალა და რესურსები – ინტერვიუს წარმართვის ინსტრუქცია. აღნიშნული სტატია პრეზენტაციის, ან ჰენდაუტის ფორმატში მომზადებული;

სტრატეგიები – მუშაობა ჯგუფებში, კითხვების შედგენა – იდეების გენერირება, კითხვების შერჩევა, ფორმატის შერჩევა შედეგების წარმოსადგენად, ჯგუფის მუშაობის ანგარიშების განხილვა;

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა – მასწავლებელი აცნობს ინტერვიუს ტიპებს და მისი წარმართვისთვის საჭირო წესებს, შემდეგ აცნობს მიზანს და მიზნის შესაბამისად ირჩევს ინტერვიუს იმ სახეს, რომელსაც გამოიყენებენ;

ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს ინტერვიუს ეტაპებს, თითოეულ ეტაპზე სტატიაში მოცემულია ძირითადი საკითხები, რაც მათ ინტერვიუს განხორციელებაში დაეხმარებათ:

1. მოსამზადებელი სამუშაო;
2. კითხვების ჩამოყალიბება;
3. ინტერვიუ;
4. მასალის დამუშავება და ანალიზი;
5. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება;
6. პრეზენტაცია;
7. შეფასება.

მასწავლებელი ანაწილებს მოსწავლეებს ჯგუფებში. ამის შემდეგ მოსწავლეები ჯგუფებში ფიქრობენ, თუ ვინ იქნება საინტერესო რესპონდენტი, ადგენენ კითხვებს, შემდეგ მუშაობენ კითხვების დახვეწაზე;

გეგმავენ შედეგების წარმოდგენის ფორმატს;

ამის შემდეგ ჯგუფები აკეთებენ მოკლე ანგარიშს, რა შეიმუშავეს, მოსწავლეები და მასწავლებლები აძლევენ დამაზუსტებელ შეკითხვებსა და რჩევებს.

შეფასების ფორმად მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებებს იყენებს.

შეჯამება: შეჯამების ეტაპზე მასწავლებელი აძლევს ერთ კვირას ინტერვიუს ჩასატარებლად და ასევე ანგარიშის/პრეზენტაციის მოსამზადებლად. მოსწავლეებს წინასწარ აცნობს პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს, რომლითაც მათი წარმოდგენილი დავალება შეფასდება ერთი კვირის შემდეგ.

რეფლექსია:

მოსწავლეები ინტერესით გაეცნენ ინტერვიუს წარმართვის ეტაპებს, მათ საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენეს სხვადასხვა ინტერვიუები, რომლებიც მოუსმენიათ. ენთუზიაზმით არჩევდნენ, თუ ვინ შეიძლება იყოს მათთვის საინტერესო რესპონდენტი, როგორ უნდა დაგეგმონ მასთან ვიზიტი. ჰქონდათ არაერთი ვარიანტი, საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ მათ მეზობლად მცხოვრებ მოხუცებზე, რომლებსაც მეტი შეიძლება ახსოვდეთ ლოკალურ გარემოზე. ნაწილმა გადაწყვიტა მუზეუმს ეწვიოს და ნახონ თბილისის ფოტოარქივი და თანამშრომლისგან აიღონ ინტერვიუ, ნაწილმა კი გადაწყვიტა ესტუმროს ისტორიულ უბნებს და იქ ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან მოიპოვონ ინფორმაცია.

ამის შემდეგ მათ დაიწყეს მუშაობა კითხვებზე, თუ რა ინფორმაციის ამოღება იყო შესაძლებელი, რა იყო მათი ინტერესი. კითხვების შედგენის შემდეგ

ჯგუფებმა გააცნეს კლასელებს თავიანთი ნამუშევრები, კლასი ჩართული იყო განხილვაში, აძლევდნენ რჩევებს, თუ თვითონ როგორ შეცვლიდნენ, რა იქნებოდა უფრო საინტერესო. შემდეგ კი კითხვებიდან გამოყვეს პრიორიტეტული კითხვები.

დავალების შესრულებისთვის მოსწავლეებს მიეცათ ერთი კვირა, მათ მიეცათ თავისუფლება, თავად გადაეწყვიტათ, თუ როგორ ფორმატში გააკეთებდნენ პრეზენტაციას. გაინაწილეს ფუნქციები, ვინ გააკეთებდა ჩანაწერებს, ვინ დასვამდა კითხვებს, ვინ გადაიღებდა ფოტოებს, შემდეგ როგორ მოიპოვებდნენ იმავე ადგილის თანამედროვე სურათებს შედარებისთვის.

მთლიანობაში გაკვეთილმა დაგეგმილის მიხედვით ჩაიარა. მოსწავლეებისთვის ეს იყო განსხვავებული დავალება, რამაც მოსწავლეების ჩართულობა და დიდი ინტერესი გამოიწვია.

იყო გარკვეული წყენები ჯგუფების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, რის გამოც უკეთესია ეს განაწილება კენჭისყრის საფუძველზე მოხდეს, რაც ამ კომპონენტის მეტად ორგანიზებულად ჩატარების საშუალებას მისცემს მასწავლებელს.

პარიანტი 2

გაკვეთილის მიზანი – შეუძლია იმსჯელოს წარსულში მომხდარ ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენაზე, მის შედეგებზე და შედეგების პრევენციაზე.

კავშირი ესგ-სთან – გეო.VIII.4. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს კავკასიის რეგიონი.

- **შესასწავლი თემა** – აგროვებს ინფორმაციას, მსჯელობს კავკასიის ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე (მიწისძვრა, მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი და სხვა), გარემოსდაცვით პრობლემებზე (მაგ.: შავი და კასპიის ზღების პრობლემები) და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე;

სასწავლო მასალა და რესურსები – ინტერვიუს წარმართვის ინსტრუქცია. აღნიშნული სტატია პრეზენტაციის, ან ჰენდაუთის ფორმატში მომზადებული;

სტრატეგიები – მინი ლექცია, გონებრივი იერიში, კითხვების შერჩევა, ფორმატის შერჩევა შედეგების წარმოსადგენად;

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა – მასწავლებელი აცნობს ინტერვიუს ტიპებს და მისი წარმართვისთვის საჭირო წესებს, შემდეგ აცნობს მიზანს და მიზნის შესაბამისად ირჩევენ ინტერვიუს იმ სახეს, რომელსაც გამოიყენებენ;

ამის შემდეგ მასწავლებელი აცნობს ინტერვიუს ეტაპებს, თითოეულ ეტაპზე ინფორმაციაში მოცემულია ძირითადი საკითხები, რაც მათ განხორციელებაში დაეხმარებათ

8. მოსამზადებელი სამუშაო;
9. კითხვების ჩამოყალიბება;
10. ინტერვიუ;
11. მასალის დამუშავება და ანალიზი;
12. კვლევის შედეგების ნაშრომის სახით ჩამოყალიბება;
13. პრეზენტაცია;
14. შეფასება.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს მოსაწვევი სტუმრის სხვადასხვა ვარიანტს და ჩერდებიან საგანგებო სამსახურის წარმომადგენელზე. მასწავლებელი იყენებს გონებრივი იერიშის მეთოდს, რათა მოხდეს კითხვების გენერირება. ამის შემდეგ იწყება კითხვების დაჯგუფება ძირითად და მეორეხარისხოვანად, თემატურად.

მასწავლებელი აძლევს დავალებას გაკვეთილის ჩავლის შემდეგ, როგორ უნდა დაამუშაონ გაკვეთილზე კითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია და მოამზადონ სიუჟეტი/სტატია, შესაბამისი კრიტერიუმებით შეფასდება მათი ნაშრომები.

რეფლექსია

ამ გაკვეთილის ჩატარება მასწავლებელმა იმ კლასში გადაწყვიტა, სადაც ადრე ეს მეთოდი გამოყენებული არ ყოფილა. აქაც ინტერესი ძალიან მაღალი იყო, მოსწავლეებს მასწავლებელმა გააცნო ინტერვიუს სახეები, შემდეგ მათ სცადეს თითოეულისთვის მიესადაგებინათ მათთვის ცნობილი ინტერვიუები, ამის შედეგად აღმოაჩინეს, რომ ყველაზე ხშირად ინტერვიუს თვითმხილველთან იყენებენ. შემდეგ იმსჯელეს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მოწვეული, ვისგან შეძლებდნენ საინტერესო ინფორმაციის მოპოვებას. საგანგებო სიტუაციების საქმიანობის შესახებ მოსწავლეებს მცირე ინფორმაცია ჰქონდათ, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მოწვეული სტუმრის შესახებ გადაწყვეტილების სისწორე.

ამის შემდეგ გონებრივი იერიში აქტიური ჩართულობით წარიმართა, შეიმჩნეოდა პასიური მოსწავლეების გამოცოცხლებაც, რაც კიდევ ერთხელ უჩვენებდა

ნებს, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან მუდმივად ერთგვაროვანი მეთოდებით არ მუშაობდეს მასწავლებელი და ცვლიდეს ყოველდღიურ რუტინას.

შედგენილი და დაზუსტებული კითხვების ნუსხის მიხედვით გადაწყდა, თუ ვინ დასვამდა კითხვებს, ყველას მიეცა დავალება, რომ ჩაინიშნონ პასუხები, რადგან გაკვეთილის შემდეგ მათ მომდევნო გაკვეთილისთვის სტატიის მომზადება დაჭირდებოდათ.

მოსამზადებელმა ეტაპმა დაგეგმილის შესაბამისად ჩაიარა.

ინფორმაცია მასწავლებლისთვის ინტერვიუს მეთოდის გამოსაყენებლად

ინტერვიუს სახეები:

1. ინტერვიუ თვითმხილველთან

თუკი რაიმე მნიშვნელოვანი, საგნისათვის საინტერესო მოხდა და მას ჰყავს თვითმხილველები, ამ შემთხვევაში მიმართავენ ინტერვიუს ამ ფორმას. გეოგრაფიისთვის ეს შეიძლება იყოს მაგ.: ბუნებრივი კატასტროფის თვითმხილველი. ამ დროს შეკითხვები შესაძლოა დაიწყოს შემდეგი კითხვითი სიტყვებით – რა? სად? როდის? როგორ? თუკი თვითმხილველის პასუხებიდან ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვინდა შევექმნათ გარკვეული სურათი, სასურველია სხვა თვითმხილველებიც მოვიძიოთ და მათაც დავუსვათ ანალოგიური კითხვები.

2. აზრის გამოკითხვა რაიმეს შესახებ

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური საკითხების ირგვლივ საინტერესო ხდება მოსახლეობის აზრის შესწავლა, ამ შემთხვევაში კითხვა იწყება „რატომ“ კითხვითი სიტყვით და ვცდილობთ სრულად გავიგოთ გამოკითხულის აზრი რაიმე ობიექტის თუ მოვლენის შესახებ.

3. ინტერვიუ – პორტრეტი

თუკი რომელიმე გამოჩენილ, ან გამორჩეულ ადამიანზე გინდათ წარმოდგენა ინტერვიუთი შეიქმნათ, საჭიროა, წინასწარ მოიპოვოთ ინფორმაცია რესპონდენტზე, რომ შეხვედრამდე შეიქმნათ შთაბეჭდილება ობიექტზე, შეძლოთ კითხვების მომზადება და გაუგებარი დეტალების დაზუსტება. ასეთი მოსამზადებელი სამუშაო, საბოლოო ჯამში, მასალას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

ასევე ჟურნალისტებს უწევთ პრეს-კონფერენციაზე კითხვების დასმა და ინტერვიუ-კონფერენციაზე წასვლა, როდესაც ჟურნალისტი წინასწარი განზრახვით მიდის კონფლიქტზე, თუმცა ეს უკანასკნელი სასწავლო მიზნით, ალბათ, გამოუსადეგარია.

სასწავლო პროცესში ინტერვიუს ჩართვას თავისი ეტაპები გააჩნია:

1. მოსამზადებელი სამუშაო

ამ ეტაპზე მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ინტერვიუს სწორად დაგეგმვაში. რაც უფრო ზედმიწევნით დაიგეგმება სამუშაო, მით უფრო ნაკლები წინაღობები იქნება უშუალოდ მუშაობის პროცესში.

მოსწავლეებს ევალებათ შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება:

- წინასწარ მოიძიონ მათ მიერ არჩეულ თემაზე (საკითხზე) არსებული მასალა და შეისწავლონ იგი;
- წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია იმ ჯგუფზე, რომელსაც მიეკუთვნებიან არჩეული რესპონდენტები;
- საჭიროა, დადგინდეს თუ რამდენად კომპეტენტურია მოსაუბრე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- სასურველია, მოუსმინონ მსგავსი ტიპის ერთ ან ორ ინტერვიუს;
- წინასწარ დაიგეგმოს ინტერვიუს ადგილის დრო თუ ადგილი, იმისათვის რომ ინტერვიუსთან დაკავშირებული სრული ციკლი წარმატებით დასრულდეს, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად წინასწარ უნდა იფიქროს;
- გამოიყენებთ თუ არა დიქტოფონს, თუ რა ფორმით მოხდება ინტერვიუს ჩაწერა;
- დასჭირდება თუ არა მეწყვილე ინტერვიუს ჩატარებისას;
- რა ინფორმაციის ცოდნაა საჭირო თითოეული რესპონდენტის შესახებ. მაგ.: რესპონდენტის დაბადების ადგილი და თარიღი, პროფესია, განათლება, საცხოვრებელი ადგილი კონკრეტულ პერიოდში და ა.შ.;
- კითხვების ფორმულირებაზე: ა) კითხვა რესპონდენტს არ უნდა უბიძგებდეს გარკვეული პასუხისაკენ ბ) კითხვები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
- როგორ დაიწყოს და დაასრულოს ინტერვიუ.

2. კითხვების ჩამოყალიბება

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი პროექტში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს ავალეს, მოიფიქროს ინტერვიუს ორი ან სამი კითხვა. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს გონებრივ იერიშს, რომლის დროსაც უნდა შეჯერდეს მოსწავლეთა მიერ მოფიქრებული საკვლევი კითხვები. თავდაპირველად ყველა კითხვა აღინუსხება დაფაზე, ხოლო შემდეგ ხდება ამ კითხვების მიზანშეწონილობის გარკვევა, ხომ არ შეიძლება მათი უკეთ ფორმულირება, ხომ არ იმეორებს კითხვები ერთმანეთს. ამ მიზნის მისაღწევად, მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის საკვლევი კითხვა და თუ რომელ მათგანს ანიჭებენ პრიორიტეტს. თითოეული არჩეული საკვლევი კითხვა საფუძვლად უნდა დაედოს ინტერვიუს კითხვარს.

- კითხვების შერჩევა (მათ შორის, ძირითადი, ალტერნატიული, დაუგეგმავ გარემოებაზე გათვლილი) უნდა იყოს მიმართული რესპონდენტის ცოდნის, აზრის თუ ფაქტების გაგებისკენ.
- ინტერვიუს კითხვათა თანმიმდევრობაზე მიმართული მარტივიდან რთულისკენ. უმეტეს შემთხვევაში ინტერვიუს დაწყება უმჯობესია ისეთი მსუბუქი კითხვებით, რომლებიც რესპონდენტს დაძაბულობას მოუხსნის.
- ბოლო კითხვა ყველაზე რთულია, ან მთავარი.
- სასურველია კითხვების ორი ვერსიის მომზადება, სრული და შემოკლებული, რომელთა გამოყენება/არ გამოყენების საკითხს სიტუაციიდან გამომდინარე ადგილზე გადაწყვეტთ.
- მოსწავლეს უნდა ახსოვდეს, რომ არ არის უხერხული თუკი რაიმე ტერმინი ან ცნება არის მისთვის უცნობი და მან თავისუფლად უნდა დასვას დამაბუსტებელი კითხვები.

აკრძალვების ნუსხა

ის თუ რამდენად კარგადაა მომზადებული კითხვები, ინტერვიუს მიზნის რეალიზების საშუალებას იძლევა.

თუკი კითხვაში პასუხი იკითხება – ასეთი კითხვა ინტერვიუსთვის უვარგისია. ასევე დაუშვებელია:

- მტკიცებითი წინადადების კითხვითით შეცვლა;
- ერთ კითხვაში ორის გაერთიანება;

- გადატვირთული კითხვა/ აღსაქმელად რთული კითხვები;
- სასურველი პასუხის მიღებისკენ მიმართული კითხვების დასმა;
- საკუთარი შეფასების შემცველი კითხვა;
- საკითხის გაზვიადება.

3. ინტერვიუ

- დიქტოფონის/მობილურის წინასწარ შემოწმება. თუ ინტერვიუს ჩაწერა ელექტრონული გზით ვერ ხერხდება, მაშინ, აუცილებელია მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ: ერთი სვამს კითხვებს, ხოლო მეორე აკეთებს ჩანიშვნებს (ინტერვიუს დასრულებიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ჩანიშვნების საფუძველზე რესპონდენტის პასუხების წერილობით ჩამოყალიბება, რომ არ მიეცეს დავიწყებას მნიშვნელოვანი ნიუანსები);
- ინტერვიუს ადგილზე დროულად მისვლა;
- რესპონდენტის წინასწარ გაფრთხილება თუ რამდენ დროს მოითხოვს ეს ინტერვიუ;
- რესპონდენტთან ზრდილობიანი ქცევა;
- აუცილებელია, რომ თავდაპირველად დამყარდეს პოზიტიური კონტაქტი იმ პირთან, ვისგანაც ინტერვიუ უნდა იყოს აღებული. ასევე თავდაპირველი კითხვები უნდა იყოს მსუბუქი ხასიათის, რომ მოსაუბრეს გაუქრეს დაძაბულობის გრძნობა;
- რესპონდენტის საუბრის ყურადღებით მოსმენა;
- ინტერვიუს მსვლელობისას საჭიროა მოთმინების გამომჟღავნება. რესპონდენტს არ უნდა შევეკამათოთ ან შევუსწოროთ;
- რესპონდენტს უნდა დააცადოთ გამოთქვას თავისი აზრი სრულად;
- თუკი პასუხი ვერ მიიღეთ, ერთი ორი კითხვის შემდეგ ისევ შეიძლება კითხვის გამეორება, მცირედად შეცვლილი ფორმით;
- თუკი რაიმე გაურკვეველია, ჯობია ადგილზე დამაზუსტებელი კითხვის დასმა, ვიდრე შემდეგ ფაქტების არასწორად ინტერპრეტირება;
- თუ მოსწავლე თვლის, რომ ინტერვიუს მსვლელობა მოითხოვს ისეთი კითხვის დასმას, რომელიც მას არ ჰქონდა დაგეგმილი, უმჯობესია, მან ეს კითხვა დასვას;
- ასევე კარგია, თუ ამის შემდეგ დასვამთ კითხვას „რამე მნიშვნელოვანი კითხვის დასმა ხომ არ დამავიწყდა?“

- ინტერვიუს დასრულების შემდეგ, აუცილებლად გადავუხადოთ რესპონდენტს მადლობა და ასევე შევუთანხმდეთ, საჭიროების შემთხვევაში დეტალების დაზუსტების საჭიროება თუ იქნება, რომ მას დაუკავშირდებით.

4. აღებული მასალის დამუშავება და ანალიზი

ინტერვიუს დამუშავებისა და ანალიზის დროს მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი საკითხები:

- რამდენად კარგი იყო რესპონდენტის მესხიერება? შეიძლება თუ არა მიღებული პასუხები სანდოდ მივიჩნიოთ?
- რესპონდენტის მიერ გაეცა თუ არა პასუხი შეკითხვებს?
- საჭიროა თუ არა, გადამოწმდეს რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?
- იყო თუ არა რესპონდენტი აშკარად ტენდენციური თავის რომელიმე პასუხში?
- რამდენად ღირებულია კონკრეტული ინტერვიუ?

5. კვლევის შედეგის ნაშრომის სახით ჩამოყალიბება

მოსწავლეებმა ნაშრომში უნდა წარმოაჩინონ, თუ რა არის მათი მთავარი მიგნება. ნაშრომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურა: შესავალი – არჩეული თემის მოკლე მიმოხილვა (რატომ არის თემა მნიშვნელოვანი? რატომ დაინტერესდნენ ისინი ამ თემით?); ძირითადი ნაწილი – როგორ და რატომ მივიდნენ მოსწავლეები ამ მიგნებებამდე; საჭიროა დაერთოს კითხვარის სიტუაციური ანალიზი; სასურველია მომზადდეს თვალსაჩინოებები; დასკვნა – თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამება;

6. პრეზენტაცია

პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რა აუდიტორიისთვის მზადდება იგი. მას უნდა დაერთოს მომზადებული თვალსაჩინოებები, ინტერვიუდან საინტერესო პასაჟები, მთავარი მიგნებები.

7. შეფასება

საბოლოო შედეგების შეფასება ხდება წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების გამოყენებით, რომელშიც ასახულია, როგორც მოსწავლის მიერ ჩატარებული ინტერვიუ, ასევე კვლევის შედეგად შექმნილი ნაშრომი და მისი პრეზენტაცია.

ფოტოების გამოყენება სასწავლო პროცესში

მანანა რაბიანი

ფოტო არის შეჩერებული წამი, რომელიც დიდი სიზუსტით ასახავს ჩვენ ირგვლივ მყოფ რეალობას. მისთვის შეუმჩნეველი არ რჩება სრულიად უმნიშვნელო ობიექტებიც კი. სწორედ ამიტომ, როცა ჩანახატსა და ფოტოს შორის განსხვავებებს აღწერენ, აშკარა ხდება, რომ ჩანახატი მისი ავტორის თვალთახედვას, მის მიერ დანახულსა და ინტერპრეტირებულს ასახავს, მაშინ როდესაც ფოტო საშუალებას გვაძლევს ობიექტივის ჩარჩოში მოხვედრილი ობიექტები ყოველგვარი შელამაზების გარეშე დავინახოთ.

ჩვენს ბავშვობაში ფოტოები მეტად აქტუალური იყო. ისინი ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდნენ იმ ქვეყნებზე, ხალხებსა და კულტურებზე წარმოდგენის შესაქმნელად, რომელთა მონახულება საბჭოთა მოქალაქეს მხოლოდ ოცნებაში შეეძლო.

ფოტოები ჩვენ მსოფლიოსთან გვაკავშირებდა, გვიქმნიდა წარმოდგენას, თუ როგორი იყო რკინის ფარდებს მიღმა სამყარო, რამდენად მსგავსები და ასევე განსხვავებულები ვიყავით ჩვენ, ამ ფარდის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებნი.

სახელმძღვანელოების უმეტესობა, განსაკუთრებით კი, გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ასეთ დამხმარე რესურსებს მრავლად მოიცავენ. სახელმძღვანელოების გრიფირებისას ერთ-ერთი კრიტერიუმი მის ავტორებს მოთხოვნას უყენებდა, რომ სურათებს მხოლოდ დეკორაციის ფუნქცია არ ჰქონოდა და ისინი ფუნქციურად ყოფილიყო ჩართულები სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სახელმძღვანელოების ნაწილი ამ მოთხოვნებს ასრულებდა, მათთან მიმართებაში მოცემულია გარკვეული დავალებებიც.

თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან ყველაზე მეტად მასწავლებელს შეუძლია ყოველგვარი თვალსაჩინოება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად აქციოს. სწორედ ფოტოები აძლევს მასწავლებელს საშუალებას რეალურ ცხოვრებას დაუკავშიროს ნასწავლი მასალა. მათი საშუალებით მოსწავლეებს მიმდინარე პროცესებზე, სხვადასხვა ადგილებზე, კულტურულ თავისებურე-

ბებზე ექმნებათ შთაბეჭდილება, ეცნობიან მათ, ვიზუალური წარმოდგენები ექმნებათ მათზე.

უკანასკნელ წლებში, როდესაც ახალი ტექნოლოგიები სწრაფი ტემპებით ვითარდება, სულ უფრო მარტივად ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო რესურსები. მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს სახელმძღვანელოში მოცემული ყოველი გაკვეთილი და ნახოს, მისი ამრით, რა სახის ინფორმაცია, მონაცემები გახდის გაკვეთილს უფრო საინტერესოს და ხელს შეუწყობს თემის ხვდასხვა პერსპექტივიდან შესწავლას. ამის შემდეგ კი დაიწყოს დამატებითი რესურსების მოძიება, თუკი ამის ნაკლებობაა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრად უფრო მეტი ვიზუალური საშუალება არსებობს და ეს საშუალებები ფართოდაა გავრცელებული, ფოტოგრაფიას მაინც უდიდესი ადგილი უჭირავს სასწავლო პროცესში.

იმისთვის, რომ გაკვეთილი ახალი მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდეს, მასწავლებელს დასჭირდება, საგნის სწავლებისადმი შემოქმედებითად მიდგომა. გეოგრაფიის მასწავლებელმა ყოველგვარი თვალსაჩინოება მნიშვნელოვან სასწავლო რესურსად შეიძლება აქციოს. ფოტოების საშუალებით, მან საკლასო ოთახში შეიძლება შეიტანოს ცოტაოდენი „რეალობა“. ფოტოები ხომ ჩვენ ირგვლივ არსებულ ობიექტებს, მოვლენებს, ადგილს თუ ადამიანებს აფიქსირებენ. მათი საშუალებით იზრდება მოსწავლეთა შესაძლებლობა, დაამყარონ კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილთან, შეექმნათ მათზე ვიზუალური შთაბეჭდილება, განუვითარდეთ დაკვირვების უნარი. სახელმძღვანელოები, თუ სხვა გამოცემები ხშირად შეიცავენ ილუსტრაციებს, კონკრეტულად ფოტოებს. მასწავლებელს შეუძლია, ეს თვალსაჩინოებები აქტივობების გასამრავალფეროვნებლად გამოიყენოს და ასე გაუადვილოს მოსწავლეებს მასალის შესწავლა. ეს უნარ-ჩვევა მოსწავლეებს სხვა საგნების სწავლასაც გაუადვილებს.

გეოგრაფიის სხვადასხვა კლასის სტანდარტში შეტანილია შედეგები და ინდიკატორები, რაც მსგავსი თვალსაჩინოებების გაანალიზებასა და ინტერპრეტირებას ითხოვს. მიმართულება „დრო და სივრცე“ ყველა კლასში ამგვარი ინდიკატორებითაა დატვირთული. გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში მოტანილ ფოტომასალას ხშირად გარკვეული შეკითხვებიც მოჰყვება. თუმცა იმისთვის, რომ მოსწავლე გაიწაფოს ფოტოების ინტერპრეტირებაში, მასწავლებელს მრავალი საინტერესო კითხვის მოფიქრება შეუძლია, რაც ანალიზის პროცესში მოსწავლეს გარკვეულ მიმართულებას მისცემს. ფოტოების გაანა-

ლიზება მოსწავლეებს მათებს ცოდნას კონკრეტულ ადგილსა თუ ადამიანებზე, აძლევს მათ შესაძლებლობას, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, გაუზიარონ ისინი თანაკლასელებს. მასწავლებლებმა გარკვეულ სტრატეგიებს უნდა მიმართონ. გაითვალისწინონ, რომ ფოტოზე ასახულთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს ალტერნატიული შეხედულებები, რომ გამართლებული იყოს მათზე დისკუსიების გამართვა. კარგად შერჩეულ ფოტომასალას შეუძლია მოსწავლეებში განავითაროს თანაგანცდა, ხელი შეუწყოს სწორი დამოკიდებულებებისა და ფასეულობების გამომუშავებას. საშუალებას მისცემს მათ, გამოსახული იმ გარემოს შეადარონ, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება.

ფოტოების ინტერპრეტირების უნარი თანდათანობით ვითარდება. არ შეიძლება ერთხელ ჩატარებული აქტივობით მასწავლებელმა მიიჩნიოს, რომ მიზანი მიღწეულია. სანამ მოსწავლეებს სიღრმისეულ ანალიზს მოვთხოვთ, სასურველია, მათ საბაზისო უნარები უკვე ჰქონდეთ. მაგ. რამდენად ყურადღებიანები არიან და ამჩნევენ გამოსახულ დეტალებს და სხვა.

არსებობს შეკითხვები, რომლებიც შეიძლება თითქმის ყველა ფოტოსთან მიმართებაში გამოვიყენოთ, ისინი უნივერსალურები არიან და მოსწავლეებს ყურადღებას საჭირო ნიუანსებზე ამახვილებინებენ. ასევე აძლევენ მათ საშუალებას, ჩაუღრმავდნენ ზედაპირზე მოცემულ ინფორმაციას: რას ხედავ? რას გრძნობ? როგორი ცვლილებები განიცადა გარემომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე? როგორი იქნება ეს გარემო 10 წლის შემდეგ? შეიძლება თუ არა, განსხვავებული აზრი არსებობდეს ამ ხედის ირგვლივ (მაგ. უცხო თვალით დანახული და ადგილობრივი მაცხოვრებლის თვალით დანახული?...) როგორია განსხვავებები ან მსგავსებები სხვა ქვეყანასთან?

ფოტოების ანალიზისას რჩება ინფორმაცია, რომელიც მოსწავლისთვის შესაძლოა ბოლომდე გასაგები არ იყოს. ასეთ დროს მან შეიძლება ჩამოწეროს ის შეკითხვები, რომლებზე პასუხებიც მის ანალიზს უფრო გააღრმავებს.

ფოტოებზე შეიძლება ასახული იყოს სხვადასხვა სიუჟეტი. ანალიზი რომ არ იყოს შემზღუდული, დაკვირვება უნდა მოხდეს ბუნების კომპონენტებზე, ენერგიის წყაროებზე, ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას შორის კავშირებზე; ეკონომიკურ საკითხებზე – როდესაც პასუხი უნდა გაეცეს კაპიტალის, ვაჭრობისა თუ საკუთრების შესახებ დასმულ შეკითხვებს; სოციალურ საკითხებზე – როდესაც პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვებს, რომლებიც ურთიერთობებს, კულტურასა და ტრადიციებს, ასევე ცხოვრების წესს, გენდერულ თანასწორობას, რასებს, შემზღუდულ შესაძლებლობებს, ასაკობრივ და სოციალურ განსხვავებებს ეხება.

კარგად შერჩეული ფოტოები ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და ისინი უფრო შემოქმედებითები ხდებიან. ასეთ დროს ხდება აღმოჩენით სწავლა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის ვცადოთ ფოტოების შეფასება, მათი ვარგისიანობის დადგენა სასწავლო თემებთან და სტანდარტთან მიმართებაში. მასწავლებელმა შესაძლოა სახელმძღვანელოში მოცემული თვალსაჩინოება არასაკმარისად ჩათვალოს და დამატებითი რესურსების გამოყენება გადაწყვიტოს. ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეიმუშაოს შეკითხვების პაკეტი, რაც გაკვეთილზე საინტერესო აქტივობის ჩატარების საშუალებას მოგვცემს. ფოტოების მხოლოდ დათვალიერება არ იძლევა შედეგზე გასვლის საშუალებას.

ვიღებთ ფოტოებს და პასუხს ვცემთ ზემოთ დასმულ კითხვებს, რაც დაგეგმვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად, ამ ბმულზე გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყანაში ოჯახის მიერ კვირის განმავლობაში მოხმარებული საკვების რაოდენობა და ტიპები: <http://time.com/8515/hungry-planet-what-the-world-eats/>

ამის შემდეგ მასწავლებელი სასწავლო გეგმაში ეძებს, თუ რომელი შედეგის მიღწევას შეუწყობს ხელს აღნიშნული ფოტომასალა.

გეო.XI.2. მოსწავლეს შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- რუკების და სხვა წყაროების საფუძველზე აანალიზებს ქვეყნებს შორის სურსათის და ნედლეულის უთანაბრო განაწილებას; გამოთქვამს ვარაუდს პრობლემის ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ.

რაც შეეხება აღნიშნულ ფოტოებს, საინტერესოა ფოტოგრაფების (მენზელი და ალუიზიო) მიერ განხორციელებული პროექტის – „მშვიერი პლანეტა“ – მოკლე შინაარსი. აღნიშნული პროექტის გამოფენა ნობელის მშვიდობის ცენტრში მოეწყო. ექსპოზიცია გამოფენილი იყო 2013 წლის სექტემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე. ამ სურათების საშუალებით ჩვენ ვირტუალურად მიგვიწვიეს ნორვეგიის, ჩადის, ქუვეითის, აშშ-ს, მექსიკის, ჩინეთის, პოლონეთის და სხვა ქვეყანაში მცხოვრები ოჯახების სამზარეულოებში.

საკვები არაა მხოლოდ ჩვენი სხეულის საწვავი, საკვები ბევრად მეტია. ის კულტურული იდენტობის მაჩვენებელია.

ამ ფოტოებთან დაკავშირებით პასუხი შეიძლება შემდეგ კითხვებს გაცეს – ვინ რამდენ ჩაის მოიხმარს, ან რა ტიპის სასმელს ანიჭებს უპირატესობას? გარკვეული კულტურის მაჩვენებელია – თუ ვინ რა სივრცეს იყენებს სასადილოდ. არის ქვეყნები, სადაც საკვები იქვე მზადდება, სადაც ოჯახის წევრებს სძინავთ. რა განსხვავებაა ოჯახებს შორის, რომლებიც სადილისთვის განსხვავებულ თანხებს ხარჯავენ – დღეში 1 დოლარიდან 100 დოლარამდე. რამდენად განსხვავებულია ბოსტნეულის, ბურღულეულის, ხილის, ცხოველური ცილების მოცულობა დღის რაციონში. ასევე შეიძლება ყურადღება გაამახვილონ ქვეყნებზე, რომლებიც ახლა უკვე იგივეს ჭამენ საუზმეზე, რასაც გლობალიზებული მსოფლიო, მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულების წინ მათი მენიუ ბევრად განსხვავებული იყო. შეიძლება თუ არა, შეიცვალოს ოჯახების მენიუ და გახდეს ერთფეროვანი.

დამატებით მასწავლებელმა შესაძლოა, მოსწავლეებს სურათებზე მოცემული ქვეყნების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება სთხოვოს, რის მიხედვითაც გაკვეთილზე გამოთქმულ ვარაუდებს გადაამოწმებენ. ხაზს გაუსვამენ კულტურულ მრავალფეროვნებას, განსხვავებულ ბუნებრივ გარემოს, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ასევე შესაძლებელია ფოტოების, როგორც დამხმარე რესურსების, მოძიებაში მოსწავლეების ჩართვა. ამისთვის მათ წინასწარ ეძლევათ თემა. მომავალში ეს რესურსები ჩვენზე სასწავლო პროცესის ნაწილი შეიძლება გახდეს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართულ ენაზე გამოდის „National Geographic საქართველო“, რომელიც არაერთ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, მათი გამოყენებაც სასწავლო პროცესში მიზანშეწონილია. აქ ტექსტი და ფოტოები ერთ თემას სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიის სწავლისას მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მთლიანობაში გაეცნონ და აღიქვან სამყარო. მისი ცალკეული არეალების (კონტინენტები, რეგიონები, ქვეყნები, ლანდშაფტები, ბუნებრივი ზონები...) შესწავლით წარმოდგენა შეექმნათ მათ უშუალო გარემოზე თუ მოშორებით მდებარე ადგილებზე. მოსწავლეთა უმეტესობას არანაირი ინფორმაცია არ აქვს მათი საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებულ არეალზე. მათთვის ასევე უცნობია მრავალი მოვლენა თუ პროცესი, რომელიც ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარეობს. იმისთვის, რომ მათგან მოშორებული, უცნობი გარემოს შესწავლა გეოგრაფიაში უფრო ხარისხიანად წარიმართოს, საჭიროა მასწავლებელმა მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების გამოყენებამც იზრუნოს. გეოგრაფიის გაკვეთილზე სხვადასხვა სასწავლო რესურსის გამოყენება უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების გეოგრაფიული განათლების მისაღებად.

გაკვეთილის მიზანი:

ფოტოების საშუალებით მოსწავლეებმა გააანალიზონ ქვეყნებს შორის სურსათის და ნედლეულის უთანაბრო განაწილება;

სემიოტიკური და ციფრული კომპეტენციების განვითარება

კავშირი ესგ-სთან – გეო.XI.2. მოსწავლეს შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გლობალური პრობლემების ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- რუკების და სხვა წყაროების საფუძველზე ანალიზებს ქვეყნებს შორის სურსათის და ნედლეულის უთანაბრო განაწილებას; გამოთქვამს ვარაუდს პრობლემის ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ.

შესასწავლი თემა: საკვებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილობისა და ჭარბწონიანობის პრობლემები, ათასწლეულის განვითარების მიზნები

სასწავლო მასალა და რესურსები:

<http://time.com/8515/hungry-planet-what-the-world-eats/>

<http://mastsavlebeli.ge/?p=2053>

კომპიუტერული ოთახი, სადაც მოსწავლეთა თითო ჯგუფისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტზე მიერთებული ერთი კომპიუტერი

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა: მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფებად, ურიგებს „შმიერი პლანეტის“ სურათებიდან 3-4 სურათს (განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მასწავლებლის მიერ დაკომპლექტებული სურათებით, ან აძლევს მოსწავლეებს არჩევანს, თავისი ინტერესით აირჩიონ ქვეყნები).

ამის შემდეგ ურიგებს კითხვების ჩამონათვალს, რომლებზეც მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ 20 წუთის შემდეგ. შესაძლო კითხვები: რა განსხვავებაა ოჯახების მენიუებს შორის? ახდენს თუ არა ტრადიციები გავლენას საკვებზე? ახდენს თუ არა გავლენას ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საკვებზე? განსხვავდება თუ არა ოჯახების შემადგენლობა ქვეყნების მიხედვით (მცირე და დიდი ოჯახები, თაობები, შვილების რაოდენობა? რამდენად დაბალანსებულია საკვები, რომელსაც ოჯახი მიირთმევს? მოსწავლეებს კითხვებზე პასუხის გასაცემად შეუძლიათ ისარგებლონ სტატისტიკით ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, დემოგრაფიულ მახასიათებლებზე და ა.შ. ამისთვის შეუძლიათ ეწვიონ შემდეგ ბმულს – მაგ., <https://www.cia.gov/library/publications/>

the-world-factbook/, ირჩევენ დავალებულ ქვეყანას და მასზე ინფორმაციას ეცნობიან. ამზადებენ პრეზენტაციას.

მოსწავლეები დავალების შემდეგ ფაზაზე უნდა ეწვიონ ათასწლეულის განვითარების მიზნების ვებგვერდს და პირველი მიზნის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოიძიონ. გააკეთონ დასკვნა, რამდენად ეფექტური იყო გაეროს პროგრამა პრობლემის მოგვარებაში.

ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას, თითოეულ ჯგუფს აქვს 3 წუთი.

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და აცნობს „უთანასწორობას საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით“ <http://mastsavlebeli.ge/?p=1058>

შეფასების ფორმა – მოსწავლეები ფასდებიან ჩართულობით ჯგუფურ მუშაობაში და წარმოდგენილი პრეზენტაციის მიხედვით, რამდენად ამომწურავად გაეცა ყველა შეკითხვას პასუხი, რამდენად კარგადაა აწყობილი პრეზენტაცია, რამდენად სწორი დასკვნებია გამოტანილი.

რეფლექსიის მომზადებისას შეგიძლიათ გაითვალისწინოთ: გაკვეთილი ძირითადად დაგეგმილი თანმიმდევრობით წარიმართა, მოსწავლეების ინტერესი შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით, როდესაც ისინი გადავიდნენ ქვეყნების შედარებაზე. მუშაობის ამ მონაკვეთში წარმოიქმნა ბევრი კითხვა, რა ინფორმაცია იყო ამ დავალებისთვის შესაფერისი? აქ დამატებითი განმარტებების საჭიროება დადგა, გამოიყო საიტზე მოცემული კატეგორიები, რომლებიც შიმშილობასთან კავშირშია. ასევე მოსწავლეების პრეზენტაციებზე გამოყოფილი დრო არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ მათ ესაუბრათ ყველა მიგნებაზე. პრობლემის გადაჭრის გზები ვერ გამოიკვეთა, რადგან დავალების მომზადებისას მათ შეეცვალათ ინსტრუქცია და გაეროს ათასწლეულის მიზნებზე მიეცათ სამუშაო სახელში შესასრულებლად. დროის სიმცირე იყო ძირითადი პრობლემა, რის გამოც გაკვეთილის მიმდინარეობაში ცვლილებები შევიდა. უკეთესი იქნებოდა შეწყვილებული გაკვეთილის ჩატარება, რაც გაკვეთილების ცხრილში ცვლილების შეტანას საჭიროებს.

თუკი მასწავლებლები გადაწყვეტენ ანალოგიური გაკვეთილის ჩატარებას, უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეებში ინგლისურის ცოდნის დონე, რათა მათ შეძლონ საიტზე მოცემული ინფორმაციის დამუშავება, ან მასწავლებელმა წინასწარ ქართულენოვან წყაროზე უნდა იფიქროს.

დისკუსიის ტექნიკა

ნინო ლომიძე

ნებისმიერი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესი რუტინულ, ოდენ ფაქტებისა და შინაარსების დამახსოვრების აქტად რომ არ იქცეს, საჭიროა განსხვავებული სტრატეგიის გამოყენება.

სხვადასხვა მიმართულების კითხვების დასმა(როგორც კონვერგენტული, ანუ ერთი სწორი პასუხის მომცველი, ფაქტის ამსახველი, ისე დივერგენტული, ანუ რამდენიმე სწორი პასუხის ან ვარაუდებისა და ჰიპოთეზების მაპროვოცირებელი) და დისკუსია ნებისმიერი გაკვეთილის უცილობელი შემადგენელია და მასწავლებლის მიერ გამოიყენება სამივე ფაზაზე (გამოწვევა, შინაარსის რეალიზება, რეფლექსია). დღეს სწორედ ამ აქტივობის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს მიმოვიხილავთ.

დისკუსიის „ხიბლი“

სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა, მას უვითარდება კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარი და ა.შ.

საკლასო დისკუსია ცოცხალი, დინამიკური, სახალისო პროცესია და მოსწავლეები, როგორც წესი, ინტერესით ერთვებიან მასში. დისკუსიის დადებითი მხარე ისიცაა, რომ იზრდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი და აქტივობა. ვისაც უკვე აქვს ამ მეთოდის გამოყენების გამოცდილება, დამეთანხმება, რომ ხშირად დისკუსიაში პასიური მოწაფეებიც ხალისით და ინტერესით ერთვებიან. სწავლებისა და შემეცნების ეს ინტერაქტიური მეთოდი ცოდნის შეძენის და განმტკიცების, მასალის მრავალმხრივ დამუშავების და აუდიტორიის წინაშე თავისუფალი მსჯელობის უნარებს ხვეწს.

დისკუსიის ფორმები

არსებობს სასწავლო დისკუსიის რამდენიმე ფორმა. მათგან საკლასო ოთახსა და საგაკვეთილო ფორმატს ყველაზე მეტად შეეფერება:

„მრგვალი მაგიდა“

დისკუსია ემსახურება აქტუალური საკითხის განხილვას, მრავალმხრივ შესწავლას, ანალიზს. მონაწილეების ამოცანა არ გახლავთ პრობლემის/დასმული საკითხის გადაჭრა. ისინი ორიენტირებული არიან სხვადასხვა კუთხით მიმოიხილონ თემა, გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები, ჰიპოთეზები. გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია, ცნობები, ცოდნა, რაც აქვთ მოცემულ საკითხთან მიმართებით. მონაწილეები ეუფლებიან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების ტექნიკას, საკუთარი შეხედულებების შეჯერებას, მრავალმხრივ გააზრებას. დისკუსიაში ყველა მონაწილე თანაბარი უფლებით სარგებლობს.

საკლასო ოთახის ორგანიზება – აუცილებელი პირობაა, მერხები წრიულად განვალაგოთ, რათა მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ ვიზუალური კონტაქტი დაამყარონ ნებისმიერ წევრთან. მასწავლებელი ამ შემთხვევაში არა დომინანტი, არამედ „რიგითი“ მონაწილეა. შესაძლებელია, მან მხოლოდ „დამკვირვებლის“ ფუნქცია შეითავსოს.

თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, შესაძლებელია ორი ან სამი „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზებაც. მონაწილეები ჯერ მცირე ჯგუფებში განიხილავენ საკითხს, აჯერებენ მოსაზრებებს, შემდეგ კი სხვა ჯგუფებს აცნობენ თეზისებს.

ჯვარედინი დისკუსია

ჯვარედინი დისკუსია საკითხის შესწავლის და დამუშავების იმგვარი მეთოდია, რომელსაც მოსწავლეები თავად წარმართავენ. მასწავლებლის ამოცანაა მოამზადოს ე.წ. დივერგენტული კითხვა (თეზისი), რომელიც არაერთგვაროვან პასუხს მოითხოვს. (მაგალითისთვის, „გამართლებულია თუ არა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა-თანამედროვე სამყაროში“. „მისაღებია თუ არა კონფორმიზმი/ საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად“. „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ქალი და მამაკაცი თანასწორი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ“ და ა.შ.).

მოსწავლეები პირველ ეტაპზე წყვილებიან. წყვილის ამოცანაა შეადგინოს ე.წ. „სადისკუსიო ცხრილი“. ერთი მონაწილე მოიფიქრებს, ჩამოწერს

და გაუზიარებს მეწყვილეს თემისის დამადასტურებელ არგუმენტებს, მეორე კი უარყოფილს. წყვილი მუშაობს ექვსი-შვიდი წუთის განმავლობაში. ამ დროისთვის თითოეულს მინიმუმ 3 დამადასტურებელი და 3 უარყოფელი არგუმენტი უნდა ჰქონდეს მომზადებული და საკუთარ სამუშაო ფურცელზე ჩამოწერილი. ფურცელი ორ ნაწილადაა დაყოფილი. დიახ/არა – ცხრილის ორივე სვეტი ივსება მუშაობის პროცესში. თემისის/კითხვის დასაბუთება მოცემულია სვეტში „დიახ“, უარყოფა სვეტში „არა“. როდესაც წყვილი შეავსებს ორივე სვეტს, ის უერთდება სხვა წყვილს და უზიარებს ნამუშევარს, ნააზრევს. ახლა უკვე ოთხეული განიხილავს, ავსებს ან ამოაკლებს ცხრილის არგუმენტებს. ოთხეული გარკვეულ დასკვნამდეც უნდა მივიდეს. შედეგი ცალკე ფურცელზე მუშავდება და მზადდება აუდიტორიის წინაშე წარსადგენად.

დისკუსია ესტაფეტა

დისკუსია იმართება ვრცელი თემის, საკითხის შესწავლის შემდგომ ეტაპზე. საკითხი მრავლისმომცველი და/ან მრავალასპექტიანი უნდა იყოს. დისკუსია განსხვავებული შეხედულებების სიღრმისეულად გაცნობას, გააზრებას და გაზიარება/უარყოფას უწყობს ხელს.

კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად (თითოეულში მაქსიმუმ 5 მოსწავლე).

ჯგუფები მუშაობენ წრიულად განლაგებულ მერხებთან. თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი აძლევს ერთ სამუშაო ფურცელს, რომელზეც შესწავლილი თემის ერთი საკითხია მოცემული. მასწავლებელს შეუძლია როგორც ბინარული(ორმაგი, რომელიც საჭიროებს სწორია/არასწორია ან ვეთანხები/არ ვეთანხები ტიპის პასუხს) კითხვის დასმა, ისე დივერგენტული ან ინფორმაციულის. უკანასკნელ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და აღიდგინონ ყველა ის მნიშვნელოვანი ცნობა, ფაქტი, ინფორმაცია, რაც შესწავლილ საკითხზე იციან. ჯგუფებს ეძლევათ გარკვეული დრო საკითხის დასამუშავებლად (8-10 წუთი). მიკროჯგუფში დისკუსია სრულდება საერთო ჩანაწერით, რომელშიც შეჯერებულია ჯგუფის მუშაობის შედეგი.

შემდეგ ეტაპზე სამუშაო ფურცლები საათის ისრის მიმართულებით გადაეცემა „მეზობელ“ ჯგუფს. მიკროჯგუფები ამჯერად ახალ, წინა ჯგუფის მიერ უკვე დამუშავებულ საკითხს ეცნობიან, განიხილავენ, აფიქსირებენ საკუთარ შეხედულებებს, მოსაზრებებს ამავე ფურცელზე. 8-10 წუთის შემდეგ მეორდება იგივე და ასე გრძელდება მანამ, სანამ თითოეული ჯგუფი გაეცნობა და დამუშავებს ყველა სამუშაო ფურცელს. საბოლოოდ, ჯგუფებს უბრუნდებათ სა-

კუთარი (პირველი) სამუშაო ფურცელი – შევსებული და გავრცობილი. ჯგუფს კვლავ ეძლევა მცირე დრო კონსოლიდაციისა და შეჯამებისთვის.

დასასრულ, ჯგუფები საკუთარი მუშაობის შედეგებს წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.

მოცემული სადისკუსიო მეთოდების გარდა, ცხადია, არსებობს ინტერაქტიური სწავლების უამრავი სხვა მეთოდიც, რომლებსაც კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად იყენებენ გამოცდილი მასწავლებლები. გაგვიზიარეთ ეს გამოცდილება კომენტარებში – რომელი მეთოდი ყველაზე „მუშა“, რომელ მეთოდს რა დადებითი ან უარყოფითი მხარე აქვს. გამოცდილების გაზიარება ხომ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჯვარედინი დისკუსია

თემა „დანაშაული და სასჯელი“

დისკუსია ცოცხალი, დინამიკური, სახალისო პროცესია და მოსწავლეები, როგორც წესი, ინტერესით ერთვებიან მასში. სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა, მას უვითარდება კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარი. დისკუსიის დადებითი მხარე ისიცაა, რომ იზრდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი და აქტივობა.

სწავლებისა და შემეცნების ეს ინტერაქტიური მეთოდი ცოდნის შეძენის და განმტკიცების, მასალის მრავალმხრივ დამუშავების და აუდიტორიის წინაშე თავისუფალი მსჯელობის უნარებს ხვეწს.

გაკვეთილის თემა: დანაშაული და სასჯელი

წინასწარი ცოდნა: მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ „ვეფხისტყაოსანი“. დისკუსია წარიმართება ხატათის ბრძოლის ეპიზოდის შესწავლისას. განსახილველი საკითხია რამაზ მეფის შეწყალება. რა მოტივი ამოძრავებდათ ფარსადანს და ტარიელს, როდესაც „ორგული და მოღალატე“ რამაზი არათუ არ დასაჯეს, არამედ შეიწყალეს და მეტიც, „ნაწყალობევი“ და დოღლათით სავსე გამოისტუმრეს ინდოეთიდან. რა იყო ეს – პოლიტიკურად სწორად გათვლილი სტრატეგია (რამაზის ფსიქოლოგიური დამორჩილე-

ბის ხერხი) თუ დიდსულოვანი მიტევება? რაგვარ სასჯელს იმსახურებდა (ან იმსახურებდა კი საერთოდ) რამაზი?

საჭირო რესურსი: დაფა, თაბახის ფურცლები, დისკუსიისთვის სივრცის ორგანიზება: 4-4 შეტყუებული მერხი;

სადისკუსიო საკითხები: ცნებების „დანაშაული“ და „სასჯელი“ – დეფინიცია; მსჯელობა დანაშაულის სახეებსა და სასჯელის შესაბამისობაზე. შეიძლება თუ არა ძალადობრივი სასჯელი ჩაითვალოს სამართლიან სასჯელად? ყოველგვარ დანაშაულს უცილობლად უნდა მოსდევდეს სასჯელი? შეიძლება თუ არა „უსასჯელობა“ უკვე იყოს საკუთრივ სასჯელი?

კლასი: მე-10; საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 2 დაწყებული გაკვეთილი

სამოდელი გეგმის გამოყენება/ადაპტირება შესაძლებელია ნებისმიერ ლიტერატურულ ნაწარმოებთან, სადაც მსგავსი/მონათესავე თემა ან მოტივია, სადაც პერსონაჟები სჩადიან დანაშაულს და ამას მოსდევს სასჯელი.

გაკვეთილის მიზანი:

- წაკითხულის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა;
- თანამშრომლობის, დისკუსიისა და კამათის ხელოვნების დაუფლება;
- თანამოსაუბრის ზეპირი მოხსენების გაანალიზება;
- ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელი ხერხების გამოყენება;
- შესწავლილი ტექსტის გაანალიზება/გამოყენება მითითების მიხედვით;
- კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარის გამომუშავება.

ესგ-სთან შესაბამისობა: ქართ. X. 1. – მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.

მიმართულებები: მოსმენა/ზეპირმეტყველება

უშუალოდ დისკუსიის დაწყებამდე ცნებების დეფინიცია-შეჯერება:

- რას ნიშნავს დანაშაული? რაგვარ ქმედებას შეიძლება ვუწოდოთ დანაშაულებრივი? განმარტეთ თქვენი სიტყვებით და მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები;

- რას ნიშნავს სასჯელი? სასჯელის როგორი ფორმები არსებობს? იმსჯელეთ ცნება „ჰუმანური სასჯელის“ შესახებ. შეიძლება თუ არა, სასჯელი იყოს ჰუმანური? რა შემთხვევაში? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები.
- მიღებული ცნობები შეაჯამეთ და ჩაინიშნეთ სამუშაო რვეულში განმარტებების სახით.

საჭირო ცნობები მასწავლებლისთვის:

დანაშაული **დანაშაული**-(**დანაშაულისა**) 1. სამართ. საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის საშიში მოქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც არღვევს არსებულ წესრიგს და ისჯება კანონით, _ ბრალი; შეცოდება. სახელმწიფო დანაშაული, _ სისხლის სამართლის დანაშაული. _ მე კარგად ვიცი, რომ დანაშაული არა მხოლოდ რა (ილია), რაც... დანაშაული მიუძღვის, მას სამართლით განესჯით (ი. მანაშ თარგმ.). მოითხოვთ, თუ როგორ დაეფარათ ამ ზოგად დანაშაულის კვალი («დისკა»). სიმართლეს ვამბობდი, მხოლოდ სიმართლეს, ეს არის ჩემი ერთადერთი დანაშაული (გ. კანდელი). [ახვანი] დანაშაულს სჩადიოდა _ ფურცლის უფოთლო ყლორტებს ჰაზად (გ. კობი). ბო|| მცდარი ან საზიარო მოქმედება; სხვისთვის საწყენი ქცევა. რა სწყინდა, არ ვიცი... იმის ზეტი, რომ დავიგვიანე? ერთდერთი დანაშაული ჩემი ეს იყო (გაფა). **დანაშაულის გამოსყიდვა** იხ. გამოსყიდვა. **დანაშაულის გრძნობა** განცდა, რომელიც სუბიექტს უვითარებდა ამა თუ იმ გასაკითხი მოქმედების ან აზრის შესაბამისად. **დანაშაულის ჩადენა** ცოდ რასმე მოიმოქმედებს. ისეთი გრძნობა შევს, თითქმის რაღაც დანაშაულს ჩადიოდა (გ. კანდელი). [ფრიქსეს და ვაქსის შორით] დაბრუნებულს, ისეთი სახეები ედოთ, თითქმის დიდ დანაშაულს ჩადიოდნენ (ი. ჭილა). ნებს რაღაც... დანაშაული ჩადენი (ი. თფა თარგმ.). **დანაშაულზე თვალს ხუჭავს** განგებ არ დაინახავს, არ შეამჩნევს. ვიხედოვს, ვერ განვსაყდ კაცთ ცხოვრებას, დანაშაულზე თვალს ვხუჭავდი იქაც და აქაც (ა. ნიშა). **დანაშაულის გამოყიდვა** დანაშაულის გამოსწორება. ამით აკირებდა პლასტიკი გარისზებული, შემოწმრალი ზუნას გულისმოგებას, თავის დანაშაულის გამოსყიდვას (დ. კლდ.). **ამბიძმებს დანაშაულს** იხ. ამბიძმებს. მოქმედების ადგილი ერთი-ორად ამბიძმებს დანაშაულს (ი. ნატარ). **დანაშაულის დაფარვა** საიდუმლოს შენახვა, დამალვა დანაშაულისა. შემოწმებულ ზედამხედველს ვერილით საკუთარი დანაშაულის დაფარვა უნდოდა (ი. დაშა). **დანაშაულის შეწყალება** პატიება. [უბირო] თითქმის რაღაც არაადამიანური დანაშაულის შეწყალებას თხოვდა (ი. ჭილა). **დანაშაულზე წასწრებულობით** ვისაც დანაშაულის ჩადენისას მიუხსრეს. რიზარდმა დანაშაულზე წასწრებულობით გაიღმა (ი. მაღალა). 2. ზოგჯერ უმართებულოდ უმართათ დანაშაულის წაცვლად. მე შენ წინაშე გამა დანაშაული ვარ? (გ. გაბ).

სასჯელი **სასჯელი**-(**სასჯელისა**) რითაც სჯიან დამნაშაულს, დანაშაულის ჩადენის მიმართ მიღებული ღონისძიება. სასჯელის ზოგად. - კაცთმოყვარე თამარმა მოსპო სასჯელი სიკვდილითაც და დასაბრუნებლთაც (ი. ჯოგბ). გამოიმუშა ბრალდებამ დადარჩინა წერეთელაშვილი, მაგრამ მაინც გამოუშვეს შეცდომა და მცირე სასჯელი დაადგეს (დ. კლდ.). «სასჯელი მომცეს - ზუთი წლით ციხე» (ს. შანა).

წყარო: განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის და ენის მოდელირების ასოციაციის ერთობლივი პროექტი

დისკუსიის წარმართვის ტექნიკა(ზოგადი აღწერა):

ჯვარედინი დისკუსია იმგვარი მეთოდია, რომელსაც მოსწავლეები თავად წარმართავენ. მასწავლებლის ამოცანაა მოამზადოს დივერგენტული კითხვა (თეზისი), რომელიც არაერთგვაროვან პასუხს მოითხოვს.

პირველი ეტაპი:

მოსწავლეები წყვილდებიან და ადგენენ სადისკუსიო ცხრილს. ერთი მოსწავლე მოიფიქრებს თეზისის დამადასტურებელ არგუმენტებს, მეორე – უარყოფელს. აუცილებელია მინიმუმ 3 დამადასტურებელი და 3 უარყოფელი არგუმენტი.

ნიმუში: ყოველგვარ დანაშაულს უცილობლად უნდა მოსდევდეს სასჯელი. რამაში სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო!

დიახ	არა
დიახ, რადგან სხვანაირად წესრიგის დამყარება შეუძლებელია. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის რწმენა/შიში, რომ დანაშაული/ღალატი/ორგულობა აუცილებლად დაისჯება;	არა, რადგან დამოკიდებულება „თვალი თვალის წინ და კბილი კბილის წილ“ ახალი დანაშაულის მაპროვოცირებელი ქმედება ხდება ხოლმე;
დიახ, რადგან ერთხელ დანაშაულის ჩამდენი სასჯელის მიუღებლობის შემთხვევაში იმავეს გაიმეორებს მეორედაც;	არა, რადგან სასჯელი ხშირ შემთხვევაში ძალადობრივია, ეს კი ადამიანს არ აძლევს საშუალებას დაფიქრდეს, გააანალიზოს, სწორად შეაფასოს საკუთარი დანაშაული. ის თავად ხდება მსხვერპლი;
დიახ, რადგან.....	არა, რადგან.....

დიახ/არა – ცხრილის ორივე სვეტი ივსება მუშაობის პროცესში. თეზისის/კითხვის დასაბუთება მოცემულია სვეტში „დიახ“, უარყოფა სვეტში „არა“.

მეორე ეტაპი:

სამუშაოს დასრულების შემდეგ ორი წყვილი ერთმანეთს უზიარებს არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს. განხილვის შემდეგ ქმნიან ახალ ცხრილს, აკეთებენ პრეზენტაციას.

შეფასების ფორმა: განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და ა.შ.

დისკუსიისთვის დათმობილი გაკვეთილის დასასრულს, განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს:

- რამდენად სწორად განსაზღვრავს მოსწავლე სადისკუსიო თემას, პრობლემას, საკითხს;
- სცემს თუ არა პატივს სხვების განსხვავებულ აზრებს(მათი მიუღებლობის ან გაუზიარებლობის შემთხვევაშიც).
- საუბარისას რამდენად მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს მოსაზრებებს.
- რამდენად არგუმენტირებულად გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს, იშველიებს თუ არა კონკრეტულ მაგალითებს შესწავლილი ტექსტიდან.

დისკუსიის შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმები	დიახ	არა
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;		
მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;		
იცავს დისკუსიის წესებს და თანაკლასელის მიმართ კორექტულია.		
იყენებს ფაქტებს და ციტატებს ტექსტიდან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად;		
იცავს საუბარისას დროის ლიმიტს.		
დამაჯერებლად იცავს საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში დომინანტური პოზიციის დაკავებას;		
იცავს დისკუსიის სათანადო წესებს და ეტიკეტს;		

მხატვრული ნაწარმოების ანალიზი

ნინო ლომიძე

მხატვრული ნაწარმოების ანალიზი – მეთოდური მითითებები მასწავლებლებსა და მოსწავლეებისთვის.

მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის საგნობრივი პროგრამის სტანდარტში წლის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან წერის მიმართულების ერთ-ერთ პუნქტში გაწერილია:

მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება (ქართ. XI. 9.)

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ცნობარშიც აღნიშნულია, რომ აბიტურიენტმა გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად უნდა შეძლოს წაკითხულის (იგულისხმება პროზაული ან პოეტური ტექსტი/ნაწყვეტი) გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი; აგრეთვე ის უნდა ერკვეოდეს მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებში;

მოსწავლეებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ტექსტის მხატვრული ანალიზი ყველაზე რთულად შესასრულებელ მითითებად მიაჩნიათ. არადა, ამ მიმართულებას მასწავლებელი, როგორც წესი, პროგრამული მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას გამუდმებით ამუშავებს. თანაც, წლების განმავლობაში (არა მარტო საშუალო საფეხურზე) და გაკვეთილის ყველა ეტაპზე – შესავალში, გამოწვევის ფაზაში, მინი-ლექცია-საუბრის, ძირითადი ნაწილის მსვლელობისას, ახსნის თუ მსჯელობის დროს, გამოყენებული მხატვრული სახეების, ხერხების და საშუალებების მიმოხილვისას.

ვფიქრობ, პრობლემას ის ქმნის, რომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ მიღებული დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებას ამ კონკრეტული მითითების მიხედვით, რადგან მითითება საკმაოდ ზოგადად ან ბუნდოვნად ეჩვენებათ. ამაზე მაშინ დავფიქრდი, როდესაც სოციალური ქსელის პირად ფოსტაში ერთ-ერთი მოსწავლის წერილი დამხვდა. „მხატვრული ანალიზი რომ არ დავწერო, გეწყინებათ? იმიტომ, რომ მხატვრული ანალიზის წერა არ ვიცი და მეზარება უაზრობების ჯღაბნა...“

ამ გულწრფელმა თხოვნა-მოზოდინებამ იმაზე დამაფიქრა, რა არ ან ვერ გავაკეთე სათანადოდ, რატომ ჩათვალა საშუალოზე მაღალი შესაძლებლობების მეთორმეტეკლასელმა, რომლისგანაც არაერთხელ მიმიღია საინტერესოდ შესრულებული წერიტი დავალება, რომ მან არ იცის, როგორ დაწეროს მხატვრული ანალიზი.

ამგვარი რეფლექსიის შედეგად დავასკვნენ – სამუშაო წლის დაგეგმვისას არ იქნება ურიგო, თუ ცალკე დროს გამოვყოფ ამ მიმართულებაზე სამუშაოდ და კონკრეტული მიზნის მიხედვით დავგეგმავ რამდენიმე გაკვეთილს. დაფიქრდი იმაზეც, რომ საშინაო თუ საკლასო წერიტი დავალებების სათაურის მოფიქრებისას იშვიათად გამომიყენებია ფორმულირება – მხატვრული ანალიზი. ამიერიდან კი დავალების დასათაურებისას, თუკი დავალებაში, ცხადია, მოიაზრება მხატვრული ელემენტების მიმოხილვა, ტროპის სახეების ამონიშვნა, ამოცნობა, მათი განხილვა ან მხატვრული ანალიზის რომელიმე დეტალი, ფრჩხილებში მივაწერ – მხატვრული ანალიზი. ასე მოსწავლეებისთვის ცხადი გახდება, რომ ეს ავადსახსენებელი მხატვრული ანალიზი რაღაც აბსტრაქცია ან მიულწეველი მიზანი კი არ არის, არამედ ის სამუშაოა, რასაც ჩვეულებრივ, წარმატებით ართმევენ ხოლმე თავს.

ამგვარი გაკვეთილისთვის საჭირო მასალაზე ფიქრის და სხვადასხვა წყაროს დამუშავების შედეგად ერთგვარი სახელმძღვანელო მეთოდური მითითებები შევკრიბე და ცალკე დოკუმენტად შევინახე. შესაძლოა, ეს გამოცდილება სხვებისთვისაც საინტერესო იყოს...

წერილში გთავაზობთ ლექსის მხატვრული ანალიზისთვის გამოსადეგ მითითებებს. დაინტერესების შემთხვევაში მოგაწვდით პროზაული მხატვრული ტექსტის საანალიზო მეთოდურ მინიშნებებსაც.

საშინაო დავალება – ლექსის ანალიზი

თემაში დასახელებული/მიმოხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ავტორი, სათაური (დაწერის თარიღი, თუკი ცნობილია/გვახსოვს)

შექმნის ისტორია (ვის მიეძღნა ლექსი, არის თუ არა რაიმე საინტერესო ფაქტი ცნობილი დაწერის მიზეზსა თუ მიზანზე...)

მიეკუთვნება თუ არა პოეტი რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას, მიმდინარეობას და ჩანს თუ არა ამ კონკრეტულ ლექსში ამ ლიტერატურული დაჯგუფების/მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

თემა, იდეა, ძირითადი აზრი – მოკლედ – რაზეა ლექსი. შესაძლებელია მოკლე პერიოდში ან საკვანძო ადგილების ციტირება.

მხატვრული საშუალებების მიმოხილვა: ტროპის სახეები (ეპითეტები, შედარებები, გაპიროვნება, მეტაფორა, ჰიპერბოლა...)

მხატვრული ხერხები – ალიტერაცია, ალეგორია, ალუზია...

ლირიკული გმირი (ავტორი თავადაა თუ ვისიმე პირით გადმოსცემს სათქმელს...)

ლექსის ფორმა, გარეგნული საბურველი (რითმა, რიტმი...)

მზა ენობრივი ფორმულები:

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ აბზაციდან აბზაცზე გადასვლა, თანმიმდევრობის შენარჩუნება ან სულაც, დაწყება. მსგავსი ენობრივი ფორმულების გაცნობა მათ ამ სირთულეების დაძლევაში დაეხმარება:

ტექსტში (ლექსში, პოეტურ ნაწარმოებში, ლირიკულ ნაწარმოებში) საუბარია... აღწერილია... ავტორი ეხება... აღწერს... საუბრობს... მოგვითხრობს... გვიყვება...

თანდართულ ცხრილში კი დაჯგუფებულია ის ძირითადი შეფასებითი/აღწერითი ელემენტები, რომლებიც მხატვრული ტექსტის ანალიზისას გვხვდება ლიტერატურათმცოდნეების კვლევებში:

ავტორისეული პოზიციის კომენტირება:

მსჯელობა ტექსტში გადმოცემული აზრის შესახებ

დადებითი	ნეიტრალური	უარყოფითი
ავტორს ალაფრთოვანებს იგი აღტაცებით აღწერს მკითხველს თითქოს თვალწინ ეშლება მკითხველი ინტერესით აკვირდება მკითხველს ეცნობა	ავტორი მიმოხილავს... თითქოს დიალოგს მართავს მკითხველთან (რიტორიკული კითხვა, შეძახილი...) ავტორი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს...	გულისტკივილით შენიშნავს ავტორს ვერ გაუგია... ავტორისთვის აღმაშფოთებელია... ვერ შერიგებია იმას, რომ... გამოხატავს აღშფოთებას...

დადებითი	ნეიტრალური	უარყოფითი
პოეტი სიტყვებით ხატავს... (პეიზაჟს, პორტრეტს, სურათს...)	მკითხველის წინაშე სვამს მწვავე პრობლემას	
ავტორი გულწრფელად საუბრობს	ცდილობს წამოჭრას მნიშვნელოვანი საკითხები წამოჭრის ისეთ მნიშვნელოვან თემას...	

საშინაო დავალება – ლექსის ანალიზი

მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის საგნობრივი პროგრამის სტანდარტის თანახმად, მოსწავლემ უნდა შეძლოს მხატვრული ნაწარმოების წერილობით გაანალიზება.

მნიშვნელოვანია მათთვის ზუსტი მითითებების მიწოდება და შესასრულებელი სამუშაოს დაკონკრეტება.

მასალაში გთავაზობთ ლექსის მხატვრული ანალიზისთვის გამოსადეგ მეთოდურ მითითებებს.

გაკვეთილის თემა: ლექსის მხატვრული ანალიზი

გაკვეთილის მიზანი (მისაღწევი შედეგი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით):

- პოეტური ნაწარმოების ელემენტებზე დაკვირვება;
- პოეტური ნაწარმოების განხილვა პირადი და ლიტერატურული გამოცდილების კონტექსტში;
- პოეტურ ნაწარმოებში ასახული პრობლემის, თემისა თუ მოტივისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- მნიშვნელოვანი, საინტერესო, უჩვეულო, მხატვრულად ღირებულ ფრაზებზე დაკვირვება, ანალიზი;
- მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების და საშუალებების, ტროპის სა-

ხეების გარჩევა; მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინების გაცნობა-მიმოხილვა.

წინასწარი ცოდნა: მოსწავლე იცნობს საპროგრამო პოეტურ ტექსტს, აქვს წარმოდგენა ავტორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, იცის ლექსის დაწერის პერიოდი, გააზრებული აქვს ეპოქის ისტორიულ-კულტურული, ესთეტიკური და პოლიტიკური თავისებურებები. ერკვევა ლიტერატურული მიმდინარეობების, დაჯგუფებების თეორიულ საფუძვლებში (იმ შემთხვევაში, თუკი პოეტი მიეკუთვნებოდა/მიეკუთვნება რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას ან მიმდინარეობას).

საკითხები/კითხვები, რომლებიც დამუშავდება მოცემული მეთოდის მეშვეობით:

- რას მოიპოვებს ლექსის ანალიზი?
- რა ელემენტებისგან შედგება ის?
- რა ტერმინოლოგიას ვიყენებთ პოეტური ტექსტის მხატვრული ანალიზისას?
- როგორ უნდა დავამუშაოთ ლექსი შესაბამისი მითითების მიხედვით?

სქემა:

- ავტორი, სათაური (დაწერის თარიღი, თუკი ცნობილია/გვახსოვს)
- შექმნის ისტორია (ვის მიეძღვნა ლექსი, არის თუ არა რაიმე საინტერესო ფაქტი ცნობილი დაწერის მიზეზსა თუ მიზანზე...)
- მიეკუთვნება თუ არა პოეტი რომელიმე ლიტერატურულ დაჯგუფებას, მიმდინარეობას და ჩანს თუ არა ამ კონკრეტულ ლექსში ამ ლიტერატურული დაჯგუფების/მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები.
- თემა, იდეა, ძირითადი აზრი – მოკლედ – რაზეა ლექსი. შესაძლებელია მოკლე პერიფრაზი ან საკვანძო ადგილების ციტირება.
- მხატვრული საშუალებების მიმოხილვა: ტროპის სახეები (ეპითეტები, შედარებები, გაპიროვნება, მეტაფორა, ჰიპერბოლა...)
- მხატვრული ხერხები – ალიტერაცია, ალეგორია, ალუზია...
- ლირიკული გმირი (ავტორი თავადაა თუ ვისიმე პირით გადმოსცემს სათქმელს...)
- ლექსის ფორმა, გარეგნული საბურველი (რიტმა, რიტმი...)

მზა ენობრივი ფორმულები:

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ აბზაციდან აბზაცზე გადასვლა, თანმიმდევრობის შენარჩუნება ან სულაც, დაწყება. მსგავსი ენობრივი ფორმულების გაცნობა მათ ამ სირთულეების დაძლევაში დაეხმარება:

- ტექსტში (ლექსში, პოეტურ ნაწარმოებში, ლირიკულ ნაწარმოებში) საუბარია... აღწერილია... ავტორი ეხება... აღწერს... საუბრობს... მოგვითხრობს... გვიყვება...

თანდართულ ცხრილში კი დაჯგუფებულია ის ძირითადი შეფასებითი/აღწერითი ელემენტები, რომლებიც მხატვრული ტექსტის ანალიზისას გხვდება ლიტერატურათმცოდნეების კვლევებში.

ცოდნის რუკა

ნინო ჭიაბრიშვილი

გასული საუკუნეები ტექნოლოგიების განვითარებით ხასიათდებოდა. მე-18 საუკუნე მექანიკური სისტემების შექმნის საუკუნე იყო, რომელიც თან სდევდა სამრეწველო რევოლუციას. მე-19 საუკუნეში ორთქლის ძრავა შეიქმნა. ამას კი მოჰყვა ინფორმაციის დაგროვების, გადამუშავებისა და განაწილების მე-20 საუკუნე. სხვა მნიშვნელოვან ცვლილებათა შორის იყო მსოფლიო მასშტაბის სატელეფონო ქსელის შექმნა, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონება, კომპიუტერული მრეწველობის შექმნა და უსწრაფესი ზრდა, საკომუნიკაციო სატელიტების გაშვება და ა.შ. ადამიანები მიხვდნენ, რომ მხოლოდ ინფორმაცია საკმარისი არ არის, მნიშვნელოვანია ცოდნა, რამაც ინფორმაციის პრიორიტეტულობა ცოდნის უპირატესობით ჩაანაცვლა.

ინფორმაცია კონტექსტისა და ახსნა-განმარტების გარეშე, ისეთი მონაცემებია, როგორიცაა ციფრები, სიმბოლოები. ინფორმაცია ცოდნის საფუძველია. ცოდნა მონაცემებისა და ინფორმაციის ნაკრებია, რომელიც გამდიდრებულია პროფესიონალის მოსაზრებით და გამოცდილებით. შედეგად ფასეული აქტივის მიიღება, რომლის გამოყენება შეიძლება გადაწყვეტილების მიღებისას. ცოდნა შეიძლება იყოს ექსპლიციტური და/ან იმპლიციტური, ინდივიდუალური და/ან კოლექტიური.

ექსპლიციტურია ცოდნა, რომლის სისტემატიზაცია ადვილია, ანუ ადვილად შეგვიძლია გადავცეთ. მის მისაღებად არ არის საჭირო მუდმივი წვრთნა. ადამიანს შეუძლია ის დამოუკიდებლად მიიღოს, თუ იხელმძღვანელებს ამ ცოდნის მკაფიო და ზედმიწევნით ჩამოყალიბებული წესებით. ექსპლიციტურ ცოდნას მიეკუთვნება მრავალი მეცნიერება, მაგ. მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია და ლინგვისტიკა.

იმპლიციტურია ცოდნა, რომელიც არსებობს ადამიანის გონებაში და რომელიც შეიძლება არ გამოიხატოს სიტყვებით და ინსტინქტურ ქმედებას უდევს საფუძვლად. მისი ახსნა პლატონის სიტყვებით შეიძლება: „ჩვენ შესაძლოა ვიცოდეთ იმაზე მეტი, ვიდრე შეგვიძლია მოვყვეთ/ვთქვათ“. იმპლიციტური

ცოდნა შეიძლება გადავცეთ მხოლოდ სწავლებით ან შევიძინოთ პირადი გამოცდილების საფუძველზე. მაგ: ცურვა, ველოსიპედის ან მანქანის ტარება შეიძლება ვისწავლოთ დაკვირვების, ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით ინდივიდუალური ვარჯიშის, მცდელობის საფუძველზე. ასეთი ცოდნის მაგალითია უცხო ენობრივ გარემოში ადამიანის მიერ ამ ენის დასწავლა გრამატიკული წესების შესწავლის გარეშე.

ტერმინი ცოდნის რუკის შედგენა თითქოს ახალია, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ, უბრალოდ, დოკუმენტურად არ ვაწარმოებთ და სისტემატურად არ მივმართავთ. ცოდნის რუკის შედგენა არის ჩანაწერების წარმოება საჭირო ინფორმაციისა და ცოდნის შესახებ, მაგ: სად უნდა მოვიპოვოთ, ვის აქვს, ვინ იცის და ა.შ. დაუშვათ, სახლში ან ოთახში გვჭირდება რაღაცის პოვნა. ამას ადვილად მოვახერხებთ, რადგან მთელი ინფორმაცია/ცოდნა გვაქვს საკუთარი სახლის/ოთახის შესახებ. ამგვარი რუკის შედგენა ადამიანის გონებაში საკუთარი ორგანიზაციის და ორგანიზაციული ცოდნის შესახებ თითქმის შეუძლებელია. სწორედ აქ გვადგება ცოდნის რუკა, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის ორგანიზაციაში არსებულ ნებისმიერ ცოდნას – მის ადგილსამყოფელს, ხარისხს და ხელმისაწვდომობას; ცოდნის რუკა ორგანიზაციის ადვილად მართვის საშუალებას იძლევა და გვეხმარება მარტივად და ნაყოფიერად მოვიძიოთ საჭირო ცოდნა/ინფორმაცია.

ორგანიზაციის მუდმივი საბრუნავია აღმოაჩინოს ცოდნის არტეფაქტების ადგილსამყოფელი, მათი მესაკუთრე, ღირებულება და გამოყენების გზები, შეისწავლოს ცალკეულ მუშაკთა როლი და გამოცდილება, განსაზღვროს ცოდნის მიმოქცევის ნაკლოვანებები და წინა პლანზე წამოსწიოს არსებული ცოდნის ამოქმედების შესაძლებლობები.

ცოდნის რუკის შექმნა მნიშვნელოვანი საქმიანობაა, რომელიც შედგება კვლევის, აუდიტისა და სინთეზისაგან. მისი მიზანია ინფორმაციისა და ცოდნის შეძენისა და დაკარგვის თვალყურის დევნება. ის იკვლევს პიროვნულ და ჯგუფურ კომპეტენციებსა და გამოცდილებას. გვიჩვენებს, როგორ მიმოიქცევა ცოდნა ორგანიზაციაში. ცოდნის რუკის შექმნა ეხმარება ორგანიზაციას გააცნობიეროს, როგორ გავლენას ახდენს პერსონალის დაკარგვა ინტელექტუალურ კაპიტალზე, ეხმარება გუნდების ჩამოყალიბებაში და ტექნოლოგიის მისადაგებაში ცოდნის საჭიროებებთან და პროცესებთან.

რუკის შექმნა გულისხმობს – ორგანიზაციის ფარგლებში ხელმისაწვდომი ცოდნა გავხადოთ ყველასთვის ნათელი და უზრუნველყოთ მისი ხარის-

ბი. რუკის შედგენა პროცესია, რომლის საშუალებით ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვროს და დაახარისხოს ცოდნის საკუთარი აქტივები – ადამიანები, პროცესები, შინაარსი და ტექნოლოგია. ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციას სრული სიმძლავრით აამუშაოს ორგანიზაციაში არსებული გამოცდილება, ასევე განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ბარიერები და შეზღუდვები. ის გზის მაჩვენებელია, რომელიც გვასწავლის, სად უნდა ვეძებოთ საჭირო ცოდნა, რომ საუკეთესოდ გამოვიყენოთ რესურსები. აღწერს, რა სახის ცოდნა გამოიყენება საქმიანობაში და როგორ მიმოიქცევა საქმიანობის პროცესში. არსებითად, საქმიანობის ცოდნის რუკა მოიცავს ორგანიზაციის ცოდნის შესახებ ინფორმაციას – აღწერს ვის რა ცოდნა (იმპლიციტური) აქვს, სად „მდებარეობს“ (ინფორმალური) და როგორ გადაეცემა ან ვრცელდება (სოციალური).

როგორ იქმნება ცოდნის რუკა?

ცოდნის რუკა ურთიერთდაკავშირებული ინფორმაციის გრაფიკული ილუსტრაციაა. ის ორგანიზაციაში (და არა მხოლოდ ორგანიზაციაში!) ცოდნის წყაროების განსაზღვრის ფორმაა. ჩვეულებრივ, ეს არის ცოდნის ბაზის წყაროების გრაფიკული ან სტილიზებული გზამკვლევი, რომელიც ბლოკსქემას ან ორგანიზაციის სქემას გვავსებს. რუკის შესაქმნელად გამოყენებული წყაროები შესაძლოა იყოს შიდა, გარე, ზოგ შემთხვევაში კი, სოციალური. ეს პროცესი უკავშირდება ორგანიზაციის ცოდნის მართვას.

ცოდნის რუკის შექმნა შესაძლებელია იმპლიციტური და ექსპლიციტური ცოდნის გადართვით გრაფიკულ ფორმატში, რომლის გაგება და ახსნა ადვილია საბოლოო მომხმარებლებისთვის (შესაძლებელია იყოს მენეჯერი, ექსპერტი, სისტემის შემმუშავებელი ან სხვ.).

სპეციფიკური ამოცანის შესასრულებლად არსებობს ცოდნის რუკის შექმნის ძირითადი საფეხურები:

1. მთლიანი პროცესის შედგენა და ამ პროცესის წვლილი ორგანიზაციის ძირითად აქტივობებში;
2. მიზნის მისაღწევად საჭირო ყველა აქტივობის ლოგიკური თანამიმდევრობა;
3. ყოველი აქტივობისთვის საჭირო ცოდნა (ავლენს ცოდნის ხარვეზებს);


4. ყოველი აქტივობის შესრულებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი (გვიჩვენებს საჭიროა თუ არა რეკრუტირება).

გთავაზობთ რუკის ობიექტების შესაძლო ჩამონათვალს:

ექსპლიციტური ცოდნა

- ობიექტი
- მიზანი/დანიშნულება
- ადგილმდებარეობა
- ფორმატი
- მფლობელი
- მომხმარებელი
- წვდომის უფლება/იმპლიციტური ცოდნა
- ექსპერტიზა/პროფესიული ცოდნა
- უნარ-ჩვევები
- გამოცდილება
- ადგილმდებარეობა
- მისაწვდომობა
- საკონტაქტო მისამართი
- კავშირები/ქსელი

ცოდნის რუკის შექმნის პროცესი გრაფიკულად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:



ცოდნის რუკა გვიჩვენებს ორგანიზაციაში არსებული ცოდნის არსენალისა და დინამიკის მნიშვნელობას და მათ ურთიერთკავშირს. ასევე: ცოდნის არსებულ რესურსებს; ცოდნის კლასტერებსა და საზოგადოებებს; ცოდნის ვინ რა რესურსს იყენებს; ცოდნის გაცვლის გზებს; ცოდნის სასიცოცხლო ციკლს; რა ვიციტ, იმის შესახებ, რაც არ ვიციტ (თეთრი ლაქები ცოდნაში).

სად „ბინადრობს“ ცოდნა?

ცოდნის სავარაუდო ადგილსამყოფელია:

- კორესპონდენცია, შიდა დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკა;
- არქივები (ძველი პროექტებისა და წინადადებების ამსახველი დოკუმენტები);
- შეხვედრები;
- საუკეთესო პრაქტიკა;
- გამოცდილება;
- კორპორაციული მეხსიერება.

მრავალ ორგანიზაციაში ორგანიზაციის ფართო ცოდნა ნაკლებად გამჭვირვალეა. ღირებული ცოდნა ხშირად არ გამოიყენება, რადგან ადამიანებმა არ იციან მისი არსებობა, ან იციან მისი არსებობა, მაგრამ არ იციან ადგილმდებარეობა. ამ პრობლემების გამო იქმნება ცოდნის რუკა.

ქვემოთ მოცემულია ცოდნის რუკის შექმნის ძირითადი მიზნები:

- ცოდნის შექმნის საკვანძო წყაროების პოვნა;
- ცოდნის ხელახლა გამოყენების წახალისება და მისი თავიდან გამოგონების აცილება;
- მნიშვნელოვანი ინფორმაციის სწრაფად პოვნა;
- პროფესიული ცოდნის წინა პლანზე წამოწევა;
- ინტელექტუალური და არახელშესახები აქტივების აღრიცხვა და შეფასება;
- შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფით გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის სრულყოფა;
- კორპორაციის ცოდნის განვითარება.

რუკა ემსახურება ორგანიზაციული მექანიზმების მუდმივ განვითარებას, ორგანიზაციისთვის საკვანძო ცოდნის მოპოვებას და ინტეგრირებას. ის საშუალებას აძლევს თანამშრომლებს ისწავლონ რუკაზე დატანილ ცოდნაში ინტუიციური ნავიგაციითა და მისი წაკითხვით, ასევე ახალი კავშირების აღმოჩენების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცოდნის რუკა საშუალებას აძლევს მუშაკებს იცოდნენ არა მხოლოდ „რა“, არამედ „როგორ“ კითხვაზე პასუხიც. ცოდნა ძალაა, კიდევ უფრო მეტი ძალაა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, გასაგები და გაზიარებული ცოდნა.

„მაიკროსოფტი“ თავის პროგრამაში აღნიშნავს, რომ ცოდნის გაზიარება და თანამშრომლობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამის გამო არ სჭირდებათ ცოდნის ოფიცერი. პროგრამის მიზანია, განსაზღვროს და ხელი შეუწყოს საწარმოო ცოდნის ლიდერებს.

ცოდნის მთავარი ოფიცრის გარდა, ცოდნის მართვის წამყვანი საწარმოები ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე სხვაგვარ ლიდერებსაც გამოყოფენ – „ცოდნის ჩემპიონები“, „ცოდნის მენტორები“. თვით საწარმოს ხელმძღვანელობა უნდა განვიხილოთ, როგორც ცოდნის მენტორებისა და თანამშრომლების ურთიერთობა. ეს არის ხელმძღვანელობა, რომელიც პირად მაგალითს ემყარება – ხელმძღვანელი იმ ქცევის მოდელირებას ახდენს, რომლის ხელშეწყობაც სურს საკუთარ თანამშრომლებში. თუ ლიდერი ხედავს, რომ რომელიმე თანამშრომელი არ აქტიურობს კომპანიის ცოდნის გაზიარების სისტემაში, უნდა ჰკითხოვს, რა დახმარება სჭირდება ხელმძღვანელობისაგან გასააქტიურებლად.

ორგანიზაციაში ცოდნის გაზიარების ქცევის ხელშეწყობის შემდეგი გზები არსებობს:

- მხოლოდ ფულადი ჯილდოს გამოყენება არ არის გამოსავალი; ცოდნის გაზიარების შინაგანი და გარეგანი აღიარება ზოგიერთისთვის (თუმცა, არა ყველასთვის) კარგი სტიმულია;
- გამზიარებელმა უნდა იცოდეს, რომ მათი ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელს;
- უნდა შეიქმნას ცოდნის გაზიარების ქცევის შეფასების, განხორციელებისა და დაფასების გზები;
- უნდა შევისწავლოთ ცოდნის გაზიარების ქცევის ხელშეწყობი ინოვაციური მიდგომები, მაგ: „მაიკროსოფტი“ იყენებს ამ მიდგომების საჯარო გაზიარების პრაქტიკას.

საუკეთესო გამოცდილების მქონე ორგანიზაციებში ცოდნის მართვა წარმატებული საქმიანობის საფუძველი და მომხმარებლის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტია.

გაკვეთილის გეგმა

საგანი: სამოქალაქო განათლება

კლასი: მე-6

შესასწავლი თემა: ბუნებრივი რესურსების მრავალმხრივი გამოყენება

მისაღწევი შედეგი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით: საბ. მეც. V-VI. 13.

მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მრავალმხრივ გამოყენებაზე

სასწავლო აქტივობები: სიტუაციის ანალიზი; გონებრივი რუკა; ანიმაციის ანალიზი; ჯგუფური მუშაობა;

შეფასების ფორმები: მოსწავლეთა ურთიერთშეფასება

სასწავლო მასალა და რესურსები: სამუშაო ფურცელი „ვამზადებთ კერძს“;

სამუშაო ფურცელი გადაწყვეტილების მიღების ცხრილი;

სტივ ქატის ანიმაცია „ადამიანი“

<https://www.youtube.com/watch?v=WfGMYdaICIU>

გონებრივი რუკა <http://mastsavlebeli.ge/?p=2442>

გაკვეთილის მიზანი – მოსწავლეები

- გაიგებენ, რატომ არის შეუძლებელი გვექონდეს ყველა სასურველი ნივთი;
- გაცნობიერებენ, რომ შეზღუდულობასა (არასაკმარისობას) და არჩევანს შორის არის კავშირი;
- ისწავლიან, რომ ნებისმიერ არჩევანს აქვს ალტერნატიული (შედარებითი) ღირებულება და მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- ისწავლიან სწორი არჩევანის გაკეთების ერთ-ერთ გზას;
- შეძლებენ სწორი არჩევანის დაგეგმვასა და განხორციელებას.

1. მოსწავლეებს ვურიგებთ ფურცლებს. ვთხოვთ, ფურცლის ცენტრში დახატონ საკუთარი თავი, ხოლო ირგვლივ სხივებზე ჩამოწერონ 10 ნივთი, რომელიც სურთ რომ ჰქონდეთ. (მასწავლებელი იყენებს წრისებრი გონებრივი რუკის სახეცვლილ ვარიანტს.) დავალებისთვის ეძლევათ 10 წუთი. დავალების დასრულების შემდეგ ვეკითხებით:

- თქვენი აზრით, რატომ არ გაქვთ ეს ნივთები? (სავარაუდოდ, უმრავლესობის პასუხი იქნება არასაკმარისი თანხა)
- დავუშვათ, ათივე ნივთის შესაძენი ფული გაგიჩნდათ, როგორ იგრძნობთ თავს, აღწერეთ თქვენი ემოციები.
- ეს ათი ნივთი თქვენს ყველა სურვილს აასრულებს და ბედნიერს გაგხდით, თუ სხვა სურვილებიც გაგიჩნდებათ? (სავარაუდოდ, უმრავლესობას სხვა ნივთებიც ენდომება.)
- დაამატეთ სხივები და ჩამოწერეთ დამატებითი 10 ნივთი, რომელიც გსურთ რომ გქონდეთ.
- წარმოიდგინეთ, რომ ეს 10 ნივთიც გაქვთ. იქნება თუ არა საკმარისი 20 ნივთი თქვენი ყველა სურვილის დასაკმაყოფილებლად?
(ორმაგი ბუშტიები რუკის გამოყენებით მასწავლებელი თვალსაჩინოდ აჩვენებს მოსწავლეებს მათთვის სასურველ საერთო და განსხვავებულ საგნებს.)

მასწავლებელი: რეალურ ცხოვრებაში ჩვენი სურვილები (მოთხოვნილებები) ყოველთვის მეტია მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო შესაძლებლობებზე, ამიტომ შეზღუდულობა, ანუ რაღაცის არასაკმარისი რაოდენობა ნებისმიერი ადამიანის, ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის, მსოფლიოს პრობლემაა. შეზღუდულია დრო გაკვეთილზე, წყალი უდაბნოში და არამართო იქ, ჰაერი კოსმოსში და არამართო იქ, ფული სახელმწიფოში და არამართო იქ და ა.შ.

2. მოდით, ვნახოთ, როგორ იქცევიან ადამიანები შეზღუდული რესურსების პირობებში!

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ხუთკაციან ჯგუფებად. სთხოვს წარმოიდგინონ, რომ არიან ერთი ოჯახის წარმომადგენლები, აქვთ 7 ლარი, რომლითაც უნდა იყიდონ სასურველი და საჭირო პროდუქტები და მოამზადონ სადილი ოჯახისათვის. ურიგებს ფურცლებს და სთხოვს მოიფიქრონ, რა სადილის გაკეთებას გადაწყვეტენ, რა პროდუქტები დასჭირდებათ და რა რაოდენობით.

სამუშაო ფურცელი: გამზადებთ კერძს

ჯგუფი _____

კერძის სახელწოდება _____

#	პროდუქტი	რაოდენობა	ფასი

დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 15 წუთი. ამ დროის შემდეგ ყოველი ჯგუფი სასურველი ფორმით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას.

მასწავლებელი სვამს შემდეგ საორიენტაციო კითხვებს:

- ყველა „ოჯახმა“ შეძლო სასურველი კერძის მომზადება თუ არა?
- რომელიმე ჯგუფს ხომ არ მოუწია სასურველ კერძზე უარის თქმა არასაკმარისი თანხის გამო?
- ხომ არ ისურვებდით, ორმაგი თანხა გქონოდათ და სასურველი კერძი მოგეზადებინათ?
- ხომ არ მოგიხდათ დავალების შესრულებისას გადაწყვეტილების მიღება და არჩევანის გაკეთება?
- რომელმა ჯგუფმა რა არჩევანი გააკეთა? როგორ? რა დათმეთ? რა მიიღეთ სანაცვლოდ?

მასწავლებელი დაფაზე ამზადებს ცხრილს, რომელსაც მონაწილეები ავსებენ.

ჯგუფი	რა გვსურდა?	რატომ ვერ ვიყიდეთ?	რა დათმეთ?	რა შევიძინეთ სანაცვლოდ?

3. რეალურ ცხოვრებაში არც ერთ ადამიანს არ აქვს ყველაფერი, რაც სურს რომ ჰქონდეს. რაკი არ შეიძლება გქონდეს ყველაფერი სასურველი ერთად, აუცილებელია ვისწავლოთ არჩევანის გაკეთება. შეზღუდულობა გვაიძულებს გავაკეთოთ არჩევანი ვარიანტებს, შესაძლებლობებს, ანუ როგორც ეკონომისტები ამბობენ, ალტერნატივებს შორის. არჩევანს აკეთებენ როგორც ცალკეული ადამიანები (ინდივიდები), ისე ოჯახები, ქვეყნები და მსოფლიოც კი.

ჩვენს წინაშე არსებული პრობლემა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

მოთხოვნილებები > შესაძლებლობები/რესურსებზე



შეზღუდულობის პრობლემა



არჩევანი

არჩევანის გაკეთება ძალიან რთულია და დროსა და ფიქრს მოითხოვს. ყოველთვის, როცა რაღაცას ვირჩევთ, ჩვენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას ვიღებთ. ჩვენთვის ორი საუკეთესო ვარიანტიდან უარს ვამბობთ ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტზე – ალტერნატივაზე. თითოეულ ჩვენს არჩევანს, ეკონომიკურ გადაწყვეტილებას აქვს თავისი ფასი, ანუ ალტერნატიული ღირებულება. ადამიანს შესაძლოა ორზე მეტი ალტერნატივა ჰქონდეს, მაგრამ ალტერნატიული ღირებულება მისთვის მხოლოდ ერთ საუკეთესო ვარიანტს აქვს. გადაწყვეტილების მიღებისას მრავალი ვარიანტიდან მხოლოდ ორ საუკეთესო ალტერნატივას ვიტოვებთ და მათ შორის ვაკეთებთ არჩევანს. ნებისმიერი არჩევანის ღირებულება განისაზღვრება იმ არჩევანით, რომელზეც უარი ვთქვით. ალტერნატიული ღირებულება არის ორი საუკეთესოდან გამოუყენებელი, უარნათქვამი („გადაგდებული“) საუკეთესო არჩევანის ღირებულება.

როგორ უნდა გავაკეთოთ საუკეთესო არჩევანი?

მოდით, გავეცნოთ გადაწყვეტილების მიღების 5-საფეხურიან პროცესს, რომელიც მომავალშიც გამოგადგებათ.

I საფეხური: უნდა განვსაზღვროთ რა მიზანი გვაქვს, რა გვინდა – გადაწყვეტილების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა პრობლემა გვაქვს გადასატყელო.

მაგალითად: გვინდა მეგობართან წასვლა, მაგრამ საშინაო დავალება გვაქვს შესასრულებელი.

II საფეხური: უნდა ჩამოვთვალოთ ალტერნატივები, ანუ ის ვარიანტები, რომელიც ჩვენს ხელთაა, რომელთა შორისაც არჩევანი უნდა გავკეთდეს.

ჩვენი მაგალითის მიხედვით: (1) მეგობართან დროის გატარება და (2) საშინაო დავალების შესრულება.

III საფეხური: უნდა განვსაზღვროთ კრიტერიუმები – კრიტერიუმები არის შეფასების ის საზომები, რომელიც გვეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. ეს ის საზომია, რომლითაც ვაფასებთ არჩევანს.

ჩვენს შემთხვევაში მეგობართან სტუმრობის „საზომები“ ასეთი შეიძლება იყოს: მონატრება, დროის საინტერესოდ გატარება, სიახლის გაცემა, დარდის/სიხარულის გამოხატვა და სხვა. საშინაო დავალების შესრულების კრიტერიუმები შეიძლება იყოს: ახალს გავიგებ, საკუთარ შესაძლებლობებში დავრწმუნდები, ამოვწვავ ვისწავლი, მეგობრებთან თავს მოვიწონებ, კარგ შეფასებას დავიმსახურებ და სხვა.

IV საფეხური: უნდა შევაფასოთ ალტერნატივები – გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებლად უნდა შევაფასოთ ალტერნატივები ჩვენთვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით. ვიფიქროთ და განვსაზღვროთ, რომელი ალტერნატივა რა ნიშნის მიხედვით არის ჩვენთვის სასარგებლო, საინტერესო, მნიშვნელოვანი. დავუშვათ, მნიშვნელოვანია ის, რომ მეგობრისთვის გასაზიარებელი გვაქვს სადარდებელი.

V საფეხური: უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება – მას შემდეგ, რაც ალტერნატივებს შევაფასებთ კრიტერიუმების მიხედვით, ვირჩევთ იმ ალტერნატივას, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კრიტერიუმების უმრავლესობას. დავუშვათ, რომ მეგობართან სტუმრობა ყველაზე მეტად შეესაბამება ჩვენს კრიტერიუმებს.

ამ პროცესს ძალიან ამარტივებს ცხრილის შევსება, რომელიც დაგვეხმარება არჩევანის გაკეთებაში.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიღების ცხრილს.

სამუშაო ფურცელი: გადაწყვეტილების მიღების ცხრილი

კრიტერიუმი ალტერნატივა	I კრიტერიუმი	II კრიტერიუმი	III კრიტერიუმი	IV კრიტერიუმი	V კრიტერიუმი
I ალტერნატივა					
II ალტერნატივა					

სთხოვს მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისში შექმნილი 20 სასურველი საგნის სიიდან აირჩიონ 2 ყველაზე სასურველი საგანი. ერთ–ერთი მათგანი ჩაწერონ „I ალტერნატივის“ ქვეშ გრაფაში, ხოლო მეორე – „II ალტერნატივის“ ქვეშ.

კრიტერიუმების უჯრებში განსაზღვრონ, რითია მათთვის მნიშვნელოვანი თითოეული ალტერნატივა. მას შემდეგ, რაც ალტერნატივებსა და შესაბამის კრიტერიუმებს ჩაწერენ შესატყვის გრაფებში, + და – ნიშნებით უნდა შეაფასონ ალტერნატივების შესაბამისობა კრიტერიუმებთან. თუ რომელიმე კრიტერიუმი ძალზე მნიშვნელოვანია, შეუძლიათ 2 ან მეტი + ნიშანი დაუწერონ და პირიქით, უმნიშვნელო – რამდენიმე მინუსით შეაფასონ. ცხრილის შევსების შემდეგ გადაწყვეტილების მისაღებად მოსწავლეები ითვლიან + და – ნიშნების რაოდენობას თითოეული ალტერნატივისათვის და გადაწყვეტილებას იღებენ, ანუ არჩევენ აკეთებენ იმ ალტერნატივის სასარგებლოდ, რომელსაც მეტი + ნიშანი ექნება.

არჩევანის მნიშვნელობის არცოდნას ან არაგონივრულ არჩევანს თავისი მძიმე შედეგები მოაქვს. ეს კარგად ჩანს ანიმაციაში, რომელსაც ახლა იხილავთ. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სტივ ქატსის ანიმაციას „ადამიანი“.

მულტისტრუქტურული რუკის დახმარებით მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ანიმაციაში მომხდარ რამდენიმე მოვლენაზე საუბარს. მოსწავლეები ასახელებენ მოვლენის მიზეზებს (ადამიანის სიხარბე, არაჯანსაღი მოთხოვნილებები) და შედეგებს (გარემოს დაბინძურება, ცხოველების მოსპობა).

დასკვნითი ნაწილი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს იფიქრონ იმ სურვილების (მოთხოვნილებების) შესახებ, რომლებიც მათ სასკოლო ცხოვრებას ეხება (ახალი სათამაშო ან სპორტული მოედანი, კედლების გადღევა, დასასვენებელი კუთხის მოწყობა და ა.შ.) სთხოვს, ახსნან, რატომ

არ შეიძლება ჰქონდეთ ყველაფერი, რაც სკოლისათვის სურთ. კიდევ ერთხელ უმეორებს, რომ ადამიანების მოთხოვნილებები ბევრად აჭარბებს მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსებს და ამის გამო ჩნდება შეზღუდულობა.

გთავაზობთ რამდენიმე დავალებას, რომელიც მასწავლებელმა თავისი შეხედულების მიხედვით შეიძლება შესთავაზოს კლასს გაკვეთილის ამ ნაწილში ან საშინაო დავალებად.

1. რა შეიძლება იყოს შეზღუდული მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანისთვის?
2. გაიხსენე და აღწერე შემთხვევა, როცა კლასში რაღაც იყო შეზღუდული.
3. წარმოიდგინეთ, რომ კლასში სკამების რაოდენობა შეზღუდულია. გადაწყვიტეთ, რომ ეს პრობლემა ლატარეის საშუალებით მოგეგვარებინათ. დაასაბუთეთ ამ გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
4. შეაფასეთ თქვენი რომელიმე ბოლოდროინდელი არჩევანი და დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

სამწუხაროდ,

-----.

საბედნიეროდ,

-----.

5. მოიფიქრეთ, რა შეიძლება იყოს სკოლაში სწავლის ალტერნატიული ღირებულება. ღირს თუ არა, „ჩიტი ბდღვნად“ – ანუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სკოლაში სწავლას. რას გააკეთებდით სწავლის ნაცვლად?
6. რას ნიშნავს, თქვენი აზრით, ვაჟა-ფშაველას ნათქვამი: „თუ გონების მოთხოვნილება გაიყინა ერთ ადგილას, მაშინ ხომ ცხოვრებაც იყინება“. რას ნიშნავს გონების მოთხოვნილების „გაყინვა“? რა ემუქრება ადამიანს რომელსაც „გონების მოთხოვნილება გაეყინება“? რა კავშირშია „გონების მოთხოვნილების გაყინვა“ „ცხოვრების გაყინვასთან“?

განვრცობა. მოიწვიეთ კლასში რამდენიმე მშობელი, ბებია და პაპა, რათა მათ ისაუბრონ იმ არჩევანის შესახებ, როგორ აირჩიეს ბავშვობაში სასურველი საგანი. სთხოვეთ მოსწავლეებს შეადარონ სამი თაობის არჩევანი – მათი საკუთარი, მათი მშობლებისა და ბებია-პაპისა.

ასევე შესაძლებელია საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისაგან მაღაზიაში შესული მშობლისა და შვილის სურვილები; ან რატომ ხდება, როცა სასურველ ნივთს ვიღებთ, ვერ ვგრძნობთ ისეთ კმაყოფილებას, როგორსაც ველოდით.

რეფლექსის დოკუმენტი

გაანალიზეთ საკუთარი გაკვეთილი და შეაფასეთ შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით	
მისდევდა თუ არა გაკვეთილი წინასწარ დასახულ გეგმას?	
წარმოიშვა თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა და თუ კი – ახსენით რატომ?	
რა იყო გაკვეთილის ძლიერი მხარე? ახსენით რატომ?	
რა იყო გაკვეთილის სუსტი მხარე? ახსენით რატომ?	
შეცვლიდით თუ არა რამეს? თუ კი – ახსენით რატომ? (დაასაბუთეთ თქვენი პასუხი).	
სხვა	

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ბიოლოგიის გაკვეთილზე

რუსუდან თედორაძე

სასწავლო მეთოდიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, რომლის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებას, „აიძულებს“ იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის სწორი გზა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტებია:

- პრობლემური სიტუაციის შექმნა შემეცნებითი ინტერესის გასაღვივებლად.
- მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ცოდნის ათვისება, რომელიც დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში.
- პრაქტიკულ-შემეცნებითი სავარჯიშოების საშუალებით ახალი ცოდნის მიღება, გაფართოება, გაღრმავება.

შემეცნებით საქმიანობაში პრობლემების წარმოქმნა არის არა მარტო აზროვნების გაღრმავების საშუალება, არამედ ხშირად ის ემსახურება ადამიანის ნიჭისა და შესაძლებლობების (მიდრეკილებების) განვითარებას. პრობლემური სიტუაციას ვერ ქმნის ყველა კითხვა, ამოცანა ან მოსაზრება. თუ მოსწავლეს აქვს მზა პასუხი ჩვენ მიერ შეთავაზებულ ყველა კითხვაზე, ეს ხელს ვერ შეუწყობს ახალი ცოდნის მიღებას – ეს იქნება გახსენება და არსებული ცოდნის კვლავწარმოება.

შემეცნებითი პრობლემა ხასიათდება იმით, რომ მოსწავლე გაჰყავს არსებული ცოდნის ფარგლებიდან, რომელშიც არის რაღაც შეუცნობელი, რომელიც მისგან მოითხოვს აზროვნების გააქტიურებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად პედაგოგმა შეიძლება გამოიყენოს **აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი**, რომლის საფუძველია – სწავლება კონკრეტული ამოცანების, სიტუაციების გა-

დაჭრის გზით. სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების განხილვაზე. მეთოდი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. მოსწავლეებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებების და სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ხერხები შეიძლება სხვადასხვა იყოს. გავიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. ანალოგიის ხერხი

ამ შემთხვევაში ვეყრდნობით მოსწავლეების ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ან ვაანალიზებთ წინარე ცოდნას ახალი ამოცანის გადასაწყვეტად.

2. ინდუქციური (ანალიტიკურ-სინთეზური) ხერხი

მოსწავლეები დამოუკიდებლად იკვლევენ ფაქტს ან მოვლენას და აკეთებენ აუცილებელ მეცნიერულ დასკვნებს. მაგალითად თემის – „მღიერების“ შესწავლის დროს მოსწავლეებმა მასწავლებლის მონათხრობიდან იციან, რომ დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერები მღიერებს მიიჩნევდნენ ჩვეულებრივ მცენარეებად და მიაკუთვნებდნენ ხავსებს. კვლევების შედეგად მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მღიერები სოკოსა და წყალმცენარეების რთული თანაცხოვრების შესანიშნავი მაგალითია. შემდეგ ხდება პრობლემური საკითხების ფორმულირება: რას წარმოადგენენ მღიერები? მცენარეთა რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ისინი? დაასაბუთეთ რატომ?

3. მიზეზების ძიება

მოსწავლეებს ვაცნობთ მეცნიერების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ცდას,

რომლის შედეგები განაპირობებს ამა თუ იმ მოვლენას და იძლევა შესასწავლი მასალის ანალიზის საფუძველს.

მოვიშველიოთ რამდენიმე მაგალითი:

1. სამასი წლის წინ მეცნიერმა ვან ჰელმონტმა ჩაატარა ცდა: ქოთანში მოათავსა 80 კგ. მიწა და მასში ჩარგო ტირიფი, რომელიც წინასწარ ჰქონდა აწონილი. ტირიფი 5 წლის განმავლობაში იზრდებოდა, მცენარეს არ აძლევდნენ არანაირ დამატებით კვებას, მხოლოდ რწყავდნენ მარილებისაგან თავისუფალი წყლით. ხუთი წლის შემდეგ, ქოთანის აწონვისას მეცნიერმა აღმოაჩინა, რომ ტირიფის წონა გაიზარდა 65 კილოგრამამდე, ხოლო მიწის წონა ქოთანში შემცირდა მხოლოდ 50 გრამით. როგორ ფიქრობთ რა მოხდა? **როგორ შეგვიძლია ამ მოვლენის ახსნა?**
2. ორ კოლბაში, რომელშიც ერთში ჩვეულებრივი წყალი იყო, ხოლო მეორეში გადადუღებული, მოათავსეს ამებები. ერთ-ერთ კოლბაში რამოდენიმე ხნის შემდეგ ამებები დაიღუპნენ. ახსენით რატომ მოხდა ეს ფაქტი?

4. პრობლემური შეკითხვის წამოწევა

ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც პრობლემის გადასაწყვეტად და ახალი ცოდნის მისაღებად საჭიროა, შემოქმედებითად გამოვიყენოთ ადრე ნასწავლი პრინციპები ან კანონზომიერებები

მაგალითად:

- ფრინველის ჩანასახის ჟანგბადით მომარაგება ხდება კვერცხის საჭაერო საკნის მეშვეობით, მაშინ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ ფრინველის ჩანასახს უვითარდება ლაყუჩის ხვრელები?
- პიანინოზე დაკვრისას, სარეცხის გარეცხვისას და სხვა ხელით შესრულებული სამუშაოების დროს იღლება (გვტკივდება) ზურგი. რატომ?
- რატომაა მნიშვნელოვანი ექიმისთვის იცოდეს, თქვენ ცაცია ხართ თუ მემარჯვენე?

5. პარადოქსალური ფაქტის გაცნობა, ჰიპოთეზების წამოყენება, ვარაუდების გამოთქმა

- **ფაქტი პირველი:** გასულ საუკუნეში ატლანტის ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე იფეთქა წითელას ეპიდემიამ, რომელიც ევროპაში შეიტანა ავადებულმა ადამიანმა. შვიდიათასი მაცხოვრებელიდან ჯანმრთელი (არ შეხვდათ) დარჩა ასამდე ასაკოვანი ადამიანი, რომლებმაც ეს ავადება გადაიტანეს დიდი ხნის წინ.
- **ფაქტი მეორე:** 1967 წელს კეიპტაუნში(სამხრეთ აფრიკა) ახალგაზრდა ქირურგმა ქრისტიან ბერნარდმა ჩაატარა გულის გადანერგვის უნიკალური ოპერაცია. ოპერაცია ჩატარდა უმკაცრესი სტერილიზაციის პირობებში და ვირტუოზულად, მაგრამ ვერ მოხდა ორგანიზმის სათანადო შეგუება და ადამიანი გარდაიცვალა.
ეს ორი ფაქტი ერთმანეთთან კავშირშია, როგორ ფიქრობთ რატომ?
- ტყეში მტაცებელი ფრინველების განადგურებამ გამოიწვია სხვა ფრინველების გამრავლება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მათი რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა. ახსენით ამ მოვლენის მიზეზი.

6. მეცნიერების გამონათქვამის მიხედვით, პრობლემური სიტუაციის შექმნა:

ცნობილი გეოგრაფი და მოგზაური ა. ჰუმბოლტი ამტკიცებდა „ადამიანებს უძღვის ტყეები, ხოლო აცილებს უდაბნო“ – რატომ ფიქრობდა ასე მეცნიერი?

7. ერთსა და იმავე ფაქტზე სხვადასხვა თვალსაზრისის გაცნობა.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლებისას შესაძლებელია, სასწავლო მასალა ავარდოს კონფლიქტური დებულების ხაზგასმით და მოსწავლეებს საკითხი ამ გზით ავუხსნათ: მაგალითად, განსაჯეთ დებულება: ცნობილია, რომ კუნთის უმნიშვნელო მუშაობის დროსაც კი ხდება არტერიული წნევის ცვლილება.

1-ლი მოსწავლის პასუხი: „ეს ხდება მაშინ, როდესაც მომუშავე კუნთი სისხლში გამოყოფს ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს სისხლძარღვთა სანათურის გაფართოება-შევიწროებას“.

მე-2 მოსწავლის პასუხი: „როცა ტვინი აგზავნის კუნთებთან სიგნალს, რომელიც მას აძულებს იმუშაოს, ის ასევე სიგნალს აგზავნის სისხლძარღვებთან, რითაც ისინი არეგულირებენ სისხლის წნევას.“

როგორ ფიქრობთ მართებულია მსჯელობა? რომელი მოსწავლეა მართალი? რატომ?

- 8. მოსწავლეთა განვითარების დონის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი ხერხი – მოსწავლეები მასწავლებლის მონათხრობიდან დამოუკიდებლად პოულობენ შემეცნებითი სახის პრობლემას, აკეთებენ ამ პრობლემის ფორმულირებას და აყალიბებენ მკვეთრ არგუმენტებს მის გადასაჭრელად.**

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – არის სასწავლო პროცესის ორგანიზების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაკვეთილზე გავავლივოთ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობა, ხელი შევუწყოთ უკეთ გაიაზრონ მასალა და მიიღონ ხანგრძლივი (მყარი) ცოდნა. თუმცა პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას აქვს გარკვეული შეზღუდვებიც:

- მეთოდის გამოყენება არ შეიძლება გაკვეთილზე, რომელიც აღწერითი ხასიათის კვლევებს განიხილავს.
- მის გამოყენებას აგრეთვე ზღუდავს პროცესის სირთულე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგჯერ თხრობითი ფორმით მასალის გადაცემა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მეთოდის გამოყენებით.
- ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორია არსებული სახელმძღვანელოებიც (ბუნებრივია არა ყველა), რადგან მათში არ არის გათვალისწინებული პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების აუცილებლობა და ორიენტირებულია ძირითადად ფაქტობრივ მასალაზე და მიმართულია ტექსტის გაგების და რეპროდუცირების უნარის განვითარებაზე.
- პედაგოგისთვის თითქმის არ არსებობს დამხმარე სახელმძღვანელო, რომელსაც ის გამოიყენებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ: გაკვეთილზე პრობლემური სიტუაციების გამოყენება მოსწავლეებს აყენებს გართულებულ სიტუაციაში, რომლის დაძლევა მათგან მოითხოვს შემოქმედებით ძიებას, აიძულებს მოსწავლეს იფიქროს, იაზროვნოს, მოიძიოს გამოსავალი, იმსჯელოს, განიცადოს სწორი გადაწყვეტილებებით მიღებული სიხარული. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს საგნისადმი აქტიური შემეცნებითი ინტერესის გაღვივებას.

პრობლემური კითხვების გამოყენება ადამიანის ანატომიის სწავლების დროს

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – არის სასწავლო პროცესის ორგანიზების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაკვეთილზე გავაღვივოთ მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობა, ხელი შევუწყოთ უკეთ გაიაზრონ მასალა და მიიღონ ხანგრძლივი (მყარი) ცოდნა.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლებისას შესაძლებელია სასწავლო მასალა ავაგოთ კონფლიქტური დებულების ხაზგასმით და მოსწავლეებს საკითხი ამ გზით ავუხსნათ. ადამიანის ანატომიის სწავლების დროს ეს შეიძლება სხვადასხვა მეთოდით განვახორციელოთ:

მეთოდი #1

როცა ვხსნით თემას „კუნთების მუშაობა“, შესაძლებელია, აღნიშნული სტრატეგია გამოვიყენოთ შემდეგნაირად – თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ ორი (ან მეტი) პასუხი რაიმე დებულებაზე და მათ უნდა დაასაბუთონ მოცემული პასუხების მართებულობა. განვიხილოთ ერთი მაგალითი:

მოსწავლეებს ჯგუფში ეძლევათ დავალება: ცნობილია დებულება, რომ კუნთის უმნიშვნელო მუშაობის დროსაც კი ხდება არტერიული წნევის ცვლილება. ამ დებულებაზე მოსწავლეთა პასუხებია:

1-ლი მოსწავლის პასუხი: „ეს ხდება მაშინ, როდესაც მომუშავე კუნთი სისხლში გამოყოფს ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს სისხლძარღვთა სანათურის გაფართოება-შევიწროებას“.

მე-2 მოსწავლის პასუხი: „როცა ტვინი აგზავნის კუნთებთან სიგნალს, რომელიც მას აიძულებს იმუშაოს, ის ასევე სიგნალს აგზავნის სისხლძარღვებთან, რითაც ისინი არეგულირებენ სისხლის წნევას“.

გაეცანით მოსაზრებებს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს: როგორ ფიქრობთ მართებულია მსჯელობა? რომელი მოსწავლეა მართალი? რატომ?

მეთოდი #2

თემის/საკითხის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვურიგებთ პრობლემურ კითხვას/კითხვებს, მოსწავლეები მსჯელობენ ამ კითხვის გარშემო და აკეთებენ დასკვნებს.

სავარაუდო კითხვები:

1. მოზარდები, რომლებიც გამოიყურებიან და თავს გრძნობენ, როგორც დიდები, რატომ იღლებიან ფიზიკური დატვირთვის დროს?
2. პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება იწყება სასქესო ჯირკვლების სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მომწიფებამდე, უფრო მეტიც, შესაძლებელია ბავშვებში პათოლოგიურად ადრეული სქესობრივი მომწიფება, თუმცა სასქესო ჯირკვლები ფუნქციონალურად მომწიფებულია, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?
3. მსოფლიოში აღწერილია ცხოველების მიერ „გამოზრდილი“-მაუგლი ბავშვების დაახლოებით 30-ზე მეტი შემთხვევა ძველი რომიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე. ყველა შემთხვევაში ამ ბავშვებს ჰქონდათ ერთი საერთო – ვერ დადიოდნენ გამართულად, მაგრამ მუსკულატურა განვითარებული ჰქონდათ და ძალიან კარგად დარბოდნენ, ცოცავდნენ და ხტუნავდნენ; კარგად ჰქონდათ განვითარებული მხედველობა, სმენა და

- ყნოსვა; ადამიანთა საზოგადოებაში დიდხანს ყოფნის მიუხედავად, უმეტესმა მათგანმა ვერ ისწავლა მეტყველება. როგორ ახსნით ამ ფაქტს?
4. ცნობილია შემთხვევები, როცა ადამიანს მთლიანად დაზიანებული აქვს ზურგის ტვინი, პარალიზებულია სხეული და კიდურები, მაგრამ აგრძელებს სიცოცხლეს და შეუძლია გონებრივი მუშაობა. ახსენით, რატომ უნარჩუნდება ადამიანს გონება, ამროვნება და სხვა ფსიქიკური პროცესები?
 5. ზოგიერთი დაავადების დროს ადამიანს ერღვევა აგზნების გატარება ზურგის ტვინიდან თავის ტვინისაკენ, მაგრამ აგზნება ვრცელდება ნორმალურად. შენარჩუნებულია თუ არა ამ დროს მუხლის რეფლექსი? იგრძნობს თუ არა ხელზე ჩხვლეთას? შესაძლებელია თუ არა ამ დროს ფეხების უნებლიე მოძრაობა?
 6. ინსულტის (სისხლის ჩაქცევა თავის ტვინის ნახევარსფეროების განსაზღვრულ უბანზე) შედეგად ადამიანმა დაკარგა მეტყველების უნარი, მაგრამ ესმის რას ეუბნებიან და შეუძლია წერა. თავის ტვინის რომელ უბანში მოხდა სისხლის ჩაქცევა? რა საერთო დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი ამ ფაქტიდან?
 7. წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა ზოობარკში ვეტერინარს (ცხოველების ექიმი) თავს დაესხა გარეული ხარი, ექიმმა მოასწრო ღობესთან მირბენა და მიუხედავად მისი ასაკისა და მძიმე წონისა მოახერხა გადახტომა, მას შემდეგ რაც ინციდენტი ამოიწურა და ხარი შეაგდეს სადგომში, მეგობრებმა სთხოვეს ვეტერინარს, ეჩვენებინა, როგორ მოახერხა მან ამის გაკეთება, მაგრამ ვეტერინარმა აწევაც კი ვერ შეძლო ღობეზე. როგორ ახსნით ამ ფაქტს?
 8. ახსენით, რატომ ცოცხლობს ადამიანი: ერთი თირკმლით, ერთი ფილტვით, ნახევარი ღვიძლით, ნაღვლის ბუშტისა და ელენთის გარეშე. ხოლო კვდება, თუ მას ამოკვეთენ პატარა ჯირკვალს – ჰიპოფიზს, რომლის წონა მხოლოდ 0,5 გრამია?
 9. ცხოველს ექსპერიმენტის დროს თირკმელი გადაუნერგეს კისერზე და მან გააგრძელა სრულფასოვანი ფუნქციონირება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თირკმლების ცხოველქმედებაში მთავარ როლს არა ნერვული, არამედ

ჰუმორული რეგულაცია ასრულებს. ჰიპოფიზის მოქმედებაც ჰუმორალური გზით ხორციელდება, მაგრამ გადანერგვის დროს ის კარგავს რიგი ჰორმონების გამოყოფის უნარს. ასხენით ამის მიზეზი.

10. მძიმედ დამწვარ პაციენტებს ხშირად უნერგავენ კანს, რა უპირატესობა აქვს პაციენტის საღი უბნიდან კანის გადანერგვას სხვა ადამიანის კანის გადანერგვასთან შედარებით?

გაკვეთილზე პრობლემური სიტუაციების გამოყენება, მოსწავლეებს აყენებს გართულებულ სიტუაციაში, რომლის დაძლევა მათგან მოითხოვს შემოქმედებით ძიებას, აიძულებს მოსწავლეს იფიქროს, იაზროვნოს, მოიძიოს გამოსავალი, იმსჯელოს, განიცადოს სწორი გადაწყვეტილებებით მიღებული სიხარული. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს საგნისადმი აქტიური შემეცნებითი ინტერესის გაღვივებას.

გთავაზობთ ანატომიის საგაკვეთილო პროცესში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების განხორციელების ერთ კონკრეტულ მაგალითს

გაკვეთილის მთავარი თემა – სუნთქვის სისტემის აგებულების შესწავლა
საგანი – ბიოლოგია

კლასი – VIII

გაკვეთილის მიზნები და შედეგები – მოიპოვებენ ინფორმაციას სუნთქვის ორგანოების, სასუნთქი გზების შესახებ, ექსპერიმენტის დახმარებით გააანალიზებენ ხმის ტემბრის თავისებურებას ქალსა და მამაკაცში

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნები / სტანდარტები – კვლ.VIII.1,4,5

წინასწარი ცოდნა და უნარები – წინა გაკვეთილებზე შესწავლილი მასალა: ორგანოები და ორგანოთა სისტემები; ორგანოებსა და ორგანოთა სისტემებს შორის კავშირი; ორგანიზმის დაცვითი შესაძლებლობები;

უნარები: სქემებისა და მოდელების შექმნა; ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის, პრეზენტაციის.

პირველი აქტივობა: მასწავლებელი ქმნის საგაკვეთილო განწყობას. მოსწავლეებს შეახსენებს შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებს. (2 წთ)

მეორე აქტივობა: მასწავლებელი ააქტიურებს მოსწავლეების წინარე ცოდნას და ამზადებს მოსწავლეებს ახალი თემის გასაცნობად (გონებრივი იერიში)

- რა მნიშვნელობა აქვს საკვებს ადამიანისათვის?
- რა არის საკვები დანამატები?
- როგორ ხდება საკვების მონელების რეგულაცია?
- როგორ ფიქრობთ, საკვების გარდა კიდევ რა ესაჭიროება ადამიანს არსებობისათვის? (მოსწავლეთა ჩამოთვლილი პასუხებიდან მასწავლებელი აქცენტს აკეთებს სუნთქვაზე (5 წთ).

მესამე აქტივობა

მასწავლებლის დიალოგი მოსწავლეებთან. პრობლემური სიტუაციის შექმნა:

ყველა ცხოველს შეუძლია ისუნთქოს კანის საფარველის დახმარებით და ამასთანავე მათ აქვთ შინაგანი ორგანო, რომელიც სუნთქვას უზრუნველყოფს. თუ კანის საფარველი მნიშვნელოვნად დაზიანდა, ცხოველს სუნთქვის დროს წარმოექმნება პრობლემა. **როგორ ფიქრობთ, რატომაა მნიშვნელოვანი კანის საფარველი სუნთქვისათვის?**

- მოსწავლეები მსჯელობენ და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას მაგ: დიდი ზომის ცხოველებს კანის დიდი საფარველი აქვთ.
- ორგანიზმები სხვადასხვა გარემოში ცხოვრობენ.
- ფრინველებისათვის აუცილებელია დამატებითი ჟანგბადი, რადგან ისინი ბევრ ენერგიას ხარჯავენ და ა.შ.

მასწავლებელი ხელს უწყობს (საჭიროების შემთხვევაში დამამხსტებელი კითხვებით), მოსწავლეებმა გააკეთონ დასკვნა, რომ: რაც უფრო მეტია ორგანიზმისათვის სასუნთქი ზედაპირი, მით მეტი ჰაერი მიეწოდება ორგანიზმს და შესაბამისად, შეუძლიათ უფრო მეტი ენერგიის მიღება.

მასწავლებელი – კი მაგრამ, რისთვის სჭირდება ენერგია ორგანიზმს?

მოსწავლეები:

- სითბოს შესანარჩუნებლად;
- მოძრაობისთვის;
- ზრდა-განვითარებისათვის;
- რეგენერაციისათვის
- სამარაგო სახით (არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში) და ა.შ.

მასწავლებელი – ე.ი. რა შეიძლება იყოს ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის თემა? (5 წთ)

მოსწავლეები – ადამიანის სუნთქვის ორგანოები

მეოთხე აქტივობა

ვიდეორგოლის ჩვენება – ადამიანის სუნთქვის ორგანოები (7 წთ)

https://www.youtube.com/watch?v=hc1YtXc_84A

(დანართი #1)

მეხუთე აქტივობა

ჩვენების შემდეგ იმართება მსჯელობა ნანახი ვიდეორგოლის შესახებ (4 წთ)

მეექვსე აქტივობა

ვიდეორგოლზე ნანახი ორგანოების ტაბულაზე ამოცნობა

მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით (არეული თანმიმდევრობით) ასახელებენ სასუნთქი სისტემის ორგანოებს (ცხვირის ღრუ, ხორხი, ტრაქეა, ბრონქები, ალვეოლები, ფილტვები) და ასახელებენ მათ ფუნქციას. მასწავლებელი ერევა საჭიროების შემთხვევაში და აძლევს განმარტებას (3 წთ).

მეშვიდე აქტივობა

შემდეგი საკითხის ასახსნელად პრობლემური სიტუაციის შექმნა

მასწავლებელი: როგორც ვნახეთ ანატომიური აგებულების მიხედვით ქალების და მამაკაცების სასუნთქი სისტემა არ განსხვავდება, მაშინ რატომაა, რომ ქალების დიდ უმრავლესობას წვრილი ხმა აქვს, ხოლო მამაკაცებს ბოხი?

მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა მოსაზრებას (მოსაზრებები ფიქსირდება დაფაზე) (2 წთ).

მერვე აქტივობა

მასწავლებელი ჯგუფებში ურიგებს მარტივი ექსპერიმენტის აღწერილობას, სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ და ჩაინიშნონ ექსპერიმენტის მსვლელობა და უპასუხონ შეკითხვებს.

ცდა #1. მეტალის გრძელი სახაზავი მაგიდის კიდეზე დავიჭიროთ ისე, რომ მისი უდიდესი ნაწილი ჰაერში იყოს და თითქოს გიტარის სიმია ისე ჩამოვკრათ. მოვისმინოთ გამოცემული ბგერების ინტენსივობა (ცდა გავიმეოროთ ორჯერ).

ცდა #2. გავიმეოროთ ცდა ისე, რომ მაგიდას ეხებოდეს სახაზავის დიდი ნაწილი და ჰაერში მისი მცირე ნაწილი იყოს და ახლაც მოვისმინოთ წარმოქმნილი ბგერების ინტენსივობა (ცდა გავიმეოროთ ორჯერ).

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ უპასუხეთ შეკითხვებს:

- რაზე იყო დამოკიდებული ბგერების სიხშირე?
- როდის უფრო მაღალი იყო სიხშირე?
- როდის უფრო დაბალი იყო სიხშირე?
- რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ ?

მოსწავლეები ჯგუფებში მსჯელობენ, წარმოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს და წარმოადგენენ წერილობით.

საბოლოოდ მათი პასუხის ძირითადი არსია: ქალების მბგერავი იოგები მოკლე და დაჭიმულია, ხოლო მამაკაცების გრძელი და მოდუნებული, სწორედ ეს განაპირობებს მათი ხმის ტემბრის სხვაობას. (10 წთ.)

მერვე აქტივობა

ვიდეორგოლის ჩვენება – მბგერავი იოგები (2 წთ)

<https://www.youtube.com/watch?v=vg01wuA602c>

(იხ დანართი N1)

მეცხრე აქტივობა

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს/თემას:

- რა ისწავლეთ ახალი ამ გაკვეთილზე?
- გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობებიდან რომელი მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- როდის იყავით კრიტიკულები?
- როდის იმუშავეთ შემოქმედებითად? (2 წთ)

მეათე აქტივობა

- საშინაო დავალება: ტექსტი სახელმძღვანელოში (გვ. თემა #)
- მოამზადეთ პრეზენტაცია „სუნთქვის ორგანოები უხერხემლო და ხერხემლიან ორგანიზმებში“ (1 წთ)

მეთერთმეტე აქტივობა

შეფასება რუბრიკის მიხედვით

შეფასების საგანი და პროცედურები

ჯგუფების შეფასება

შეფასების რუბრიკის მიხედვით (2 წთ)

შეფასების კრიტერიუმები:

1. ჯგუფის მიერ დავალების მიზნის სწორად გაგება (0-3) ქულა
2. ჯგუფმა აღწერილობის მიხედვით სწორად ჩაატარა ექსპერიმენტი, (0-4) ქულა
3. ჯგუფმა წერილობით წარმოადგინა ექსპერიმენტების შედეგები; (0-2) ქულა
4. ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს (0-1) ქულა

ჯგუფები აკეთებენ ურთიერთშეფასებას რუბრიკის მიხედვით, ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს.

მასწავლებელი ითვალისწინებს მათ.

სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები კლასის სახელმძღვანელო, პლაკატები; ვიდეორგოლი; კომპიუტერი, პროექტორი, მეტალის სახაზავი (ჯგუფზე ერთი)

ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია

დაგეგმილი გაკვეთილი ჩავატარე ორ პარალელურ კლასში. ერთ კლასში გაკვეთილი წარიმართა წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით, მაგრამ მეორე კლასში მომიწია გეგმიდან გადახვევა, რადგან მოსწავლეებს მეტი დრო დასჭირდათ ექსპერიმენტის ჩასატარებლად და დასკვნების გამოსატანად. მნიშვნელოვნად ჩავთვალე, რომ მოსწავლეებისათვის მეჩვენებინა ვიდეორგოლი მბგერავი იოგების მუშაობის შესახებ, ამიტომ ჯგუფებს არ გავაკეთებინე ურთიერთშეფასება და შემოვიფარგლე მხოლოდ ჯგუფების საერთო შეფასებით.

გაკვეთილის ძლიერი მხარე არის ვიდეომასალის ჩვენება, რომელიც დამეხმარა გაკვეთილის მიზნის მიღწევაში, მოსწავლეებისათვის უფრო აღქმადი და ადვილად გასაგები გახდა გაკვეთილის თემა.

დაგეგმილი გაკვეთილის სუსტ მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ თუ მოხდა დენის წყაროს და ინტერნეტთან წვდომის შეფერხება, გაკვეთილი უნდა წარიმართოს ალტერნატიული გეგმით, კერძოდ:

- უფრო დიდი დრო უნდა დავუთმო ტაბულებზე მუშაობას
- ექსპერიმენტის და მსჯელობის დასრულების შემდეგ, ვთხოვ მოსწავლეებს, მოიფიქრონ კიდევ რა მარტივი ექსპერიმენტი შეიძლება ჩაატარონ ამ თემაზე. (მაგალითად: ვიოლინოს ან გიტარის სიმების დაჭიმულობა)

ურთიერთსწავლების ხიბლი

მაია ჯალიაშვილი

ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად. გარშემო ყველაფერს: ბუნებას, ადამიანებს, გარემოს – შეუძლიათ შეასრულონ მასწავლებლის როლი, თუმცა განსასწავლად ყველაზე უკეთესი სიყმაწვილეა, დრო, როდესაც ადამიანი, როგორც გურამიშვილი ამბობდა, ნედლი რტოსავითაა, იოლად იღუნება და ემორჩილება მწვრთნელის ხელს. როგორც ცნობილია, ბავშვები არა მხოლოდ დიდებისგან, არამედ ერთმანეთისგან უფრო ხალისით სწავლობენ. სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს ეფუძნება ურთიერთსწავლების სხვადასხვა სტრატეგია, რომლებიც შეიძლება მასწავლებელმა სკოლაში სწავლებისას გამოიყენოს. ჩამოყალიბებულ, გამოცდილ მეთოდებს ჭკვიანი მასწავლებელი ყოველთვის შემოქმედებითად ეკიდება და მოცემული ვითარების, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ცვლის.

ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენება კარგია ისეთი თემის შესწავლისას, რომელიც შეიძლება ჯგუფური ამოცანების მიხედვით დაიგეგმოს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოიფიქროს საინტერესო გაკვეთილები, რომლებიც გააღვიძებენ მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას. საზოგადოდ, ბავშვი ცნობისმოყვარეა და მისი ყველაზე ხშირი კითხვა არის: რატომ? თუ გაკვეთილზე იქნება პასუხების ძიება, სწავლების პროცესის რიტმი იქნება მაღალი და ენერგიით სავსე. ერთმა პროფესორმა, რომელსაც სტუდენტებმა შესჩივლეს, ყველაფერი გამოკვლეულია, ჩვენ რაღა თემა ავიღოთო, უპასუხა, როგორც ღამის მოწმენდილი ცაა სავსე უამრავი ვარსკვლავით, ისე გარემო – იდეებით, თქვენ მხოლოდ თვალი უნდა გაახილოთ, აიხედოთ ზეცაში და თავბესაყრელ ვარსკვლავს დაინახავთო. სწავლების პროცესიც უფრო სახალისო და საინტერესო რომ გახდეს, საჭიროა ამ ახალი იდეების მოფიქრება და მერე თამამად მათი განხორციელება. მასწავლებლის რაიმე იდეას მოსწავლეებიც იდეებით გამოეხმაურებიან და გაკვეთილი იქნება აღმოჩენებით სავსე.

მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნით მოფიქრებულ იდეას ყოველთვის ხალისით როდი აიტაცებენ მოსწავლეები, ამიტომაც საჭიროა მოთმინება, ნებისყოფა და ძიება იმგვარი იდეებისა, რომლებიც მათ გულებში გამოძახილს პოვებენ. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, კარგი იქნება რაიმე ისეთი პროექტის მოფიქრება, რომელიც გამოიწვევს მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობას, შესაბამისად, ინტერესით შეუდგებიან დავალებების შესრულებას. გაკვეთილი კი დაემსგავსება საპექტაკლს, რომელშიც ყველა თავის როლს შეასრულებს, ამგვარად, დაიდრევა მოწყენისა და ერთფეროვნებით გამოწვეული დაღლილობის ბარიერები.

პედაგოგი ვიკი დევისი კოლეგებს პრაქტიკულ რჩევებს აძლევს, როგორ გახდეს გაკვეთილი უფრო საინტერესო. მისი აზრით, სრული თავისუფლება უნდა მიეცეთ მოსწავლეებს პროექტის არჩევისას: მიეცით უფლება პროექტის ხელმძღვანელობისა და თქვენ დაინახავთ, როგორი ხალისით შეუდგებიან საქმეს და თავიანთი კუთვნილი როლების შესრულებას.

მისი აზრით, ზოგი მასწავლებელი შიშობს, თუ მოსწავლეებს მეტ თავისუფლებას მისცემს, შეიძლება ასცდეს სტანდარტით გათვალისწინებულ პრინციპებს, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. პირველ რიგში, მოსწავლეებს გააცანით სტანდარტი და მიეცით შესაძლებლობა, თვითონვე აირჩიონ სასწავლო გეგმის შესაბამისი პროექტი.

ზოგადად, ასეთა: მოსწავლე რასაც თვითონ აირჩევს, იმას შესაბამისი პასუხისმგებლობითაც მოეკიდება, რადგან ეს იქნება მისი ღირსების საქმე. ღირსებას, საკუთარი თავის წარმოჩენას მოსწავლეები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ. მათთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ თანატოლები მათზე, რა ადგილი უჭირავთ საკლასო სივრცეში. ნებისმიერ მოსწავლეს სურს მოიპოვოს ან გაიუმჯობესოს ადგილი ამ სივრცეში, ამისთვის არაერთ წინასწარ დაგეგმილსა თუ უნებლიე ნაბიჯებს დგამენ. პროექტი კი ყოველ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თანაკლასელთა წინაშე წარმოჩენდეს თავისი შესაძლებლობებითა და პიროვნულობით. დაკისრებული როლი ყოველთვის აიძულებს მოსწავლეს, იმოძრაოს, მოიფიქროს, გადაწყვიტოს, სხვათა იდეებს თავისიგ მიაშველოს, რათა ჯგუფის სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი და გამარჯვებისთვის იბრძოდოს.

ერთი ამერიკელი მასწავლებლის, ნიკოლ კარტერის საინტერესო და

გასაზიარებელი პრაქტიკაა, რომელიც მე-8 კლასის მოსწავლეებთან განა-
ხორციელა: კვირაში ერთ საათს ან კვირაში ერთ დღეს ის უთმობს შემდეგ
სტრატეგიას, რომელსაც პირობითად ჰქვია „გენიოსის საათი“. ამ დროს (ამ
გაკვეთილზე) მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, იყვნენ რაიმეს ექსპერტე-
ბი, თვითონ ირჩევენ სასურველ, საყვარელ თემას, საკითხს და სწორედ ამის
შესახებ ესაუბრებიან კლასს, რომელიც მას კითხვებსაც დაუსვამს. ნიკოლის
დაკვირვებით, ამ საათმა მოსწავლეებში საოცარი დაინტერესება გამოიწვია,
გაიზარდა მათი ჩართულობა საკლასო აქტივობებში. მართლაც, ხშირად მოს-
წავლეებს აინტერესებთ იმგვარი თემებიც, რომელთა შესწავლასაც სასკოლო
პროგრამები არ ითვალისწინებენ. დღეს, მაგალითად, აქტუალურია ანიმე
– იაპონური მულტფილმები, რომლებიც თავისებური სტილისტიკითაა შექმ-
ნილი. ბევრია ანიმე – ლიტერატურული ტექსტების მიხედვით. შეიძლება ერთ
დღეს სწორედ ამ ანიმეს ექსპერტობა მოიწადინოს მოსწავლემ და მასწავლე-
ბელმა მას ეს შესაძლებლობა უნდა მისცეს, გამოავლინოს თავისი ცოდნა და
გამოცდილება ამ სფეროში. ამგვარად, მოსწავლეები უკეთესად გაიცნობენ
ერთმანეთს, შეიძლება რაიმე განსხვავებულითაც დაინტერესდნენ, ნებისმი-
ერი ახლის შესწავლა კი მათ სააზროვნო უნარებს განავითარებს, ამგვარი გა-
დახვევები კი, სავარაუდოდ, სასწავლო მასალასთანაც ხალისით მიაბრუნებს
და რუტინას დააძლევინებს.

შეიძლება ექსპერტის სამუშაო ჯგუფურადაც შეასრულონ. ამგვარი მუშა-
ობით მოსწავლეებს გაუმჯობესდებათ კულტურა ურთიერთანამშრომლო-
ბისა, რაც, საბოლოო ჯამში, სასიკეთოდ აისახება მათი სასკოლო ცხოვრების
ყველა სფეროში. მასწავლებელი კი უკეთესად გაიცნობს თავის მოსწავლეებს.
ამგვარი საათების დაგეგმვისას, მასწავლებელს შეიძლება მოსწავლესთან
ინდივიდუალური მუშაობაც დასჭირდეს, ეს კი ხელს შეუწყობს მოსწავლის
პერსონალური შესაძლებლობების განვითარებას.

გაკვეთილის გეგმა

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

ქალაქი/სკოლა/კლასი – თბილისი, სკოლა „ლოგოსი“, XI კლასი

გაკვეთილის მიზანი

1. ქართული ლიტერატურული ტექსტის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში გააზრება;
2. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერნისა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ ინტერტექსტუალური ანალიზი (მსგავსი და განსხვავებული სახე-სიმბოლოების ინტერპრეტაცია);
3. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერნისა“ და ედგარ პოს „ყორნის“ ინტერტექსტუალური ანალიზი (მსგავსი და განსხვავებული სახე-სიმბოლოების ინტერპრეტაცია);

შესასწავლი თემა – ნიკოლოზ ბარათაშვილი „მერანი“ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში

მისაღწევი შედეგი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით

ზეპირმეტყველება: XI. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8,

სასწავლო აქტივობები:

- პრეზენტაცია
- ურთიერთსწავლება
- კითხვა-პასუხი

გაკვეთილის ეტაპების მოკლე აღწერა

მოცემულ გაკვეთილზე წინასწარ შერჩეული მოსწავლეთა ჯგუფი წარმოადგენს დამოუკიდებლად მომზადებულ პრეზენტაციას.

გაკვეთილი წარიმართება რამდენიმე ეტაპად:

1. მოსწავლეები ინდივიდუალურად დარიგებულ ფურცლებზე (რომელშიც სამი გრაფაა: რა ვიცი, რა მინდა ვიცოდე და რა ვისწავლე) ავსებენ პირველ ორ გრაფას – რა იციან ადამ მიცკევიჩზე, მის „ფარისზე“, ედგარ პოსა და მის „ყორანზე“ და რა სურთ, რომ ისწავლონ და გაიგონ – 5 წთ.

2. პრეზენტაცია – მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული პრეზენტაცია PowerPoint-ის პროგრამის გამოყენებით (აღამ მიცევისა და ედგარ პოზე მოპოვებული სხვადასხვა მასალა: ტექსტი, ფოტოები, ლექსების ინტერტექსტუალური ანალიზი)-20 წთ.
3. მოსწავლეებს ურიგდებათ პრეზენტატორი ჯგუფის მიერ მომზადებული ფურცლები – ადამ მიცევისის „ფარისი“ და ედგარ პოს „ყორანი“ – კომენტარებით (კომენტარები მოსწავლეებმა მოამზადეს მასწავლებლისგან დამოუკიდებლად. ეს ყველაფერი პრეზენტაციისას მონიტორითაც იქნება ნაჩვენები და მოსწავლეთა მიერ ახსნილი).
4. პრეზენტაციის შემდეგ ჯგუფის წევრები უპასუხებენ მოსწავლეთა შეკითხვებს – 10 წთ.
5. გაკვეთილის დასაწყისში დარიგებულ ფურცლებზე გრაფაში – რა ვისწავლე – ჩამოწერენ, რა ისწავლეს ახალი – 5 წთ.

შეფასება-მოსწავლეები პრეზენტატორ ჯგუფს ინდივიდუალურად აფასებენ შეფასების სქემის მიხედვით (ესეც დარიგებული ექნებათ) – 5 წთ.

სასწავლო მასალა და რესურსები

(სახელმძღვანელო და/ან ნებისმიერი დამატებითი სასწავლო რესურსი)
 კომპიუტერი
 პროექტორი
 კალმები
 დაფა, ცარცი
 სახელმძღვანელო

წერილი: ურთიერთსწავლების ხიბლი

<http://www.mastsavlebeli.ge/index1.php?action=news&npid=3588>

წიგნი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, სერია, „ქართველი მწერლები სკოლაში“, თბ. 2007

<https://burusi.wordpress.com/literature/nikoloz-baratashvili/>

<https://ka.wikipedia.org>

პრეზენტაციის შეფასების სქემა

კრიტერიუმები	ქულა
მომზადებულია; საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით; პერიოდულად იყენებს წინასწარ მომზადებულ მოკლე ჩანაწერებს.	0 – 1 – 2
აუდიტორიას თავდაჯერებულად მიმართავს; ამყარებს თვალთ კონტაქტს; ხმა და ინტონაცია დამაჯერებელია. წარმოთქმა – კარგი.	0 – 1 – 2
იყენებს ვიზუალურ მასალას: ფოტოებს, სურათებს, ა.შ. იყენებს ეკრანს, დაფას.	0 – 1 – 2
პრეზენტაციის დასაწყისი და დაბოლოება ეფექტურია	0 – 1 – 2
იცავს დროის ლიმიტს	0 – 1 – 2

რეზიუმე

გაკვეთილი წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით წარიმართა. გაკვეთილის მსვლელობისას გეგმიდან გადახვევის აუცილებლობა არ წარმოშობილა. გაკვეთილის ძლიერი მხარე ის იყო, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად იმუშავეს, მოძებნეს და დაამუშავეს თემის შესაბამისი დიდი და მრავალფეროვანი მასალა. მათ არ ჰქონდათ წინასწარ მასწავლებლის მიერ მიცემული რაიმე გეგმა თუ ნიმუში. მათ არ ეშინოდათ საკუთარი ინტერპრეტაციების გამოთქმისა, მთავარი იყო, თანაკლასელებს დაეჯერებინათ მათი. მსჯელობდ-

ნენ თავისუფლად და დანარჩენ მოსწავლეებს გაუჩინეს მოტივაცია მსგავსი და უკეთესი პრეზენტაციის მომზადებისა. მათ მოეწონათ დამოუკიდებელი მუშაობა, შემოქმედებითობა, ურთიერთსწავლება. ძლიერმა და სუსტმა მოსწავლეებმა კარგად ითანამშრომლეს, დამოუკიდებლად გაინაწილეს ფუნქციები და შესრულებაზე შესაბამისი პასუხისმგებლობაც აიღეს. გაკვეთილს სუსტი მხარე არ ჰქონდა, რადგან მთელი კლასი იყო ჩართული მუშაობაში და შემდეგ გამოთქმულ საუბარში აღნიშნავდნენ, ხშირად ჩატარებულიყო მსგავსი გაკვეთილები.

